ნოდარ (არხენ) ნიკოლაიშვილი

ბედგანწირულნი

ამბები ხინამდვილიდან

ნოდარ (არსენ)

ნიკოლაიშვილი

ბედგანწირულნი

ამბები სინამდვილიდან

„ვისაც არ მოგწონთ ტირილი,

ის წუ დასჯდებით ჩემთანა“...

ვაჟა-ფშაველა

UDC (უაკ) 821.353.1-32
ნ-635

წიგნში შესულია ჟურნალისტ ნოდარ (არსენ) ნიკოლაიშვილის (1924-2015) მოთხრობები, რომლებიც შედგენილია ნათესავებისა თუ ნაცნობ-მეგობრებისაგან ახალგაზრდობაში გაგონილი რეალური ისტორიების საფუძველზე. მოთხრობები კი მან დაწერა მას შემდეგ, რაც პროფესიულ საქმიანობას, ხანში შესვლის გამო, თავი დაანება, თითქმის 80 წელს მიღწეულმა. ბევრი დეტალი, ალბათ, შთანქა დრომ, მაგრამ ამ რეალური ისტორიების ძირითადი შტრიხები, უთუოდ, შენარჩუნებულია. წიგნი მოგვითხრობს იმ მძიმე და საშინელ წლებზე, რომლებმაც უამრავი ღირსეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ან სამუდამოდ დაამახინჯა. ამაზე დუმილი არ შეიძლება! ავტორის სურვილი იყო მკითხველის გულამდე მიეტანა ის, რაც დრომ წაშალა, თუმცა აქ მოთხრობილი ამბები არც ისე შორსაა ჩვენგან – უსამართლობა, სისასტიკე, გადიდკაცება, შიში და მის წინააღმდეგ შეუპოვრად აღმართული ღირსება, თავდადება და სიყვარული ხომ კაცობრიობის მარადიული დილემაა.

ავტორი: ნოდარ (არსენ) ნიკოლაიშვილი

ნახატები: პაატა ნიკოლაიშვილისა

რედაქტორები: ავთანდილ უჯმაჯურიძე, დარეჯან კირთაძე

© დალი ნიკოლაიშვილი (2024)

ISBN 978-9941-8-6276-2

სარჩევი

... და ესეც იავნანამ! 7

შიმშილის საზღაური 20

ბედისერთა 47

ერთი მტევანი კრახუნა 95

ცხოვრების მიმწუხრზე 122

... და ესეც იავნანამ!

ამბავი, რომელიც რამდენიმე ათეულ სიტყვაში თავსდება და ამ მოთხრობის ქარგად გამოვიყენე, 1941 წლის ზაფხულში სრულიად ყმაწვილს მიამბო დეიდაჩემმა, პედაგოგმა ლ.კ.-ძემ[1]. იმ საღამოს ვსაუბრობდით, რა თქმა უნდა, გერმანიასთან მძვინვარე ომზე, ჩვენი ნათესაობის ბედზე ამ ომში და სხვა, ძველ თუ ახალ ამბებზე. „იცი? – მეუბნება უცებ შუა საუბარში, – ასეთი რამ მომხდარა რამდენიმე წლის წინ...“

მე კი ეს დავწერე თითქმის ექვსი ათეული წლის შემდეგ და არა იმდენად სამოთხრობოდ, რამდენადაც შიშის კარნახით – არ დაკარგულიყო ამბავი, რომლის გამხატვრულება, უდავოდ, უფრო მაღალ დონეს იმსახურებს.

* * *

ელვა დაიკლაკნა მთაწმინდის თავზე გადმოწოლილ მძიმე ღრუბლებში. ფანჯრიდან შემოჭრილმა შუქმა და ჭექა-ქუხილმა გოგონა გააღვიძა და შეაშფოთა. როგორც ყველა პატარას, მასაც აშინებს ცუდი სიზმრები, გაუგებარი გაელვება და გრუხუნი ცაში. თვალები მაგრად დახუჭა, მძინარე დედას მთელი ძალით მკერდში ჩაეფსკვნა და ამით აფორიაქებული პაწია გული მიანდო ყველაზე საიმედო თავშესაფარს ამქვეყნად.

ამ დროს წინა ოთახის კარზე დააკაკუნეს. გოგონამ ყურები ცქვიტა და საწოლზე წამოჯდა... კაკუნი განმეორდა.

---

[1] ლუბა კაპანაძე მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში.

– დედიკო! დედიკო! – ფაფუკი თითები ააფათურა დედის მკერდზე გადმოშლილ თმებში, – ლომ თქვი, ლომ თქვი, მამიკო ჩამოვაო... ლომ თქვი...

დედას უკვე ეღვიძა, თავი წამოეწია ბალიშიდან, მაგრამ ძილის ბურანიდან ვერ გამოსულიყო. ერთბაშად გამოაფხიზლა განმეორებითმა კაკუნმა, ნელმა, მაგრამ მკვეთრმა, ხანგრძლივმა, მოძალებულმა.

– ვაი ჩემს მოს-წრე-ბა-ას!.. ამოიკვნესა მილეული ხმით. ალბათ, კაკუნი ჩვეულებრივი სტუმრისა არ იყო. ეტყობა, ამგვარი კაკუნით კიდევ მოსულან ამ კართან...

– ვინ არის, ნეტავ, ამ შუაღამისას! – აწრიალდა ოთახის მეორე კუთხეში მდგარ საწოლზე მოხუცი ქალი.

პატარა ოთახში ბჟუტავს კედლის აბაჟური.

– გააღეთ! კარი გააღეთ! – მოგუდული ხმით, მაგრამ მტკიცედ ბრძანებდა კართან მომდგარი, – შინსახკომიდან[1] ვართ, მალე!

მოხუცმა წამოიკივლა... სასოწარკვეთამ მოიცვა მთელი მისი არსება.

ახალგაზრდა ქალი წამოიჭრა ლოგინიდან, მოხუცისაკენ უაზროდ გაიხედა, შემდეგ გაურკვევლობით შეშფოთებულ ბავშვს დააშტერდა, მისკენ დაიხარა, მკერდზე მიიკრა აცახცახებული ხელებით.

კვლავ გაიელვა და სადღაც ჩამოვარდნილი მეხის ქუხილმა შეაზანზარა მიდამო.

– მეშინია, დედიკო!.. მეშინია!.. – და გოგონა ატირდა.

– ჩქარა, გააღეთ! გესმით, თუ არა? – ხმაში მოუთმენლობამ და სიბრაზემ იმატა. ქალი ფეხშიშველი, თხელი ღამის პერანგისამარა ანგარიშმიუცემლად წინა ოთახის ბინდბუნდში შეიჭრა და აბაგბაგებული კარებთან დადგა. თავბრუ დაესხა, წაბარბაცდა, კარის სახელურს ჩაეჭიდა, შუბლი კარს მიაყრდნო.

---

[1] შინსახკომი – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ყოფილ საბჭოთა კავშირში. 1917-1946 წლებში იყო სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო. სწორედ მან განახორციელა ადამიანთა მასობრივი რეპრესიები, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ხელახალი კაკუნი სწორედ იმ ადგილას გაისმა, სადაც შიშისაგან გაოგნებულ ქალს მიედო შუბლი... მკვეთრი დაკაკუნების ხმამ ტყვიებივით გაუარა ტვინში. შეჰკივლა, უკან გადაქანდა და ძლივს გასაგონად, კბილზე კბილის ცემინებით ამომარცვლა:

– მად-რო-ვეთ... ჩაცმა მად-რო-ვეთ!..

იქვე, კართან, ელექტროჩამრთველი გადაატრიალა და ოთახი გაანათა. ძლივს შებარბაცდა საძინებელ ოთახში.

მოხუცს კაბის ჩაცმა მოესწრო. საწოლზე ჩამომჯდარი ბავშვს უყვავებდა, მის დაწყნარებას ცდილობდა.

ახალგაზრდა ქალს ნიკაპი აუკანკალდა. მხრებმაც დაუწყო ზღვის ტალღებივით ლივლივი. როგორ ჰგავდა ახლა სანდრო ბოტიჩელის ვენერას – ნატიფი, უზადო სხეულით.

შვლის ნუკრივით დამფრთხალი თვალები მიაპყრო ერთადერთს, ამ ქვეყნად ყველაზე სანუკვარ არსებას. ძალა მოიკრიბა. ხელები გაიწვდინა ბავშვისაკენ... მხოლოდ ორი ნაბიჯი გადადგა და საწოლთან ჩაიკეცა უღონოდ.

– ღმერთო, გვიშველე! – იკივლა მოხუცმა, – შვილო!.. შვილო!.. ვაი, უბედურს!.. – წყალი ასხურა სახესა და მკერდზე.

– გააღებთ, თუ არა?! – მოთმინებადაკარგული, ისტერიული ხმაგაწვრილებით ყვიროდა კართან მომხდური.

გონწასულმა სული მოითქვა, ქუთუთოები აახამხამა, უღონოდ დაიკვნესა. მოხუცმა სველი ხელი მოუსვა შუბლზე, კისერზე, ჩაუკოცნა გაცივებული ლოყები და ხმის კანკალით, მაგრამ აშკარად ძალმიცემით შესძახა:

– არ შეშინდე, შვილო! გამაგრდი, შენ გენაცვალე!.. გაუმაგრდი, შენი ჭირიმე...

ბავშვი საწოლის კიდისაკენ იწევდა, ამაოდ ცდილობდა უსასოო ტირილით შებოჭილი სხეული გადმოეტანა იატაკზე დავარდნილ დედიკოსთან...

მოთმინებიდან გამოსულის ბრაზიანი შეძახილები და ძლიერი ბრახუნი კვლავ განმეორდა კარზე... მოაწვნენ ორჯერ, სამჯერ... შემომტვრევა სცადეს!

მოხუცი შეუფერებელი სიმარდით გავარდა წინა ოთახში, კარს ეცა და მთელი შესაძლო ხმით მიაძახა მომხდურთ:

– მხეცები ხომ არა ხართ! რძალს გული შეუღონდა, მოვასულიერებ და გაგიღებთ ამ დაწყევლილ კარს.

– გაგვიღე-მეთქი! ჩვენ მოვასულიერებთ ერთ წამში. ნუ გეშინია, კი გვაქვს ამის გამოცდილება, – ამბობდა იგივე ხმა და ისევ მოაწვნენ კარს.

– უკეთურნო! – მოხუცმა საკეტის ჭუჭრუტანაში ჩატოვებული კლიტე გადაატრიალა და კარი გააღო. ოთახში სამი შინსახკომელი შემოიჭრა.

ლეიტენანტმა, რომელიც, ეტყობოდა, უფროსი იყო, უმალვე გასწია მარჯვნივ, საძინებელი ოთახისაკენ, მაგრამ კარში მოხუცი ჩადგა:

– უკან დაიწი! დაიწი-მეთქი! აქ არაფერი გესაქმება! მოვასულიერებ ცოტას და თვითონ გამოვა.

ლეიტენანტმა ხელი ჩაავლო მკლავში მოხუცს, გვერდით გაწევა მოუნდომა, საძინებელ ოთახში რომ შესულიყო. მოხუცი გაძალიანდა, სიბერით წახრილი მხრები ოდნავ გაშალა და ზიზღით ჩახედა თვალებში ახალგაზრდა „ჩეკისტს“[1]. მიმჭკნარ სახეზე მრისხანების შუქიან თვალებს რომ შეხედა, ლეიტენანტმა ხელი უშვა ქალის მკლავს და ნირწამხდარმა თავის აქნევითა და თვალებით ანიშნა: „შედიო“. მხლებლებს კი გახედა თვალების მოწურვითა და თავის დაკანტურებით, თითქოს: არაფერია, ჩვენს საქმეს მაინც მალე მოვრჩებითო.

ახლა კი უმტყუნა ძალამ მოხუცს. ერთბაშად ამოასკდა ისტერიული სლუკუნი, შებრუნდა საძინებელში და კარი მიიხურა.

* * *

ოპერატიულ განყოფილებაში გაფაციცებული მუშაობაა. რეკავს ტელეფონები, ადგენენ სიებს, ხელს აწერენ რაღაც ქაღალდებს, ანაწილებენ დავალებებს. ყველაფერი კეთდება სწრაფად, საქმიანად, თითქმის უხმაუროდ.

---

[1] ჩეკისტს უწოდებდნენ შინსახკომელებსაც.

მაიორმა ლეიტენანტ გერაძეს უხმო:

– გემახსოვრება, მაისში დავაპატიმრეთ ტექნიკური ბაზის დირექტორი მგალობლიშვილი. ამ მავნებელს ჯერ კიდევ 1933 წლის დასაწყისში შეუქმნია მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის წევრთა მეშვეობით ხელმძღვანელობდა მთელ რიგ დივერსიულ-მავნებლურ მოღვაწეობას. ორგანიზაციის მიზანი ყოფილა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფა. მასვე შეუქმნია საბრძოლო ჯგუფები სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოსაწყობად.

– როგორც მახსოვს, ის ერთ-ერთი უცხო ქვეყნის დაზვერვის აგენტიც იყო, სისტემატურად აწვდიდა მათ ჯაშუშური ხასიათის ინფორმაციას, – ისე მჭექარე ხმით წარმოსთქვა ეს სიტყვები გერაძემ, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, ნახეთ რა ბიჭი ვარ, რა კარგად ვმუშაობო.

– ჰოდა, შენ მოგიწევს მისი ცოლის იმავე გზაზე გასტუმრება. ისიც მტრული დაჯგუფების წევრი აღმოჩნდა. მავნებლობას ეწეოდა განათლების სისტემაში. თურმე რამდენიმე ენა სცოდნია: ფრანგული, გერმანული, იტალიური, პოლონური. კარგად იყენებდა ამ ცოდნას, – ზიზღნარევი ცინიზმით თქვა ეს სიტყვები მაიორმა, – წლების მანძილზე მოსწავლეებთან ადიდებდა ბურჟუაზიულ ლიტერატურას და ასე წამლავდა ჩვენს მომავალს. ამ დღეებში გამოვააშკარავეთ... ქმრის დაპატიმრებისთანავე პარტიიდან გარიცხეს, დღეს კი სამსახურიდანაც გააძევეს. აგერ მისამართი... ახლა ორი პატარა ოთახი უკავია. ესეც ფუფუნებაა მისთვის... ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი. დედამთილიც მასთანაა. მაზლები ცუდი არ ჰყოლია. უფროსი ბასმაჩებთან[1] შეტაკებისას დაიღუპა თურქესტანში, მეორეც – თვითმფრინავის გამოცდისას ურალში. მისი ქმარი კი აღმოჩნდა გარეწარი, ქვეყნის მოღალატე. მიეზღო კიდეც საკადრისი... ხალხის მტრები მოხერხებით ინიღბებიან, ანგელოზებად გვაჩვენებენ თავს, მაგრამ ვერაფერი

[1] ბასმაჩებს უწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1910-1920-იან წლებში მებრძოლებს შუა აზიაში.

უშველით! ეს ვერ იხსნის მათ ხალხის რისხვისაგან. ყოველი ჩვენგანი უნდა აღიჭურვოს უნარით, ამოიცნოს მტერი, სადაც არ უნდა იყოს ის და რა ოსტატურადაც არ უნდა ინიღბებოდეს“ – მოძღვრავს გერაძეს უფროსი, – ჰოდა, ამ ქალმაც უნდა ზღოს სამშობლოსა და ხალხის წინაშე!.. ოპერაციაზე, როგორც ყოველთვის, გვიან ღამით, ორ საათზე გახვალ. თვითონაც იცი ყველაფერი. უკვე გამოცდილი ჩეკისტი ხარ...

* * *

რა არ გადახდენია თავს ამ ბოლო წლების მანძილზე გერაძეს, სისხლიანი ამბებიც კი, ქალაქად თუ სოფლად, სადაც სხვა „ჩეკისტებთან“ ერთად, საკოლმეურნეო მოძრაობას ეხმარებოდა ჯერ კიდევ ყმაწვილობისას. თავს ვერ უსაყვედურებდა ახალგაზრდა „ჩეკისტი“ – ყველაფერს აკეთებდა განსაკუთრებული მონდომებით, ერთგულებით, რწმენითაც კი. სხვებსავით ისიც საერთო საბჭოურ ფსიქოზში იყო ჩაფლული, თუმცა ამას როგორ შეამჩნევდა სამსახურეობრივ კიბეზე აღმავალმავალი. გერაძის ასეთი აქტიურობა, უფროსების დავალებების პირმოთნე და მონური მორჩილება შეუმჩნეველი არ რჩებოდა და დაწინაურებასაც ჰპირდებოდნენ სამსახურში. მეტი რა უნდოდა ახალგაზრდა კაცს, ისიც ცდილობდა, ძალიან ცდილობდა...

მშობლებს არ აღაფრთოვანებდა უმცროსი შვილის მოუსვენარი და ხიფათიანი სამსახური. ბედს მაინც არ ემდუროდნენ და კმაყოფილებასაც არ ფარავდნენ, რომ მათმა ვაჟმა მძიმე პერიოდში მატერიალურად უზრუნველყო ოჯახი!..

უფროსი ძმა კი გადაჭრით არ თანაუგრძნობდა არჩევანს. ხშირად გამოხატავდა კიდეც გულნატკენი: – „ნიჭიერმა კაცმა მომავალი დაკარგე. უმაღლესი განათლება რომ მიგეღო, უდავოდ, დიდი წარმატება გელოდა ფიზიკაში ან მათემატიკაში“. – „არც ახლა ვარ წარუმატებელი“, – მიუგებდა უმცროსი ბევრისმთქმელი ღიმილით.

ოჯახის უფროსი ვაჟი ცოლ-შვილს იყო მოკიდებული და ცალკე ცხოვრობდა. იშვიათად ხვდებოდნენ ძმები ერთმანეთს. ცუდი ძმობა არ ჰქონდათ, თუმცა მათი შეხვედრები მოკლებული იყო ადრინდელ სითბოს, ბუნებრივობას და როგორღაც ნაძალადევი, ნახევრად ოფიციალური გამოდიოდა. „ალბათ, სწორად იქცევა და ასეც სჯობს. ჩემი სამსახურის რიდი უნდა ჰქონდეთ, სულერთია, ვინც უნდა იყოს!.. ეს კარგია!“ – ფიქრობდა შინსახკომელი ძმა. თვითონ თითქმის არაფერს ჰყვებოდა სამსახურის საქმეებზე და შინაც არავინ ეკითხებოდა. კარგად იცოდნენ – ეს საიდუმლოა! ასე ჩაუნერგა შინაურებს უმცროსმა ვაჟმა.

მოსწავლე დაიკოსათვის მთელი ზეიმი იყო შინსახკომის ფორმიანი ძმის გვერდით ქუჩაში გავლა. თავი მოსწონდა ნაცნობთა თუ უცნობთა წინაშე. ნახეთ, რა ძმა მყავსო! – მიმართავდა გუნებაში, როგორც ეჩვენებოდა, შურით მომზირალ მეგობრებს, და ამ დროს ბედნიერების სხივი ენთო სახეზე. ძმა კი ეტყოდა ხოლმე: – „ნუ მეტმასნები, გოგო, ასე! სწორად გავლას მიშლი, მხედრული მისალმებაც ვერ მომიხერხებია ხეირიანად“. – „ჩემი ხელკავი გეჩოთირება, კიდევ პატარა გგონივარ და იმიტომ!“ – ებუტებოდა დაიკო, მაგრამ მალევე იგივე მეორდებოდა, კვლავ ეტმასნებოდა და შესიციცინებდა საამაყო ძმას...

გულისსწორი შერჩეული ჰყავდა შინსახკომელს. შემთხვევიდან დაიწყო...

ცივქარიან საღამოს ბაღთან მიმავალს ქალის შეკივლება მოესმა. ბინდბუნდში მოძრავი სილუეტები დალანდა და უმალ იქით გაქანდა შურდულივით. ქარიანი საღამო იყო და ხეთა ფოთლების შრიალში გერაძის ფეხის ხმა არ გაუგიათ მოძალადეებს. უცებ წაადგა თავს ორ თავდამსხმელს. ხელჩანთა წაერთმიათ ქალისათვის. ახლა პალტოს ხდიდნენ. ერთს საყელოში სწვდა ზურგიდან, გადმოქაჩა და ყბაში მუშტის დარტყმით ძირს დასცა. ქვაფენილზე ბებუთმა გაიწკრიალა. მეორემ ქალის პალტოს ხელი უშვა და სირბილით ქვემოთ დაეშვა. შეშინებული ქალი უხმოდ შესცქეროდა მხსნელად მოვლენილს.

– შეჩერდი, თორემ გესვრი! – გერაძემ სწრაფად ამოიღო ბუდიდან ნაგანი, დინჯად დაუმიზნა და ესროლა გაქცეულს. გასროლაზე ქალმა შეკივლა. გაქცეული ბაღის კუთხესთან ქვაფენილს დაენარცხა.

გერაძემ საყელოთი მოქაჩა წაქცეული, ფეხზე წამოაგდო, უბეები და ჯიბეები სწრაფად მოუსინჯა და იქვე, ხესთან უსარგებლო ნივთივით მიაგდო:

– ხელები შემოაჭდე! გაინძრევი და სიცოცხლეს გამოესალმები! – დასჭექა გერაძემ.

ქვაფენილიდან ხელჩანთა აიღო, ქალს მიაწოდა. დაგდებული პალტო ზემოთ ასწია. ფაქიზად, თითქოს ძვირფასი ნივთია, ერთი-ორჯერ დაფერთხა. როგორ არ ჰგავდა ახლა გერაძე შინსახკომელს – ცივ, პირქუშსა და სასტიკს, – ხელი რომ არ აუკანკალდება სასხლეტის გამოკვრაზე.

– საფრთხემ გაიარა, ჩაიცვით! – რბილი ხმით წარმოთქვა გერაძემ და ქალს პალტოს ჩაცმაში შეეშველა. ტანკენარი ჩანდა.

– კაცი მოკალით? – ძლივს ამოთქვა აკანკალებულმა ქალმა.

– არა, ფეხში დავჭერი.

– რა იცით?! ამ სიბნელეში...

– თვალი მიჭრის, კარგადაც ვისვრი, – ისევ შინსახკომელმა გაიღვიძა მასში.

ორმა მილიციელმა მოირბინა. მეთაურს მხედრულად მიესალმნენ.

– იქ, – და ხელით მიანიშნა გერაძემ, – დაჭრილი თავდამსხმელია. ფრთხილად, შეიარაღებული არ იყოს! ეს აიღეთ, – ბებუთი გადასცა, – ავაზაკები განყოფილებაში მიიყვანეთ. დაჭრილს წესისამებრ მიხედეთ! იტყვით, რომ თავდამსხმელი დაჭრა შინსახკომის ლეიტენანტმა გერაძემ. დილით თქვენს უფროსს დავუკავშირდები. ახლა ამ ქალიშვილს მივაცილებ...

– არა! რა საჭიროა! – იუარა თითქმის დამშვიდებულმა ქალმა, – ახლოს ვარ, აღარაფერი მიჭირს...

– თავს ვერ ვაპატიებ ამ შემთხვევის შემდეგ მარტო რომ გაგიშვათ, – ქალიც მიენდო თავის მხსნელს და აუყვნენ ბნელ, დაზიგზაგებულ გზას.

– რატომ გიწევთ ღამით ხე.., – სიტყვა გაუწყდა გერაძეს, უნდოდა ეთქვა ხეტილიაო, მაგრამ დროულად დადუმდა. – რატომ გიწევთ ღამით სიარული? – გამოასწორა ნათქვამი.

– ჯერ რა ღამეა! და მაინც – კომკავშირის კრება გვიან დაგვიმთავრდა.

– ოჰო, კომკავშირელი ყოფილა, – სიამოვნების ფიქრებმა გადაურბინა გონებაში გერაძეს.

ქარიან ღამეში მიდიოდნენ ისე მშვიდად და აუღელვებლად, თითქოს არც არაფერი მომხდარა ორიოდე წუთის წინ. რამდენი რამე გაიგო თავისი მეგზურის შესახებ გერაძემ – სწავლობს სამედიცინო სასწავლებელში, რომელსაც წელს ამთავრებს. მამა თითქმის არ ახსოვს, მაგრამ დედისაგან იცოდა, რომ 1921 წლის თებერვალში დაღუპულა. პარტიული მუშაკი და საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბე ყოფილა. გულმხურვალედ თანაუგრძნობდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების დამხობასა და ახალი მთავრობის მოსვლას. არც შულავერის კომიტეტის[1] ხსენება დავიწყებია ქალს. რა სასიამოვნო მოსასმენი იყო ყოველივე ეს შინსახკომელი გერაძისათვის.

განათებულ სადარბაზოსთან გავლისას გერაძემ ქალიშვილისაკენ თვალი გააპარა. არ შეიძლება, არ მოსწონებოდა სახის სწორი, ლამაზი ნაკვთები, ეშხიანი გამოხედვა. ქალი სავსებით დამშვიდებულიყო და იმედიანად მიჰყვებოდა თავის მხსნელს.

– თითქმის მოვედით. ნუღარ შეწუხდებით. მადლობელი ვარ ყველაფრისათვის.

– არა! მიგყვებით კარამდე. მე არ ვცდილობ ამ შემთხვევიდან რამე სარგებლის მიღებას. ხომ ხედავთ, სახელსაც არ გეკითხებით. თქვენ კი გვარიც იცით ჩემი და წოდებაც.

---

[1] ასეთი სახელით მოინათლა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც 1921 წლის თებერვალში, ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე რამდენიმე დღით ადრე შექმნა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ. 25 თებერვალს კი სწორედ ამ კომიტეტმა აიღო ხელში ძალაუფლება და შექმნა ბოლშევიკური მთავრობა, რომლის სათავეში მამია ორახელაშვილი მოვიდა.

– აქ ვცხოვრობ, – ქალიშვილი ძველებური სახლის რკინის კარებთან გაჩერდა, – თინათინ როინიშვილი ვარ, – უთხრა და ხელიც გაუწოდა.

ლეიტენანტმა ხელი ჩამოართვა. ელნათურის მბჟუტავ შუქზე დაკვირვებით დააცქერდა მის სახეს, მხედრულად ხელი აუღო, „ნახვამდისო“, შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გასცილდა იქაურობას. ქალმა გულდაწყვეტილი მზერა გააყოლა მხსნელს, რომელმაც არც თავისი სახელი დაუტოვა და არც შეხვედრის სურვილი.

გერაძემ სრული გულგრილობა გაითამაშა მის წინაშე. ძალიან კი მოეწონა, მაგრამ თავი არ გაამჟღავნა.

დილითვე შინსახკომის ყოვლისშემძლე არხებით შეკრიბა ცნობები მომავალი ექთნის ოჯახის შესახებ. მამა ერთ დროს მეზაღე ყოფილა ბოტანიკურ ბაღში, შემდეგ გამხდარა პარტიული მუშაკი და აქტიური პოლიტიკური ცხოვრებაც დაუწყია, დედა – დიასახლისი, ძმა კი – ორთქმავლის მემანქანე. „ჯანსაღი ანკეტაა!“ – კმაყოფილი ასკვნის გერაძე, – მშრომელთა წრიდანაა, პროფესიას ეუფლება, კარგად სწავლობს, აქტიური კომკავშირელია...“

გარეგნულადაც მოსწონს ახლად გაცნობილი: სახით, ტანფეხით, ხმაც კი მომხიბვლელი აქვს, – ფიქრობს გერაძე, მაგრამ მეწინავე მედროშესავით წინ მიუძღვება ფიქრებს მისი კომკავშირლობა, მამის პოლიტიკური მრწამსი. ეს არის შინსახკომელისათვის უმთავრესი, სხვა კი მხოლოდ იმიტაციაა. ხანმოკლე, სულ რაღაც ათიოდე წლის გამოცდილებამ ასწავლა გერაძეს რა არის მთავარი ცხოვრებაში და მისი კარიერისათვის. ამიტომ ასე ღრმად, ქვესკნელში ჩამარხა ლტოლვა იმ უტკბესი გრძნობისაკენ, რასაც სიყვარული ჰქვია, რასაც მარადიულად ეტრფოდნენ და ეწირებოდნენ კიდეც.

ათი დღის შემდეგ, სასწავლებლიდან შინ მიმავალს ვითომდა შემთხვევით შეეჩეხა ქუჩაში. თინათინი შეკრთა, დაიბნა.

– ეს თქვე-ენ? – ეკითხება თითქოს გაკვირვებული გერაძე და ქალიშვილმა პირველად დაინახა მის მკაცრ სახეზე ღიმილი, ასე რომ უხდებოდა.

– უცებ შემეშინდა, – აღიარა მორცხვად.

– ისევ შიში? რაღაა მიზეზი?

– რა ვიცი, ასე კია და!..

თითქმის არაფრის მთქმელი მოკლე საუბრის შემდეგ გერაძე მოულოდნელად ეკითხება:

– რას იტყვით, რომ ამ საღამოს რომელიმე სპექტაკლს დავესწროთ თეატრში? თუ თანახმა ხართ, სპექტაკლის არჩევანი თქვენთვის მომინდვია.

თინათინი აფორიაქდა, დაბნეულობა ვერ დაფარა, აქეთ-იქითაც გაიხედა, თითქოს ვინმეს უნდა მოუხმოსო საშველად.

– არც ვიცი, რა გიპასუხოთ... ისე მოულოდნელია ყველაფერი ეს...

ვაჟმა თვალი თვალში გაუყარა და ხმის დაწევით უთხრა:

– მიყვარს სრული გულახდილობა. თუ კი არის ვინმე, ვისაც ეწყინება თეატრში ჩვენი ერთად ყოფნა...

– არა! არავინ არ არის ასეთი! – ანგარიშმიუცემლად სხაპასხუპით უპასუხა ქალიშვილმა და ამით თავი გასცა. უმალვე მიხვდა ამას და ლოყებზე ვარდისფერი გაუმუქდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი იყო ნათქვამი: გადაწყდა – სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოაწერენ ხელს. უფროსებმა არჩევანი მოუწონეს გერაძეს:

– კარგ ბინას მოგცემთ, შეიძლება ავეჯითაც: ახლა ბევრი ბინა თავისუფლდება...

* * *

„რაღა აქ, რაღა აქ მომიწია ოპერატიული დავალების შესრულება! – შეწუხებულია გერაძე, – ეს ღლაპიც რომ არ ჩერდება!“ – და მიუბრუნდა ერთ-ერთ თანმხლებს:

– ჩადი, უთხარი, ერთხანს დავაყოვნებთ და მალე ჩამოვალთქო. თვითონაც დაბლა დარჩი, მანქანაში. შინსახკომელი მხედრულად გამოეჭიმა ლეიტენანტს. – „არის!“ – უპასუხა ბრძანებას და ოთახიდან გავიდა.

ჩვეული არ არის საქმეში დაყოვნებას. ღელავს, სიმშვიდეს კარგავს, მოუთმენლობა იპყრობს. არა, არ სჩვევია ეს შინსახკომელ გერაძეს!

ზეცა კვლავ მღელვარეებს.

აქ კი ბავშვი ისევ აქცევს ქვეყანას...

გაწვრილდა გული... წრიალებს, ბოლთას სცემს მაგიდასა და საძინებლის კარს შორის და ჯერ კიდევ ახერხებს, შიგ არ შეიჭრას, რომ გამოათრიოს, ბოლოს და ბოლოს, ის ქალი... ხან ფანჯარასთან დგება, ნიაღვრად ქცეულ ქუჩას ავლებს თვალს სიბნელეში. სადარბაზოსთან მათი პატარა ფორდი დგას და თქეშის ქვეშ ნათურის შუქზე შავად ლაპლაპებს.

სად გაქრა გერაძის ნაქები სიდინჯე?

– კმარა! გეყოფათ! – ისტერიულად ყვირის და საძინებლის კარზე რამდენჯერმე მძლავრად ატყაპუნებს ხელის გულს, – ახლავე გამოდით! – ლეიტენანტს თუ დაავიწყდა, რომ ოპერაცია უხმაუროდ უნდა ჩატარდეს? თუმცა ახლა ამას აქვს მნიშვნელობა?

სიჩუმე კარგა ხანია გაქრა და მას ვეღარ აღადგენ, როგორც გამსკდარ საპნის ბუშტს...

რაღაც შეიცვალა საძინებელში. ბავშვი ხრინწშერეული განწირული ხმით მალიმალ იმეორებს:

– ალა-ა-ა! დედიკო!.. დე-დიკო-ო-ო! ალა-ა-ა!

გაიღო საძინებლის კარი და გამოჩნდა ტირილით თვალებდასიებული ახალგაზრდა ქალი. მოულოდნელობისაგან უნებურად უკან გადადგა ნაბიჯი ლეიტენანტმა და თვალებგაშტერებით დააცქერდა კარის ღიობში ხატებასავით ჩამდგარ, ჩიხში მომწყვდეულ, დამფრთხალი

შველივით უმწეო ქალს. არ მოელოდა ასეთი უსუსური სიფაქიზის დანახვას. თეთრი, ფერგადასული გამხდარი სახე, ცრემლიანი გამოხედვა, მოქნილი პატარა ტანი კიდევ მეტად ავლენდა მის სინაზეს. რომ არა კეფაზე სახელდახელოდ აგორგალებული თმები, უთუოდ, სამასწავლებლოში რაღაც ცელქობისათვის დასატუქსავად გამოძახებულ უფროსკლასელ მოსწავლე გოგონას უფრო ემგვანებოდა. როგორ არ ეთავსებოდა ყველაფერი ეს გერაძის წარმოსახვაში „გარეწრის“, „ხალხის მტრის“ სახეს! მაგრამ... მაგრამ... „მტრები ანგელოზებად გვაჩვენებენ თავს...“

„ნუთუ, ეს ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია?!“ – ბავშვი კვლავ აქცევს ქვეყანას...

ერთხანს ჩაფიქრებით უყურებს უზომოდ ტკივილიან სახეს. შემდეგ თითქოს გამოერკვაო, ხელი გაიკრა გიმნასტურის ჯიბეზე, ღილი შეიხსნა, ოთხად გადაკეცილი ტკიცინა ქაღალდი ამოიღო და შიშით გაფართოებულ სველ თვალებს წინ გაუშალა:
– დაპატიმრებული ხართ. გამომყევით!

ქალმა ცრემლთა ნისლს მიღმა უაზროდ შეავლო თვალი ბეჭედდასმულ ხელმოწერებიან ქაღალდს.

– აბა, ფეხი გამოადგით! – ხმააწევით ბრძანებს ლეიტენანტი. მარჯვენა ხელი, ვითომ სადოინჯედ, წელთან მიიტანა, თითები ნაგანის ტყავის ბუდეზე აათამაშა, თითქოს ამით დაადასტურა თავისივე ბრძანება, – დამთავრდა ლოდინი!

დანისლულად უმზერს ქალი გაქვავებულ სახეს და გულიდან ამოდუღებული თრთოლვით ეხვეწება:

– არა! ჩემთვის არა! გეფიცებით, ჩემთვის არა!.. ხომ ხედავთ ბავშვი რა დღეშია!.. მისთვის, მხოლოდ მისთვის მაჩუქეთ კიდევ რამდენიმე წუთი!

– მაინცდამაინც ძალით გაგიყვანოთ?

– ოჰ, არა! გევედრებით! – და თითქმის ჩურჩულით, თითქოს არავინ გაიგოსო, წარმოთქვა უნაზესი მავედრებელი ხმით, – თუ ხართ... ჩემი ძამიე!

გერაძე შეაკრთო, დააბნია გურულად მოქცეულმა მოსიყვარულედ მთხოვნელმა სიტყვებმა. რა იყო ეს? სახეზე ხელის უნე-

ბური აფარება მოქნეული შოლტისაგან თავის დასაცავად? თუ უძვირფასესი არსებისათვის ორიოდე წუთის მოსაპოვებლად გაღებული მსხვერპლი? ან იქნებ, უბრალოდ ფაქიზი სულიდან ანაზდად ამოთქმული ვედრება?

ცივმა ჭინჭრებმა დაუსუსხეს ტანი ლეიტენანტს, გულში კი რაღაც მდუღარე ჩაღვარა. უნდოდა ხმა ამოეღო, რამე ეთქვა, მაგრამ სიტყვა ნახევარ ბგერაზე გაეჩხირა ყელში. სული ძლივს მოითქვა, შიშით მომლოდინე ქალს შეუყვირა:

– როგორ ბედავთ!.. თქვენ, თქვენ!.. იცით? იცით?.. როგორ გაბედეთ!.. თქვენ.. ვინ, ვინ არის „თქვენი ძამიე!“

– მხოლოდ რამდენიმე წუთი... – არ იშლიდა ქალი თავისას, – სიმღერით დაძინებას მყავს დაჩვეული და... და თუ არ ვუმღერე... ნუ დამატოვებინებთ ჩემს გოგონას ამ დღეში... ამ უკანასკნელად... და მეტი ვერ შეძლო გულამომჯდარმა.

გერაძე დიდხანს დაფიქრებით აცქერდებოდა შეძრწუნებულ სახეს. შემდეგ ნელა შებრუნდა, მაგიდას მიუახლოვდა, სკამი გამოსწია და ზედ წელმოწყვეტილივით დაეშვა, ქალს ახედა და ხელის დუნე აქნევით ანიშნა: შედიო ბავშვთან!

* * *

გულს ვერ უპოვია ადგილი, წრიალებს საგულეში, მოუსვენრობს. ტკივილი იგრძნო. რაღაც არსება შემძვრალა შიგ და გულის კოვზთან წოვს დაუზოგავად, ძალას აცლის გერაძეს. ოთახში შუქი მკრთალდება, გონებაში ბინდი წვება... სუნთქვა უნდა და ჰაერი არ ჰყოფნის, დანახვა უნდა და თვალები ენისლება. ირგვლივ ბურუსია ნაცრისფერი... და ეს ხმები ასე ნაცნობი, ასე ახლობელი, უტკბესი!.. ეს – დედა მღერის იავნანას ასე ტკბილად! ასე ტკბილად!

მაგრამ რატომ კვნესის დედის ხმა? რატომ კვნესის და ტირის იავნანა, თრთის და კანკალებს ხმა ცრემლიანი? რატომ არის ასეთი ტკბილი და გულის დამწველიც, უწყვეტად რომ ჩაესმის და მდუღარედ ეღვენთება მის ცნობიერებას?..

გულის კოვზთან კვლავ წოვს რაღაც უწყალოდ, სულს ართმევს, აძაბუნებს და უცებ განათდა გონება! მის ამ ყოფაში სწორედ ეს ხმებია დამნაშავე – ცრემლსა და ტკივილში ადუღებული ხმები, ასე ახლობელი, საამო, უტკბესი და სულის წამღებიც.

თავზე იტაცა ხელები, სმენა დაეხშო ხელისგულებით. მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო.

გაკვირვებული უყურებს მაგიდის მეორე ბოლოში მდგარი შინსახკომელი ლეიტენანტის უცნაურ ქცევას – თავზე შემოჭდობილ ხელებს, უჩვეულოდ წუხილიან სახეს. უნდა ჰკითხოს რამე, მაგრამ იცის – არ უყვარს გერაძეს ქვეშევრდომებთან მცირედი გაშინაურებაც კი.

დიდხანს ზის უძრავად, მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობით. ბოლოს ატყობს, რომ ყურების დახშობა შვებას არ აძლევს – მაინც არ ეშვება მწამებელი ხმები... შესაძლოა, ისინი იდუმალი გზებით აღწევენ სულის სიღრმეებს, იქ ბუდდებიან და შეუძლებელია მათთან თავის დახსნა? თითქოს დახშულ სივრცეშია ახლა გერაძე. ფიქრობს, დაჟინებით ეძებს გამოსავალს და გზა ვერ უპოვია...

წამოდგა გაფითრებული. მაგიდიდან რაღაცა გადმოვარდა. მყისიერად დაიხარა, მცირე ზომის წიგნი ყოფილა. აიღო, კვლავ მაგიდაზე დადო. თვალი გაეპარა. თავზარდაცემით, დაბალი ხმით ამოიკითხა: „იაკობ გოგებაშვილი... იავნანამ რა ჰქმნა?!...“ როგორ უყვარდა ეს მოთხრობა ბავშვობაში, ბევრჯერ გადაფურცლილი და გადაკითხული. ვინ მოთვლის რამდენჯერ დაენამა ცრემლებით თვალები პატარა გერაძეს, ქეთო მშობლებისათვის სანუკვარ სიტყვას „დედას“ რომ წამოიძახებდა.

უნებლიეთ წიგნი გადაშალა და... ბედის ირონია – მხოლოდ ერთადერთი ფრაზა მოხვდა თვალში მის ცნობიერს: „უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდან, დაიძახა სანატრელი ხმით „დედავ!“

კვლავ დახშულ სივრცეშია გერაძე, აწრიალდა – კედლიდან კედელს აწყდება, ფანჯრიდან უკუნს გასცქერის, ისევ კედლებს უბრუნდება და ეძებს ხსნას...

ნუთუ ხსნა ამ ხმების ჩახშობაშია?



„აი, გამოიყვანს ახლა ამ ქალს საძინებლიდან, გაუყენებს თავის გზას და შეწყდება კიდეც ცრემლებად ნაფლეთი იავნანას აკანკალებული ხმაც და მისგან მოვლენილი ტანჯვაც. ხსნა სწორედ იმაშია, რომ გაქრეს ეს ხმებიცა და ავ ზმანებასავით გამწარებული სინამდვილეც...“

ჩერდება შუა ოთახში. დაჟინებით უმზერს საძინებლის კარს და დიდხანს ღრმა ჩაფიქრებით უსმენს ბავშვის ტირილით შეზავებულ დედის იავნანას ცრემლიან თრთოლვას. ხელი გაიკრა მარჯვენა თეძოსთან და ბუდიდან ნაგანი ამოიღო. მშვიდად დახედა ხელისგულზე შავად მბზინავ რევოლვერს. ვიდრე თანმხლები შინსახკომელი რამეს მოისაზრებდა, ნაგანის ლულა მჭიდროდ მიიდო საფეთქელთან და საჩვენებელი თითი გამოჰკრა სასხლეტს. გაისმა გასროლის მჭახე, გამაყრუებელი ხმა და ლეიტენანტის უსულო სხეული მოწყვეტით პირაღმა დაენარცხა იატაკს.

ერთხელ კიდევ შეახსენა თავი ქვეყანას საშინელმა მეხთატეხამ...

1998 წელი

შიმშილის საზღაური

შიმშილის გრძნობამ გამოაღვიძა. ძილ-ღვიძილში ნაწვალებმა ძლივს აითრია წელი. კაბა გადაიცვა, დედის ნაქსოვი შალი მოიხურა და ღუმელი დაანთო. ჩაიდანი დადგა. წინა დღიდან დარჩენილი ორი კაკალი გატეხა, გული გამოუღო და ნელ-ნელა, დროის გაყვანით დაღეჭა. ჩაიც სვენებ-სვენებით შესვა.

წინა საღამოს მოხარშული სამი პატარა კარტოფილი გაახსენდა, სულმოუთქმელად რომ შემოეჭამა. ცდუნებას ვერ გაუძლო და დილისათვის ვერ შემოინახა. შავი პურის თხელ ნაჭერს ორი ჭიქა საქარინიანი[1] ჩაიც დააყოლა, მაგრამ კუჭი მაინც ვერ მოატყუა. ცუდად ეძინა, ესიზმრა თონიდან ამოყრილი ცხელ-ცხელი პურები, ნაირ-ნაირი გემრიელი კერძები, სუფრაზე დახვავებული ხორცი, თევზეული, გუდის ყველი... და ჭამდა ხარბად, სულსწრაფად, გემოს ატანდა... ჭამაზე მუდმივი ფიქრი უფრო

[1] საქარინი, შაქართან შედარებით, გაცილებით ტკბილი თეთრი ფხვნილია. ომის წლებში მოსახლეობა მასობრივად იყენებდა ჩაის დასატკბობად.

აშივებდა, ასავათებდა, ტანჯავდა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა, ვერ თმობდა წარმოსახვითი ჭამით განცდილ ნეტარებას...

დღეს კვირაა. თავისუფალია უნივერსიტეტიდან. მაღაზიაშია მისასვლელი, პურის დღიური ნორმა – ოთხასი გრამი აქვს ასაღები. შემდეგ დაბრუნდება სახლში და შემონახულ ხუთ ცალ წაბლს მოხარშავს. ნეტარი გრძნობა დაეუფლა... უყვარს წაბლი. ფიჩხი მომარაგებული აქვს. ვარაზისხევში აგროვებს ხოლმე ლექციების შემდეგ.

მეორე წელია, მდგმურადაა ნუცა მეტად სანდომიან, ხანდაზმულ მარტოხელა ქალთან ერთ პატარა თბილისურ ეზოში. აღმართ-აღმართ სვლა როგორ უჭირს ხოლმე შიმშილისაგან გასავათებულს, მაგრამ კეთილი დიასახლისი – ქალბატონი ნინო არ ეთმობა. არც არჩევანი აქვს დიდი – სად გადავიდეს?! დედამ არ ისურვა, რომ თავის ქალიშვილს სტუდენტთა ქალაქში ეცხოვრა და სოფლიდან ჩამოსულმა მიაგნო მარტოხელა პენსიონერს, რომელმაც ქირად ბევრი არ მოითხოვა: – ჩემთვის ისიც კარგია, თუ მომხედავს და ავად რომ გავხდე, ჭიქა წყალს მაინც მომაწოდებსო. შორეული ნათესავი აკითხავდა ხოლმე მოხუცს, ცოტას ეხმარებოდა კიდეც ხან ფულით, ხან პროდუქტებით. კეთილი დეიდა ხანდახან შეუტანდა კერძს ან სხვა რამეს ყურადღებიან მდგმურს. ისიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა ვალში არ დარჩენილიყო და ცოტას უწილადებდა ორ თვეში ერთხელ სოფლიდან რომ ჩამოიტანდა კარტოფილს, ლობიოს, ბოსტნეულს, მაგრამ ნუცას გამოზოგვითაც არ ჰყოფნიდა დედის ნობათი. დედას კი არაფერს ეუბნებოდა.

ოთახში ძლივს თავსდებოდა ტახტი, პატარა მაგიდა სკამით, თუნუქის ღუმელი სარკმლიდან ეზოში გამავალი საკვამური მილით. ფანჯრის მოპირდაპირე კედელზე, კართან ფარდაჩამოფარებული თაროებია წიგნებისა და ჭურჭლისათვის.

ვისაც ამ ვიწრო ქუჩაზე არ უვლია, ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს რამდენიმებინიანი ერთსართულიანი ძველებური სახლი, ქალაქის ცენტრში მდებარე ღარიბი მორცხვი ნათესავივით ამოფარებოდა დიდი შენობის მთელ წყებას.

გოგონამ ეზოს გვერდით კარზე მიაკაკუნა და გასძახა:

– დეიდა ნინო, პურზე მივდივარ! – მოხუცმა პურის ბარათი და ფული გამოუტანა და ხელის ოდნავი კანკალით გადასცა:

შენ გაიხარე, ნუციკო! ღმერთმა დაგლოცოს!, – მუდამ ასე ტკბილი სიტყვებით მიმართავდა მდგმურს.

ჭიშკარში გასვლისას რაღაც გაახსენდა. ოთახში შებრუნდა. ტახტზე დაეშვა ჩაფიქრებული. წინა კვირის ამბავს იხსენებდა: პურის მაღაზიიდან გასტრონომში შეიარა. მთელი თვის ნორმა ცოტა ზეთი ჰქონდა ასაღები. გამყიდველს სასურსათო ბარათი, ფული და ზეთის ცარიელი ბოთლი მიაწოდა. ამ დროს გვერდით, სამ ნაბიჯზე, დახლთან მდგარ გასტრონომის დირექტორთან, ცალ თვალზე ლიბრგადაკრულ, ორმოცდაათს მიღწეულ შესუქებულ კაცთან, სადად და კოხტად ჩაცმული გოგონა მივიდა. ღიმილით მიესალმნენ ერთმანეთს.

– სურსათისათვის გამომგზავნა ლოლა რომანოვნამ, – ხმადაბლა უთხრა მოსულმა, მაგრამ ნუცამ გაიგონა ნათქვამი.

– ცოტა დამელოდეთ, ახლავე მოგართმევთ! – დირექტორი დახლს იქით კარში შევიდა.

კარგად იცოდა ნუცამ, ვინც იყო ლოლა რომანოვნა.

– ნეტავ, რას გაატანენ? – წვავს ფიქრი, თვალი მაინც შეავლოს პროდუქტებს. გამყიდველს ზეთი და სასურსათო ბარათი გამოართვა. სხვა აქ არაფერი ესაქმება, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ფეხი აითრია. სურსათის წასაღებად მოსული გოგონა მშვიდად ელოდება დირექტორს. როგორი თავდაჯერებული ჩანს, უდარდელიც!.. დრო გადის, ცნობისმოყვარეობა რომ დაეფარა, ნუცა მოსცილდა ადგილს და დახლებს იქით ნახევრად დაცარიელებულ თაროებს დაუწყო თვალიერება. გასტრონომში უსაქმოდ გაჩერება უხერხული ხდება...

დირექტორმა მომლოდინე გოგონას წინ დახლზე დადო მრავალფა კანაფით ჯვარედინად შემოკრული მოგრძო ოთხკუთხა შეკვრა. გვერდით მიუდგა ასეთივე პატარა შეკვრა. „ეს, ალბათ, ამ გოგონასია...“ – ფიქრობს ნუცა.

– მძიმეა. ვინმეს დაგახმართ.

– გმადლობთ! მოვერევი როგორმე, – უპასუხა დირექტორს.

– გულითადად მომიკითხეთ ლოლა რომანოვნა...

„მაინც რა არის ამდენი ამ შეკვრებში? რა სათქმელია, რომ ხელმძღვანელები მეტს იღებენ, ვიდრე ჩვენ, სხვები, მაგრამ ასე?!“

ნირწამხდარი გამოვიდა გასტრონომიდან.

ამ ბოლო დროს ატყობს, რომ უძნელდება მეცადინეობა, ვერც იმახსოვრებს წინანდებურად, გონება ეფანტება. წაიკითხავს თუ დაწერს ცოტას, ქორივით მოფრინდებიან აზრები საჭმელზე. ლექციებსა და სემინარებზეც ვერ არის ყურადღებით. გონებაში გამუდმებით საჭმელზე ფიქრი ეჩრება, სხვა რამეზე ფიქრს უშლის...

დიდხანს იჯდა ტახტზე წარბშეკვრით, თვალგაშტერებით, ფიქრებში ჩაღრმავებით.

სწრაფად წამოდგა, თავშალი მოიცილა, თაროების გვერდით დაკიდებულ პატარა სარკეში ჩაიხედა, თმები მჭიდროდ გადაივარცხნა და უკან სარჭეებით გაიმაგრა. ტახტის ქვემოდან ჩემოდანი გამოსწია, გამოიღო თეთრსაყელოიანი კაბა, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ იცვამდა. პალტოს ყელიდან კაბის საყელო ზემოთ ამოსწია უკეთ გამოსაჩენად. თაროზე გვერდით მიჭედებული ლურსმნიდან რუხი მაუდის ბერეტი გადმოიღო და გვერდდახრით, შუბლდაუფარავად დაიხურა.

ჩქარი ნაბიჯით ჩამოათავა დაღმართი და მთავარ ქუჩაზე აღმოჩნდა. ნესტიანი ქარი ატანდა თხელ პალტოში.

ჩაიქროლეს მებრძოლებით სავსე დოჯებმა[1] უკან გამობმული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით. მოედნის კუთხეში გაზეთების ჯიხურთან რიგი დგას. იქვე, ფანჯრებს დაბლა, პლაკატების წყებაა გერმანელებზე კარიკატურებით. მეორე შენობის კედელზე დიდი წითელი ასოებით ქართულ და რუსულ ენებზე წარწერაა: „ყველაფერი ფრონტისათვის! ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ კიდევ წარწერა მოუწოდებს: „დაიცავით შუქშე-

[1] დოჯი – მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ამერიკული სამხედრო სატვირთო-მისაბმელი მანქანა.

ნიღბვა!“ მაგრამ საჰაერო დაბომბვის საფრთხემ რა ხანია განვლო. ფრონტის ხაზმა შორს გადაიწია დასავლეთით. ჩაიარეს სანიტარულმა ავტობუსებმა: „ალბათ, რკინიგზის სადგურზე – დაჭრილებისათვის...“ და გაახსენდა გუშინდელი დღე, სტუდენტები რომ წაიყვანეს უნივერსიტეტიდან ნავთლუღის სადგურში. ორი სანიტარული ეშელონი ჩამომდგარიყო დაჭრილებით. სისხლისმღვრელი ბრძოლებია დნეპრისპირეთში. საველე და ფრონტგადავლილი ქალაქების ჰოსპიტალები დაჭრილებს ვერ იტევს – ათეულ ათასობით გადმოჰყავთ ღრმა ზურგში: ვოლგისპირეთში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში[1]...

სამხედრო მედიკოსების მეთვალყურეობით სტუდენტებს ვაგონებიდან გადმოჰყავდათ დაჭრილები და სანიტარულ მანქანებში ათავსებდნენ. აქედან მათ ქალაქის ჰოსპიტლებში ანაწილებდნენ, სადაც სტუდენტთა სხვა რაზმები მუშაობდნენ.

შებინდებისას დაბრუნდა გოგონა ძალაგამოცლილი და საშინლად მოშივებული. მაშინ შემოეჭამა პურის ბოლო ნაჭერი...

ქუჩა გადაკვეთა და გასტრონომის შესასვლელთან შედგა. შიშმა აიტანა: „რას ჩავდივარ, რას!..“ – შენობის კედელს ზურგით აეკრა. „არა! არა! არ შემიძლია! ვერ გავაკეთებ ამას!“ მკვეთრად შემობრუნდა, რომ განზრახვისათვის ზურგი შეექცია და გაქცეულიყო აქედან, მაგრამ ფეხი ვერ დაძრა. მცირე ხნის შემდეგ შებრუნდა კარისაკენ, სული მოითქვა და თავის დამშვიდებას ეცადა. ყოყმანი თავისთავად შეწყდა. იმპულსურად, ვიდრე გონების კარნახით კარი შეაღო და თავმოუბრუნებლად სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას. დირექტორი დახლთან დახრილიყო, ფართო რვეულში რაღაცას იწერდა.

ნელა მიუახლოვდა. დირექტორმა თავი ასწია.

– ლოლა რომანოვნამ გამომგზავნა თქვენთან – სურსათისათვის, – რამდენადაც შეეძლო დამაჯერებლად, დინჯად, ისე, თვითონაც რომ არ ელოდა, უთხრა დირექტორს, თუმცა მთელი სხეული უთრთოდა შიშმორეულს.

---

[1] ამჟამად სამხრეთი კავკასია.

დირექტორმა გაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

– კი მაგრამ, ის გოგონა სადღაა? მიხვდა, ვისზეც ეკითხებოდა.

– რამდენიმე დღეა ორგანიზაციებში უხდება ყოფნა ლოლა რომანოვნას დავალებით...

დირექტორი არ განძრეულა. სადღაც გვერდით გაიხედა დაფიქრებით. თუ ფიქრობს, „ერთი კვირის წინ ხომ გავატანეო პროდუქტები!“ და ახლა იგრძნო ნამდვილი შიში, ცივ ჟრუანტელად სხეულში დავლილმა.

– კეთილი, კეთილი... – თქვა ბოლოს გასტრონომის დირექტორმა, – ახლავე მოგართმევთ! – და დახლს იქით კარში შევიდა.

„ვაი, ის გოგონა რომ შემოვიდეს!...“ უსასრულოდ გაიწელა წუთები. შეძრწუნდა იმის გაფიქრებით, ხომ შეიძლება ტელეფონით დაურეკოს და ჰკითხოს ლოლა რომანოვნას, მართლაც გამოგზავნა თუ არა ეს უცხო გოგონა სურსათისათვის? წასვლაც დააპირა, მაგრამ კიდევ უფრო შეშინდა – „დაეჭვდებიან, ძებნას დამიწყებენ და მაშინ!..“ როგორც იქნა გამოჩნდა დირექტორი ორი შეკვრით. გოგონამ სიმშვიდის მოხმობა სცადა და შეკვრებს თვალი აარიდა. დირექტორმა დახლზე დადო შეკვრები და გოგონას გაუღიმა:

– ინებე! და გულითადი მოკითხვა ჩემგან ლოლა რომანოვნას!

– გმადლობთ! – ძლივს გახსნა ბაგეები გოგონამ და ვითომ გაუღიმა მის წინ მდგომს – კბილები ოდნავ გამოაჩინა.

ოცამდე ნაბიჯი შენობის კედელს გაჰყვა. ქარის და წვიმის ცივი წვეთები სახეში სცემდა, მაგრამ ამას არ გრძნობდა. ქუჩაში მიმავალი მოქალაქენი უხმოდ მოლასლასე უფორმო ლანდებად ეჩვენებოდა.

ქუჩაზე გადასასვლელთან შეჩერდა. ტუჩებზე სიმლაშე იგრძნო – ცრემლი შერეოდა წვიმის წვეთებს. „ეს რა ჩავიდინე!.. რა მეშველება, სად წავიდე!..“ მობრუნდა, კვლავ კედელს გაჰყვა: „მივალ, დავუბრუნებ... პატიებას ვთხოვ...“ – კარებში უნდა შესულიყო, მკერდს შიგნით რაღაც მძაფრად რომ აეწვა, რისი იყო? – შიშის? სირცხვილის? შიმშილის?..

დაუმძიმდა ტვირთი. აღარ შეუძლია მისი ზიდვა... შევა ახლა, დაუდებს დახლზე და ... ეს ტვირთიც მოეხსნება!..

მძიმედ შეუყვა აღმართს. შეკვრებს ხშირად უნაცვლებს ხელებს, ჩერდება, ისვენებს. „ნეტავ, არავინ შემხვდეს ეზოში!“ წვიმს და ეზოში არავინაა.

ძლივს დაიმორჩილა გასაღები. შეკვრები მაგიდაზე დადო, კარი ჩარაზა. ტახტზე მიწვა. ბალიშზე მიგდებული თავშალი სველ სახეზე მოისვა. სული მოითქვა.

მაკრატლით გაჭრა პატარა შეკვრაზე შემოკრული კანაფი. ცალ-ცალკე ქაღალდში იყო შეხვეული ნახევარ კილოგრამამდე კარაქი, ამდენივე ყველი, ძეხვი, შაქარი – რაფინადი, ორი ცალი დამარილებული თევზი. სუნთქვა შეეკრა მღელვარებისაგან. თაროდან აიღო დანა, ძეხვი ჩამოთალა, კანი გააცალა, კარაქი წაუცხო, ჩაკბიჩა. რა ხანია, ასეთი ნეტარი გემო არ უგრძვნია.

ჭამით გული რომ იჯერა, მეორე დიდი შეკვრა გახსნა – იგივე პროდუქტები, ოღონდ თითოეული არანაკლებ კილოგრამისა და კიდევ კილოგრამიანი შუშის ქილით მსხლის ხილფაფა, ორ კილოგრამამდე ღორის შაშხი, სამი ფილა შოკოლადი და პატარა პარკით კანფეტები.

პროდუქტების სიუხვემ შეაშინა, ვიდრე გაახარა. ახლა დაინახა მთელი სიცხადით ჩადენილის სიმძიმე. გონება ემღვრეოდა. სინდისი ქენჯნიდა.

შიმშილი ოდნავ რომ დაიცხრო, კარაქს, ძეხვს, ყველს ცოტ-ცოტა ჩამოაჭრა, ქაღალდში შეახვია და მოხუცს გაუტანა მის ულუფა პურთან ერთად.

– დეიდა ნინო! რა ბედით გავედი ამ დილით პურისათვის! – ცდილობს დამაჯერებლად გამოთქვას შეთხზული ტყუილი და სულის ერთი ამოთქმით ამოყარა სათქმელი, – დიდი ხნის უნახავ მამას ბიძაშვილს შევხვდი შემთხვევით. გაუხარდა ძალიან... ერთგან სარდაფში ცოტა პროდუქტები გამოართვა და გამომატანა... ეს კი – თქვენ, – და პურთან ერთად მაგიდაზე დაუდო მოულოდნელი ძღვენის მიღებით გახარებულ და დაბნეულ მოხუცს.

– მერე შენ?

– დავიტოვე ჩემთვის, ეს თქვენ მიირთვით... და თუ არ გეწყინებათ, ცოტას იმათაც მივუკითხავ, – მეზობლებზე მიანიშნა, – ბავშვები ჰყავთ...

– რას ამბობ, შვილო! როგორ თუ მეწყინება! მე რა ხელი მაქვს... მთელი დღე მოუსვენრობდა, გულში ჩაბუდებულ შიშს ვერ იყუჩებდა, მაგრამ ეს მაინც შეძლო, საკურსო თემას ჩაჯდომოდა. წერას ხშირად ანებებდა თავს და კვლავ და კვლავ ჭამას უბრუნდებოდა. პურს მალე მოუღო ბოლო და ხან ყველს, ხან ძეხვს ან შაშხს ათლიდა ლუკმას. გულს მაინც ვერ იძღებდა...

მღელვარებაში გადიოდა დღეები. კვირას სოფელში წავიდა. დედას და და-ძმას ცოტა უწილადა თავისი „მონაპოვრიდან“. ბევრიც აღარ დარჩენოდა ამ კვირის ბოლოს.

მტანჯველი იყო დედისთვის ტყუილის თქმა. ამჯერად მის თხრობაში „მამის ბიძაშვილის“ ადგილი დაიკავეს თანაკურსელი მეგობარი გოგონას „შეძლებულმა მშობლებმა“ – თითქოს მეგობარი ორი კვირა შინ იწვა ავადმყოფი და გოგონა აკითხავდა, უყვებოდა ლექციებს, უწერდა კონსპექტებს, ერთად მეცადინეობდნენ. იმედმოცემულმა დედამ, იქნებ კიდევ გაუმართონ ხელი ჩემს შვილს ამ გაჭირვების ჟამსო და ჰკითხა გოგონას:

– ხშირად თუ გიწევს იმ კარგ ოჯახში ყოფნა?

– ახლა რომც დამჭირდეს, ვეღარ მივალ – არ იფიქრონ, ჩვენგან სარგებელს ელისო..., – სხაპასხუპით მიუგო დედას.

განვლო კიდევ ათიოდე დღემ.

უნივერსიტეტიდან შინ მისული საჭმლის კეთებას შეუდგა, მაგრამ მარილი არ აღმოაჩნდა: „ამ დღეებშიც გამოვართვი, კიდევ ხომ არ ვთხოვო მეზობლებს“ და გასტრონომში მისვლა გადაწყვიტა. თავს იმით აიმედებდა, რომ ამდენი დრო იყო გასული იმ დღიდან, თან ფიქრობდა, იმდენს ვერ შებედავდა გასტრონომის დირექტორი ლოლა რომანოვნას, დაეზუსტებინა, ვინ გაგზავნა პროდუქტებისათვის. მაგრამ გული მაინც არ ჰქონდა საგულეს.

თავჩაქინდრული მიაბიჯებდა, ძნელად მართავდა ნაბიჯს, სიცივისა და მღელვარებისაგან ჩალურჯებულ ტუჩებს იკვნეტდა: „როგორ შევიდე იქ, როგორ შევხედო ვინმეს თვალებში!.. რა სატანჯველს მივეცი თავი!“

შეაღო თუ არა გასტრონომის კარი, იმ დახლისაკენ გააცურა მზერა. ვის ცხელა მისთვის! ყველას თავისი საზრუნავი აქვს – მყიდველებსაც და გამყიდველებსაც. კიდევ კარგი, დირექტორი არ ჩანს! მარცხნივ ბოლო დახლთან მივიდა. მის წინ რამდენიმე მყიდველი იდგა და დრო უსაშველოდ გაიწელა... ეღირსა – აიღო მარილი, შემობრუნდა, სწრაფად მიაშურა გასასვლელს, იმ დახლისაკენ მიიხედა და შიშმა დენივით დაჰკრა გულზე... მისკენ გასტრონომის დირექტორი მოემართება... „მაგრამ... მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზეა!“ – ხედავს მოახლოებული დირექტორის ღიმილით გაბადრულ სახეს!..

* * *

დილით ქუჩის მეორე მხარეს მიმავალი დაინახა. ქუჩა გადაკვეთა, მიუახლოვდა, ქუდი მოუხადა. ისიც შეჩერდა.

– გამარჯობა, ლოლა რომანოვნა! – მან თავი დაუქნია მხოლოდ, – თუ დარჩით კმაყოფილი, ათიოდე დღის წინ რომ შეკვრა გამოვატანე...

– რა შეკვრა?

– პროდუქტების...

– ათიოდე დღის წინ?

– დიახ, დილით...

– არა! არა! თითქმის ერთი თვეა ქალაქიდან ვიყავი გასული. ნაცნობ... – სიტყვა გაუწყდა და გაკვირვებულმა შეხედა მის წინ მდგარ ასევე არანაკლებ გაოცებულ, ძნელბედობის პერიოდისათვის უცნაურად ჩასუქებულ შუახნის მამაკაცს.

– გასტრონომის დირექტორი დაიბნა. შეწუხებულმა ღიმილმა დაღრიჭა მისი შესუქებული სახე:

– როგორ არა, ლოლა რომანოვნა! დილით... თავსხმა წვიმა იყო... – და გაუწყდა სათქმელი.

– ჩემს ინსტრუქტორს გამოატანეთ? – დაჰკვესეს ლოლა რომანოვნას თვალებმა.

– ის თქვენი დავალებით ორგანიზაციებში ყოფილა იმ დილითაც... ასე მითხრა...

– ვინ?

– ერთი გოგონა მოვიდა ჩემთან და მითხრა, ლოლა რომანოვნამ გამომგზავნაო პროდუქტებისათვის... ამჯერად განსაკუთრებული ნობათი იყო...

– იცნობთ იმ გოგონას?

– მხოლოდ სახით. გასტრონომში შემოდის ხოლმე.

– უნდა დააკავოთ!

– ვითომ...

– აუცილებლად უნდა დააკავოთ, მილიციის რაიონულ განყოფილებას ახლავე დაუკავშირდით და შეათანხმეთ მოქმედება. დაკავებისთანავე მომიყვანეთ! ის გოგონა თაღლითი, სერიოზული დამნაშავეა და უნდა დააკავოთ ყოველ მიზეზგარეშე! ხომ გასაგებია?

– გასაგებია, ლოლა რომანოვნა!..

* * *

„...მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზეა!“ – ხედავს მოახლოებული დირექტორის ღიმილით გაბადრულ სახეს!..

გოგონამაც სცადა გაღიმება და თავი დაუქნია.

– კიდევ ხომ არ შემოუთვლია რამე ლოლა რომანოვნას? – უფრო ფართოდ უღიმის დირექტორი.

– არა!... ამჯერად არა! – ნუცამ კვლავ თავის დაკვრით „ნახვამდისო“ უპასუხა და კარებისაკენ გაიწია, მაგრამ დირექტორი წინ გადაუდგა, კარებს აეფარა. შეკრთა. დირექტორის სახეზე

ულმობელი დაცინვაა მხოლოდ. ახლა მიხვდა ნუცა, თუ რას ნიშნავდა წუთისწინანდელი გაბადრული ღიმილი... შეძრწუნდა.

– გაები, ჩიტუნი, მახეში! – გოგონამ შეჰკივლა, უმწეოდ მიმოატარა თვალები, – ასე დაძრწი და მოტყუებით ძარცვავ ხომ მაღაზიებს! – დირექტორმა ყურთან ხელის დატრიალებით თანამშრომლებს მიანიშნა – დარეკეთო.

– გამიშვით, რას მერჩით!.. გევედრებით!..

არავის ესმის მისი სიტყვების, არავინ ხედავს მის ცრემლებს, გულისწასვლამდე გაფითრებულ სახეს.

მალე მოვიდნენ მილიციიდან – კაპიტანი და რიგითი მილიციელი. მათმა გამოჩენამ თავზარი დასცა, შიში გაუათკეცა ნუცას. ახლა იგრძნო ცხადლივ, რამდენად უსუსური, დაუცველი და უპატრონო ყოფილა! არა, ეს შიში კი არა, ბევრად უარესი რამ იყო სასოწარკვეთის, მთელი არსების დამთრგუნველი თავს დამხობილი საშინელებისა და სიკვდილის ზღვარზე... და დაემგვანა გაავებული მწევრებით კლდის ძირთან მიმწყვდეულ უმწეო ბაჭიას. შემაძრწუნებელი იყო თვალის დახამხამებაში მისგან სამყაროს ზურგშექცევა, ყოფიერების ფერისცვლა და აქამდე კიდევ ბოლომდე შეცნობილმა სირცხვილის გრძნობამ გავარვარებული შანთივით გაიარა სხეულში, როცა გასტრონომიდან წინ გაიგდეს ქუჩაში და ქვეყანას დაანახვეს ღირსებაყრილი...

მილიციელთა მოსვლისთანავე გასტრონომის დირექტორმა კმაყოფილმა აცნობა ტელეფონით ლოლა რომანოვნას დამნაშავის შეპყრობის შესახებ.

– ამოიყვანეთ ჩემთან! – მოესმა ყურმილში.

* * *

ვერაფერს ხედავს ღრმად თავჩაქინდრული, თვალებზე ხელებაფარებული. ფეხებს უაზროდ დგამს მიწაზე კი არა, ბიძგებით მოტორტმანე რაღაც მასაზე და ვერ გრძნობს, მიდის თუ მიჰყავთ, წინ ექაჩებიან თუ ხელშეშველებით ფრთხილად მიუძღვებიან... მილიციელი მის მკლავს არ ეშვება, იდაყვს ზემოთ ჩაფრენია

მარწუხი თითებით და უყვირის: – „რას იღვენთები, გაადგი ფეხი დროზე!..“

მწვანე მაუდგადაფარებული დიდი მაგიდის თავთან მიდგმულ საწერ მაგიდას უზის ორმოცი წლის ქალი, მჭიდროდ გადავარცხნილი თმებით, ტუჩებმოკუმვით, მკაცრად მეტყველი სახით. მის ზურგს უკან, მაღლა ოქროვარაყიან ჩარჩოში ჩასმულ სურათზე თეთრ კიტელში გამოწყობილი გრუზათმიანი ულვაშა ასანთით ჩიბუხს უკიდებს. მარცხენა მუჭში ჩაჭერილ ჩიბუხზე ასანთის ალს წარბშეკვრით დასცქერის და თითქოს სხვა რამ საფიქრალი და საზრუნავი არ გააჩნია. გვერდით კედელზე საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის დიდ რუკაზე ქინძისთავებით მრავალტეხილად დაკლაკნილი წითელი აბრეშუმის ვიწრო ბაფთაა გადაჭიმული, რომელიც ბარენციდან შავ ზღვამდე გამავალ ფრონტის ხაზს აღნიშნავს.

ლოლა რომანოვნა თვალების მოწკურვით გამყინავად უცქერის მილიციის კაპიტანსა და გასტრონომის დირექტორს შორის ფეხზე ძლივს მდგარ, ნახევრად შეშლილი სახის გამხდარ არსებას.

– როგორ გაბედე, ხელმძღვანელი მუშაკის სახელს ამოფარებით, დანაშაულის ჩადენა? თუ ხვდები მაინც დანაშაულის სიმძიმეს? – ცივი ფოლადია ლოლა რომანოვნას ხმაში.

გოგონა ძაგძაგებს შეცივნულივით, ცრემლები ახრჩობს, კბილს კბილზე აცემინებს და ლუღლუღებს გაუგებრად.

– ხმა ამოიღე! ცრემლები ვერ გიხსნის! სადმე მუშაობ?

– ვსწავლობ ... უნივერ-სი-ტეტ-ში...

– კომკავშირელიც იქნები, შე ავაზაკო! თავის დაქნევით დაუდასტურა.

– შენი ტოლი ვაჟები და გოგონები სიცოცხლეს სწირავენ სამშობლოსათვის ფრონტზე და მტრის ზურგში, ტანკებს მუხლუხების ქვეშ უვარდებიან და თავს იფეთქებენ, სახრჩობელაზე ადიან... შენ კი ქვეყანას ატყუებ, ძარცვავ გაიძვერობით. ეს დღეს იგივე სამშობლოს ღალატია...

– შიმშილმა ჩამადენინა... რომ იცოდეთ, რა ძნელია... რა აუტანელია!.. შევცდი ერთად ერთხელ... მა-პა-ტიეთ! ნუ გამწირავთ!

– ვინ არიან მშობლები?

– მამა ფრონტზეა... დედა – კოლმეურნეობაში...

– არცხვენ ფრონტელ მამას. სამშობლოსა და საკუთარი მამის მოღალატე ხარ! რატომ დედის გვერდით არ ხარ, კოლმეურნეობაში?

– სწავლა მინდა, ლოლა რომანოვნა!..

– კიდევ ბედავ ჩემი სახელის ხსენებას?

– გამიშვით, გე-ვედ-რე-ბით!.. არა-სო-დეს ჩამიდენია მსგავსი, არც არასოდეს ჩავიდენ სიცოცხლის ფასადაც!.. საქვეყნოდ სირცხვილს რა ვუყო! – ცდილობს თქმას, რომ ბოლომდე შეისმინონ მისი თხოვნა, – მაპატიეთ, ამხანაგო...

– შენს ამხანაგებს კოლონიაში ნახავ, იქ რომ მიგაბრძანებთ!

– გოგონამ შეჰკივლა, წელში მოიხარა და ხელები ლოყებზე იტკიცა:

– ნუ შემარცხვენთ საქვეყნოდ! ნუ გამიმეტებთ ასე!..

– კანონი არ პატიობს მძარცველსა და მოღალატეს! – და ლოლა რომანოვნა მიმართავს მილიციის კაპიტანს: რაიგანყოფილებაში ახლავე გააფორმეთ როგორც წესი და რიგია ამ არამზადის დანაშაული! პროკურორს მე დავუკავშირდები. თქვენც ჩვენება უნდა მისცეთ! – მიუბრუნდა გასტრონომის დირექტორს და ორივეს გასაგონად თქვა:

– ყველაფერს პირადად გავაკონტროლებ.

ნუცას გული შეუღონდა, მაგრამ იატაკზე დავარდნამდე კაპიტანმა და დირექტორმა ხელის შეშველება მოასწრეს.

– მოაცილეთ აქაურობას! – ბრძანა ლოლა რომანოვნამ, – ნუცა იატაკზე ფეხების თრევით გაიყვანეს.

* * *

მოხუცმა დიასახლისმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო მოულოდნელად გამქრალი მდგმურის დაპატიმრების შესახებ. და-



ღამეზამდე ძლივს მიაგნო ნუცას ერთ თანასოფლელს და მისი მეშვეობით ამცნო უბედურ დედას შემაძრწუნებელი ამბავი.

გამწარებულმა დედამ თორმეტი წლის გოგო მეზობლის იმედად დატოვა, თხუთმეტი წლის ბიჭს კი ხელი მოჰკიდა და იმწამსვე თბილისს მოაშურა.

საღამო ახლოვდებოდა და ჩქარობდა. გზა შორი ჰქონდათ. იქნებ, რამე მანქანა შეგვხვდეს თბილისს მიმავალიო, მაგრამ გზატკეცილზე თითქმის მხოლოდ სამხედრო მანქანები მოძრაობდნენ. მზის ჩასვლისას გაუჩერა საგარეჯოდან მიმავალი, ხის მორებით დატვირთული მანქანა ხნიერმა მძღოლმა. ლილომდე შემიძლიაო წაგიყვანოთ. ბავშვი კაბინაში ჩაუსვა მძღოლს, თვითონ კი ძარაზე დააპირა ასვლა. შვილი გაუძალიანდა, მაგრამ დატუქსა, შეუწყრა შეტირებით და ისიც დაჰყვა თავზარდაცემული დედის ნებას, რომელმაც მორებსა და მანქანის უკანა ქიმს შორის მონახა ქარ-ყინვას მოფარებული ჩასაჯდომი ადგილი. ამ დრომდე კიდევ ახერხებდა თავის შეკავებას – ბიჭი არ დამეზაფროსო, ახლა კი ლილომდე მაინც შეეძლო თავშეუკავებლად გამოეტირა თავისი უკუღმართი ბედი...

ბნელოდა, ლილოს რომ მოაღწიეს. მძღოლს ფული შეაძლია, მაგრამ მან იუარა: ბავშვმა მითხრა, ქალაქში გაჭირვება გქონია, ფულს ვერ გამოგართმევო. დალოცა ხნიერი მძღოლი და დაადგა ნავთლუღისაკენ მიმავალ გზას.

იშვიათად თუ ჩაივლიდა მანქანა შუქნიშნის მკრთალი ლურჯი შუქნათებით, მაგრამ ამაოდ ირჯებოდა დედა-შვილი. მათი აღმართული ხელების ქნევას არავინ იმჩნევდა.

ჩუმი მოთქმით იხშობდა ტირილს. ბავშვს ეკითხებოდა ხან-დახან: ხომ არ შეგცივდა, ან ხომ არ დაიღალეო...

მხოლოდ მთვარე იყო მათი მშველელი გზაზე, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. დროდადრო შედგებოდა დედა, ბავშვმა სული მოითქვასო. წამითაც არ შეჩერდებოდა, ალბათ, შვილი რომ არ ხლებოდა თან. ხვალისათვის არისო დანიშნული სასამართლო! „ღმერთო! რა დაემართა ჩემს ჭკვიან გოგოს, ჩემს ნუციკოს! ეს რა ღვთის რისხვაა ჩემს თავს! რატომ უმუხთლა ბედმა ჩემს ოჯახს ასე!..“ მისტირის თავის ბედშავ დღეს. ეს ბავშვი მაინც რატომ გავტანჯეო ამ გზაზე, საყვედურობდა თავის თავს.

შუაღამე იქნებოდა, ნავთლუღის პირველ შენობებთან რომ გავიდნენ. მოულოდნელად ვიღაცამ ხელის ფარნის ლურჯი შუქი მიანათა და ბრძანების კილოთი შეჰყვირა:

– А ну, стойте![1]

მყისვე ორი ავტომატიანი პატრული მათთან გაჩნდა. ბიჭი შეკრთა და ბიჯი გადადგა უკან. დედამ ჩაავლო ხელი შვილს, მოზიდა და მკერდზე მიიკრა.

– Ваши документы![2] – ბრძანა ერთმა.

დედამ პალტოს უბის ჯიბიდან გაზეთში შეხვეული კოლმეურნის წიგნაკი და სხვა ქაღალდები ამოიღო, გადაშალა და პატრულს აჩვენა. ფარნის შუქზე დაუწყეს თვალიერება საბუთებს, მაგრამ ვერაფერი გაუგეს ქართულად შევსებულ ქაღალდებს.

– Вы задержены за нарущение комендантского час! Шагайте![3]

ვერც დედა-შვილის ქართულსა და ნაწვალებ რუსულს გაუგეს რამე რუსულად მოლაპარაკე ორმა პატრულმა და გაღიზიანებულებმა წინ გაიგდეს დედა-შვილი. მიიყვანეს ნავთლუღის სადგურის სამხედრო კომენდატურაში. მკერდამდე სიმაღლის ფიცრულით გადატიხრულ ოთახში უფროსი ლეიტენანტი, მარცხენა მკლავზე წითელი სამკლაურით, ტელეფონის ყურ-

---

[1] აბა, გაჩერდით! (რუს.).

[2] თქვენი საბუთები! (რუს.).

[3] თქვენ დაკავებულები ხართ კომენდანტის საათის დარღვევისათვის! იარეთ! (რუს.).

მილში რუსულად ყვირის და მაგიდაზე გადაშლილ ჟურნალში რაღაცას იწერს.

ერთმა პატრულთაგანმა მხედრულად ხელის აღებით მოახსენა ოფიცერს ქალისა და ბიჭის დაკავების შესახებ და საბუთები გაუწოდა.

ვერც კომენდანტმა გაუგო რამე საბუთებს და დედა-შვილის რუსულს. ბოლოს გვერდით ოთახიდან სადგურის მორიგე რკინიგზელი დაიხმარა და ძლივს გაირკვა ვითარება. სადგურის მორიგემ დედა-შვილს გადასცა კომენდანტის ნათქვამი:

– ამაღამ აქ გაათენებთ. დილით კი თქვენს გზას გაუდგებით.

რკინიგზელი გავიდა კომენდანტურის ოთახიდან, მაგრამ მალევე დაბრუნდა და ხელისგულის სიდიდის თხელი მჭადის კვერი და გუდის ყველის ერთი ციცქნა ნატეხი გაზეთის ნახევზე დაუდო ღამის სტუმრებს ტიხრის მოაჯირზე. წყლით სავსე ალუმინის ტოლჩაც იქვე დადო: გზიდან ხართ, სხვა არაფერი მაქვსო და გავიდა.

დედა პირს არ აკარებდა მირთმეულს. შვილმა უთხრა: – თუ არ შეჭამ, არც მე მინდაო და მხოლოდ წყალი მოსვა ტოლჩიდან.

ოდნავ დანაყრების თუ მადის უფრო აღძვრის შემდეგ, ტიხარს იქით ხის ორი გრძელი მერხი კედელთან შეტყუპებულად მიადგეს და პალტოგადაფარებულნი ძლივს მოთავსდნენ გვერდიგვერდ მწოლნი. ბიჭს კედელთან მაშინვე ჩაეძინა, დედას კი წინ ედო საშინელი მოლოდინის ღამე.

გათენებისას კომენდატთან შემოვიდა სადგურის მორიგე და ხმამაღლა დაელაპარაკა. მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. რკინიგზელმა ტიხარს იქით გადაიხედა. ბიჭს ეძინა მერხზე მოკუნტულს, დედა კი მოხრილი იჯდა შვილის ფერხთით, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა, ნაჯაფ, გამხდარ ხელებში თავი ჩაერგო და იატაკს დაშტერებოდა.

– ჩვენი დრეზინა[1] გადის ახლა თბილისის ვაგზლისაკენ. დისპეტჩერს ვუთხარი თქვენს შესახებ და ამ დრეზინას გაჰყევით. იქიდან კი ადვილად მიხვალთ თქვენს ადგილამდე.

---

[1] დრეზინა — რკინიგზის ხაზზე გადასაადგილებელი ურიკა.

ქალს ხმა არ ამოუღია. შვილს ფრთხილად შეახო ხელი, შეაღვიძა და წყნარად უთხრა: ადექი, შვილო, მივდივართო.

* * *

ვერაფერი სანუგეშო შეიტყო დედამ დიასახლისისაგან, გარდა იმისა, რომ ნუცას დიდი საფრთხე მოელოდა.

მილიციის რაიონულ განყოფილებაში შვილი არ აჩვენეს, – უფლება არ გვაქვს, თერთმეტ საათზე სასამართლოზე ნახავო.

იმის შიშით, სადმე არ გამასწროს ლოლა რომანოვნამ და არ ავცდეო, მისკენ გაეშურა სასოწარკვეთილი. „ისევ ლოლა რომანოვნა თუ მიშველის, რაც არ უნდა იყოს ქალია და იქნებ, გაჭრასო ხვეწნა-მუდარამ“ – ფიქრებში უკანასკნელ იმედს ებღაუჭება გამწარებული დედა.

ბიჭი დაბლა, შესასვლელთან დატოვა. ის იყო მდივან-მემანქანეს ეკითხებოდა ლოლა რომანოვნას შესახებ, რომ ისიც შემოვიდა მისაღებში. მდივანი კაბინეტში შეჰყვა და მოახსენა, რომ რაიონიდან ჩამოსული ეს კოლმეურნე ქალი გთხოვთო მიღებას.

თავაზიანად შეხვდა, ხელი ჩამოართვა და დაბრძანება შესთავაზა, როგორც დაუწერელ კანონად ჰქონდათ მიღებული პარტიულ მუშაკებს მშრომელთა მიღებისას. რა ღვთისნიერი ქალი ყოფილაო, გაიფიქრა იმედმოცემულმა დედამ, მაგრამ იმწამსვე ყველაფერი შეტრიალდა, როგორც კი უთხრა, ვინც იყო და რატომ გაბედა მისი შეწუხება. „ღვთისნიერმა“ უმალ წარბები შეიკრა, კუშტად შეხედა მთხოვნელს და მკაცრად უთხრა:

– ავაზაკად გაგიზრდია შვილი და ჩვენ აქ იმისათვის კი არ ვართ, თავდებად დავუდგეთ დამნაშავეებს, მძარცველები დავიცვათ!

არ გაჭრა დედის მდუღარე ცრემლებმა, ხვეწნა-მუდარამ, იმის პირობამაც, რომ მარჩენალ ძროხას გავყიდი და აგინაზღაურებთო ზარალს, ან ჩვენთან ახლოს სამხედრო ნაწილი დგას, იმათ მივუყვან ძროხას და თავდაცვის ფონდში ჩაბარების ქაღალდს მოგართმევთო.

მხოლოდ შვილისათვის თუ შეეძლო დედას ასეთი შევედრება, ქედმოხრით ცრემლთა ღვრა!

ამაო იყო ყოველივე...

* * *

სასამართლო სხდომაზე დასწრების მსურველი ცოტა იყო. ნუცა მოსამართლის მაგიდიდან მარცხნივ და წინ დაბალ ტიხარს იქით დარბაზისაკენ ზურგშექცევით დაესვათ. გვერდით მილიციელი ედგა ფეხთან მიდგმული შაშხანით ხელში. იქვე, ახლოს, პატარა მაგიდასთან, გოგონას დამცველი ქაღალდების ფურცვლით იყო გართული, როცა დედამ ზურგიდან დაინახა შვილი გახუნებულ პალტოში. თავი ისე წაეხარა, რომ ძლივს მოუჩანდა თმები პალტოს აწეულ საყელოს ზემოთ.

– შვილო! რად გყავს დედა ცოცხალი! – შვილისაკენ ყვირილით გაქანდა სკამებს შორის გასასვლელით. გოგონამ თავი ასწია, სახე მოაბრუნა, წამოხტა და შეჰკივლა. ტიხრიდან გამოსვლა სცადა. მილიციელი გადაეღობა და იმავ დროს აეფარა შვილთან მიჭრილ დედას.

– დედიკო! შენი ხელით მომკალი, აქვე მომკალი, ოღონდ აქ ნუ დამტოვებ, ამათგან მიხსენი!.. რამე მიშველე, დედა!..

დედა და შვილი ერთმანეთისაკენ იწეოდნენ, მოხვევას ცდილობდნენ.

– მიმიშვი! მიმიშვი!.. – ყვიროდა ბიჭი ატირებით და ხელს კრავდა მილიციელს, რომელიც ვერ აკავებდა სამივეს ერთად და მოსამართლისაკენაც იყურებოდა, როგორ მოვიქცეო.

– ოღონდ ყვირილის გარეშე! – ბრძანა მოსამართლემ და მილიციელს ანიშნა: „დაანებე თავი“.

დარბაზში წყნარი მოთქმით იცრემლებოდა მოხუცი დიასახლისი. თვალებს ისრესდა კიდევ ერთი – ახლობელი თუ მეზობელი, შუახნის მამაკაცი.

მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა დედა-შვილთა ერთად მოთქმა-გოდება.

– ახლა დაიკავეთ ადგილები! – ხმამაღლა ამბობს მოსამართლე. მიხვდა, რომ ირღვევა დადგენილი წესი და სასწრაფოდ ცდილობს, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოს. ძლივს მოაცილეს

ერთმანეთს დედა-შვილი გვერდითი კარიდან შემოსული ორი მილიციელის დახმარებით.

– სასამართლო სხდომას ერთი საათიც არ მონდომებია. გოგონა არ უარყოფდა დანაშაულს, არ იმართლებდა თავს, მხოლოდ გამუდმებით პატიებას ითხოვდა, – ეს ერთხელ შევცდი... ოღონდ მაპატიეთ და სწავლასთან ერთად ჰოსპიტალში ვიმუშავებო სანიტრად, უხელფასოდ.

– ბრალდების მოწმემ, გასტრონომის დირექტორმა დაადასტურა გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება, თუმცა ეს გაიკეთა სიტყვაწყვეტებით, ენის ბორძიკით, გაუბედავად, თითქოს ბოდიშობსო. მისი თხრობის კილო მიანიშნებდა: „მართალია, ეს ასე მოხდა, მაგრამ...“, „ეს ასე იყო, თუმცა...“ და მის დაბნეულობაში იგრძნობოდა სინანული მომხდარის გამო, სიბრალულიც განსასჯელის სკამზე მჯდომის მიმართ.

პროკურორმა მკაცრად შენიშნა:

– რას ნიშნავს თქვენი მიკიბ-მოკიბული გაუბედავი პასუხები? როგორც ვიცი, სრულიად აბეჯითებითა და ადიდირიხითაც მიეცით საჭირო ჩვენება გამოძიებას, – ამ დროს პროკურორი წამოდგა, კათედრაზე გაშლილი ხელების დაყრდნობითა და ტანის წინ გადმოხრით, ხმის აწევითა და თითოეული სიტყვის მკაფიო გამოთქმით მიმართა უკვე ამით უსაზღვროდ შეშფოთებულ ფერგამკრთალ გასტრონომის დირექტორს, – ადასტურებთ თუ არა გამოძიებისათვის მიცემულ იმ ჩვენებასა და ახლა აქ თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, რომ ბრალდებულმა პროდუქტები გამოგბალათ მოტყუებით, ხელმძღვანელი მუშაკის სახელის გამოყენებით?

პროკურორის მუქარა დაუფარავი იყო.

– ვადასტურებ... – ხრინწჩამდგარი ხმით წარმოთქვა გასტრონომის დირექტორმა და მზერა გააპარა ჯერ ნუცასაკენ, შემდეგ კი – ცრემლებში ჩამხრჩვალ, ამქვეყნად ყველაზე უბედური დედისაკენ...

პროკურორის საბრალმდებლო სიტყვა სავსე იყო სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით, თხრობის პათოსი კი – ამაღ-

ლებული, ჟესტიკულაციით გაძლიერებული დროდადრო ბრალდებულისაკენ ხელის გაშვერით, ისეთი ხმითა და მანერით, თითქოს მრავალასეული აუდიტორიის წინაშე გამოდიოდა. ბრალდებულის ყოვლად უღირსი საქციელისა და არაპატრიოტულობის საპირისპიროდ დაასახელა ფრონტზე და მტრის ზურგში საბჭოთა ახალგაზრდების გმირობის მაგალითები. ბოლოს თქვა, რომ საბჭოთა მართლმსაჯულება მკაცრი და სამართლიანია და ბრალდებულისათვის მოითხოვა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდით.

„შვიდი წლის“ ხსენებისას დედა-შვილის შეკივლებამ და გულწასვლამ შეწყვიტა სასამართლო პროცესი. ძლივს მოაბრუნეს გულშეღონებულნი, მაგრამ ვერ დააწყნარეს დედა, რომელიც შეუჩერებლივ მოთქვამდა: ვაი, შვილო! ვაი, დაქცეულო ოჯახო! მუხლის თავებთან თითებით ხორცს იგლეჯდა, პროკურორს, მოსამართლესა და გარშემო მყოფთაც კი ემუდარებოდა, ეპატიებინათ თავისი შვილისათვის...

მოსამართლემ კიდევ ერთხელ გააფრთხილა ისტერიაში ჩავარდნილი ქალი, რომ თუ თავს არ შეიკავებდა და კვლავ ხელს შეუშლიდა სასამართლოს სხდომის ნორმალურ მსვლელობას, დარბაზს დაატოვებინებდა.

ქალბატონი ნინო ცდილობს, როგორმე ოდნავ მაინც დაამშვიდოს თავზე ცადამხობილი დედა: – ნუ, ნუ, შვილო! ეს ასე უნდა თქვას, პროკურორია და იმიტომ... მართლა ამდენს კი არ მიუსჯიან ჩვენს გოგოსო...

მოკლე და ლამაზსიტყვიანი იყო ახალგაზრდა ადვოკატი ქალის გამოსვლა. მანაც მოიშველია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები და იმედი გამოთქვა, რამდენადაც დანაშაულის ჩადენა პირველია ბრალდებულის ცხოვრებაში და გამოძალული პროდუქტები სასპეკულაციოდ არ გამოუყენებია, სასამართლო მხედველობაში მიიღებს კანონდამრღვევის ახალგაზრდულ ასაკს, დანაშაულის გულწრფელ აღიარებას და მიუსჯის შესაძლებელ მცირე სასჯელს...

– გეძლევათ საბოლოო სიტყვა, – ეუბნება გოგონას მოსამართლე.

ნუცა დუმდა.

– გეძლევათ საბოლოო სიტყვა, – ახლა უფრო მკაცრად მიმართა მოსამართლემ ისედაც დათრგუნულ გოგონას.

თავჩაქინდრულმა და მოკუნტულმა ძლივს ამოილუღლუღა:

„მა-პა-ტი-ეთ!..“

მიუსაჯეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდით.

მეორე დილით დახურულ მანქანაში ჩასვეს და ავჭალის კოლონიაში მიიყვანეს.

* * *

თვეში ერთხელ შეეძლო დედას შვილის ნახვა. ხან ვაჟი, ხან გოგო მიჰყავდა დასთან შესახვედრად. უმეტესად კი მარტო მიდიოდა გაუბედურებულ ნუციკოსთან სურსათ-სანოვაგით, შეძლებისდაგვარად დატვირთული. ამაში ზოგჯერ ახლობლები და მეზობლები უწყობდნენ ხელს, მაგრამ ეს ხელშეწყობა საკმარისი მაინც არ იყო. რამდენი პროდუქტიც არ უნდა მიეტანა, ეს მხოლოდ ერთი დღის სამყოფი თუ იქნებოდა. მისაღებ ოთახში ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ეჭამა შვილს, რადგან იცოდა, მორჩენილი პროდუქტები ბარაკში მიტანისთანავე პატიმართა საერთო საკუთრება ხდებოდა. ბანაკისა და კოლონიის „რჩეულნი“, ცხადია, სარგებლობდნენ დანარჩენთა „სუფრით“, მაგრამ თავიანთს ყოველთვის როდი უნაწილებდნენ სხვებს. ბევრი პატიმარი ისე იჩაგრებოდა ხოლმე, რომ ბარაკში შეტანილ თავის პროდუქტებს გემოსაც ვერ უსინჯავდა. ასეთი იყო „ციხის დაუწერელი კანონი“.

უბედური დედა იმასაც ამჩნევდა, რომ ცუდ კვებაზე და მძიმე ფიზიკურ შრომაზე მეტად გოგონასთვის აუტანელი იყო დამნაშავეთა სამყაროს ათასი ჯურის უწესო ქალთა გარემოცვა. როგორ გაიხარა შემდგომი მოსვლისას, როცა გაიგო, რომ პატიმართა წრეში წესად ქცეული მიძალებისაგან თავის

შვილს მფარველად გამოსჩენოდა ვიღაც ჯანიკო დეიდა, ორმოც წელს გადაცილებული ქალი, რომელიღაც საფეიქრო საწარმოს ბუღალტრად ნამუშევარი, „სახელწიფო სახსრების მითვისებისათვის“ რვა წლით თავისუფლებააღკვეთილი. ყველა ხელაღებული მეგერაც[1] კი ვერაფერს შეჰბედავდა თავის უბედურებაში ჩაძირულ ამ უსუსურ გოგონას დეიდა ჯანიკოს წყალობით.

პატიმრობის მეორე ზამთარი ახლოვდებოდა. დედამ მატყლის წინდები და ფართო თავშალი მოუტანა ნუცას.

– მოზვერი გავყიდე, ზრდასრულობა ვერ ვაცალე, რა მექნა, იმით ვიყიდე მატყლი, ბავშვებსაც ფეხზე გაუცვდათ. ცოტა ნახმარი, მაგრამ კარგი ფეხსაცმელები ვუყიდეო, – ეუბნება გულდათუთქული დედა ნუციკოს.

წვალებით მიითრევდნენ წელს გოგონას დღეები და ღამეები ცრემლსა და კვნესაში. ჯანიკო დეიდასა და ერთი-ორი ბედმოზიარის რჩევა-დარიგება, გამხნევება და შეძახილი ვერ შველოდა გოგონას დარდ-ტკივილად ქცეულ გულს.

ერთხელ საწყენი ამბავი დაახვედრა დედას:

– ხვალიდან რუსთავში გადავყავართ. დიდი ქარხნის აშენება დაუწყიათ და იქ უნდა გვამუშავონ. იქნებ, სჯობდეს კიდეც, – უფრო დედის გასამხნევებლად თქვა ეს სიტყვები.

– მოგიკვდეს დედა, შვილო...

– შენ არ იდარდო, დედიკო! ქალებმა მითხრეს, მშენებლობაზე უკეთესი კვება დაგვენიშნებაო. ოღონდ ჩემთან მოსასვლელი გზა და-გრძელ-დე-ბა..., – ხმა გაუწყდა და თავი ჩაქინდრა, ნიშნად დედის წინაშე განცდილი უზომო დანაშაულის გამო.

რუსთავის კოლონიაში ათასობით პატიმრისათვის მოეყარათ თავი. ქალაქი, მეტალურგიული ქარხანა, ზოგიერთი სხვა საწარმო უკვე შენდებოდა და ოდესღაც საძოვრებად გამოყენებულ სივრცეებს უფრო და უფრო ყლაპავდა.

სამუშაო ადგილების უმეტესობა მავთულხლართებით შემოეზღუდათ და ერთი დიდი გამასწორებელი კოლონიის შთა-

[1] მეგერა – შურისმაძიებელი, ბოროტი ქალი ბერძნული მითოლოგიიდან.

ბეჭდილებას ქმნიდა. მამაკაც და ქალ პატიმართა ზონებსაც მავთულღობურები ჰყოფდა. ქალები ძირითადად ხის ჯინებსა[1] და ერთთვლიან ურიკებს დაახრიგინებდნენ, ხრეშის, ქვიშის, აგურის გადატანაზე, ცემენტის ხსნარის მომზადებასა და კალატოზებისათვის მათ მიწოდებაზე უწევდათ მუშაობა. მამაკაც პატიმრებს კი სხვა უფრო მძიმე სამუშაოების შესრულება უწევდათ.

ყველაზე მეტად ნიჩბით და სართულიდან სართულზე დახრილ ფიცარკიბეებზე ტვირთით ასვლა უძნელდებოდა ნუცას, მაგრამ აქ არ იყო არჩევანი. უამინდობაში, ქარსა და ყინვაში დედის ნაქსოვი თავშალი ასულდგმულებდა, რომელიც კმაროდა თავსაბურავადაც და თავიდან ჯვარედინკეცილად გულმკერდისა და გვერდების დასაფარავადაც. კვება კი ნამდვილად უკეთესი იყო. ამ მხრივ, გაუმართლა, თუმცა ამას თუ ჰქვია გამართლება?!

მძიმე შრომამ თავისი გაიტანა...

მარტში გვერდის ტკივილები იგრძნო, სუნთქვა უძნელდებოდა. რამდენჯერმე გულიც შეუღონდა მუშაობის დროს. ათი დღით ლაზარეთში დააწვინეს. – მშრალი პლევრიტიაო, დაასკვნეს ექიმებმა, მაგრამ ერთმანეთთან თქვეს – გული უფრო უქმნისო საფრთხეს... სამუშაოზე აღარ გაჰყავდათ და მთელ დღეებს ბარაკში ატარებდა. დედას უმალავდა თავის ავადმყოფობას.

– მამიკოს წერილი მოვიდა, დედა გენაცვალოს! თვითონ წაიკითხე. გვწერს, ომი სადაცაა დამთავრდება, შუა გერმანიას მივადექითო.

ნუცამ გულდასმით წაიკითხა მამის წერილი. ცრემლი მოადგა თვალებზე, მძიმედ დაეშვა წამოწითლებულ ღაწვებზე და დედის გამოწვდილ ხელის გულზე დაეცა.

– მამიკოც შევარცხვინე, – თქვა ნუცამ.

– ყველაფერი კარგად იქნება, დედიკო, – შეეცადა მეტი სითბო ჩაექსოვა სიტყვებში.

დედა დღენიადაგ ცდილობდა დარდი შეემსუბუქებინა ნუციკოსათვის.

---

[1] ჯინი – გრძელი მოწნული ჭურჭელი ტვირთის გადასაზიდად.

– ძია იასონი ხომ გახსოვს, დე, მოკითხვა შემოგითვალა დიდი სიყვარულით... ხომ იცი, სოფელში თუ ვინმეს ჭკუა მოეკითხება, ძია იასონია. ჰოდა, მითხრა მთავრობებს ასე სცოდნიათ: თუ ომში გაიმარჯვებენ, რაღაც კანონს უშვებენ... სახელი დამავიწყდა,... – შეყოვნდა მცირედ და პაუზის შემდეგ განაგრძო, – ჰო, ამნისტია-კანონი ყოფილა, იმას დაწერენ და ყველა პატიმარს გაუშვებენო... და რაღა დარჩა, დედა გენაცვალოს! ცოტა, ძალიან ცოტა. მამიკოს ღმერთი მშვიდობით დაგვიბრუნებს, შენც შინ მეყოლები... აღარც შენი სწავლა მინდა... რა აუცილებელია, – დანანებით წარმოთქვა ბოლო ეს ორი სიტყვა, ამით გული ხომ არ ვატკინე შვილსო. გაახსენდა, ერთ დროს როგორ უნდოდა უნივერსიტეტი დაემთავრებინა თავის ნუციკოს, მაგრამ ახლა გაფერმკრთალებულიყო მისი ოდინდელი დიდი ნატვრა.

ბევრი იტირა ნუცამ.

– რა პირით შევხვდეო მამას!.. იქნებ, სჯობდეს, არც გამოვიდე აქედან! როგორ დავენახვო ქვეყანას, როგორ შევხედო სოფელს თვალებში!..

გული ამოუჯდა დედას შვილის სიტყვებზე, მკერდში იკრავდა და დაიმედებას ცდილობდა:

– თავიდან ამოიგდე, შვილო, ასეთი ფიქრები. ყველა გიცნობს და იტყვიან: რაღაც შეცდომა მოუვიდა ამ ომის დროს და ალალი გოგო ტყუილა დასჯილაო. სწავლაშიც დაგაბრუნებენ. აგერ ნახავ, თუ არა! შენ ოღონდ გული არ გაიტეხო! ისევ შენ უნდა მისცე სიცოცხლის ძალა უბედურ დედაშენს!..

დედას დაეწერა პასუხი ქმრის წერილზე და ადგილი დაეტოვებინა ფურცელზე ნუცასათვის.

– კარგად ვარ-თქო, დაუწერე... ცოდვაა, ომშია კაცი...

ნუცამ ქიმიური ფანქარი აიღო და ხელის კანკალით მიაწერა: „კარგად ვარ, მამიკო, სწავლის საქმეც კარგად მიდის. ოღონდ დედას უჭირს ძალიან. ყველაფერი მას დააწვა – სახლისაც და კოლექტივისაც. ისე, რა გვიჭირს – შენი დარდი გვაქვს მარტო. მალე დაგვიბრუნდი შინ მშვიდობით. მიყვარხარ, მა, ძალიან“.

დედას არ გამოჰპარვია შვილის განსაკუთრებული სიფერმკრთალე, უფრო გამხდარიც ეჩვენა. ნუცამ დაუმალა ავადმყოფობის ამბავი და ლაზარეთშიც რომ იწვა. ძილი გამიკრთა და ამის გამოაო, – სცადა დედის დამშვიდება.

გვერდში ტკივილები მოეძალა, გულყრამაც უხშირა. ღამით მაღალი ტემპერატურა ჰქონდა, რამდენჯერმე უგონობაში ჩავარდა. დილით კვლავ ლაზარეთში დააწვინეს. ის დღე და ღამე ნახევრად ბურანში გაატარა. ნემსები დროებით თუ აძლევდა გულს შვებას.

დილიდან ჯანიკო დეიდას მოყვანას თხოვდა ყველას: – ნუ მომკლავთ ისე, მან მაინც მნახოსო.

ვიღაცამ მიაწვდინა ხმა ჯანიკო დეიდას, რომელმაც ერთი ამბავი ატეხა – ლაზარეთში ჩემი შვილობილი მაჩვენეთო.

არც ეგონა, თუ ასე ცუდად იყო საქმე. ჩაეხვია, დაუკოცნა გავარვარებული ლოყები, დააიმედა: – ნუ გეშინია, ჩემო გოგო, სიცხე მალე გაგივლის, ტკივილებს გაგიყუჩებენ და ორ დღეში ფეხზე წამოდგებიო.

გოგონა ატირდა წყნარად, უხმოდ, გულამოსკვნის გარეშე, გამოლეოდა ამის ძალაც.

პალატაში ექთანი შემოვიდა. მკლავზე ნემსი გაუკეთა. პალატიდან გასვლისას ჯანიკო დეიდას ანიშნა, ნუ დაღლი ლაპარაკითო.

– ვკვდები, ჯანიკო დეიდა, ვკვდები... დედა და და-ძმა მაინც მენახა სიკვდილის წინ!..

– რა გჭირს, გოგო, სასიკვდილო! – ნაძალადევი სიმკაცრითაც შეუტია, – აღარ თქვა ეს, თუ ღმერთი გწამს! – და თავი ვერ შეიკავა, ცრემლები გადმოღვარა, – აი, მეც ამატირე, მაგრამ არც ისეა საქმე!..

– რაც ამ დღეში ჩავვარდი, სულ სიკვდილს ვნატრობდი, – ჩურჩულით ეუბნება ნუცა, – ახლა კი... ახლა კი... თურმე არ მემეტება თავი... საიმისოდ...

ხელი ჩასჭიდა მაჯაში ჯანიკო დეიდას, სუსტად მოუჭირა:

– თქვენი სიკეთეა, აქამდეც რომ მოვაღწიე. ახლა ეს სიკეთეც მიყავით, ჯანიკო დეიდა... უკანასკნელად... თხოვეთ ყველას,

ვისაც ეხება... ძალიან თხოვეთ... კოლონიის უფროსსაც... – მუდარის გამოსათქმელადღა შერჩენილ სიცოცხლის მიმქრალი შუქით მიანათა თვალები ნუცამ თავის საწოლზე ჩამომჯდარ მტირალ ქალს, – თხოვეთ... ნუ დამმარხავენ... მამაკაცებთან ერთად...

თითქოს სამყარო შეირხა ჯანიკოსათვის. ამას არ ელოდა. ახლა შეიგრძნო მთელი არსებით, რა სატანჯველისათვის გაუწირავს ბედს საცოდავი გოგონა, ანკარა წყაროსავით წმინდა ნუციკო.

– რას ამბობ, შვილო! ეს რაღა მოიგონე!

– მპირდები? მპირდები?.. ჯანიკო დეიდა... მპირდები?

– ნუ ამბობ!..

– მპირდები?..

ჯანიკომ უხმოდ დაუქნია თავი. ხელი ფაქიზად გადაუსვა თავზე, თითქოს წმინდანის სხეულს ეხებაო და მწარედ აქვითინდა.

* * *

ერთი საათის შემდეგ უკანასკნელი ნემსი გაუკეთეს სულთმობრძავს.

ჯანიკო დეიდას ხელში დალია სული...

დიდი ხმაურისა და დავიდარაბის შემდეგ მიაღწია ჯანიკო დეიდამ კოლონიის უფროსთან მიღებას, რომელსაც სიცილადაც არ ეყო მიზეზი, რის გამოც აეტეხა აურზაური ამ პატიმარ ქალს. მაგრამ, აბა, რას გახდებოდა...

ის ბედი მაინც ჰქონია ნუცას, რომ პატიმართა შორის კოლონიაში არც ქალი, არც კაცი სხვა ვინმე არ დაღუპულა იმ დღეებში...

გათენებისას მისი ცხედარი ერთცხენიანი დროგით გაიტანეს ლაზარეთიდან და მიიტანეს სამშენებლო მოედნებიდან შორს, მეჩხერბუჩქნარიანი სერის ძირთან. აქ ყველასათვის დაფარულ ადგილას, უმიწაყრილო, უსახელო საერთო საფლავებთან გათხრილ ცალკე სამარეში დაფლეს პატიმრის ძველმანებში გახვეული და დედის ნაქსოვი თავშლით სახედაფარული.

სამარე რომ გათხარეს, მოხუცმა მესაფლავე პატიმარმა მის მეწყვილე პატიმარს, მედროგეს და თავზე მდგომ ავტომატიან მებადრაგეს უთხრა:

– ლაზარეთში ჰყვებოდნენ, სრულიად ყმაწვილი გოგო ყოფილა, პატარა შემთხვევის გამო და ვიღაც უგულოს წყალობით მოხვედრილა აქ...

დროგიდან რომ გადმოიღეს, მეწყვილეს მიმართა:

– ნუ ჩავაგდებთ, ფრთხილად ჩავაწვინოთ ორმოში... ცოდოა!.. – ჩვეული არ იყო მეწყვილე პატიმარი ასეთ გულჩვილობას:

– ერთი შენც! – ხელი აუქნია, მაგრამ მოხუცის თვალებს რომ შეხედა, რაღაც ჩაიბუტბუტა, უკმაყოფილოდ დაიმანჭა, უარი კი ვეღარ გაიმეორა.

– ცოტა მადროვე, – თქვა მოხუცმა, მიმოიხედა. მწირად ამოსულ ბალახებში ხელები მოაფათურა, რაღაცას ეძებდა. გათხრილი სამარიდან რამდენიმე ნაბიჯზე ნახევარ მტკაველამდე ცალკე წამოზრდილი ბალახის ძირთან შეჩერდა, დააკვირდა და ჩაიმუხლა. ფრჩხილებით ამოჩიჩქნა დაგვალული ხრეშოვანი მიწა და მცენარე ფესვებიანად ამოიღო. ადვილად მოაცილა ფესვებზე შერჩენილი ფხვიერი მიწა. მოხუცს ხელში ეკავა ხრიოკზე საკვირველად ამოზრდილი, ჯერ კიდევ კოკორგაუშლელი გვირილა.

მოხუცი და მისი მეწყვილე ორმოში ჩახტნენ, მიწის პირიდან ცხედარი გადმოიღეს და სამარეში ფრთხილად ჩააწვინეს. მეწყვილე რომ ამოვიდა, მოხუცმა მიწაყრილზე დადებული გვირილა, ბალახის რამდენიმე ღერთან ერთად, ცხედარს მკერდზე დაადო, ტანზე ჯვარედინად შემოკრული თავშლის კიდე წააფარა, ერთი პეშვი ფხვიერი მიწა ზედ მოაბნია და მეწყვილის დახმარებით ზემოთ ამოვიდა.

ორმო ამოავსეს. მიწა მოასწორეს, როგორც ევალებოდათ – სამარის კვალი რომ არ დარჩენილიყო. მხოლოდ შემდგომაც აქ დასამარხთათვის ადგილის დროებით მოსანიშნად წინა დღეებში დამარხული რამდენიმე პატიმრის საერთო საფლავიდან მოზრდილი ქვა გადმოანაცვლეს.

* * *

მეორე დღეს ქვეყანა ომის დამთავრებას ზეიმობდა! ერთ-ბაშად ეცვალა სახე სამყაროს – ცასა და დედამიწას, ტყე-ველს, მთასა და ბარს, ადამიანებს – დიდსა თუ პატარას.

ყველგან ისმის აღტაცებული ყიჟინა და ბედნიერების გადა-ძახილი.

ეკლესიებში რეკენ ზარები – ქვეყნიერებას ამცნობენ სის-ხლის მდინარეთა დაწრეტას და მშვიდობის გამონათებას, რეკენ ზარები, როგორც მოკვდინებული მილიონების სულთა ხსენე-ბასა და დღეიდან მაინც „მშვიდობას ყოველთას!“

მაგრამ ომი იქნება კიდევ დიდხანს, დიდხანს, წლების მან-ძილზე, ვიდრე არ ჩაცხრება ტკივილები, არ მოშუშდება ჭრი-ლობები, არ განელდება კაეშნის მდუღარება, ვიდრე ყველაფერი განცდილი არ გაქრება როგორც ზმანება ავი...

იქნებ, არც მაშინ? ხომ რჩება სულთა ტკივილები, მარად მო-უშუშებელი, ხსოვნასავით რომ გადაეცემა თაობებს?

...და ეს დღე რაღაც იმედის დაბადებაცაა – მათთვის, ვინც ელის!.. ვინც კიდევ ელის!..

* * *

სიხარულით ატაცებული დედა გზას გზაზე კეცავს, ქუჩას-ქუჩაზე, შვილისაკენ მიეშურება! იმედი ასწრაფებს...

ჯაფითა და სევდა-კაეშნით დაღარულ, მზით გარუჯულ სახის ნაოჭებს ბედნიერების ალმური ასდის. „ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!.. ახლა ხომ დამთავრდა ყველაფერი!.. დამთავრდა!.. ბედი გვაღირსებს და მამამისიც დაგვიბრუნდება! სადაცაა მთავრობა ამნისტია-კანონს გამოსცემს და...“

ჩქარობს დედა, ძალიან ჩქარობს, მალე მიეხალისოს გატან-ჯულ შვილს, რათა ხვალის იმედით ერთად გაიხარონ, მაგრამ... ღმერთო! რა დაუსრულებელი ყოფილა ეს გზა!..

„ჰო! დღეს რომ პატიმრების ნახვის დღე არ არის?!.. თუმცა, რა ღმერთი გაწყრება, რომ ომში გამარჯვების ხათრით მაინც არ მაჩვენონ ჩემი გოგონა!..“

* * *

„სურსათისათვის გამომგზავნა ლოლა რომანოვნამ“, – ხმადაბლა ეუბნება გოგონა გასტრონომის დირექტორს.

ცოტა დამელოდეთ, ახლავე მოგართმევთ! – ჩვეული რიხით წარმოთქვა დირექტორმა. უცბად, მოგონებები ამოტივტივდნენ, დანაღვლიანდა. სახე დაენისლა. თითქოს სინდისის ქენჯნა აწუხებსო, ნირწამხდარმა, ძლივს გადადგა ორიოდე ნაბიჯი კარისაკენ და უკან მოიხედა. ანგარიშმიუცემლად წარმოთქვა:

„კი მაგრამ, ის გოგონა სადღაა?..“

სინამდვილიდან აღებული ამ ამბის მთხრობელიც, სხვათა შორის, იყო პედაგოგი, შ.კ-ძე, დამსახურებული ადამიანი, რომელიც გავიცანი 1960-იანი წლების ბოლოს. სამსახურებრივ ურთიერთობათა მეშვეობით იგი კარგად იცნობდა მოთხრობაში ხელმძღვანელ მუშაკად ნაგულისხმევ პირს და ომის დროს ერთი შეცოდების შედეგად სტუდენტი გოგონას თავზე დატეხილი უბედურების უშუალო მომსწრეც ყოფილა. ამ ამბის ძირითადი შინაარსი მოთხრობაში შევიტანე ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ოღონდ სტუდენტი გოგონასათვის, უთუოდ, „ლოლა რომანოვნას“ სამსახურებრივი გავლენის წყალობით, სასამართლოს მიუსჯია, ალბათ, ამგვარი დანაშაულებებისათვის მაშინ გათვალისწინებულის მაქსიმუმი – ათი და არა ექვსი წელი, როგორც ეს მოთხრობაშია. სტუდენტ გოგონას დიდხანს ვერ გაეძლო პატიმრობისათვის და კოლონიაში გარდაცვლილა ომის დამთავრებამდე, სასჯელის ვადის გასვლამდე დიდი ხნით ადრე.

ზედისერთა

– რატომ არ გინდა გაიგო! აღარ მინდა შენთან ცხოვრება! გაცივდა გული! მიზეზს რაღას ეძებ! – ყვირის სერგი და გულამომჯდარ ცოლს სახის წინ ხელებს უტრიალებს – ამ დღეებში განქორწინებაზე განცხადებას შევიტან... აღარ იქნება ჩვენი ყოფნა, აღარ!

– რა ღვთის წყრომაა შენს თავს, ადამიანო! რამ გაგაგიჟა ამ სიბერის ჟამს! – ძლივს აბამს სიტყვებს ერთმანეთზე ქეთევანი და ცრემლებით დამბალ ცხვირსახოცს ფრჩხილებით წიწკნის, თითებს იმტვრევს. – ეს დღეებია, შინ არ მოდიხარ, ეშმაკებში ხარ გადავარდნილი... რამ გათქმევინა, განქორწინებაო!.. ვიფიქრე, გონს მოეგება-მეთქი... რა მოგდის? რა გჭირს, სერგი! რა გაგიკეთა ასეთი იმ შტერმა გოგომ! საკუთარი ჭაღარის მაინც არ გერიდება? შვილებს რა პასუხს აძლევ!

– პატარები არ არიან, გამიგებენ. იმ ქალს კი მოეშვი!.. მოკლედ, ასე – დილით მოვალ, ჩემს ქაღალდებსა და ნივთებს წავიღებ და...

კარები მიიჯახუნა და გავიდა.

ქეთევანმა მხოლოდ ახლა შეიგრძნო სრულად მომხდარის საშინელება:

– სერგი!.. სერგი!.. – უფრო გულში ჩაბრუნებული ცრემლებით, ვიდრე ხმით, ამაოდ უხმობდა განადგურებული ქალი თავისი ცხოვრებიდან გაქცეულ მეუღლეს.

* * *

ოცდაექვსი წელი სიყვარული და სიმშვიდე სუფევდა მათ ჭერქვეშ. არაფერი არღვევდა ოჯახურ მყუდროებას, მაგრამ ეს ერთი ხანია, ფერისცვალებას ამჩნევს ქეთევანი ქმრის ხასიათში.

– სიფიცხე დაეტყო, ჭირვეული გახდა, ხან რას იწუნებს, ხან რას! მიზეზსაც ეძებს საჩხუბრად, შარიანობს. თავდაპირველად ამას ყურადღებას არ აქცევდა მუდამ დამთმობი ცოლი. ბოლოს მოთმინებადაკარგულმა ჰკითხა:

– რა ხდება სერგი? აღარაფერი ჩემი აღარ მოგწონს, არაფრის გამო ჩხუბობ. ასეთი რომ არ იყავი? თუ მე ვარ მიზეზი, მითხარი, ვერ ვხვდები იქნებ... – ქეთევანი ძლივს იკავებდა ცრემლებს და სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა, – ახალგაზრდა რომ იყო, ვიფიქრებდი, ვიღაც გაიჩინა-მეთქი...

– ისე, რომ ვთქვათ, ვითომ ძალიან ბებერი ვარ ამისათვის თუ? – გახუმრების კილოთი გაიკეკლუცა სერგიმ.

– მე არ მეხუმრება. შენ ის სერგი აღარ ხარ... რა ხდება, არ მეტყვი?

– არც შენ ხარ ის, რაც ადრე! – მოუჭრა უკვე გაღიზიანებით ქმარმა, სკამიდან წამოიჭრა და შინიდან გავიდა.

შინ შუაღამისას შემოაბიჯა ნასვამმა. ნამტირალევ ცოლს ხმა არ გასცა, არც ივახშმა. დასაძინებლად ვაჟის ოთახში დაწვა.

სოხუმში გათხოვილი ქალიშვილი, რა ხანია, მშობლებს უთვლის: ზაფხულის შემდეგ ჩემთან არ ყოფილხართ. ორი დღით მაინც მესტუმრეთ, შვილიშვილს მოესიყვარულეთო. სერგი ხმას არ იღებდა, ქეთევანს კი ვერაფერი მოესაზრებინა გაუცხოებული ქმრის შემხედვარეს. ვაჟი კიდევ უფრო შორს იმყოფებოდა – ბალტიისპირეთში, ორწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

* * *

რა რჩება დაფარული ამქვეყნად და ქეთევანიც გებულობს ოჯახის თავზე დამტყდარი უბედურების მიზეზს...

იმ საახალწლო სუფრაზე ქეთევანი არ წასულა. თავდაპირველად სერგიც უარობდა. მარტო ხომ არ დაგტოვებო შინ ახალი წლის ღამეს, მაგრამ ცოლმა დაიჩემა: მე არაფერი მიჭირს, ცოტა შეუძლოდ ვარ. შენ კი რატომ უნდა გამოაკლდეო თანამშრომლებს! და თავისი გაიტანა. ქმარს შამპანური გაახსნევინა, ცოტა მოსვეს, ერთმანეთს საახალწლო კოცნაც უძღვნეს და ახლობელ-მეგობართა პურ-მარილების უცვლელი თამადა შეხვედრაზე წავიდა.

სუფრა სერგის მეგობრის ოჯახში იყო გაშლილი. სანაქებო თამადობა გასწია სერგიმ. მისი ენამახვილობა, გიტარაზე ტკბილი დამღერება, კაფიები ტონს აძლევდა და ალაღებდა თანამესუფრეებს. იყო ნამდვილი საახალწლო მხიარულება.

გვიან აიშალა სუფრა. სტუმრად მოსულთა მანქანები ყველას არ ეყო. მე გავაცილებო თეას, გზაც თითქმის ერთი გვქონიაო, – განაცხადა შექეიფიანებულმა, მაგრამ საკმაოდ ფხიზელმა სერგიმ. იმ სუფრაზე გაიცნო თეა, ოჯახის ახლო ნათესავი, ხალისიანი, კეკლუცი და ბავშვური სიცელქეშერჩენილი, სრულიად ყმაწვილი, გასათხოვარი ქალი.

პირველი თოვლი იყო. ხვავიანად ბარდნიდა, არც სუსხავდა და სიამოვნებდათ გაუკვალავ სპეტაკ თოვლში სიარული. ხელკავით მიაბიჯებდნენ. სუფრიდან გამოყოლილ სიხალისეს ურთიერთქათინაურები და უწყინარი წახუმრება ემატებოდა.

თეას სახლთან შედგნენ. ქუჩაში საახალწლოდ გირლიანდებად გაწყობილი ნაირფერი ელნათურების შუქი იღვრებოდა.

სადღაც ზედა სართულზე ლხინი გრძელდებოდა, ისმოდა მთვრალი სიმღერის ამღვრეული ხმები, მოწონების შეძახილები და კისკისი.

– თქვენ კარგი, ძალიან კარგი ხართ, ბატონო სერგი! – თეამ კეპი მოხადა, თოვლი ჩამობერტყა, ცალი ხელი ხელთათმანისაგან გაითავისუფლა და მსუბუქად გადაუსვა თმებზე ახლახან ზედ დაყრილი რამდენიმე უჩინარი ფიფქის მოსაცილებლად. კეპი კვლავ დაახურა.

სერგიმაც თავშალზე ხელის გადასმით მოაცილა თოვლის ნაფიფქი:

– ამ ახალ წელს მშვენიერი თეათი დავიმახსოვრებ, – მიაგებზა პასუხად. ამ სიტყვებით გათამამებულმა თეამ კი თავ-კისერზე მჭიდროდ აკრული თავშალი გადაიწია, ოდნავ ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე, ყურის ბიბილოსთან, რამდენჯერმე შეყოვნებებით გრძნობით აკოცა სერგის. სერგიმაც ლოყაზე მორიდებული ნახევარკოცნა შეუბრუნა. ერთხანს შემცბარნი უღიმოდნენ ერთმანეთს. იცოდნენ, დაშორების დრო იყო, მაგრამ ფეხს ვერ დგამდნენ. თეას შეაჟრჟოლა და შეუცნობელმა შიშმა ღიმილი წაუშალა სახეზე, თვალები გაუფართოვა. ეს სახეცვლილება მაშინვე იგრძნო სერგიმ, მხრებში მოკიდა ხელი, ოდნავ მიიზიდა, ტუჩებთან აკოცა, უხმოდ შეტრიალდა და წავიდა.

მოსვენება დაკარგა თეამ. გულში ტკბილად ჩაღვრილი სითბო სულ უფრო ღვივდებოდა, ფიქრებს ეძალებოდა, აფორიაქებდა. გონება ვერ მორეოდა ძალას, რომელიც ყოველ წუთს, ყოველ წამს აგონებდა ხალისიან გულთბილ სერგის, მის შეჭაღარავებულ ხშირ თმებს, ღიმილიან სახესა და თვალებს. გულს არ ეშვებოდა ადრე განუცდელი სევდა და ტკბილი ტკივილი.

სერგიც ფიქრობდა ახალგაცნობილ გოგონაზე, ახალწლის თოვლიან ღამეზე, ოცნებად ქცეულ სურვილზე, კვლავ ენახა და მოესმინა მისი ხმა, ეთქვა მისთვის რაღაც ძალიან თბილი და სასიამოვნო. ზოგჯერ კი თავის თავს ეკითხებოდა: „რის მაქნისია ეს ფუჭი, თითქმის ბავშვური ოცნება!.. მაგრამ რატომ ჩაეჭიდა ეს ქალი ჩემს ფიქრებს? რატომ დავუმალე ქეთევანს, რომ

სუფრიდან მარტო არ წამოვსულვარ?..“ თავის გამართლებასაც ცდილობდა და თავს არწმუნებდა, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ეპიზოდია და... ამიტომ: „მაინც რა უნდა იყოს ცუდი, რომ უბრალოდ მოვიკითხო ნაცნობი ადამიანი? ღმერთმანი, დიდი უტაქტობაა, რომ აქამდე არ მივაწვდინე ხმა!..“ თავი დააჯერა ბოლოს და ბოლოს, რომ მოვალეც არის მოიკითხოს თეა. ამიტომაც აღარ გასძნელებია თავის მართლება საკუთარი სინდისის წინაშე ისევე, როგორც სამსახურის ტელეფონის ნომრის გაგება...

* * *

შესვენებისას მარტო იყო თეა სამუშაო ოთახში და თავის დარდს ეწვალებოდა... სერგიმ დარეკა.

პირველი სიტყვებიდანვე იგრძნო სერგიმ თეას მღელვარება. გონებადაფანტულად პასუხობდა, ხმა უკანკალებდა, სიტყვები უწყდებოდა.

– არა! არა!.. რა უნდა შემმთხვეოდა, ბატონო... სერგი!..

– დახმარება ხომ არ გჭირდებათ? რაც უნდა იყოს, მენდეთ, მე მუდამ მზად ვარ...

– მჯერა, მჯერა!.. მაგრამ... მაგრამ... – სერგის მოეჩვენა, რომ თეას ბოლო სიტყვა ტირილში ჩაიძირა.

– თეა! აღარაფერს გეკითხებით. ექვს საათზე რუსთაველის თეატრთან ვიქნები. თუ არ მოხვალთ, არ მეწყინება... რა უფლება მაქვს!..

დიდხანს ებრძოდა თავს თეა. წავიდეს? შეხვდეს?.. კი მაგრამ რას იფიქრებს სერგი? რა საერთო აქვს ცოლშვილიან, უკვე ასაკში შესულ კაცთან? რა მოხდა მერე, რომ დაურეკა და უთხრა, თეატრთანო... არა! რა თქმა უნდა, არა! რაც უნდა, ის იფიქროს ბატონმა სერგიმ! – დაასკვნა თეამ და თითქოს დაწყნარდა კიდეც.

„რამ ჩაგაფიქრა, რა მოხდაო?“ – ჰკითხეს თანამშრომელმა ქალებმა, ატყობდნენ ბოლო დროს თეას ხასიათის ცვლილებას. „არაფერი, ცოტა უქეიფოდ ვარო,“ – უპასუხებდა ხოლმე ხან ასე, ხან ისე, როგორც თვითონ ეგონა, მშვიდად. ელოდება თეა

სამუშაო დღის დამთავრებას. საქმეს გულს ვერ უდებს... თვალწინ ის უნეტარესი კოცნა ახსენდება, უტკბესი ჟრჟოლით რომ ეღვრება მთელ სხეულში. ღიმილმა გადაითამაშა მის სახეზე. ლაპარაკის საღერღელიც აეშალა, ხან რას ჰყვება, ხან რას. გახალისდა, ერთიორჯერ წაიღიღინა კიდეც. ვერ გრძნობს, რომ ხელს უშლის სხვებს მუშაობაში. ვერც მისკენ მზირალ გაოგნებულ სახეებს ამჩნევს.

დამთავრდა სამუშაო დღე და თითქოს დამშვიდებული თეა შინისაკენ გაემართა. მაგრამ... თეატრთან დგას თეა, ოდნავ შეშინებული, ოდნავ დაბნეული, მაგრამ მაინც მტკიცე თავის ფიქრებთან. მოშორებით დალანდა სერგის თვალები, სითბოთი და იმედისმომცემი მზერით.

სერგი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა. ელვისებრი მოძრაობით ხელთათმანებზე ხელები მოუჭირა და შუბლი შუბლზე მიადო. თეამ გაღიმება სცადა, მაგრამ ნაძალადევმა ღიმილმა სახეზე უფრო გატანჯული ადამიანის გრიმასა აღბეჭდა. ფერმკრთალიც და ლოყებჩაცვენილიც მოეჩვენა სერგის.

– რა დარდი გაგჩენია, თეა? არ მეტყვი შენს კეთილისმსურველს? გთხოვ, ნუ მოგერიდება! – სერგი თითქოს ხვდება თეას დარდის მიზეზს. გულის სიღრმეში ახარებს კიდეც ეს აღმოჩენა, მაგრამ განაფიქრი მაინც მეტად თამამ ნაოცნებარს ჰგავს. თეა ცრემლებს ვერ იკავებს. ბოლოს მან თავი დახარა და სახეზე ხელი აიფარა.

– შენი ჭირიმე, თეა! – ევედრება აღელვებული, – თქვი რამე! – ხელი სახიდან მოაშორებინა, ნიკაპზე თითებამოდებით თავი აუწია და თვალებში თანაგრძნობით ჩაჰხედა. ამ მზერას ვეღარ გაუძლო თეამ და აქვითინდა...

– თქვი რამე, თეა! არ შემიძლია გულგრილად ვუყურო შენს ცრემლებს!..

– ახალი წლიდან... იმ ღამიდან... – ძლივს გასაგონად ამბობს მტირალი, – მე მრცხვენია, მაგრამ აღარ შემიძლია!.. უნდა გითხრათ... იმ ღამიდან სულ თქვენზე ვფიქრობ... ვდარდობ თქვენზე... ასეთი ცუდი ვარ, მაგრამ ცუდს მაინც ნუ იფიქრებთ! ეს არის ყველაფერი, ყველაფერი... – შეტრიალდა და სწრაფად მოს-

ცილდა იქაურობას. ფეხის ხმა აედევნა. ნაბიჯი შეანელა, ნახევრად მოაბრუნა თავი და სერგი ლანდად შენიშნა. შედგა და მოუხედავად მიაძახა:

– არ გინდათ!.. გთხოვთ, ძალიან გთხოვთ! – და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა სწრაფი, ნერვული ნაბიჯებით.

სერგი უსაზღვროდ შეწუხებული მზერით მიაცილებდა საღამოს ბინდბუნდში მიმავალ ლანდს ქალისას, რომელმაც ჭაბუკური გულისძგერა, სიბრალული და ესოდენ მოულოდნელი გულისტკივილი განაცდევინა. გული შეეკუმშა და თაკარა მზის ქვეშ შორი გზიდან ნამგზავრის მოუთმენელი წყურვილით მოესურვა ამ ქალის მკერდში ჩაკვრა, მოალერსება და ნუგეშისცემა. ამის შეუძლებლობის შეგრძნებამ მწვავედ ატკინა გული და მიახვედრა, რა ძვირფასი და სანატრელი გამხდარა მისთვის ეს ახალგაზრდა ქალი... მაგრამ ქეთევანი? მისი ღრმად მოსიყვარულე, ერთგული მეუღლე? ჰო, ქეთევანი! ქეთევანი დღემდე მისთვის ერთადერთი და შეუდარებელი! მაგრამ ამჯერად ვერ განსჯის ამას! თეას დაეპყრო გრძნობა და გონება...

თავისი სახელი მოესმა. ვიღაც კაცმა სვლა შეანელა მასთან მიახლოებისას: – „გამარჯობა, სერგი!“ – უაზროდ შეხედა სერგიმ. ანგარიშმიუცემლად თავი დაუქნია და გზა განაგრძო. გაკვირვებულმა ნაცნობმა თვალი გააყოლა ნელი ნაბიჯით მიმავალს. ასეთი სერგი მას არასოდეს ენახა.

შეღამდა, შინ უნდა წავიდეს, მაგრამ რა გააკეთოს იქ? რა მოუხერხოს აფორიაქებულ გრძნობა-გონებას?

აფთიაქში შევიდა. ტელეფონით დარეკვა ითხოვა. მეგობარს დაურეკა.

– ო! შენა ხარ, სერგი? როგორ დავეკარგეთ ერთმანეთს! ხომ მშვიდობაა?.. აქვე ყოფილხარ. ამოდი ბარემ. ღვინო მაქვს შენი მოსაწონი...

– არა! გამოდი, გელოდები. რატომღაც განცალკევებით მინდა დავსხდეთ, ერთი-ორი ჭიქა შევსვათ, ძველი გავიხსენოთ...

რესტორანში ცალკე კაბინა მოითხოვეს. ბევრი ძველიც გაიხსენეს, ახალიც ცოტა არ თქმულა, მაგრამ სერგიმ არ გათქვა

თავისი საიდუმლო. მეგობრის შენიშვნაზე, შეცვლილხარ, უწინ-დებურს არ ჰგავხარო, უპასუხა: რაღაც სევდა შემომაწვა. სიბერის მოახლეების ბრალიაო, ალბათ...

შინ გვიან ღამით დაბრუნდა. ქეთევანს არ ეძინა. ხელსაქმეს აყოლებდა გულს. ნასვამ ქმარს ყურადღებითა და ალერსით შეხვდა. სერგის ის კი ახსოვდა, მის ყოფაში ბევრი არ ელაპარაკა და თავი არ გაეცა. დილით ადრე გაეღვიძა, მაგრამ თავი მოიმძინარა – გაურბოდა ქეთევანთან ლაპარაკს, სახეში შეხედვისაც ეშინოდა. სწრაფად ჩაიცვა, პირზე წყალი შეისხა, სახელდახელოდ ისაუზმა და სამსახურისაკენ გასწია.

* * *

შედგა თუ არა თეამ ფეხი ოთახში, მის დამნახავ დედას გული გადაუქანდა:

– რა გჭირს, შვილო! ვინმემ ხომ არ შემიშინა შენი თავი? – გულში ჩაიკრა, თავშალი მოხადა, შეცივნული სახე დაუკოცნა, – ხმა ამოიღე! ნუ მკლავ, შვილო, თქვი რამე!.. – თეა სკამზე დაეშვა, თავი მაგიდაზე დაამხო, მკლავებს შუა მოიქცია. ტირილმა მხრე-ბი აუცახცახა.

– მოგიკვდეს დედა! – თავი აუწია და შიშით ჩახედა თვა-ლებში.

– დამეხმარე, მიშველე რამე, დედა!

– თეა, შვილო!

– მიშველე, დედა! ცოლშვილიანი კაცი შემიყვარდა... თავს ვერ ვერევი...

დედა გაშრა, „უიო!“ – ერთი კი შეჰყვირა და შვილის გვერდით მოწყვეტით სკამზე დაეშვა.

– ეს რა თქვი, თეა! ამას რას მომასწარი!

– თმები დამაგლიჯე, სული ამომხადე, დედა, ოღონდ მიშ-ველე რამე! სირცხვილი მწვავს... თავს ვებრძვი, მაგრამ ძალა არა მაქვს...

– ვინ არის, შვილო, ჩემი დამქცევი! რატომ შეგიჩნდა...

– არა! მისი რა ბრალია!..

– ვინ არის მაინც, რა კაცია ასეთი!

და როცა გაიგო, ხნიერი და შვილების მამა იყო, შეიცხადა:

– რამ დაგაბრმავა ჩემს სირცხვილად და ამოსაგდებად! – შეუტია შვილს, – სად გაგონილა ასეთი თავის მოჭრა! რამ შეგშალა ეს ჭკვიანი გოგო! გონს მოდი... რას მიჰქვია, შემიყვარდაო! იტყვი თუ არა, ვინ არის?

– ვერ ვიტყვი... ის არაფერ შუაშია. მე ვარ ბრალში, მე!.. მირჩიე რამე, დედა, მომეხმარე, ან...

– რატომ ვარ ცოცხალი!.. ბედნიერი ყოფილა მამაშენი, რომ არ მოესწრო ამ დღეს!

მაგრამ დედა ხედავდა, რომ გაწყრომა საქმეს არ შველოდა. ოდნავ განსჯის უნარი რომ დაუბრუნდა, მიხვდა – შვილი მისგან ელოდა ხსნას, მაგრამ რა ეღონა? თვითონაც არანაკლებ სასოწარკვეთილმა ცრემლებს მისცა თავი, გაჩენის დღეს იწყევლიდა.

* * *

თვე გასულიყო შეხვედრიდან.

იმედი გადასწუროდა თეას, რომ ოდესმე თავს შეახსენებდა სერგი. არადა, როგორ უნდოდა, ერთხელ მაინც ენახა, მხოლოდ ერთხელ, მეტი... არაფერი! ისიც იფიქრა, იქნებ სცადოს და ვითომ შემთხვევით გადაეყარა ქუჩაში სამსახურიდან მიმავალს? მაგრამ ზაფრავდა იმის შიში, რომ გუნებაში მაინც დაძრახავდა სერგი მის საქციელს, შეიძლება დაეცინა კიდეც... უიმედობამ საბოლოოდ დარია ხელი და...

როცა შეატყო სერგიმ, რომ თეას უნახავად ყოფნა მის ძალას აღემატებოდა, ისევ ტელეფონი მოიხმო საშველად...

კიდევ უფრო გამხდარი მოეჩვენა თეა. დიდი ხნის ნაავადმყოფარს ჰგავდა, ტუჩები გაცრეცოდა. გრძნობათაღელვასა და ურთიერთგამომრიცხავ ფიქრთა ჭიდილს ადრინდელი ხალისი ჩაექრო მის თვალებში, საიდანაც ახლა მხოლოდ დარდი და უსასოობა მოჩანდა. თავს უაზროდ დამნაშავედ გრძნობდა სერგი, რომ ამ ყოფაში აღმოჩნდა ეს სიცოცხლით სავსე პატარა გოგო, დღეს მისთვის ასე საწუკვარი...

თეას არ გამოჰპარვია სერგის სახეზე აღბეჭდილი შეკრთომისა და მისდამი სიბრალულის ჩრდილთა მოძრაობა.

– არ ვიცი, რისთვის მოვედი, – თქვა წყნარად, – სათქმელი მაშინაც გითხარით და... მაინც აქ ვარ.

– მე ვწუხვარ შენზე, თეა. არ შემიძლია გულგრილი ვიყო...

– ჩემდამი სიბრალული? – თვალები გაუსწორა სერგის, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო, თავი დახარა და წარმოთქვა, – მე ეს არ მინდა...

– არა, თეა, არა!..

– ალბათ, ძალიან მინდოდა ერთხელ კიდევ მენახეთ და უარი ვეღარ ვთქვი... მაგრამ ნუღარ შევხვდებით ერთმანეთს. ნურც დამირეკავთ, – უძნელდება ლაპარაკი თეას, – გთხოვთ!.. დამტოვეთ ჩემს დარდთან ერთად!

– თეა! ჩემო კარგო თეა!..

– მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ... ეს ცოტა ნუგეში მაინც იქნება ჩემთვის... ნუგეში, თუ გეცოდინებათ, რომ... ძალიან... მიყვარხართ, ბატონო სერგი!.. – ტირილი აუვარდა და შეტრიალდა.

სერგი მკლავებში წაეტანა, თავისაკენ მოაბრუნა.

– გევედრები, რამდენიმე წუთი მაინც... მეც მაქვს შენთვის სათქმელი. თუ ეს შეხვედრა მართლაც ბოლოა, ჩემგან უთქმელი ნუ წახვალ, თეა! გთხოვ...

თეა დაჰყვა სერგის ხელკავს. დაბლა, კომუნარების ბაღისაკენ.[1]

რა ხანია წვიმა არ ყოფილა და გაზონებს შორის გასასვლელები მშრალი იყო. ზამთარი მარტისაკენ იხრებოდა. მილეული დღის მზე უკვე თვლემდა და სიცივე იგრძნობოდა. ბაღის სიღრმეში ფოთლებისაგან განძარცვულ და ხის ძირას განმარტოებით მდგარ სკამზე ჩამოსხდნენ.

დიდხანს ეწინააღმდეგებოდა თეა სერგის დაჟინებას, მონდომებით ცდილობდა უკუეგდო მისი არგუმენტები:

– თითქმის ჩემი ხნის შვილები გყავთ...

---

[1] დღეს: ცხრა აპრილის სახელობის ბაღი.

ვერც თქვენი, ვერც ჩემი ახლობლები ვერ გაგვიგებენ, არ გაგვამართლებენ... გაგვრიყავს ყველა... შვილები გაგიდგებიან... მუდამ დამნაშავე ვიქნები თქვენი მეუღლის წინაშე... მე დამბრალდება ყველაფერი, შეუჩნდაო, იტყვიან, უწესობას დამწამებენ...

– მე მაინც არ დავუბრუნდები ოჯახს. შეგიყვარე, თეა... მხურვალედ და საბოლოოდ, გადაჭრითაც რომ უარი მითხრა, სახლიდან წამოსული ვარ. ბინად მეგობართან ვცხოვრობ... აღარ დავბრუნდები შენით უარყოფილიც კი! უარს ნუ ვეტყვით ჩვენს ბედნიერებას... შემდეგ და შემდეგ ყველაფერი დალაგდება, აი, ნახავ! შვილები გამიგებენ... შენთანაც გვეყოლება...

ბოლოს გატყდა თეას სიკერპე. სულ უფრო ბუნდოვანი, ნელ-ნელად დამთმობი და ბედსშეგუებული გახდა მისი უარმყოფელი მტკიცებები, ერთმანეთში აირია ცრემლები და შიშნარევი ღიმილი, სასოწარკვეთა და ოცნებაში მოლივლივე იმედი. მის არსებაში ჯიქურ შემოჭრილმა გრძნობამ სძლია ეჭვებს, საოცნებო ხილვათა ბადეში გახლართულმა გულმა დაიმონა აზრებიცა და ნებისყოფაც. სერგი ხედავდა, რომ თეას პასუხები უკვე ბედნიერებაზე უარის თქმა კი არ იყო, არამედ მონანიების გულწრფელ სურვილთან ერთად, საყვარელ ადამიანთან ერთად ყოფნის დასტურიც.

თანდათან ყველაფერი ასე ადვილად შესაძლებელი გახდა და პრაქტიკულ კითხვებსაც გაეცა პასუხი: რამდენიმე დღეში სერგი სადმე იქირავებს ბინას, ან შეიძლება იყიდოს კიდეც პატარა კერძო სახლი, თუნდაც გარეუბანში და იქ გადავლენ საცხოვრებლად. სერგი ოფიციალურად გაეყრება მეუღლეს და თეაზე ჯვარს დაიწერს...

* * *

ახალი წასული იყო სერგი, კარებზე რომ დააკაკუნეს. ქეთევანმა აბაზანაში ონკანიდან წყალი ისხურა სახეზე, თვალები შეიმშრალა და კარი გააღო. შავ ტყავისქურთუკიან, ნახევრად სამხედრო ფორმაში გამოწყობილი უცხო სტუმარი თავის დაქნევით ესალმება:

– ქალბატონი ქეთევან დათიძე?..

– დიახ! – გაკვირვებულია ქეთევანი: ამ სამხედრო კაცს რა საქმე უნდა ჰქონდესო...

– ხვალ ათ საათზე სახელწიფო უშიშროების კომიტეტში გთხოვენ.

– რა ბრძანეთ? სად მთხოვენ? რა თქვით? – უძნელდება თავს დამტყდარი უბედურებიდან სხვა რამეზე აზრის გადართვა.

ხვალ ათ საათზე უშიშროების კომიტეტში, – პასუხობს თავაზიანი სტუმარი, – აგერ უწყება, – და საქაღალდიდან პატარა ქაღალდს იღებს, – აქ წერია, ვისთან რომელ კაბინეტში.

ქეთევანი ბურანშია, არ ჰგონია, რომ სერგისთან ბოლო საუბრით გამოწვეული ტკივილი, ამ კაცის მოსვლა და რაღაც უწყება ერთი სინამდვილის სხვადასხვა სურათია.

– ხელი უნდა მომიწეროთ, – ეუბნება ტყავისქურთუკიანი და საქაღალდიდან მუყაოსყდიან დიდ რვეულს იღებს. გადაშალა დაგრაფული ფურცლები, პირველ გრაფაში სხვებთან ერთად წერია ქეთევანის გვარი, სახელი, მამის სახელი. სხვა გრაფებში რაღაც აღნიშვნებია. სტუმარმა საჩვენებელი თითი ბოლო, შეუვსებელ გრაფასთან მიიტანა:

– გთხოვთ, აი, აქ!

„რატომ უნდა მოუწეროს ხელი? რისთვის?“

– აი, აქ! – უმეორებს ტყავისქურთუკიანი და კალამს აწვდის.

– შემობრძანდით! – ოთახში მიიწვია სტუმარი ქეთევანმა. მაგიდასთან დაჯდა, გრაფინიდან წყალი დაისხა ჭიქაში, მოსვა. კარგა ხანს ატრიალა უწყება ხელში, თავი ასწია და:

– რატომ მეძახით? რა გნებავთ ჩემგან?

– არ ვიცი, ქალბატონო! მე მხოლოდ შიკრიკი გახლავართ. ხელი უნდა მომიწეროთ, რომ უწყება ჩაიბარეთ.

– მე ახლა შეუძლოდ ვარ. უთხარით იქ, რომ ხვალ მისვლას ვერ შევძლებ.

– არა, ქალბატონო! როგორმე ხვალ! გადადება არ იქნება. ქეთევანმა სტუმრისათვის შეუმჩნეველი ხელის კანკალით ბოლო გრაფაში ძლივს ჩასვა ხელმოწერა.

– პასპორტი თან გქონდეთ. საშვი დაშვებული იქნება... – თქვა ბოლოს სტუმარმა და წავიდა.

ათასი აზრი და უაზრობა აიშალა გონებაში. თვალს არ შორდება სერგის გაუცხოებული მზერა და ყურში კვლავ და კვლავ ჩაესმის დასაკარგავიდან მოტანილი მისი სიტყვები: „შენი აღარაფერი მინდა!..“

„რატომ? რატომ გაიმეტა ასე? რა დაემართა მის სერგის? ვითომ ცუდი მეუღლეობა გაუწია და ხელი დააკლო ოჯახს ქეთევანმა?..“ ფიქრები თავისთავად ჩნდებიან და უპასუხოდ ქრებიან გადაღლილი გონებიდან და უცებ იგრძნო, რომ სასოწარკვეთასთან ერთად სიბრაზის, გმობის, კიცხვის გვერდით სიბრალულიც ისადგურებს გულში, სიბრალული გზადაკარგული მეუღლისადმი: „რა ცოდოა ჩემი სერგი“, ვერავინ გაუწევს ჩემ მაგივრობას!.. ვერავინ!.. ჰო, რატომ მეძახიან, რა უნდათ? სამსახურში მუდამ წესრიგი მაქვს და თუ რამე არ მოსწონთ, უშიშროება რა შუაშია? – ოჯახს ხომ არ ეხება რამე? მაგრამ რა? ასეც რომ იყოს, რატომ მე მიბარებენ და არა სერგის?“ და ისევ სერგი ტრიალებს მის გონებასა და ცრემლთა დენაში. ახლა ნამდვილად უნდა შვილების აქ ყოფნა. ხვდება შეცდომას, რომ მარტო მიენდო ბედს. „ბიჭს ვინ გამოუშვებს ჯარიდან! ასეც რომ მოხდეს, როდის იქნება ეს!“ დრო სულსწრაფი და ულმობელი დაუნდობლად სჯის ჭოჭმანსა და გაუბედაობას... „იქნებ, გოგო ჩამოვიდეს სოხუმიდან!“

სამსახურში დაურეკა სიძეს. ძლივს გააგებინა სათქმელი გულამომჯდარმა. სიძე არ იჯერებდა მოსმენილს, კითხვებს კითხვებზე აყრიდა.

– თავი აღარ მინდა!.. ცოცხლად მმარხავს სერგი!... ეშმაკებში გადავარდა... ოჯახს ტოვებს...

– გათენებისას წამოვალთ მანქანით, ეცადე დამშვიდდე! – იყო სიძის პასუხი.

ისევ ამოუჯდა გული: „შვილებო! შვილებო!.. თქვენც როგორ მოგიკვდებათ გული! დაირცხვენთ, შეწუხდებით...“

ცრემლში გაათენა. ტირილით, ფიქრებით, უიმედობით დაქანცულს თუ წათვლემდა, მალევე ფხიზლდებოდა. სიფხიზლე ერჩია ძილს, ერჩია ტანჯვა, მაგრამ მაინც სერგიზე ფიქრი. ეს ზოგჯერ ოცნებას ჰგავდა, ბავშვურ ფანტაზიასთან მიმგვანებულს, მართალია, თავის მოტყუებას, მაგრამ წამიერად მაინც ოდნავ სანუგეშოს. სრულად გამოფხიზლებულს ტკივილი უმძაფრდებოდა და მაინც ამას ამჯობინებდა.

გათენებამ უფრო დაუმძიმა გული. უცრემლოდ ადგა. ბედისადმი ჩივილი არ წამოსცდენია. ზოგჯერ ამოიკვნესებდა, შემცივნულივით მხრებმოწურვით დუნედ დაბორიალებდა ოთახიდან ოთახში, უაზროდ და ყოვლად უადგილოდ.

წასასვლელად მოემზადა. თეთრწინწკლებიანი ლურჯი კაბა ჩაიცვა, თმები გადაივარცხნა, თმის ნაგრაგნი კეფაზე სარჭებით გაიმაგრა და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა კედლის დიდ ოვალურ სარკესთან. შეხედა თავის ფერმკრთალ სახეს, თვალებქვეშ მკრთალ ლილისფერ ჩრდილებს, მაგრამ ამას არ აუღელვებია. დიდხანს ვერ გაუძლო უცხო მზერას და შერცხვა თავისი ორეულის: „როგორ გამოწყობილხარ, ქეთევან! რისთვის? ვისთვის? ან რა ესაქმება იქ, სადაც მიხმეს? ყველაფერი წყალსაც წაუღია!..“ შემობრუნდა, მაგიდაზე პატარა ხელჩანთასთან დადებულ პასპორტსა და უწყებას დააცქერდა: „იქნებ, მართლაც არ წავიდეს?.. სოხუმიდან შუადღემდე, ალბათ, ვერ ჩამოვლენ... მანამდე კი... ამ დილით ერთხელ კიდევ მოვა სერგი და...“

კარი გაიღო. შემოდის სერგი თვალებცეცებით, აწრიალებით, ზედმეტად საქმიანად. აშკარად გაურბის ქეთევანის თვალებს. მარცხნივ გასწია მეორე ოთახში შესასვლელად, მაგრამ მყისვე შედგა – რაღაც ეუცნაურა. მის წინ ქეთევანია, მაგრამ გამოცვლილი, სხვაგვარი. რით? ხო-ო-ო!.. წასასვლელად გამოწყობილა, მაგრამ საით? იქნებ, დაავიწყდა სერგის, რომ ქეთევანიც სამსახურშია? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას? „როგორ უხდება წინწკლებიანი ლურჯი კაბა, ფართო თეთრკანტიანი საყელოთი!.. და შეეფეთა ცოლის თვალებს. შეკრთა და შერცხვა

კიდეც... „როგორ შეცვლილა! – უფერო სახე, ჩაცვენილი თვალები, ფერგადასული ტუჩები, სილურჯე ღრმად სევდიან თვალებქვეშ... შეცვლილა და განაზებულა უფრო!“. სიბრალული იგრძნო ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ უსაზღვროდ საყვარელი ქალისადმი. მზერა შეაჩერა ოდნავ შეჭაღარავებულ წაბლისფერ თმებზე, შუაზე ორი თითის დადებაზე ბამბისებრ თეთრ თმის ზოლზე, ქალიშვილობიდან მოჰყვებოდა ქეთევანის ტალღისფერ თმებს ეს თეთრი ზოლი, რომელიც მოხდენილობას მატებდა მის სახეს.

უმზერდა სერგი ქეთევანის სახეს მსგავსად მხატვრისა, რომელმაც ეს-ეს არის დაასრულა პორტრეტის ხატვა და რაღაცით უკმაყოფილო ცდილობს, მიაგნოს ადგილს ტილოზე, რომელზეც ფუნჯის ერთი მოსმით შეძლებდა ბოლომდე შეუცნობელი სასურველი ტონი მიეცა ჩამოყალიბებული ქმნილებისათვის...

მაგრამ მხატვარი არ ცდილა რაიმეს შეცვლას!..

ქეთევანი გარეგნულად ყოველგვარი ემოციის გარეშე თვალს უსწორებდა თავის ბედსა და ბედის გაქცევას...

ბოლოს გამოერკვა სერგი. შეტრიალდა, სწრაფად გავიდა მეორე ოთახში. კარადიდან თავისი ტანსაცმელი გამოალაგა, ორ ჩემოდანში ჩააწყო, დიდ ოთახში გამოიტანა და გასასვლელ კართან ერთმანეთს მიადგა, პალტო და ლაბადა მაგიდასთან სკამის ზურგზე გადადო. შებრუნდა ოთახში, საწერი მაგიდის უჯრებიდან შეკრული საქაღალდეები, რვეულები და ჟურნალები ამოიღო და ისინიც დიდ ოთახში გამოიტანა, მაგიდაზე დააწყო. წიგნების რამდენიმე წყება კანაფით შეკრა და ჩემოდნების გვერდით დადო. ფანჯრის გვერდით შემინული კარადიდან წიგნებს დაუწყო რჩევა.

ქეთევანი კვლავ უხმოდ იდგა. ეს აღიზიანებდა სერგის და ამის მიზეზი თუ იყო, რომ კარადიდან შერჩეული ერთ-ერთი წიგნი მოსროლით დააგდო მაგიდაზე ქეთევანის ხელჩანთის გვერდით. პატარა ქაღალდი მაგიდიდან აფრიალდა და იატაკზე ფარფატით დაეშვა. სერგი დაიხარა. ქაღალდი აიღო და ის იყო

მაგიდაზე უნდა დაედო, რომ თვალწატანებით ნაბეჭდმა მიიქცია მისი ყურადღება. უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შტამპი! ალმაცერად გახედა მდუმარე ქეთევანს. დიდხანს გააჩერა მასზე გაკვირვებული მზერა, ელოდა კიდეც მის პასუხს. თუ რას ნიშნავდა ეს ქაღალდი, მაგრამ „არ ტირის, არ ხმაურობს, არ უხმობს კვლავ თავისაკენ!“ არ იცის, რატომ, მაგრამ ეს უკვე აუტანელი ხდება! ახლა კიდევ ეს უწყება უშიშროებიდან!.. თუმცა ამიერიდან მას რა, მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს უშიშროებაში დაძახება? იქიდან უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო არ გზავნიან უწყებებს ოჯახებში!

– ეს რას ნიშნავს? რისთვის გამოგიძახეს? – ქეთევანმა ოდნავ გააქნია თავი.

სერგიმ უაზროდ დაუწყო უწყებას ხელში წაღმა-უკუღმა ტრიალი. თავჩაქინდვრით, შუბლშეკრული ფიქრობს, ქეთევანისაკენ არც იხედება. დასცქერის უწყებას, მერამდენედ კითხულობს ტექსტს. გაურკვევლობა აბნევს. მღელვარება ეტყობა სახეზე. ამას ამჩნევს ქეთევანი.

– გინდა მე წავალ შენს მაგივრად?

წარბებს შუა ნაოჭი გაუღრმავდა ქეთევანს, ნიკაპი აუთრთოლდა.

– კი, კი! მე წავალ, შენ დარჩი... დარჩი... – ჩქარ-ჩქარა ამბობს სერგი იმის გაფიქრებით, რომ ქეთევანის სახის შეცვლა უშიშროებაში მისვლისაგან თავის დახსნის დაიმედებამ გამოიწვია.

– იქ ვინ მიგიწვია, სერგი? დღეს შენ... სხვაგან გელიან... – ძლივს გასაგონად ამბობს ქეთევანი, – და ჩემს ამბებთან რაღა გესაქმება? – წამით თვალი დაატანა სკამებზე გადაკიდებულ სერგის ტანსაცმელს, კარებთან ჩემოდნებსა და წიგნების შეკვრას. მიუახლოვდა სერგის, უხმოდ გამოაცურა მისი თითებიდან უწყება და პასპორტთან ერთად ხელჩანთაში ჩადო.

სერგიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ქეთევანმა დივანზე პალტოსა და ბერეტს წამოავლო ხელი და იმის შიშით, არ ავტირდეო, სწრაფად გავიდა ოთახიდან.

* * *

ქეთევან დათიძის გამოცხადების შესახებ განყოფილების უფროსს მორიგე ოფიცერმა მოახსენა.

კარის პირდაპირ ძველებური ორნამენტებით შემკული მასიური წაბლისფერი მაგიდაა რამდენიმე ტელეფონითა და საწერი მოწყობილობით, ერთმანეთზე დაწყობილი სქელტანიანი საქაღალდეებით. სავარძლის მარცხნივ, კედელთან, წიგნების კარადაში ერთ მხარეს თაროებზე წიგნებია ჩამწკრივებული, მეორე მხარეს კი – ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი საქაღალდეები. იქვე, კედელში, ღრმად ჩასმული დიდი თარო – უჯრებიანი კარადა. უჯრები ანბანურადაა განლაგებული. მათში საქაღალდეები – „საქმეები“ აწყვია, რომელთა ყუებზე ზემოთ სარეგისტრაციო ნომრები, ქვემოთ კი გვარის პირველი სამი ასოა პატარა თეთრ ოთკუთხა ქაღალდებზე მიწერილი. სავარძლის მარჯვნივ კუთხეში მრავალსაკეტიანი ფოლადისფერი მასიური სეიფი დგას. კაბინეტის შუაში ძველებურ მაგიდასთან სიგრძივ მიდგმულია გრძელი მაგიდა შემოწყობილი სკამებით. მაგრამ, ალბათ, პირველი, რაც თვალში ხვდება აქ შემოსულ ადამიანს, განყოფილების უფროსის სავარძლის ზემოთ, კედელზე დაკიდებული მოზრდილი პორტრეტია „ჩეკისტთა“ კერპის ფელიქს ძერჟინსკისა, გამოსახული მუქ ფონზე მუქ კიტელში ნახევრად ანფასით. პორტრეტზე არაფერს ამბობს მეორეული სიმელოტის გამო კიდევ უფრო ამაღლებული შუბლი, გამხდარი სახე, ერთ დროს პარტიისა და ქვეყნის ბევრი ლიდერისათვის მოდად ქცეული მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები და ნიკაპზე წამოზრდილი წვერები. მეტყველებენ მხოლოდ თქვენკენ, თუ საითღაც თქვენ ზემოთ გაელმებით მზირალი სუსხიანი თვალები და წარბებს ზემოთ აღარული ხშირი ნაოჭები. კარიდან მარჯვნივ კედელზე ფართო დივანის ზემოთ გადმოხრილ ჩარჩოში სურათია: „ლენინი კითხულობს „პრავდას“. მარცხნიდან დიდ ფანჯრებში დღის შუქი შემოდის. კაბინეტი განახლებული ჩანდა. პარკეტი ქარვისფრად, ჭერი თეთრად, კედლები კი კაკაოსფრად ბზინავდა.

მორიგე ოფიცერი კაბინეტიდან გამოვიდა და მისაღებში მომლოდინე ქეთევანს მიმართა:

– შებრძანდით!

კარშივე შედგა. არ ელოდა, რომ ასეთი საზეიმო იერის კაბინეტში მოხვდებოდა. პირდაპირ მაგიდასთან, სავარძელში ტანსრული ხნიერი პოლკოვნიკი ქაღალდებს ათვალიერებს. მის მარცხნივ მდგარ ახალგაზრდა კაპიტანს ხელში გადაშლილი საქაღალდე უკავია და წინწახრილი წყნარად პასუხობს განყოფილების უფროსის შეკითხვაზე.

ქეთევანის დანახვისთანავე პოლკოვნიკი წამოდგა და სიტყვებით: „მობრძანდით, მობრძანდით, ქალბატონო!“ მისკენ წამოვიდა, შეეგება, თავაზიანად ხელი ჩამოართვა, თავისი მაგიდისაკენ მიიწვია, მიდგმული მაგიდიდან სკამი გამოსწია: „დაბრძანდითო!“ სავარძელში რომ ჩაეშვა, უხმოდ გაუშვირა ხელი კაპიტანს, გაშლილი საქაღალდე გამოართვა, წინ დაიდო და ფურცლებს თვალიერება დაუწყო. გუმანით მიხვდა ქეთევანი, რომ ეს საქაღალდე როგორღაც აქ მის დაბარებასთან არის დაკავშირებული. ისედაც აფორიაქებულს, აღელვება უფრო მიეძალა, როცა პოლკოვნიკმა თავი აიღო საქაღალდიდან და ორჯერ გამოიხედა მისკენ. „რას ელოდება, რატომ არ ამბობს, რისთვის ვარ აქ?“ და თვალი რომ აერიდებინა პოლკოვნიკის მზერისათვის, ოთახში მიმოიხედა, გული გაკენწლა იმის გაფიქრებამ, რომ რაც ამ შენობაში შემოდგა ფეხი და შეუცნობელის გაგების მოლოდინშია, თითქოს არც გახსენებია თავისი დღევანდელი ყოფა: „სერგიმ, ალბათ, მოხვეტა უკვე თავისი ნივთები და საბოლოოდ მიიხურა კიდეც კარი!..“ უნებურად სუსტი კვნესა აღმოხდა და ის იყო, სერგის არსებობასთან მოუცილებლად შენივთებულ გრძნობა-ტკივილებში კვლავ უნდა ჩანთქმულიყო, რომ პოლკოვნიკის ხმამ მაფხიზლებელ ზარად დარეკა:

– ქალბატონი ქეთევანი, ქეთევანი ხომ? – თითქოს ეჭვობდა და სურდა ქეთევანის სახელის დაზუსტებას. ამით ხაზიც გაუსვა სურვილს, მიენიშნებინა სტუმრისათვის, რომ მასპინძელი მზადაა შინაურული საუბრისათვის.

– რა-ა? რა-ა-ა?.. – მალე გამოერკვა ქეთევანი, მიხვდა, რას ეკითხებოდნენ და დაუდასტურა: – დიახ!

– ქალბატონო ქეთევან! – მორბილებული ტონით მიმართავს პოლკოვნიკი, – თქვენ, ალბათ, ხვდებით, რის გამოც მოგვიხდა თქვენი შეწუხება, – ხელში საქაღალდიდან აღებული ნაბეჭდი პრიალა ფურცელი უკავია. ქეთევანი დაღლილი თვალებით შეჰყურებს მის წინ მჯდომ ფორმიან კაცს, მხრებს ოდნავ იწურავს და უარის ნიშნად თავს აქეთ-იქით აქნევს.

არ იცის ქეთევანმა, მიახლოებითაც ვერ ხვდება რა არის მისი აქ გამოძახების მიზეზი... და ახლა, როცა მისგან დასტურს მოელიან, გაღიზიანებითა და გულისწყრომით პასუხობს:

– არ ვიცი, ბატონო, არა! ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ!..

გაღიზიანება სახეზედაც დაეტყო ქეთევანს.

პოლკოვნიკმა კაპიტანს ახედა, მან კი გაკვირვების ნიშნად ტუჩები მოწკურა და წარბები აზიდა.

„ნეტავ, რას ფიქრობს ახლა ეს ქალი? ნუთუ ეშმაკობს და არ უნდა მაგრძნობინოს, რომ ხვდება, რაზედაც მოგვიწევს საუბარი? კი მაგრამ... რა უადგილო კეკლუცობაა!.. ისე კი, რარიგ უხდება ფერმკრთალ სახეს წარბებშუა მკრთალი ღარ-ჩრდილები და თმის ვიწრო თეთრი ზოლი უკან გადავარცხნილ თმებში!.. ლურჯი ბერეტი ნახევრად ფარავდა თმებს და კარგად მოჩანდა შუბლის ზემოთ შუაში თმის სითეთრე.

ქეთევანს მოუთმენლობა იპყრობს, პოლკოვნიკის შეყოვნებებითი ლაპარაკი სულ უფრო ანერვიულებს და ეს რომ შეუმჩნეველი დარჩეს, მაგიდაზე ხელებს შორის მოქცეული ხელჩანთის საკეტზე თითებს ათამაშებს. პირიქით კი ხდება – გამოცდილი „ჩეკისტი“ ადვილად ამჩნევს ქალის მღელვარებას.

– თქვენ იცით, რომ პარტიამ მკაცრად დაგმო წარსულის მძიმე შეცდომები და მისი ნებით ბევრი რეპრესირებული ახლა რეაბილიტირებულია...

„რატომ მიკითხავს ამ ლექციას? ამისთვის მომიხმო აქ?.. რა კავშირი აქვს ამ ამბებს ჩემთან?.. ბაბუაჩემის ძმა დახვრიტეს ოცდაჩვიდმეტში, მაგრამ მის ოჯახს რატომ არ მიაკითხეს... მე რა

შუაში ვარ?! ან იქნებ, დედის ბიძაზე დამიბარეს, მაგრამ მასაც ხომ დარჩა ოჯახი,“ – გონებაამღვრეული ფიქრობს ქეთევანი.

– მე ძნელი მისია დამეკისრა, ქალბატონო ქეთევან, – რაც შეიძლება კეთილგანწყობილი ტონით, აუჩქარებლად, წყნარად აგრძელებს პოლკოვნიკი, – ძნელი მისიაა, მაგრამ თქვენთვის, ალბათ, მცირედად მაინც გარკვეული შვების მომტანი...

„რატომ ეცვალა ხმა და შეპარვით ლაპარაკობს?“ – შეშფოთდა ქეთევანი.

– სამსახური მავალებს, უშუალოდ გაცნობოთ, რომ...

„რა საძნელო სათქმელი უნდა ჰქონდეს?!“ – უკვე შეძრწუნებულია ქეთევანის მთელი არსება.

– ... გამართლებული და რეაბილიტირებულია მასობრივ რეპრესიებში მოყოლილი... 1937 წლის ივნისში დახვრეტილი... – ამ სიტყვებთან შეყოვნდა პოლკოვნიკი.

„საბრალო! საბრალო!.. საცოდავი მისი ოჯახი!.. კი, მაგრამ მე რატომ მიყვება ამ საშინელებას?..“

და დენის უეცარი, დაუნდობელი დარტყმით, გამანადგურებელი ძალით შეიჭრა ქეთევანის ცნობიერებაში მომაკვდინებლად შემზარავი სიტყვები:

– ... თქვენი მეუღლე დათიძე სერგი...

გულზე დაძგერებული ტკივილი მყისიერი და საზარელი იყო. ქეთევანი ჩაქრა და ჩამოიღვენთა. კაპიტანმა ისღა მოასწრო, სკამიდან გადმოვარდნილი ქალისათვის ხელები შეეშველებინა. მოვარდა სავარძლიდან წამომხტარი პოლკოვნიკიც. ქეთევანი კედელთან მდგარ დივანზე დააწვინეს და მდივან-მემანქანეს მოუხმეს საშველად. გონზე ვერ მოიყვანეს.

– სწრაფად ექიმი! – ბრძანა პოლკოვნიკმა. შიდა ტელეფონით კაპიტანმა ექიმი გამოიძახა კომიტეტის სამედიცინო პუნქტიდან. ძირს დავარდნილი ბერეტი აიღო და დივანზე ქეთევანის თავთან დადო.

გაფითრებული სახე უძრავად იყო. ტუჩებთან კანს სილურჯე შეპარვია. ექიმმა ქალმა მკლავში ნემსი გაუკეთა, თითებით ყუ-

რის ბიბილოები დაუსრისა, ექთანს ფანჯრები გამოაღებინა. ნაქსოვი თხელი საბანი მოატანინა და ქეთევანს დაახურა.

ქუთუთოები შეარხია და ამოისუნთქა, რაც გაბმულ კვნესას უფრო ჰგავდა. სიცოცხლე დაუბრუნდა, მაგრამ გონზე კიდევ ვერ მოსულიყო.

თვალები ნელა გაახილა. შეხედა მასთან დივანზე მჯდომ თეთრხალათიან ქალს კისერზე გადმოკიდებული ფონენდოსკოპით. იქვე, მეორე თეთრხალათიანია, ცოტა უკან ფორმიანი მამაკაცები დგანან. მზერა მათზე შეაჩერა, რაღაც მოაგონდა და კანკალმა აიტანა. დაიკვნესა გაბმულად, ხმამილეულად, წამოწევაც სცადა, მაგრამ ექიმის ხელებმა არ დაანებეს:

– ჯერ უნდა იწვეთ. ცოტა გულმა გიმტყუნათ. ახლა არა გიშავთ.

ეს სიტყვები ვერც აღიქვა ქეთევანმა.

ნელ-ნელა იკრებს აზრებს, მაგრამ დღევანდელობისაკენ არ იხედება. გონება სიღრმისაკენ მიიწევს, წარსული დანისლულ კუნჭულებში იჩხრიკება, დროთა სვლისაგან გაცრეცილ სურათებს ეძებს. პოულობს, ზოგჯერ ჰკარგავს მათ და კვლავ პოულობს, შემდეგ ძნელად და ტანჯვით მოიწევს აქეთ. ქეთევანი გრძნობს, რომ იქ იყო, შორს, და მოდის იმ სიშორიდან, იმ წლებიდან, შვილები პატარები რომ იყვნენ... ხან ჩნდება და ხან ქრება სერგის სახე, ეკარგება და ძლივს პოულობს... ეს აწამებს ქეთევანს, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს და თავს დამდგარ ლანდებში ელოდება ამდენი ტკივილის პასუხს... თუმცა არც იცის, აქ რამ მოიყვანა და რატომ არის ამ ფორმიან ხალხთან...

პოლკოვნიკი ეუბნება კაპიტანს:

– დროებით ვწყვეტ მიღებას. გადაეცით ეს მორიგე ოფიცერს და ქეთევანს მიუახლოვდა, მისკენ დაიხარა:

– ორიოდე წუთით და კვლავ კარგად იქნებით, ქალბატონო! დიდხანს უყურა ამ ფორმიან კაცს დაჟინებით, თითქმის გამომწვევად.

პოლკოვნიკი შეიშმუნა, რაღაცის თქმა დააპირა, რომ ქეთევანმა დამარცვლით, ხმადახშულად, მაგრამ მკაფიოდ წარმოსთქვა:

– ცოც-ხა-ლი-ა... ჩემი სერგი...

– ქალბატონო ქეთევან!..

– ჩე-მი ქმა-რი ცოც-ხა-ლი-ა!.. – მკვეთრად და ნიშნის მოგებითაც წამოიძახა, მაგრამ უცებ მოვარდნილმა შიშმა თვალები გაუფართოვა. წამით გაინაბა ქეთევანი, მაგრამ მალევე გამოერკვა და, უთუოდ დაიმედებული, რომ საფრთხეს დიდი ხანია გაევლო, იმეორებს:

– ცოცხალია ჩემი ქმარი... სერგი დათიძე!

პოლკოვნიკმა თანაგრძნობით შეხედა:

– დამშვიდდით, დამშვიდდით... თქვენი მღელვარება არ შეიძლება, ქალბატონო!

ექიმი დაბნეულია, ხან პოლკოვნიკს უყურებს, ხან კაპიტანს.

კაპიტანი ექიმისაკენ დაიხარა. ჩაუჩურჩულა:

– მისი ქმარი ოცი წლის წინ დახვრიტეს. ახლა რეაბილიტაციის შესახებ ვაცნობეთ და აი, ხედავთ?

ქეთევანი შეეცადა მაგიდასთან მისულიყო. ძალა არ ეყო. ექიმი შეეშველა. სკამზე დასვა. პოლკოვნიკიც თავის სავარძელს დაუბრუნდა – რაღაც უნდა იღონოს, მთელ სამუშაო დღეს ამ ერთ ქალს ხომ არ მოანდომებს!

– რა თქმა უნდა, თქვენი ქმარი მუდამ იქნება თქვენთან, თქვენს ხსოვნაში, როგორც ცოცხალი, – ამბობს პოლკოვნიკი, – მაგრამ, ქალბატონო, თქვენთვის და ჩვენთვისაც დიდად სამწუხაროდ, მომხდარს ვერ შევცვლით. თქვენ ხომ იმთავითვე იცოდით თქვენი ქმრის... ბედის შესახებ, როგორც ბევრმა სხვამ თავის ახლობელზე... დღეს უკვე, ვფიქრობ, და გთხოვთ, გამიგოთ, ასეთი ტრაგიკული არ უნდა ყოფილიყო... ოცი წლის წინანდელი...

– ჩემი ქმარი – სერგი დათიძე ცოცხალია, ცოც-ხა-ლი! – სხეულის ცახცახითა და თითქმის ისტერიულად, ხმამაღლა თავისას არ იშლის ქეთევანი.

– ეცადეთ დაწყნარდეთ!.. – წამოდგა განყოფილების უფროსი, სავარძლის უკან დადგა, მის ზურგს დაეყრდნო იდაყვებით. აცრემლებული ქალი მაქმანიანი თეთრი ცხვირსახოცით თვა-

ლებს წამდაუწუმ იმშრალებს, ცრემლთა დენას კი ვერ აკავებს, – ქალბატონო ქეთევან, როგორმე ეცადეთ, ეცადეთ... – მაგრამ გაოცებამ სიტყვა გაუყინა ბაგეზე...

შესამჩნევი ცვლილებაა ამ ქალის სახეზე, სხვაგვარად მოჩანს იგი, რაღაც ადრინდელი გაუქრა და ახალი შეეძინა მის იერს. მაგრამ რა? ანდა რა დროს მოხდა ეს ცვლილება? დაჟინებით ცდილობს პოლკოვნიკი ახსნას თავისი გაოცების მიზეზი და... უცებ! სადღაა თეთრი თმის ზოლი წაბლისფერ თმებს შუა! წაშლილია ამ ფერთა ზღვარი! მის წინ მდუღარედ იცრემლება მანდილოსანი, სადად გადავარცხნილი, ტალღებად ნაფენი თოვლისებრი თეთრი თმებით!

რა არ უნახავს ძველ „ჩეკისტს“ ცხოვრებაში, რამდენი ათეული, ასეული კაცისა თუ ქალის ბედი გადატრიალებულა მის თვალწინ წამიერად! უნახავს ერთ ღამეში თმაგათეთრებული ადამიანებიც, როცა მათ ბოლო ზღვრამდე, ბეტონის ნესტიანი სარდაფის მღვრიე კედელთან ნაგანიანი ან მაუზერიანი ხელი მიაცილებდა... მაგრამ არ აგონდება ასე უცებ, რამდენიმე წუთის მანძილზე მომხდარი ამგვარი ფერისცვალება!

ქეთევანმა ოდნავ დაიოკა ტირილი. უყურებს მასზე მიშტერებული პოლკოვნიკის თვალებს, ექიმისა და კაპიტნის გახედვგამოხედვას და ხვდება, რომ არ სჯერათ მისი: „შეშლილად მთვლიან, შეშლილად!.. მე მართლაც შევიშლები, შევიშლები, თუ...“

– ცოცხალია სერგი დათიძე, ჩემი ქმარი! ცოცხალია! თქვენ ის ვერ მომიკალით! გინდოდათ და ვერ მომიკალით!..

– ქალბატონო!..

– არა! არა! მადროვეთ! თქვენ უნდა ამიხსნათ, რისთვის დაგჭირდათ ჩემთვის ამ საწამებლის შეთხზვა? რატომ მაშინებთ? რა გსურთ? თქვით პირდაპირ... უარესს რაღას მეტყვით!..

– ქალბატონო ქეთევან! სამწუხაროდ, სხვა სათქმელი ჩვენ...

– არა! – აწყვეტინებს სიტყვას პოლკოვნიკს, – აქეთ რომ მოვდიოდი, ქმარი შინ დავტოვე... – რამდენი რამ თქვა ქეთევანმა ამ

სიტყვებით და რამდენი არა! – არ გჯერათ ხომ? – თითქმის ყვირის ბუნებით მშვიდი ქეთევანი, – დამარეკინეთ ტელეფონით, მასთან დაგალაპარაკებთ... თუმცა... თუმცა ახლა უკვე შინ არ არის... წასული იქნება... – ძლივს გამოთქვა ბოლო სიტყვები.

ქეთევანის ამოჩემებულმა სიტყვებმა და იქნებ, უფრო სარწმუნო არგუმენტმა – მის თვალწინ გათეთრებულმა თმებმა სრულიად აუხსნელი ეჭვის ნატამალი გაუჩინა უშიშროების პოლკოვნიკს.

– კარგი, ქალბატონო, კარგი! ოღონდ დამშვიდდით. შევეცდებით ყველაფერი გამოვარკვიოთ და დავაზუსტოთ, მაგრამ, ალბათ, უფრო ჩვენთვის... ცოტა გვადროვოთ უნდა. ახლავე გავცემ სათანადო განკარგულებას:

– კაპიტანო! – მიუბრუნდა ქვეშევრდომს, – დაუყოვნებლივ დააზუსტეთ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საქმიანობის ყველა რგოლში მონაცემები სერგი დათიძეზე: პირადი, ოჯახური და ასე შემდეგ! თვითონ იცით.

კაპიტანი დათიძის „საქმით“ ხელში მისაღებ ოთახში გავიდა. შეაწყვეტინა მუშაობა მდივან მემანქანეს და მორიგე ოფიცერს უბრძანა, მისაღებში არავინ მიეღო. ტელეფონით დაუკავშირდა მილიციის რაიონული განყოფილების შესაბამის საპასპორტო მაგიდას, სახლმმართველობას, სამხედრო კომისარიატს, ქალაქის სამისამართო ბიუროს, ქეთევანის სამსახურს. მათ მიეთითათ, რომ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში ტელეფონით დაუყოვნებლივ გადმოეცათ სრული მონაცემები სერგი დათიძეზე. რამდენიმე წუთის შემდეგ უკიდურესად გაკვირვებული კაპიტანი გამალებით იწერს ერთმანეთის მიყოლებით გადმოცემულ ტელეფონოგრამებს „1905 წელს დაბადებულ და 1937 წელს დახვრეტილ“ სერგი დათიძეზე: 1930 წლიდან დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს თბილისში ამა და ამ მისამართზე; მეუღლე ქეთევან დათიძე კულტურის სამინისტროს მუშაკია; ქალიშვილი ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს სოხუმში; ვაჟი სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის ბალტიისპირეთში; თვით სერგი

დათიძე კი მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში – დღეს სამსახურში არ გამოცხადებულა; დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ტელეფონოგრამებში კიდევ რამდენი მონაცემია, მაგრამ უკვე ნაკლებ მნიშვნელოვანი.

სერგი დათიძის „საქმითა“ და ტელეფონოგრამებით შევსებული ფურცლით კაბინეტში მოუთმენელი ნაბიჯით შემოდის კაპიტანი. ქეთევანი მაგიდას მოსცილებია და დივანზე მოთავსებულა ექიმთან ერთად. მუხლებზე ხელჩანთა უდევს, მუჭში ცხვირსახოცი ჩაუჭერია. კაპიტნის შემოსვლისას სტუმარ-მასპინძელმა საუბარი შეწყვიტა. კაპიტანი დაჟინებით უცქერს ქეთევანს და ისე, რომ ნაბიჯი არ შეუნელებია, ოდნავ თავს უქნევს, თითქოს პირველად ხედავს და ესალმებაო.

უფროსს წინ დაუდო დათიძის „საქმე“, ხელში კი მისცა ტელეფონოგრამებიანი ფურცელი, თან ჩურჩულით მოახსენა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო! ქეთევან დათიძეს უნდა დავუჯეროთ – სიმართლეს გვეუბნება...

პოლკოვნიკმა ახედა კაპიტანს, სათვალეები მოიმარჯვა და ტელეფონოგრამების გაცნობას შეუდგა. ბოლომდე არც წაუკითხავს, წამოდგა აღელვებული და დაბნეული.

– ქალბატონო ქეთევან! მე არ ვიცი, რა არის ეს, რა ჰქვია ამას, როგორ მოხდა, ბოლოს და ბოლოს რომ... სიტყვებიც ვერ მომიძებნია... დიდად, დიდად მოხარული ვარ, რომ თურმე მართლაც ვცდებოდით – მივიდა, ხელი ჩამოართვა, – თქვენი ქმარი რომ ცოცხალია – ეს არის ახლა უმთავრესი... შეცდომა უნდა გვაპატიოთ!

ქეთევანმა გაღიმება ვერ შეძლო:

– რომელი? რომელი შეცდომა?

– საიდან გაჩნდა ბრალდება თქვენს მეუღლეზე, რომლის ძალითაც 1937 წელს იგი... რის გამოც იგი უნდა...

– წინ რომ ქაღალდები გიდევთ, ვითომ შიგ არ არის ამის შესახებ?

– პატიებას გთხოვთ, აღარ ვიცი, რა და როგორ გითხრათ... ახლა ამაზე რამე გარკვეულის თქმა არ შემიძლია... ისე კი ცხადი

უნდა იყოს, იმ დროს მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი, ჩემთვის ჯერ აუხსნელი და, სიმართლე გითხრათ, ფანტასტიკურიც, რის შედეგადაც დაღუპვას გადაურჩა თქვენი მეუღლე...

– მთელი ჩემი ოჯახიც, – ნაღვლიანად შეაგება სათქმელი ქეთევანმა.

– რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა... აქ, ჩვენს უწყებაში ვიღაცამ, ეს ჩემთვის ეჭვს გარეშეა, დაუშვა უნებლიე შეცდომა და, როგორც არ უნდა იყოს, ამ შეცდომისა და მისი ჩამდენის მადლიერი უნდა დარჩეთ, როგორც მგონია...

– უნდა ვუმადლოდე შემთხვევითობას, უნებლიეს... და არა იმ ადამიანს.

– ქალბატონო ქეთევან! რაც არ უნდა ვთქვათ, ბედნიერად შეგიძლიათ თავი ჩათვალოთ და მეც მოხარული ვარ, რომ ასე კეთილად მთავრდება ჩვენი უცნაური შეხვედრა. თუ ექიმი ნებას გვრთავს, მე ვთხოვ მას, ჩემი მანქანით შინ მიგაცილოთ.

ექიმმა ქეთევანს მაჯა გაუსინჯა:

– გული უკეთ უცემს, თუმცა პულსი ზედმეტად ჩქარია, მცირე ამოვარდნებით. ქალბატონი ისევ მღელვარებს. უმჯობესია, თუ ოცდაათი-ორმოცი წუთით მოიცდის, თუნდაც მისაღებში. ნემსს კიდევ გავუკეთებდი.

– ასე იყოს! და მე და ქალბატონი ქეთევანი კეთილ ნაცნობებად დავცილდებით ერთმანეთს.

– არა, ამხანაგო პოლკოვნიკო! ჯერ არა! – პოლკოვნიკმა გაკვირვება ხელების გაშლით გამოხატა, – თქვენ უნდა მითხრათ, რაში ადანაშაულებდნენ ჩემს ქმარს, რის გამოც... რის გამოც... – ქეთევანს ხმა გაუწყდა, – და უნდა გამარკვიოთ, რა მოხდა ისეთი, რამაც იგი გადაარჩინა. მანამდე აქედან ვერ წავალ... მგონი, მაქვს ამის მოთხოვნის უფლება.

– კი მაგრამ... ნუთუ ღირს უკვე ყველაფერი ამის შემდეგ...

– სხვაგვარად მცირე სიმშვიდესაც ვერ ვიპოვებ. ჩემი ქმარიც ვერ მოისვენებს ამ კითხვებზე პასუხის მიუღებლად. ამიტომ გთხოვთ... – მცირე ხნით ჩაფიქრდა პოლკოვნიკი. ბოლოს უხალისოდ თქვა:

– უკან დასახევს აღარ მიტოვებთ. კარგი, გეტყვით, – გადაშალა „საქმე“, რამდენჯერმე გადაფურცლ-გადმოფურცლა, – აი, აქ წერია: „მოლითისა და ხიდისთავის სარკინიგზო კატასტროფების მოწყობაში მონაწილეობისათვის...“ დღეს კი ჩვენთვის ცნობილია, რომ მოლითთან და ხიდისთავთან მომხდარი სარკინიგზო კატასტროფები მავნებლური დივერსიების შედეგი არ ყოფილა და არც ვინმე გეგმავდა ამას...

ქეთევანი პოლკოვნიკის მაგიდასთან მივიდა და, როგორც ამ მცირე ხნის წინ, მის პირდაპირ მიდგმული მაგიდიდან გამოწეულ სკამზე დაჯდა.

– მაჩვენეთ, იქნებ თვითონ... – თვალებით „საქმეზე“ მიანიშნა.

– ქალბატონო ქეთევან! ეს უკვე ყოვლად დაუშვებელია! ისედაც... მე დღესვე უნდა მოვახსენო კომიტეტის თავმჯდომარეს თქვენი მეუღლის უჩვეულო საქმის შესახებ. ნუ მთხოვთ შეუძლებელს!

– მაჩვენეთ რეაბილიტაციის ფურცელი მაინც.

– ინებეთ! – უპასუხა შეყოვნების შემდეგ და მიაწოდა პრიალა ფურცელი შუაში ზემოთ წითლად მიბეჭდილი სახელმწიფო გერბით, მარცხნივ ოთხკუთხა საკანცელარიო შტამპით, რამდენიმე სტრიქონიანი ნაბეჭდი ტექსტით, დაბლა კი – შავად მკაფიოდ გამოყვანილი გენერლის ფაქსიმილეთი. ქეთევანს ხელი აუკანკალდა, ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ ტექსტი ბოლომდე ჩაიკითხა, გახსნა ხელჩანთა, ქაღალდი ოთხად გაკეცა და შიგ ჩადო.

– ეს ქაღალდი თქვენ აღარ გჭირდებათ. ნუ წაიღებთ! – ქეთევანმა ხელჩანთა უფრო ახლოს მიიწია და ამით აგრძნობინა, რომ არაფრით არ სურს ბედისწერის მოციქული საბუთის დათმობა. პოლკოვნიკი მის ნებას დაჰყვა.

ოპერატიულ მუშაკთა ოთახში პოლკოვნიკი ნახევარ საათზე მეტია ესაუბრება საარქივო განყოფილების უფროსს და უწყების ორ ვეტერანს, რომლებიც ოცდაათიან წლებში აქ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატში, მუშაობდნენ, ბევრის მხილველნი, მომსწრენი და მონაწილენი იყვ-

ნენ, მათი დახმარებით სურს სამმართველოს უფროსს როგორმე მიახლოებით მაინც ჩასწვდეს ოცი წლის წინანდელი ფანტასტიკური შემთხვევის საიდუმლოს...

* * *

თვეზე მეტია, რაც ეს შენობა გაღიზიანებული კრაზანების ბუდეს დაემსგავსა. დიდი გაწამაწიაა, შეუჩერებელი მოძრაობაა დერეფნებში, სართულიდან სართულზე, მაგრამ „კრაზანების ბზუილი“ ნაკლებად ისმის – ყველაფერი გამიზნულად, სწრაფად და ზედმეტი ფუსფუსის გარეშე ხდება, თუმცა სიწყნარე აქ არასოდეს ყოფილა. შინსახკომის ფორმაში გამოწყობილთ ოთახიდან ოთახში გამოჰყავთ და შეჰყავთ შიშისაგან დამფრთხალი, ფერდაკარგული ადამიანები. დაბლა სარდაფებია რამდენიმე სართულად. ჩასასვლელად მიხვეულ-მოხვეული ქვის ვიწრო კიბეებია. დერეფნებიც ვიწროა და ნესტიანი, ორივე მხარეს რკინის კარებიან საკნებით. აქ სხედან ადამიანები მძიმე ხვედრის მოლოდინში: თვეები, კვირეები, დღეები, ზოგჯერ კი – მხოლოდ რამდენიმე საათი... აქედან ისე ახლოსაა უკანასკნელი ყრუ კედელი!..

ამ ადამიანთა ბედს ზემოთ, ნათელ ოთახებში წყვეტენ... წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით დამთავრდა რამდენიმე ათეული ადამიანის „საქმეთა შედგენა“. დარჩა მხოლოდ საბოლოო დასკვნის – განაჩენის გამოტანა. მთავარი სამეული გააკეთებს ამას.

პირველ პირს სამეულიდან მოწიწებით წინ უდებენ გადაშლილ „საქმეებს“, მოკლედ მოახსენებენ ვისზეა „საქმე“ შედგენილი და რა ბრალდება აქვს წაყენებული. ბევრი ამ „საქმიდან“ მისთვის კარგად არის ცნობილი – ისინი ხომ მისი კარნახითაც არის შედგენილი.

სათანადო გრაფაში, სადაც სიტყვებია: „..სამეულის გადაწყვეტილებით მიესაჯოს“, გაკრული ხელით იწერება: „დაიხვრიტოს!“, „დაიხვრიტოს!“, „დაიხვრიტოს!“; „გადასახლება 10 წლით!“ და იქვე მინაწერი: „მიმოწერის შეზღუდული უფლებით!“.

ზოგჯერ კი:„მიმოწერის უფლების გარეშე!“, მაგრამ ეს ნიშნავდა იმავეს: „დაიხვრიტოს!“ პირველის შემდეგ ხელს სამეულის მეორე და მესამე პირიც აწერს. ოცამდე „საქმე“ სქელტანიან საქაღალდეებში იყო ჩაკრული. ისინი, უთუოდ, დამნაშავეთაგან უპირველესნი იყვნენ. ოცდაათამდე სხვა „საქმეში“ პირველ პირს მხოლოდ ხელმოწერა შეჰქონდა განაჩენისა და მინაწერის გარეშე. განაჩენს პირველი პირის წასვლის შემდეგ ჩაწერენ...

– ამ ცხრამეტის ლიკვიდაცია ამაღამ უნდა მოხდეს. დანარჩენ ოცდაათს ამაღამვე აპატიმრებთ და მათგან სალიკვიდაციონნი – მაშინვე კედელთან! მაგრამ მათი „საქმეები“ დღესვე არქივში. ხვალ და შემდეგ არ გეცლებათ ამისათვის – ახალი სამუშაო გელით... ყველა ამ საქმეს დღესვე გაუკეთეთ საბოლოო გრიფი საარქივოდ!.. შემდგომისათვის ახალ განკარგულებას მიიღებთ.

წავიდა პირველი. დარჩენილმა ორმა რამდენიმე „ჩეკისტი“ დაიხმარა ტექნიკური საქმის შესასრულებლად. ჯვარედინად მიდგმულ მაგიდაზე მაიორს წინ უდევს იმ ღამეს „სალიკვიდაციო“ ცხრამეტის „საქმეები“. სათითაოდ ხსნის მათ და დიდ დაგრაფულ ჟურნალში შეაქვს მისჯილის ძირითადი საანკეტო მონაცემები. ამ სიის მიხედვით საგანგებო შეტყობინებები უნდა დაეგზავნოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მისჯილების – „ხალხის მტრების“ ოჯახების მიმართ გარკვეული ღონისძიებების გასატარებლად. ცხრამეტის „საქმეები“ გამზადდა კედელში ჩადგმული კარადის თარო-უჯრებში მოსათავსებლად.

მაიორის წინ ახალი „საქმეები“ ეწყობა. სამეულის მეორე და მესამე წევრს – ამ კაბინეტის პატრონსა და რესპუბლიკის კიდევ ერთ თანამდებობის პირს, განაჩენი წინასწარ გამოაქვთ იმ ღამეს დასაპატიმრებელთათვის. მაიორი საქაღალდეებს ორ დასტად ახარისხებს: პირველ დასტაში დახვრეტამისჯილთა „საქმეებია“: მეორე, გაცილებით მცირე დასტაში – გადასახლებულებისა.

– დაიხვრიტოს! – ამბობს ერთი.

– რა თქმა უნდა! – მშვიდად პასუხობს მეორე. ან:

– Отправить к праотцам![1]

---

[1] გავგზავნოთ წინაპრებთან! (რუს.).

– Да, да, безусловно![1] – ასრულებენ წარბშეუხრელად და ჩნდება მათი ხელმოწერები პირველის ხელმოწერის ქვემოთ. ცოტა ვინმეს ხვდა ბედად: „მიმოწერის შეზღუდული უფლება“.

– ეს ქალბატონი ანტისაბჭოთა პროპაგანდაში გვყავს მხილებული. ათი წელი, თუ...

– Оставить десять![2]

– ეს ბეხრეკი ძველი მენშევიკია. სხვა არაფერი გვიწერია მის საწინააღმდეგოდ. რას იტყვით ხუთ წელზე?

– ცოტა არ არის? ისე კი, ეს რომ იქიდან დაბრუნდება!.. – და ჩაიხითხითა, – იყოს ხუთი.

– მტრულ დაჯგუფებასთან ახლო ურთიერთობისათვის – დაიხვრიტოს!

– დიდი ოდენობით სოციალისტური ქონების მითვისებისათვის – ესეც!

– მოლითისა და ხიდისთავის სარკინიგზო კატასტროფების მოწყობაში მონაწილეობისათვის – დაიხვრიტოს!

– ცხელი ტყვია – კეფაში!

მაიორის წინ დადეს „მოლითის საქმე“ და იგი გარეკანის დიდ ნაბეჭდ ასოებს: „Дело №2...“ ზემოთ აწერს: „დახვრეტილია“ ასეთი გრიფი კეთდება უკვე დასჯილთა და წინასწარ სიკვდილმისჯილთა „საქმეებზეც“.

მაიორის შედგენილი სიიდან მის გვერდით მჯდომი კაპიტანი ცალკე პატარა ფურცლებზე იწერს ამაღამ დასაპატიმრებელთა გვარს, სახელს, მამის სახელსა და მისამართს. ამ ფურცლებით მიაკითხავენ ბინაზე გვიან ღამით შინსახკომის ოპერატიული მუშაკები... მაიორს „მოლითისა და ხიდისთავის საქმის“ მონაწილის ყველა მონაცემი შეაქვს დიდ დაგრაფულ ჟურნალში, მაგრამ ამ დროს კაბინეტში რეკავს სამთავრობო ტელეფონი. მაიორი სასწრაფო დავალებას იღებს. ბრძანების შესასრულებლად კაბინეტიდან გასვლამდე მან „საქმე“ დაკეცა და მექანიკურად გადააწოდა მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მომუშავე მე-

---

[1] კი, კი, რა თქმა უნდა! (რუს.).

[2] დავტოვოთ ათი! (რუს.).

თაურს დახვრეტილთა უჯრაში ჩასადებად. კაპიტნის ხელში ამ „საქმეს“ არ გაუვლია და ამიტომაც მონაცემები შეტყობინებათა სიაში და ცალკე ფურცელზე აღარ ხვდება!..

მაიორი მალე ბრუნდება ბრძანების შესრულების პატაკით და ჩვეულებრივ აგრძელებს თავის საქმეს – ავსებს ჟურნალს, ადგენს შეტყობინებათა სიას. რა იცის, რომ მისი უნებლიე შეცდომის წყალობით დახვრეტილად შერაცხული კაცი ცოცხალი რჩება, ყველა და ყოველგვარი სიკვდილის ჯიბრზე! მხოლოდ მისი გვარსახელი, როგორც დახვრეტილობა, იმარხება ბნელ არქივებში...

* * *

კაპიტანი მაგიდასთან ქაღალდებს ჩაჰკირკიტებს. ექიმი წყნარად საუბრობს დივანზე ზურგით მიყრდნობილ ქეთევანთან და ფიქრობს, როგორ უთხრას თმების ფერისცვალებაზე, რომ ნაკლებ მტკივნეული იყოს.

„უსაქმოდ“ დარჩენილმა ქეთევანმა გაიხსენა, რომ ამდენი დავიდარაბისა და ცრემლების შემდეგ თავისათვის არ შეუხედავს: „როგორ გამოვიყურები? სირცხვილი ხომ არ ვჭამე ამ ხალხთან?..“ ხელჩანთიდან პატარა მრგვალი სარკე ამოიღო და ვიდრე ექიმი ხმას ამოიღებდა, თვალებთან მიიტანა... შეცბა, დაიბნა. უყურებს თავის ანარეკლს სარკეში, თითებით სინჯავს თმებს, ჩემია, თუ არაო და მალევე ხვდება, რაც მოხდა. ექიმმა ქალმა ხელი შეახო ქეთევანს მხარზე:

– საწყენია ძალიან, მაგრამ გულთან არ უნდა მიიკაროთ!

შემოდის პოლკოვნიკი „საქმით“ ხელში და მიხვდა, რომ თმის ფერზე მსჯელობენ. მივიდა ქეთევანთან ახლოს და თანაგრძნობით ეუბნება:

– ქალბატონო ქეთევან! გთხოვთ, არ იღელვოთ თმის გამო... ხდება ასეთი რამ. თქვენ იმდენი განიცადეთ დღეს...

– არა! არა! ამას არ განვიცდი. რა მოსატანია ეს დღეს!

– რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! – თქვა გაურკვევლად პოლკოვნიკმა, სავარძელთან მივიდა და ჩაჯდა, – ვესაუბრე ძველ მუშაკებს. ბევრი ვეცადეთ... მერწმუნეთ, ეს შემთხვევა ჩვენც ძალიან გვაინტერესებს. მოვალეც ვართ დავადგინოთ, რა მოხდა

ოცდაჩვიდმეტში... თქვენდა საბედნიეროდ და დამიჯერეთ, ჩვენთვისაც დიდად სასიხარულოდ...

პოლკოვნიკი ცდილობს დამაჯერებლობა შემატოს თავის სიტყვებს:

– შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ: ერთი რამ უეჭველია, საბუთების დამუშავებისას მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი შემთხვევა – ყველასათვის შეუმჩნეველი შეცდომა. ხდებოდა, რომ აპატიმრებდნენ განაჩენის გამოტანის შემდეგ. „საქმეებს“ დებდნენ არქივებში და ამის შემდეგ სჯიდნენ. ეს საშინელი უკანონობა იყო, რა თქმა უნდა... სერგი დათიძის „საქმეს“ რომ განვიხილავდით სარეაბილიტაციოდ, აღმოჩნდა, რომ ხელი მოწერილი არ ჰქონდა აღიარებაზე, მაგრამ ამან არ დაგვაეჭვა, ვინაიდან, მაპატიეთ... დახვრეტილთა საქმეებშიც აღმოჩნდება ხოლმე აღიარების ფურცელი – დანაშაულის აღიარებაზე ხელმოწერის გარეშე... მაქსიმუმი, რისი თქმაც დღეს შეგვიძლია, ეს არის. უთუოდ არც მომავალში იქნება მეტის გაგების შესაძლებლობა და მინდა გავიმეორო: შინსახკომის რომელიღაც მუშაკის უნებლიე შეცდომამ გადაარჩინა სერგი დათიძე, თქვენი ოჯახი. სხვა დრო რომ ყოფილიყო, – გაღიმებით დაამთავრა განმარტება პოლკოვნიკმა, – სანთლის ანთება მოგიწევდათ ეკლესიაში... – და სიტყვა პირზე შეაშრა.

– მე მართლაც ვფიქრობ სანთლის ანთებას, განგების მიერ ჩემი ოჯახისადმი ზებუნებრივი წყალობის გამოჩენის გამო...

შეცბა პოლკოვნიკი. ერთბაშად ჟრუანტელმა დაუარა მთელ სხეულში. „სანთლის ანთება“, „განგება“, „ზებუნებრივი წყალობა“ – როგორი უცხო სიტყვებია ამ კედლებისათვის. იქნებ, არა მარტო უცხო, საშიშიც. წამიერად გაუელვა თავში, – შენიშვნა მაინც უნდა მივცე ცრურწმენისათვის... ვერ გაბედა, არ შეიმჩნია. კარებამდე მიაცილა ქეთევანი და ყოველგვარი სიკეთე უსურვა მასაც, მის მეუღლესაც, ოჯახსაც. მორიგე ოფიცერს დაავალა, მანქანით გაემგზავრებინა ქალბატონი, თან ექიმის თანხლებით.

გზაში ექიმი ქეთევანს ურჩევდა, კარდიოლოგი მოენახულებინა და ერთხანს მაინც მისი კონსულტაციით ესარგებლა.

ქეთევანი თითქმის არ უსმენდა, ფიქრობდა იმაზე, გაუმხელდა თუ არა შვილებს, რაც უშიშროებაში გადახდა თავს. მათგან სერგიც შეიტყობდა და... „არ უნდა იცოდეს სერგიმ იმ საშინელების შესახებ, თორემ ვინ იცის!.. ღმერთო, რა ცოდო ყოფილა მისი სერგი! ვინ და რატომ გაიმეტა ასე უღმერთოდ! რა ბეწვის ხიდზე უვლიათ ერთად! ერთად! ახლა? ახლა?..“

ძლივს აათავა სადარბაზოს კიბეები: „შინ არ დახვდება... რა სიცარიელეა ახლა იქ!..“ გასაღები მოიმარჯვა კარის გასაღებად, რომ შენიშნა: კარი ღრეჩოდაა და შუქიც იჭვრიტება შინიდან: „ჩამოსულან სოხუმიდან“! – გაუელვა გონებაში და შვების სიხარულმა შეარხია სახის ნაკვთები. იმპულსურად შეაღო კარი, ინერციით ორი სწრაფი ნაბიჯი წადგა წინ ოთახში და გახევდა: კიდევ რა მოულოდნელობას უმზადებს ბედი საბრალოს?

ოთახში ქეთევანის შეჭრამ ბოლთისცემისას მიუსწრო სერგის, რომელიც წამსვე შედგა და ნახევრად მობრუნებულმა შეაფეთა თვალები შემოსულს. პირველი, რაც შეეძლო გამოეხატა სერგის გამომეტყველებას, იყო მოულოდნელობა, დაბნეულობა, გაკვირვება: რა ფერმკრთალია, როგორ გათეთრებიაო სახე! ვიდრე კიდევ რაიმეს მოისაზრებდა სერგი, მასზე გაცილებით მეტად გაკვირვებულმა, სახტად დარჩენილმა ქეთევანმა, ძალადაცლილმა ძლივს მიაღწია დივანს, ნელა დაეშვა ზედ, საზურგეს მიეყრდნო და თვალები მილულა. მალევე ოდნავ გაახილა თვალები, მაგრამ მათში სიცოცხლის შუქი მილევაზე იყო – ქეთევანი გონებას კარგავდა. სერგი გამოერკვა, მაგიდაზე გრაფინს დაავლო ხელი, სიჩქარისაგან ძლივს ჩაასხა ჭიქაში წყალი. ჭიქა ტუჩებთან მიუტანა, შესძახა: რა მოგივიდაო! ერთი ყლუპი წყალი მოსვა ქეთევანმა და თვალები ისევ მილულა. წყლით დაისველა სერგიმ ხელი და ქეთევანს შუბლზე გადაუსვა... ელდა ეცა მოულოდნელობისაგან. თმის სითეთრე თითქოს ქეთევანის სახესაც ედებოდა და იგი უსიცოცხლოდაც მოეჩვენა. შეშინდა – რატომ? და ერთბაშად ხვდება თავისი გაკვირვებისა და დაბნეულობის მიზეზს, როცა ქეთევანმა ოთახში შემოაბიჯა. ხედავს ქეთევანის ერთიანად თეთრ თმებს და ამ ქალისადმი

სიბრალულმა ერთბაშად გული მოულბო. ბერეტი ფრთხილად მოხადა. თმათა სპეტაკი ტალღები დაჰფენოდა თავზე. კიდევ უფრო შეაკრთო სერგი სულმობრუნებული ქეთევანის მზერამ: შუბლზე შეყრილ ნაოჭთა ჩრდილები და წარბთა მკვეთრი ტეხილი უსაზღვრო ტანჯვას აღბეჭდავდა ფერწასულ სახეზე.

დრო მიიზლაზნება და სერგი მოსვენებას ჰკარგავს. უკვე თეასთან უნდა ყოფილიყო ნაძალადევში, დროებით დაქირავებულ ბინაში. „თეა ღელავს, ალბათ, მოუსვენრობს, მაგრამ აქაურობაც როგორ მივატოვო ასე, გაურკვევლობაში?“ უცნაურად და შემაშფოთებლადაც კი ეჩვენებოდა ქეთევანის გამოძახება უშიშროებაში: რატომ? რას, ვის ეხება გამოძახების აზრი? არა! კიდევ დაელოდება. ხომ უნდა გაიგოს, რა ხდება? დღემდე ამ ოჯახის უფროსად სერგი დათიძე ითვლებოდა და მის გარეშე ვის შეეძლო გაერკვია ოჯახთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი? კი მაგრამ ვითომ ოჯახს ეხება გამოძახება? თუ არა, მაშინ რას? მაგრამ მაინც რაღა ახლა, რაღა დღეს და რატომ ცოტა ადრე ან გვიან არ მოხდა ეს წყეული გამოძახება?!

მარტოა ახლა იქ თეა და მოუთმენლად და შეშინებული ითვლის წუთებს...

გადის დრო – საათი... ორი... სამი... მეტის მოთმენის ძალა არ არის, მაგრამ ხომ უნდა გაიგოს ბოლოს და ბოლოს! მეტჯერ ხომ არ შეაღებს ამ კარებს სერგი!..

დადის ოთახიდან ოთახში, ბორგავს, წრიალებს, ადგილს ვერ პოულობს, ბოლთას სცემს...

ქეთევანმა თავთან ხავერდის ნაქარგპირიანი ბალიში მოიმარჯვა. ზურგით მიეყრდნო და ნახევრად მიწვა დივანზე. სერგის გულს უმძიმებს მისი თმების სითეთრე და თვალს ძლივს უსწორებს მწუხარესახიან ქალს, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ასე ძვირფასსა და საყვარელს...

– რა მოხდა იქ? რატომ დაგიძახეს?

– არაფერიც არ მომხდარა... ისე – ერთი-ორი შეკითხვა დამისვეს... სად ვმუშაობ, როგორ მიდის სამსახურის საქმეები... – გაუჭირდა ქეთევანს ტყუილის შეთხზვა.

– არ ამბობ სიმართლეს! უშიშროებას ეს არ აინტერესებს. რა გითხრეს?

– არაფერი ისეთი... – არ იცის, როგორ გამოძებნოს საჭირო სიტყვები, რა უპასუხოს.

– რა გიყვეს უშიშროებაში, ქეთევან! – ვეღარ მოითმინა მეტი სერგიმ, ხმას აუწია.

– ყოველ შემთხვევაში, ასე მაინც არ უყვირიათ ჩემთვის... – ვითომ გახუმრებით სცადა ქეთევანმა სერგის სიტყვების მოგერიება.

– რა დაემართა შენს თმებს, ქეთევან! ეს უბრალოდ არ ხდება! რით დაგზაფრეს, რომ ასე... შეგაშინეს? დაგემუქრნენ? რა ჩაიდინეს იმ ავაზაკებმა?..

– არაფერი... არაფერი... აბა, რას ამბობ! – ეს იყო უკვე კითხვებისაგან თავის არიდება და ამას ხვდება სერგი.

როგორ არ უნდა ქეთევანს სიმართლის თქმა!

– თუ არ მეტყვი, დღესვე გავარკვევ უშიშროებაში ყველაფერს! ეს ძნელი არ იქნება.

– არა, სერგი, რა გინდა იქ! ნუ მიხვალ! – თმების სითეთრეზე მეტად ქეთევანის ხმის ტონმა და სწრაფად წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა დაარწმუნეს სერგი, რომ მართლაც სერიოზული რამ გადახდა თავს ქეთევანს უშიშროების კომიტეტში.

– მეტყვი თუ არა სიმართლეს? რა მოიმოქმედეს „ჩეკისტებმა“, რომ ამ დღეში ჩაგაგდეს? მაინცდამაინც ახლავე წავიდე იქ?

ხედავს ქეთევანი, რომ ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. დღეს თუ ხვალ სერგი აუცილებლად მიაკითხავს უშიშროებას: „ეს არ უნდა მოხდეს! არ შეიძლება იქ სერგის მისვლა!“

– კარგი, სერგი, კარგი, დაწყნარდი! რაკი არ იშლი შენსას, გეტყვი, თუმცა მართლაც არაფერია ისეთი... გეტყვი, გეტყვი... ოღონდ გთხოვ, მომისმინო. ჯერ სხვა რამ მინდა გითხრა.

– თქვი, რა გინდა, ქეთევან, – დაუთმო სერგიმ. თან მის თმებს თვალს არ აშორებს – აჩქარებით უცემს გული, ხვდება, ამ თმებში დაფარულია ის, რისი თქმაც ასე არ უნდა ქეთევანს.

– მინდა გჯეროდეს იმის, რასაც გეტყვი, – ქეთევანმა გამომცდელად შეხედა სერგის. ხმაში ხრინწი გაუჩნდა, მაგრამ თავს

სძლია და განაგრძო, – მინდა გჯეროდეს, რომ გულწრფელად გეუბნები: ის, რაც ამ ბოლო დროს მოხდა ჩვენს შორის, ბევრ სხვასთანაც ხომ ხდება, მაგრამ მართლაც არ იქცევა ქვეყანა!.. შენ ასე ამჯობინე. რა ვუყოთ მერე... აღარ გსაყვედურობ, არც გეტყვი საწყენს... და მაპატიე, სერგი, თუ ასე იყო ამ დღეებში. გამიგე – გამიჭირდა თავდაპირველად... – ქეთევანი ცდილობს, რომ აუღელვებლად ილაპარაკოს, სახეზეც სიმშვიდე შეინარჩუნოს, მაგრამ რა ცუდად გამოუდის ეს! სახეზე ოდნავ შესამჩნევად, მაგრამ სერგისათვის თვალნათლად თრთიან მძიმე განცდისა და ტანჯვის ჩრდილები... – რაკი თვლი, რომ შენ მასთან... ბედნიერი იქნები, იყოს ასე... – მე კი მართლაც და რა მიჭირს! ხან სოხუმში ვიქნები, შვილიშვილთან გავერთობი... ჯერ, მართალია, ზაფხულობით. მერე პენსიაც მალეა. ახლა, ორ თვეში, ბიჭი დაგვიბრუნდება ჯარიდან...

გრძნობს სერგი, რომ ადვილი არ არის ქეთევანისათვის ამ სიტყვების გამოთქმა, კარგად ხედავს ცუდად დაფარულ მის მღელვარებას ხმითაც, სახითაც, ტკივილჩამდგარი თვალებითაც. გრძნობს იმასაც, რომ ქეთევანის სიტყვებში არ არის ხელოვნურობა და იგი მართლაც გულწრფელია მასთან, როგორც ყოველთვის. „მაინც რა ხდება ქეთევანის თავს, რატომ დათმო დღეს ერთბაშად სერგი უხმაუროდ და უსაყვედუროდ?!“ და ატყობს იმასაც, რა ძვირად უჯდება ეს ქეთევანს! ვეღარ უძლებს სერგი ქეთევანის თავგამეტებულ თვითგვემას და არ შეუძლია ეს არ დაუკავშიროს უშიშროების კომიტეტში მის გამოძახებას:

– კმარა, ქეთევან! მაინც რატომ დაგიბარეს უშიშროებაში?

ვერ პოულობს ქეთევანი სიტყვებს, რა თქვას, რით დაიწყოს? მოთმინება დაეკარგა სერგის, მაგრამ ელოდება. ქეთევანი კი ვერაფერს უხერხებს იმის შიშს, რომ არაფერი დამართოს სერგის სიმართლის თქმამ.

სერგი ხმას იმაღლებს:

– იტყვი თუ არა, ბოლოს და ბოლოს! იტყვი თუ არა?

ქეთევანი რაღაცას ცოდვილობს, მაგრამ სიტყვები ვერ მიუ-ბამს ერთმანეთზე. „შეიბრალე, სერგი, შენი ქეთევანი, ნუ აწამებ, არ გებრალება?“

– ან ახლავე იტყვი, რაც იყო, ან უკვე მივდივარ უშიშროებაში! ხმა ამოიღე!

ქეთევანს ისედაც უფერულ სახეზე ფითრმა გადაჰკრა და ამოილუღლუღა:

– კარგი, კარგი... – და ხელი გაიწოდა მაგიდაზე დადებული ხელჩანთისაკენ. სერგიმ მიაწოდა.

– მართლაცდა ისეთი კი არაფერია... ცოტას კიდევ ეშმაკობს ქეთევანი, – ოცი წლის წინ შეცდომა მოსვლიათ შინსახკომში და, წარმოგიდგენია? – ცდილობს ღიმილით წარმოთქვას მძიმე სიტყვები, – შენი დაჭერაც კი განუზრახავთ მაშინ...

– რა-ა-ა?..

– ჰო, ჰო. მაგრამ შეშლიათ რაღაც და, ჩვენი ბედი, დასაჭერთა სიაში აღარ მოხვედრილხარ, სერგი...

– რა ზღაპრებს ჰყვები, ადამიანო!

– არა, არა! მართლაც ასე ყოფილა... და ვერც დაგიჭირეს...

– რას ამბობ!

– ჰო, სერგი,,. და იმ შეცდომის გამო ახლაც შეცდომით შეუდგენიათ შენი... რეაბილიტაციის საბუთი... ამიტომაც დამიბარეს...

– ეს რა ბოდვაა! რას აცოდვილებ სიტყვებს! ვის უნახავს არარეპრესირებულთა რეაბილიტაცია! ვინ გითხრა ეს ნაბოდვარი, რომელმა გადარეულმა!

– ჰო, სერგი, ჰო, ასეა... – იმეორებს ქეთევანი. დაბნეული სერგი წრიალებს დივანის წინ, აქეთ-იქით იხედება, არ იცის რა მოიმოქმედოს. ყველაფერი აირია მის გონებაში – „ნაბოდვარი“ სიტყვებიცა და რეალობაც, რეტდასხმული შეჰყურებს ქეთევანს და საშინელმა ეჭვმა გაჰკენწლა გულზე, აზრები კიდევ უფრო აუფორიაქა: „ხომ არ შეიშალა!.. ხომ არ შეიშალა!..“ შეაძრწუნა ამის გაფიქრებამ, შიშით უყურებს ქეთევანის აქეთ-იქით მოხეტიალე თვალებს და ხედავს, როგორ აწვალებს ნერვულად კალთაზე დადებულ ხელჩანთის საკეტს: ხსნის და კეტავს, ხსნის და კეტავს... „ვითომ შემთხვევითია ეს?!“ და სერგი სწვდა ხელჩანთას. ვიდრე ქეთევანი მოასწრებდა ხელჩანთის მჭიდროდ

ჩაჭერას, სერგიმ სწრაფად ააცილა ხელებიდან, უკან დაიწია და საკეტი გახსნა. ქეთევანი წამოიწია, მაგრამ ძალა არ ეყო, კვლავ დივანზე მიესვენა:

– არა, სერგი! ნუ გახსნი! მე გეტყვი ყველაფერს დაწვრილებით...

სერგიმ უკვე გახსნა ხელჩანთა და პირველი, რაც ხელში მოხვდა, ოთხად გაკეცილი პრიალა ქაღალდი იყო.

– სერგი!.. სერგი! არ შეუშინდე ნაწერს, შენი ჭირიმე!.. სერგი გაოგნებული დასცქერის რეაბილიტაციის ფურცელს ამღვრეული თვალებით, კვლავ და კვლავ კითხულობს დაუჯერებელ სიტყვებს.

გონებაში აირია ყველაფერი – ძველი და ახალი. ამ ქაღალდზე დაბეჭდილი სიტყვები და უსისტემოდ მონაცვლე უთავბოლო აზრები. გარემო ერთბაშად კარგავს ნივთიერ სახეს, რჩება მხოლოდ უჩვეულო ძალის გულის ძგერა. ესმის ქეთევანის ხმა, მაგრამ სადღაც იკარგება სიტყვების აზრი. სიბნელეში იგრძნო თავი, შიშის ჟრუანტელმა დაუარა სხეულში, კეფაზე იტაცა ხელი და გაფართოებული თვალებით სწრაფად მოიხედა უკან – ნახევრად ღია კარში მხოლოდ დახშული დერეფნის ბინდი მოჩანდა...

ქეთევანის შეკივლებამ გამოარკვია ოდნავ.

– ჰო, შე-ენ? ქეთევან! არაფერია, არაფერი...

გული კვლავ მძაფრად სცემს, რეტიც ესხმის, მაგრამ გონებაში უკვე ლაგდება აზრები. სული მოიბრუნა და მიხვდა, რომ მთავარი დღეს ცის რისხვასავით თავს დატეხილი ჯერ კიდევ ბოლომდე აუხსნელი გაუგებრობა და მისი, სერგის განცდა-ტკივილები კი არა, არამედ აი, ეს თმათეთრი ქალია, დივანზე ტანჯული სახით უღონოდ მიწოლილი, უზომოდ შიშნაჭამი რომ ცდილობს მის გამხნევებას, რათა იხსნას რაღაც ახალი საფრთხისაგან. „რა ძალა ჰქონია სიყვარულს! ყველაფრის მიუხედავად კვლავ ჩემზე ზრუნავს,“ – ფიქრობს სერგი და შერცხვა, შერცხვა საკუთარი თავის, – „რა დაუშავა ამ სათნო, ერთგულმა და მასზე ზრუნვაში დალეულმა ქალმა, ახლაც, ახლაც რომ მასზე ფიქრობს, მასზე ზრუნავს“.

სერგი ვეღარ თოკავს შინაგან თრთოლვას ქეთევანის გათეთრებული თმების, ღრმა კაეშნით აღბეჭდილი სახისა და სიყვარულის შუქიანი, დამფრთხალი თვალების წინაშე. „რა ტანჯვა მომიყენებია შენთვის!.. როგორ გაუძელ!.. როგორ გაუძელ დღევანდელ დარტყმას და... და... ჩემგან გამეტებას!..“ ნელა, დანაშაულზე წასწრებული მომნანიებელი ბავშვის დარცხვენით მიუახლოვდა ქეთევანს, თვალი ვერ გაუსწორა, მის წინ მუხლებზე დაეშვა და გულის სიღრმიდან ამომსკდარი სლუკუნით აძაგძაგებულმა თავი კალთაში ჩაუდო...

არ აგონდება ქეთევანს სერგის ცრემლები, არ ახსოვს ასეთი რამ და კიდევ უფრო შეეცოდა გზააბნეული ქმარი. გული მასაც ამოუჯდა, თვითონაც ასლუკუნებულმა ფერება დაუწყო ქმრის ჭაღარა თმებსა და მოცახცახე მხრებს...

– კარგი, სერგი, შენი ჭირიმე, კარგი!.. დამშვიდდი... ყველაფერი კარგად არის... კარგად იქნება...

– მაპატიე, ქეთი, მაპატიე! ქე-თუ-ნი... – ოდნავ დამარცვლა უკანასკნელი სიტყვა სერგიმ. რამდენი ხანია ამ სახელით არ მიუმართავს მეუღლისათვის, სადღაც ღრმად ჰქონდა იგი ჩაძირული გულის ფსკერზე... მაგრამ ახლა... თითქოს კვლავ გაიბა ძაფები წარსულთან, შორეულ ახალგაზრდულ წლებთან. ამ ძაფებმა ამოაკვნესა ოდესღაც მხოლოდ მეუღლის გასაგონად წარმოთქმული მოსაფერებელი სიტყვა „ქეთუნი“.

როგორ უნდა ქეთევანს თავი დააჯეროს, რომ ხელიდან დამსხლტარი ბედი ასე მოულოდნელად და უცნაურად შემობრუნდა, და როგორ სწყურია, გრძნობები მთლიანად მკვდრეთით აღმსდგარი ბედნიერების მდინარებას მიანდოს! მაგრამ ილუზიას არ ეძლევა – იცის, რომ პატიებას სერგი ევედრება ბედისწერით მოვლენილი ტკივილებისათვის... ეს უკანასკნელი მოფერება და მოსიყვარულებაა ადამიანისა, რომლის ერთგულება ასეთი უღალატო ჩანდა! – მერე რა! მერე რა! იგი ცოცხალი ჰყავს და ეს ყველაფერია მისთვის! თან გრძნობს, მეტს ვერ გაუძლებს და სერგისაც უძნელდება ახლა მისი მიტოვება. ისევ მან უნდა მისცეს სითამამე, რომ გააგრძელოს თავისი არჩეული ახალი გზა...

– მე ახლა არაფერი მიჭირს... სერგი. კარგად ვარ უკვე და... წადი ბარემ. დილიდან გელოდება, ალბათ...

– არა! არა! – წამოიყვირა ელდანაკრავმა და ცოლის კალთიდან თავი ასწია, სველი სახიდან ხელის ერთი ჩამოსმით ცრემლები ვითომ მოიწმინდა და ქეთევანს დაუკოცნა ლოყები, კისერი, თეთრი თმები, – ვერ დაგტოვებ! ეს აღარ მოხდება, ქეთუნი! ვერ გავძლებ უშენოდ! ამას აღარ მოელოდა ქეთევანი: სიბრალულმა დასძლია და ამის გამოაო, გაიფიქრა, მაგრამ...

– არა! უშენოდ არ შემიძლია! სიბრიყვე დამემართა და... ეს მაპატიე...

– სერგი! სერგი!..

დიდხანს ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ ერთმანეთს ცრემლიანები თქმითა და უთქმელად...

კარში შემოვარდა სამი წლის ბიჭი ქლოშინითა და ყვირილით:

– ბებო! ბებო! – დივანზე მიწოლილი ბებიის დანახვისას მისკენ გაქანდა, მიუახლოვდა და ერთბაშად შედგა.

– მოდი, ბებო გენაცვალოს! მოდი შენს ბებიასთან, – ბიჭმა ეჭვით შეხედა ბებიის თმებს, მაგრამ ქეთევანმა ხელი მოჰკიდა, მიიზიდა და ჩაიხუტა. სერგი ჩემოდნებთან იდგა და ჯერ კიდევ ნამიანი თვალებით შეჰყურებდა უზომოდ გახარებულ ქეთევანს და მის მკერდთან მოჟღურტულე შვილიშვილს.

თათული თავს დაჰფოფინებს დედას, უკოცნის ლოყებს, გათეთრებულ თმებს, ტირის და სულს ძლივს იბრუნებს.

– როგორ შეგეძლო!.. ეს რა მოიმოქმედე, მამა! რამ შეგცვალა ასე!.. რა დღეში ჩაგიგდია დედაჩემი!..

სერგი კი უძრავად იდგა კართან დამნაშავესავით თავჩაქინდრული, კარში მდუმარედ ჩამდგარი სიძე დაბნეული უყურებს ხან სიმამრს და წასაღებად გამზადებულ ჩემოდნებს, ხან კი – სიდედრის გათეთრებულ თმებს. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა, რა მოემოქმედა.

ძნელი იყო ქალიშვილისა და სიძის დარწმუნება იმაში, რაც დღეს თავს გადახდა ქეთევანს უშიშროების კომიტეტში,

გონება ჯიუტობდა და ვერ იჯერებდა სერგის ბედისწერის სასწაულს. სიძე ხელში ატრიალებდა რეაბილიტაციის ფურცელს და ვერაფრით ვერ აეხსნა ფანტასტიკური დეტექტივის მსგავსი ამბავის რეალობა.

როგორც იქნა, ირწმუნეს სიძე-ქალიშვილმა, რომ ქეთევანის დღევანდელი თავგადასავლის შემდეგ, სერგიმ მოინანია სასიყვარულო შეცოდება, მაგრამ რის ფასად! თათული ხან დედას ეკვროდა მკერდში, ხან მამას ეფერებოდა და ტუქსავდა „ყმაწვილური ცელქობისათვის“. ბოლოს გამოერკვა და მიხვდა, რა უადგილოა ახლა მამისათვის ამის შეხსენება. შიშსაც შეეპყრო: „ვაი, რომ ცუდად იმოქმედოს მათზე გადატანილმა!“ და შეშფოთებას მხოლოდ ქმარს უზიარებდა. ხვდებოდა თათული, რომ დედას გული მილევაზე ჰქონდა. „იქნებ დროებითია და მალე გადაუვლის?“ მეზობელ ექიმს დაუძახეს. ნემსი გაუკეთა, რაღაც აბებიც გამოუწერა და სერგის ურჩია, ხვალ როგორმე პოლიკლინიკაში გაესინჯებინათ საფუძვლიანად.

საღამო ახლოვდებოდა, ქეთევანმა რომ სერგის უთხრა:

– უნდა მიხვიდე და ყველაფერი აუხსნა იმ ქალს...

– ქეთუნი!..

– სხვაგვარად მშვიდად ვერ მივიღებ შენს დაბრუნებას... ის დღეს მძიმე ყოფაშია...

სერგიც გრძნობდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, როგორმე ხმა უნდა მიეწვდინა თეასათვის, მაგრამ შეუძლებელი ჩანდა ქეთევანთან ამის შესახებ ხმის ამოღება და ახლა ისევ ქეთევანმა იხსნა გასაჭირისაგან. თათული შეშფოთებით შეხვდა დედის განზრახვას, გაეგზავნა ქმარი იმ ქალთან: „ვინ იცის, რა მოხდება!“ – და ეჭვი დედას გაუზიარა. ქეთევანმა დაიჩემა და თავისი გაიტანა.

სერგი ტელეფონით დაელაპარაკა მეგობარ-თანამშრომელს, ვის ოჯახშიც გაიცნო თეა ახალი წლის ღამეს და სთხოვა, ცოლთან ერთად გაჰყოლოდა გადაუდებელ საქმეზე. მეგობარი მწყრალად იყო სერგისთან მას შემდეგ, რაც გახმაურდა თეასთან მისი ამბავი. მკვეთრი შელაპარაკებაც ჰქონდა მასთან და ამან შედეგი რომ არ გამოიღო, გვერდზე გადგა.

– კარგად იცი, – მოესმა პასუხად სერგის ყურმილში, – ჩვენ მხოლოდ სამსახურიღა გვაკავშირებს და ესეც დიდად სამწუხაროა...

– საქმე შენს ცოლის დისშვილს, თეას, ეხება. მისთვის არის საჭირო, დამიჯერე! სერიოზულად იცვლება ჩვენი ურთიერთობა და თეამ ეს ჯერ კიდევ არ იცის. ახლა უნდა შეიტყოს, რაც უთქვენოდ შეუძლებელი მგონია... მანქანით გამოგივლით.

მღელვარებით მოისმინეს თეას დეიდამ და ბიძამ სერგის ოჯახის თავგადასავალი, ის, რაც უშიშროების კომიტეტში თავს გადახდა ქეთევანს და რა შედეგიც მოჰყვა ამას. აღიარა სერგიმ, რომ მისი სულიერი შემობრუნება, რომელიც ავადმყოფისაგან განკურნებას ჰგავს, გახდა იმის მიზეზი, რომ უნდა განერიდოს თეას, უარი თქვას მისთვის მიცემულ აღთქმაზე და ბოლომდე ატაროს მის წინაშე ჩადენილი ცოდვის ტვირთი: „ჩემდა სამარცხვინოდ, დამნაშავე ვარ თეასა და დედამისის წინაშე!.. პატიების თხოვნის უფლებაც არა მაქვს!.. თუ დამიჯერებთ, გულწრფელი ვიყავი თეას წინაშე და ახლაც გულწრფელი ვარ... როგორ ავუწეწე ცხოვრება მშვენიერ გოგონას!.. ძალიან მაშინებს მასთან შეხვედრა...“ თეას დეიდა და ბიძა თითქმის არაფერს ამბობდნენ და ისე უსმენდნენ სერგის ძნელ მონოლოგს, მაგრამ, უთუოდ, კმაყოფილიც იყვნენ ვითარების ამგვარი შემობრუნებით.

ნაძალადევში აღმართზე აუხვიეს და სერგიმ ერთსართულიან აგურის სახლთან მანქანა გააჩერა.

– თქვენ ცოტა ხნის შემდეგ შემოდით, – სთხოვა სერგიმ ცოლ-ქმარს.

ერთმტკაველა ეზოში ოთახის ღია კარებთან თეა გრძელ სკამზე პალტომოხურული ზის იდაყვებთან მკლავებზე ხელებშემოჭდევით და ღრმად მოხრილი. დიასახლისი გვერდით უდგას, მხრებზე ხელს უსვამს, უყვავებს. ეზოს კარის ჭრიალზე თეამ თავი ასწია, სკამიდან წამოიჭრა და სერგის მიეჭრა, შემოეხვია შესტირა:

– სერგი! მეგონა მოვკვდებოდი... სად დამეკარგე! რა არ ვიფიქრე... შიშმა დამლია... – და ცრემლებით დაუსველა სახე.

სერგი უხმოდ შეჰყვა ოთახში. კარები მიხურა. ახლა დააკვირდა თეა. მისმა შეცვლილმა სახემ და სიჩუმემ შეაშფოთა:

– მოხდა რამე, სერგი? ბარგი სად არის? – შიშმა აიტანა.

– სერგის ხმის ამოღება უჭირს. ზის ხალიჩაგადაფარებულ ძველ ტახტზე და იატაკს დაჰყურებს. თვალს ვერ უსწორებს თეას.

– ნუ მაშინებ, სერგი! რატომ ხმას არ მცემ!

– თეა! ძალიან ძნელია სათქმელად, რაც დღეს მოხდა...

არც უკოცნია, ერთი თბილი სიტყვაც არ უთქვამს... რა დაემართა? რა ხდება დღეს სერგის თავს?

– შენთან სახლში... მოხდა, რამე? – ეკითხება ჩურჩულით. ტახტის წინ სკამზე დაეშვა და გულის კანკალით დაელოდა პასუხს: „მის შვილებს ხომ არ შეემთხვათ ხიფათი?“ – ხმა გამეცი, სერგი!

– მოხდა წარმოუდგენელი, დაუჯერებელი... – თავი ასწია და მზერა შეაგება საშინელი მოლოდინით გაფართოებულ თეას თვალებს, – თურმე ოცი წელია ბედით ნაჩუქარი სიცოცხლით ვცხოვრობ... ოცდაჩვიდმეტში შინსახკომს ჩემი დაპატიმრება... განუზრახავს, მაგრამ შემთხვევით გადავრჩენილვარ. მხოლოდ დღეს გაირკვა ყველაფერი...

თეამ აკანკალებული ხელები ერთმანეთში ჩამუჭა, ნიკაპქვეშ ამოიდო, მხრები აიწურა და სასოწარკვეთილმა შესძახა:

– რატომ მაშინებ ასე, სერგი!

– საშიში არაფერია... დღეს ქეთევანი იყო დაბარებული უშიშროებაში და იქ უთხრეს ჩემი რეაბილიტაციის შესახებ. ამის საბუთიც გადასცეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი!.. მთავარი სათქმელი მაინც წინ მაქვს...

– რა სათქმელი! რა უნდა მითხრა კიდევ?

სერგი ვეღარ უძლებს დღეს მოვლენილ განსაცდელებს. თეასათვის, იქნებ, სჯობდესო ყველაფრის ერთბაშად თქმა და საკმაოდ დამაჯერებლად, თუმცა თითქოს დაზოგვითაც უთხრა:

– ყველაფერი გავლილია. მათმა შეცდომამ გადამარჩინა, მაგრამ იმ შეცდომითვე მათ არქივში აღრიცხული ვყოფილვარ

როგორც დახვრეტილი... – უძრავი თვალებით უყურებს თეა სერგის. ესმის მისი და არც ესმის. იქნებ, ეს შორიდან მოტანილი სიტყვებია სხვაზე და სხვისთვის არის ნათქვამი და თეა არაფერ შუაშია? მაშინ რატომ უყვებიან ამ ამბავს? იქნებ, ეს მისი სერგი კი არა, ვიღაც სხვაა, თეას გამოსაცდელად მოსული? და გამოერკვა: ეს სერგია, მას რომ საკუთარი სიკვდილის ამბავს უყვება, წამოიკივლა: ნუ ჰყვებიო! წამოხტა, მივარდა სერგისთან, მოეხვია, დაუკოცნა სახე, ხელები, გვერდით მიუჯდა:

– ჩემი სერგი! მერე ხომ არ შეგაშინა ასეთმა სისულელემ? თუ... იმიტომაც ხარ ასე დაზაფრული... ხომ? – სერგიმ რაღაცის თქმა მოინდომა.

– აღარ თქვა, აღარ თქვა არაფერი! მე მეშინია, ძალიან მეშინია, სერგი!

თეასათვის უმთავრესი კიდევ ჰქონდა სათქმელი, რაც ასე აფრთხობდა სერგის.

– ხომ შეგიძლია, თეა, წარმოიდგინო, რა გადახდა დღეს ქეთევანს, როცა „ჩეკისტები“ უმტკიცებდნენ, საბუთებსაც აჩვენებდნენ, რომ მე, მისი ქმარი, სერგი დათიძე, ცოცხალი აღარ ვარ უკვე ოცი წელია. ის კი შეშლილობის ზღვართან მისული დიდხანს ცდილობდა დაეჯერებინა ისინი, რომ ცოცხალი და უვნებელი ვარ... იქ ამის მტკიცებაში და „ჩეკისტების“ სიკერპეში, სულ რაღაც ათ წუთში... ქეთევანს თმები გაუთეთრდა და, ვშიშობ, გულიც დაუზიანდა...

ტახტზე ჯდომა ვეღარ შეძლო. წამოდგა, აწრიალდა. მეტი დაყოვნებაც შეუძლებელი გახდა, თეას მხარზე ხელი შეახო. თეა არ განძრეულა, თითქოს იგრძნო, რომ სერგი კიდევ ერთ საშინელებას ეტყვის. გაინაბა და სადღაც შორს გაიხედა. სახე სიფითრეს დაეფარა...

– თეა! არ ვიცი, როგორ... არ ვიცი და მაინც... – ლუღლუღებს სერგი, სიკვდილზე მეტია ჩემთვის... პატიებასაც ვერ გთხოვ, ალბათ, ამის უფლებაც არ მაქვს... შენს წინაშე ყოვლად უღირსი ვარ... უნდა გითხრა... დღეს... დღეს... და საერთოდ... თუ გამიგებ, არ შემიძლია... ვერ ვტოვებ ქეთევანს...

თეამ სერგის შეხედა, ბაგე გახსნა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ერთბაშად მოეშვა, უპეები დაუშვა და გვერდზე გადაქანდა. სერგიმ მკლავები შემოაჭდო და ტახტზე ფრთხილად მიაწვინა. დაფაცურდა სერგი და მხოლოდ ის მოახერხა, რომ იქვე, საზეიმოდ გაწყობილი პატარა სუფრიდან ლიმონათის ბოთლი გახსნა, სასმისში ჩაასხა ლიმონათი და თეას პირთან მიუტანა. არ მოსვა, მხოლოდ ტუჩები დაისველა. სერგი ამ ვითარებისათვის სრულიად უაზრო სიტყვებით ცდილობდა ერთდროულად თეას გამხნევებას, თავის გამტყუნებასა და პატიების თხოვნასაც. თეა უხმოდ იყო...

რამდენიმე წუთში თეამ სისუსტეს სძლია, წამოჯდა ტახტზე, მკლავები მკერდზე გადაიჯვარედინა და ისევ იატაკს ჩაშტერდა... სადღაც შორს დაიწყო ყურება...

– თეა, ხმა ამოიღე, მეჩხუბე, მიყვირე, მითხარი, რომ უსინდისო, არამზადა ვარ, ოღონდ ჩუმად ნუ ხარ! თქვი რამე, თეა! ამაოდ ევედრება სერგი.

ოთახში თეას დეიდა და ბიძა შემოვიდნენ: „რა უნდათ აქ? რატომ მოვიდნენ? ან როგორ მოაგნეს ამ სახლს?“

დეიდა მოეფერა დისშვილს.

– ცოტა დაწყნარდი და წავიდეთ მერე შინ... დედაშენი, ხომ იცი, რა დღეში იქნება!.. დარდი ჰკლავს... შენი მამიდაშვილია მასთან, მაგრამ უშენოდ... ისე, უარესიც ხდება, მაგრამ მერე ყველაფერი წესრიგდება. ასეთია ცხოვრება...

უსმენს თეა, მაგრამ გულში ვერ ატარებს მის სიტყვებს.

– თეა, ოღონდ ხმა გამეცი, თუნდაც ერთი სიტყვა! – კვლავ ევედრება სერგი.

როგორც იქნა, თეამ მიიხედა მისკენ. იქნებ, ერჩია სერგის, არც შეეხედა ამგვარად მიმქრალი თვალებისათვის?!

– ახლა კი, ახლა კი... – სათქმელი ვერ დაამთავრა, დახრილი თავი სახესთან ახლოს მიუტანა დეიდას:

– სთხოვე... წავიდეს!.. სთხოვე!..

დეიდამ სერგისკენ მიიხედა და ისიც უსიტყვოდ მიხვდა. სერგი ძალიან ახლოს მივიდა თეასთან, რომლის თვალები, ალ-

ბათ, ყველაფერს მეტყველებდნენ საყვედურების გარდა. სერგის აკრთობს ეს მზერა: „შენ კი რა დააშავე, კარგო თეა, შენ რა ბრალში ხარ!“ და თავი არა თუ დამნაშავედ, ბოროტმოქმედადაც კი იგრძნო. სპაზმა ახრჩობს, თეასადმი სიბრალულმა მოუკლა გული. დაიხარა, აკოცა ლოყაზე, ყურის ბიბილოსთან, როგორც მაშინ, ახალი წლის თოვლიან ღამეს...

თეამ წყნარად, აძაგძაგებული ხმით უთხრა:

– არ გამტყუნებ... არა!.. თხოვე მაპატიოს!.. თხოვე!.. და იცოდე მე მაინც მემახსოვრები, სერგი! – ხელები აიფარა სახეზე და ვიდრე ცრემლები წასკდებოდა, სერგი უკვე გასული იყო ოთახიდან.

* * *

გულის ფრიალი დასჩემდა ქეთევანს. საუკეთესო კარდიოლოგები მკურნალობდნენ. მთელი თვე რკინიგზის საავადმყოფოში იწვა, ამდენივე – პირველ რესპუბლიკურ კლინიკაში, მაგრამ მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. ქეთევანის მუდმივი ემოციური დაძაბულობა, რაც გარეგნულადაც იჩენდა თავს, ართულებდა მკურნალობას. ვერაფრით ვერ აიძულა თავი, მიევიწყებინა მომაკვდინებელი საფრთხე, ოცი წლის წინ რომ ჩასაფრებოდა ოჯახს, ოცდაჩვიდმეტის საბედისწერო აჩრდილი არ ეშვებოდა არც დღისით, არც ღამით, ცხადად თუ სიზმრად.

– სერგი! – უთხრა ერთხელ ქმარს, – მოდი, მოვსპოთ ის დასაწვავი ქაღალდი. რის მაქნისია, აქ რომ გვიდევს და ვინახავთ! მეჩვენება, თითქოს ამ ფურცელთან ერთად „ჩეკისტები“ ჩასაფრებულან და გვემუქრებიან.

– რა თქმა უნდა, ქეთუნი! ახლავე! რატომ აქამდე ვერ მოვისაზრე! – სერგიმ საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღო რეაბილიტაციის ფურცელი, რატომღაც საბოლოოდაც გადაიკითხა ტექსტი, დაჭმუჭნა, ლამბაქზე დადო, ასანთს გაჰკრა და მოუკიდა.

– აი, ქეთუნი, აღარ არის ეს წყეული ქაღალდი. აღარც ეს გაიხსენო და აღარც ის უკუღმართი დღე!

არც ამან მისცა ქეთევანს რამე შეღავათი.

მალე ვაჟი დაუბრუნდათ ჯარიდან. სიხარულმა თითქოს გამოაკეთა, თუმცა საერთო მდგომარეობა ისეთივე იყო.

იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. ბაზარშიც არ უშვებდნენ. ხანდახან მუშტაიდში თუ გავიდოდა, ისიც სერგის ან ქალიშვილის თანხლებით. იქ შვილიშვილი ერთობოდა და მისი სიხარულით ხარობდა.

ზაფხულის ბოლო და შემოდგომის ნაწილი აფხაზეთში ჰყავდათ – ხან თავისთან, სოხუმში, ხან ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში.

ბედნიერად თვლიდა თავს ქეთევანი სიძე-ქალიშვილთან და შვილიშვილთან, მაგრამ ქმარი და ვაჟიც ადარდებდა: „ცოდვა არიანო კაცები მარტო“. ქალიშვილი წამოჰყვა თბილისში. სიძეს დედაქალაქში გადმოყვანას ჰპირდებოდნენ და ამანაც დააჩქარა საქმის ასე მოგვარება.

შეიცვალა სერგი. გაქრა მისი ჩვეული სიხალისე, ოხუნჯობა, სილაღე. ვეღარც თამადობას ახერხებს სიტყვა-პასუხით ნაქები კაცი. თუმცა ყოველმხრივ ცდილობდა, ქეთევანს მუდამ ძველებურად ჩვენებოდა. ქეთევანი გრძნობდა ამას, თუმცა არ იმჩნევდა. სულ უკვალოდაც არ ჩაუვლია სერგისათვის მის ცხოვრებაში ოცდაჩვიდმეტის შავი ლანდის შემოჭრას. გონების თვალი ვერ იშორებდა ოცი წლის წინ მის თავზე დაშვებულ დამოკლეს მახვილს. კი, მილიონიდან სასწაულით გამორჩეულმა ერთადერთმა შემთხვევამ იხსნა მისი სიცოცხლე, მაგრამ სწამდა, რომ საბედისწერო დღიდან წლების მანძილზე ჩახმახშემართული რევოლვერის სამიზნეში იჯდა და ათასწილად უფრო დასაშვები შემთხვევითობის გამო მეორე შეცდომას აღარ დაუშვებდა „ჩეკისტური“ მანქანა. მაგრამ ასეთ ფიქრებს მაინც უძლებდა სერგი, ვერ უძლებდა მხოლოდ შინ შემოსასვლელ კართან ზურგით დაჯდომასა და დგომას, ვერ იტანდა შეღამებიდანვე კარის ღრეჩოდ დატოვებას: სიბნელე არ უნდა იჭვრიტებოდესო ბინაში.

სერგი თავს იდანაშაულებდა: რომ არა ჩემი ის გატაცება, ალბათ, ასეთი მძიმე არ იქნებოდა უშიშროებაში ქეთევანის სტუმრობა. ჯერ მე ვატკინე და დავუზიანეო გული!.. ეს რომ თქვა

ცოლთან და შვილებთან, იმდენად მძაფრი იყო ქეთევანის რეაქცია, რომ სერგიმ თავბედი იწყევლა: ეს რა ვთქვი, რა მოვიმოქმედეო. დიდი გარჯა დასჭირდა ემტკიცებინა და ცოლი დაეჯერებინა, რომ ეს სხვათაშორის თქვა და ასეთ რამეს არც გაივლებს გუნებაში.

ფიქრობდა სერგი თეაზეც: მე გავუუკუღმართეო ცხოვრება. ასე სწამდა და ეს აწვალებდა. ნუგეშს არ იძლეოდა იმის შესაძლო დაშვება, რომ თეასთან შეხვედრა ბედის გახუმრება იყო და ისევ ბედს თუ შეეძლო პატიება. სერგი ინანიებდა იმას, რაც შეემთხვა ქეთევანთან და თეასთან, მაგრამ გულის სიღრმეში და გონების ხედვით არცერთისაგან არ ელოდა პატიებას, რადგან თვითონ თავის თავს არ პატიობდა და სინდისი ქენჯნიდა.

ქეთევანის შემყურე სერგის, გული დარდით ეწურებოდა. ქეთევანიც გრძნობდა, რომ მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა, მაგრამ თითქმის ყველაფერს შეგუებული იყო: „აღარ ვჩივი, ოღონდ სერგი და შვილები იყვნენ კარგად!“

გვიან შემოდგომაზე მკვეთრად გაუარესდა ქეთევანის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ნოემბრის მიწურულის ერთ სუსხიან დილას ექიმებმა ვეღარ იხსნეს მისი სიცოცხლე.

* * *

ერთბაშად დადგა გაზაფხული, როგორც იცის ხოლმე თბილისში. თოვლ-ჭყაპმა, წვიმებმა გზა დაუთმეს თბილ, მზიან ამინდებს. ბაღებში, სკვერებსა და გზისპირებზე ხეებმა კვირტები დაისხეს. ტოტებმა ზამთრის პირქუში მოიშორეს და საკეკლუცოდ ემზადებიან – ელოდებიან კვირტებიდან სიმწვანის აფეთქებას. იმატა ჯერ კიდევ უფოთლო ხის ტოტებზე ნაზამთრალი ბეღურების ჟრიამულმა... მოუსვენარი, ცელქი ბეღურები ცქმუტავენ,

დახტიან, მიმოფრენენ ხიდან ხეზე, ტოტიდან ტოტს ევლებიან, თითქოს ზედ დასძახიან და აჩქარებენ: მალე! მალე! ფოთლები აისხით, ახალი ბუდეები უნდა ჩავდგათო!

სადაცაა შემობრძანდება აპრილი – გაზაფხულის ჭეშმარიტი ნაირფერებით, სიხასხასით, განახლების ხალისით... მიწის, წყლის, ცის სივრცეებს ეფინება გაზაფხულის ოქროს შარავანდედი, ყველაფერს წვდება მისი განმაახლებელი სუნთქვა, მაგრამ, ეტყობა არა ყველას – ვაებათაგან გადაღლილთ.

აგერ განმარტოებით ქუჩაში მიაბიჯებს სერგი დათიძე. ადრე არასდროს არ ყოფილა იგი გარდასულ წლებზე, დღეებზე, დღევანდელობაზე ასეთი მძაფრი განცდებითა და მწვავე ფიქრებით დატვირთული. მიაბიჯებს და ფიქრობს, ფიქრობს მიწაზე მზერადაბჯენით: რაც არ უნდა გააკეთოს ადამიანმა, რა მანქანებითაცარუნდაშეეჭიდოსსამყაროსძალებს,სინამდვილეში ვერაფერს ცვლის და ყველაფერი კვლავინდებურად თავისი წესითა და რიგით მიედინება ამქვეყნად, ყველაფერი, გარდა თვით ადამიანთა ცხოვრებისა. აბა, ეს რა წესი და რიგია დამყარებული ადამიანთა შორის, როცა მრავალთა გრძნობა-გონება, მიზანზრახვები ამდენი სისაძაგლითაა სავსე? როცა ეს ზრახვები წამლავენ და სპობენ?! საით ვისწრაფვით? რა გვსურს ადამიანებს? გამუდმებით ერთმანეთს ვეფიცებით ურთიერთმხარშედგომის აუცილებლობას, ხშირად კი ერთმანეთის მხარს მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა გადასწრებაში გაფაციცებულნი ვეჯახებით და უკან არც ვიხედებით, რომ შევიტყოთ, ხომ არ დაეცა ძირს ვინმე, ტანჯვა ხომ არ მივაყენეთ, ჩვეულებრივ ტკივილებზე ვინღა ფიქრობს!.. ვითომ ბევრია დღეს ისეთი, სხვისი დარდი რომ დაადარდიანებს, სხვისი ტკივილი რომ ააკვნესებს?! და მეხსიერებიდან ამოუცურდა ოდესღაც მამის ნათქვამი: „ბუნება საუცხოოდ არის მოწყობილი, ოღონდ ჩვენ, ადამიანები, არ ვართ მოწესრიგებულნი...“

მართლაც! მართლაც! აბა, ვინ დაგვიწესა ასეთი ყოფა, სხვათა ნებას რომ აჩეხვინებს ჩვენს სხეულებსა და სულებს? ვინ დაუჩემა ქეთევანს ასეთი აღსასრული? ვინ განუზრახა თეას ახალგაზრდა

იმედების მსხვრევა? ვის და რად დასჭირდა შეთხზვა „მოლითისა და ხიდისთავის?“ სხვა კიდევ უთვალავი ამგვარისაც? რა სურდათ, რა სწყუროდათ, რას ესწრაფვოდნენ? „მოლითის ჯგუფიდან“ მე დავრჩი ბედისერთა რჩეულად და ვითომ ბედს უნდა ვუმადლოდე ამისათვის, მიუხედავად ყველაფრისა? სიკვდილამდე ხომ არ მომეშვებიან მათი სულთა აჩრდილები... თითქოს დამნაშავეც ვარ, რომ ვარსებობ და მათ დაკარგულ წილ სიცოცხლისას მე ვხარჯავ... მაინც რა ჰქვია ყველაფერ ამას? ვინ, ან რა არის ეს? ბედი? ბედისწერა? მაგრამ ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც მომხდარა ან ხდება თავისთავად, ჩვენი ნების გარეშე, ან ადამიანებმა მოვახდინეთ, თუ უნდა მოვახდინოთ ჩვენთვისაც და სხვისთვისაც!...

ისევ ჩვენ, ადამიანები, ვართ ერთმანეთის ბედიც და ბედისწერაც!... და მოვწესრიგდებით თუ არა ოდესმე? ოდესმე?..

არ სჩვეოდა სერგის თავჩაქინდრული სიარული. ახლა კი ძირს იხედება, იშვიათად თუ ამართავს მზერას, თითქოს მიწაზე ეძებს პასუხს ბოლო დროს მოძალებულ მტანჯველ კითხვებზე...

აქ, ქუჩა უნდა გადაკვეთოს. შეჩერდა, მოიხედა თავაუწევლად და ეცნაურა ცისფერლაბადიანის დინჯად მიშვებული კოხტა ნაბიჯები. ლაბადამ სვლა შეანელა, მოახლოვდა და გაჩერდა. ახედა სერგიმ და... „თეა!“

დგანან ერთმანეთის პირისპირ, თითქოს ყოველგვარი ემოციის გარეშე: მხოლოდ ერთი – მოულოდნელობით შემკრთალი, მეორე – გულდაგულ დაფარული დარდით.

სერგიმ სევდის კვალი ამოიკითხა დაკვირვებით მზირალი თვალებიდან. თეასათვისაც არ იყო ძნელი სერგიში ცვლილების აღმოჩენა – ადრე ხალისიან სახეს მოუნელებელი ტკივილების დაღი აჩნდა. მოკუმული ტუჩების კუთხეები დაბლა დახრილიყო ოდნავ. ახლა გაღიმებას ლამობენ თვალები ღრუბლიან წარბებქვეშ, მაგრამ უფრო გაკვირვება იკითხება მათში.

დაძაბულობა პირველი თეამ დაძლია:

– სერგი! გავიგე შენი უბედურების ამბავი. მაპატიე, ვერ მოვედი. თვითონაც იცი – არც შეიძლებოდა, თუმცა მინდოდა...

გულწრფელად. თუ დამეჯერება, ძალიან განვიცადე... ახლაც განვიცდი ყველაფერ იმას, რაც იყო და რაც დარჩა... უფრო მეტად იმას, რომ მეც მაქვს ბრალი ქეთევანის...

– არა, თეა! თავს ნუ იდანაშაულებ.

– სიკვდილამდე პატიებას უნდა ვთხოვდე მის ხსოვნას...

– თეა!

– არ უნდა ჩაუსაფრდე სხვის ბედს!..

– ნუ ამბობ ასე, თეა!

– მგონი, მორწმუნეც ვხდები... სანთლებს ვანთებ ხოლმე ეკლესიაში... ქეთევანისათვის...

– თეა! თეა! შენ ზედმეტად მკაცრი ხარ საკუთარი თავისადმი...

– არა! ზედმეტად ლმობიერი, თორემ ღმერთს პატიების ნაცვლად უფრო მკაცრ დასჯას უნდა შევსთხოვდე, ვიდრე!.. მარგუნა ბედმა.

ხედავს სერგი, რომ ახლაც აწამებს თავის თავს თეა და მოინდომა რაღაცით მაინც საუბრის შეცვლა:

– თეა! სხვა რამ მიამბე შენ შესახებ. არაფერს მეტყვი? რამდენიმე წამს უხმოდ უყურებდა თეა პასუხის მომლოდინე სერგის, თითქოს არ იცოდა რა ეპასუხნა. შემდეგ ნელა, ოდნავ მღელვარედ უთხრა:

– რა უნდა გითხრა, ბატონო სერგი! – შორს დარეკილი გაბზარული ზარის ხმასავით მოესმა თეას სიტყვები: „ბატონო სერგი!“ ეუცხოვა, ეწყინა კიდეც, მაგრამ სიტყვა არ გააწყვეტინა, – სათქმელი მეტი არაფერია... ისე, კარგად ვარ. ჰო – კარგად! მხოლოდ ცუდი ის არის, რომ ზოგჯერ ტირილი მინდა... ძალიან, მაგრამ რატომღაც ვერ ვტირი... ვერ ვტირი...

თეა გააკვირვა სერგის სახეზე ფართოდ გაშლილმა, ადრინდელმა, თითქმის ბედნიერმა ღიმილმა. იგი უფრო ახლოს მივიდა თეასთან, ოთხად გაკეცილი ქათქათა ცხვირსახოცით ფრთხილად მოსწმინდა ღაწვებზე გადმოგორებული კურცხალი და თვალები შეუმშრალა.

დაბნეულმა თეამ თითები მოისვა თვალებზე, დახედა მათ და სისველე რომ შენიშნა, გაიღიმა, ნამიანი თვალებით სერგის შეხედა და აღელვებულმა უთხრა:

– დროა წავიდე!... და ყოველი სიკეთე იყოს შენთან!... შენთან!..

– ბედნიერი იყავი, თეა, ბედნიერი! და მხოლოდ ეს იქნება შენგან ჩემი პატიება...

არაფერი დაუჯერებელი ამ ამბავში არ არის. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო რეპრესიების წლებში, როცა დაპატიმრებულთა უმეტესობის ბედი წინასწარვე იყო გადაწყვეტილი. ბევრს კი ეგრეთ წოდებულ „სამეულთა“ მიერ დაპატიმრებამდე ჰქონდა განაჩენი გამოტანილი. ამიტომ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომლისაგან 1960-იან წლებში მოსმენილი ეს ისტორია სავსებით რეალურად მივიჩნიე.

თბილისი. 1999 წლის დეკემბერი

ერთი მტევანი კრახუნა

შეუმჩნევლად მიეპარა ურალს შემოდგომა. სექტემბრის თბილი ამინდები ოქტომბერსაც გადაწვდა, მაგრამ უცებ მონაბერმა ცივმა ქარებმა ყველას შეახსენა, რომ ციმბირი აქ იწყება და არც ისე შორსაა მძვინვარე ზამთარი...

ვაგზალთან, ალბათ, ყველაზე ხალხმრავლობაა ამ ქალაქში, ვაგზლის შენობა კი ნამდვილ ბაბილონის გოდოლად ქცეულა. მგზავრობის გაწამაწიით აფორიაქებულ ადამიანთა ასეთ სიჭრელეს იშვიათად თუ სადმე შეხვდებით: რუსებსა თუ უდმურტებს, უკრაინელებსა თუ ნენცებს, ბაშკირებსა თუ მარიელებს, ხაკასებს, ურალის თათრებს, ყაზახებსა და კიდევ მრავალ სხვას თავს უყრის და კვლავ ამგზავრებს ყველა მიმართულებით სვერდლოვსკის[1] სარკინიგზო კვანძი. ბოლო არ უჩანს ხე-ტყით, მადნეულით, ლითონის კონსტრუქციებით, ნავთობით, მანქანადანადგარებით დატვირთული ეშელონების შეუნელებელ რახრახს ლიანდაგებზე. ცივი ქარი აჩქარებს მგზავრებს, თავი შეაფარონ ხალხით ისედაც გაჭედილ ვაგზლის შენობას. დარბაზში ადამიანთა სიმრავლისაგან ცხელა კიდეც. კედლებთან, კუთხეებში, სკამებს შორის გასასვლელებთან მგზავრებს ჩემოდნები, ფუთები, ტომრები, ზურგჩანთები მოუმარჯვებიათ დასაჯდომად და წამოსაწოლადაც კი. ადამიანთა ხმაურიან მასაში ბევრია: სამხედრო პირები, სამდინარო ფლოტილიათა მატროსები, გეოლოგები მათთვის დამახასიათებელი ბარგითა და

[1] ამჟამად ეკატერინბურგი.

აღკაზმულობით, ბავშვიანი ქალები კი თითქმის არ ჩანან. ასე დასჩემებია სვერდლოვსკს იმთავითვე – ამ ქალაქს ნაკლებად ჰქონია მოცლა ჩვეულებრივი მგზავრებისათვის...

ბაქანზე მოაბიჯებს შუატანის ხმელ-ხმელი ახალგაზრდა კაცი კოხტად შეკრული ფანერის დიდი ყუთჩემოდნით ხელში. აცვია გამოხუნებული ხაკისფერი ბამბის სათბუნებელი. ზამთრის ჯარისკაცული ყურსაფრიანი ქუდი წარბებამდე ჩამოუფხატავს. ქარი და წვრილი წვიმა სახეში სცემს.

მოსაცდელი დარბაზის მძიმე კარი ღრჭიალით შეაღო. დახუთული ჰაერის ოხშივარმა ერთბაშად შეაჩერა. ქუდი მოიხადა, სათბუნებელი შეიხსნა და სალაროებს მიაშურა. მივლინებულთა სალაროსთან გრძელი რიგი იდგა და დიდხანს მოუხდა დგომა ბილეთის დასამოწმებლად.

გრძელი სკამების რიგებისაკენ გასწია თავისუფალი ადგილის მოსაძებნად. გასასვლელებშიც ისხდნენ მგზავრები და გავლა ჭირდა. მალი-მალ ფეხქვეშ იხედებოდა, ვინმეს ბარგს არ წამოსდებოდა. ორი რიგი ამაოდ გაიარა, თავისუფალ ადგილს ვერ მიაგნო და ის იყო განზრახვაზე ხელი უნდა აეღო: „სჯობს ისევ სადმე კედელთან მოვთავსდე ჩემს ჩემოდანზე“, რომ რაღაც რბილს წაჰკრა ფეხი, დაიხედა და ტყვიანაკრავივით შედგა. ასეთი რა ეუცნაურა, რომ შეკრთა და აღელდა?!

ორღვედიანი შესაკრავით შემოსალტულ, ჯვალოში გახვეულ მოგრძო ბარგს შუაში, ხის სახელურთან ქსოვილი გადახსნოდა და მოჩანდა პატარა ვაშლის დიამეტრის ხის ბრტყელი, პრიალა სარქველი, დაკრული გაბერილ ტყავზე, რომლის სამი ბოლო მკაფიოდ გამოშვებულიყო, თითქოს მათში კიტრები ჩაედოთ და ჯვალოთი დაეფარათ. ახალგაზრდამ ძირს დადო ყუთჩემოდანი, ჩაცუცქდა, ხელი გადაუსვა ხის სარქველს, საჩვენებლი თითი რამდენჯერმე დააჭირა რაღაც რბილით გატენილ, ბურვაკივით გაწოლილ ბარგს. სახე ეცვალა, წელში გაიმართა და გრძელი სკამის ბოლოში მჯდომ მგზავრს მხოლოდ ახლა შეხედა. ეს კაცი უნდა ყოფილიყო ამ ბარგის მფლობელი. გაბერილტყავიან ბარგთან ვეებერთელა ჩემოდანზე მგზავრს ყავისფერი დრაფის

პალტო ნაკეცად უდევს, ზედ იმავე ფერის კეპი დევს გაზეთების დასტასთან ერთად. იქვე, გვერდით იყო ჯვარედინად თოკით შეკრული ფანერის მოზრდილი ყუთი. ახალგაზრდა დაბნეული ჩანს: კოსტიუმში ჟილეტით, ჰალსტუხით გამოწყობილი კაცი და ასეთი ბარგი – ფანერის ყუთი, ჯვალოში გამოკრული ტვირთი?!.. უყურებს სამოცს მიღწეულ ხშირწარბებიან მელოტ კაცს მზემოკიდებული სახით. რაღაცის თქმასაც აპირებს მისთვის, მაგრამ ვერ გაუბედავს, ორჭოფობს!..

სკამის კიდეზე მჯდომმა შეამჩნია, რომ ვიღაც შედგა და მისკენ შემოტრიალდა. გაზეთის კითხვას თავი ანება. გამხდარი ახალგაზრდა კაცი მწვანე ყუთჩემოდნით ხელში გაფართოებული თვალებით მის ბარგს დაშტერებია. ჩაცუცქდა და ხელს აფათურებს კიდეც ბარგზე. გადახოტრილი თავი, რამდენიმე დღის გაუპარსავი წვერი და ჩაცმულობა – გახუნებული, ჩათბუნებული უბრალო შარვალი, უხეში, გაუწმენდავი ფეხსაცმელები უნდობლობას აღძრავს მელოტის თვალში. მარჯვენა წარბი ჭრილობას გადაუსერავს და ორად გაუყვია. ნაჭრილობევი შუბლის შუამდე გასდევს პრიალა ზოლად: „ეს კარგი კაცობის დაღი არ უნდა იყოს!.. ხელითაც რომ მოსინჯა ჩემი ბარგი ჩემსავე თვალწინ, მოურიდებლად? – ფიქრობს მელოტი, – აბა, იკადრე რამე, თუ კარგი ბიჭი ხარ!..“

უყურებენ ერთმანეთს, ხმას არ იღებენ. ფეხზე მდგომს მოუთმენლობა იპყრობს, არადა, რაღაც უნდა შეაგებოს ამ კაცის გამომცდელ მზერას, ირონიულს, გამომწვევს. ხანგრძლივი ორჭოფობის შემდეგ ახალგაზრდამ ჩამქრალი ხმით მიმართა ქართულად:

– ქართველი ხარ?.. ძიაკაცო!..

– ა?.. ა-ა-ა-?! – გაოცებულმა წამოიყვირა მელოტმა, შეიშმუშნა, თვალები მოწკურა და გვერდზე თავის გადაწევით, შეწუხებული სახით განაგრძო წინ მდგომის სახეზე მიშტერებით ყურება. ასეთი გამოხედვა და გაურკვეველი ბგერები წყენის გამოხატვად მიიღო ახალგაზრდამ და უკვე რუსულად, ნერვებაწყვეტით მიაძახა:

– И спрашивать нельзя, что-ли?![1]

– მერე, რას ღრიალებ, თუ იცი!

– ქართველი ყოფილხარ! – დაიყვირა ახალგაზრდამ გაბრწყინებული სახით. ეცა მელოტს და ჩაბღუჯა, ჩაეხვია, – შენი ჭირიმე, ძიაკაცო, შენ გენაცვალე!..

– ამას აღარ მოელოდა მელოტი. ძლივს დააშოშმინა უზომოდ აგზნებული უცნობი.

– ვითომ ასე ნაღდად ვგავარ ქართველს?

– შემთხვევით ტიკჭორას წიპს დავატანე თვალი. ქართველი კაცისათვის რა ძნელი საცნობია, თუ იცი! ტიკჭორა კი ამ მხარეში ვის უნდა ჰქონდეს, თუ არა ქართველს?! ძალიანაც გამიკვირდა, უცებ პასუხი რომ არ გამეცი ...

– მელოტი უნდობლად უყურებდა ასე უცნაურად გამოცხადებულ თანამემამულეს... ეს იგრძნო ახალგაზრდამ:

– რა ხანია, ქართველს არ შევხვედრივარ, ქართული არ მსმენია ... – თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

– საიდან მოდიხარ?

– ტიუმენის ჭაობებიდან ...

– ჰო-ო-ო!.. – ხაზგასმით წარმოთქვა მელოტმა, – კი მაგრამ ეს მხარე და მთელი ციმბირი ქართველებითაა მოფენილი – ცოცხლებითაც და ... პატიმარი იყავი?

ახალგაზრდა კაცმა უხმოდ დაუქნია თავი. თავის ყუთჩემოდანზე ჩამოჯდა და ხელის გულები თვალებზე მოისვა.

– დიდი ხანია, რაც შინ არ ყოფილხარ?

– ახალგაზრდამ თავი ასწია და ყრუდ ჩამომარცვლა:

– ჩვიდ-მე-ტი... წელი ...

მელოტი წამოდგა, სადღაც შორი მზერა გაისროლა და თავმოუბრუნებლად ჰკითხა:

– რა ჩაგიდენია, ბიჭო, ასეთი! – ჩვიდმეტი წელი... მაშინ სულ ყმაწვილს, თითქმის ბავშვს...

– განა ერთი სიტყვით ითქმის ჩემს ცხოვრებაზე, თუ ეს ცხოვრება იყო?!

---

[1] რა, შეკითხვაც აღარ შეიძლება?! (რუს.).

მელოტი დუმდა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მიუბრუნდა და ჰკითხა:

– როდის არის შენი მატარებელი?

– სამი საათის შემდეგ.

– მე დრო მეტი მაქვს... აქ დამელოდე, ახლავე მოვალ.

– მობრუნდა მებარგულთან ერთად:

– ჩვენი ბარგი ერთი-ორი საათით შემნახველ საკანს მივაბაროთ, სადმე მოვკალათდეთ და ვისაუბროთ...

წინააღმდეგობა ვერ გასწია პატიმარყოფილმა. მელოტმა თავისი გაიტანა. ჩემოდნიდან ერთი თავი სულგუნი, წიწაკაში გამოყვანილი ლორის ნაჭერი, ორი ჩურჩხელა და რამდენიმე ნამცხვარი ამოიღო. საგულდაგულოდ შეკრული ფანერის ყუთი გახსნა ხილის ამოსაღებად. ახალგაზრდამ არ დაანება და მღელვარებისაგან ნირწამხდარმა ჰკითხა:

– რა გქვია, ძიაკაცო?

– პავლე. შენც ხომ ხარ მონათლული?

– ნუკრი.

– ჰო-და, ჩემო ნუკრი, ეს ცოლიკაურია შორაპნიდან. თან წავიღოთ და გემო გავუსინჯოთ. შესანახად ტიკჭორას ვერ ვანდობ – რა ვიცი, შემთხვევით არ მოხვდეს მახვილი საგანი...

– ბარგი შემნახველ საკანს მიაბარეს.

– ვაგზლის რესტორანში კედელთან მყუდრო ადგილი შეარჩიეს. პავლე ოფიციანტს შეუთანხმდა: ორმაგად გადაგიხდით კერძებისა და მომსახურებისათვის, ოღონდ სასმელს ჩვენსას დავლევთო, თქვენ არ გეწყინოთო. საჭმელები და ლიმონათები შეუკვეთა, ორი ცარიელი ბოთლიც მოატანინა. კედელთან იატაკზე დადებულ ტიკჭორასთან წაიხარა, ჯვალოს ტომარა კიდევ უფრო გადახსნა და თითისტოლა თავწამრგვალებული ხის მასრა გამოაცურა. ალმაცერად ამოხედა ნუკრის, გაუღიმა, თვალი ჩაუკრა: ახლავე დავაჭაშნიკებთ შარშანდელ ცოლიკოურსო და საქმე განაგრძო. შეხსნა მასრის ბოლოს შემოხვეული ტყავის წვრილი თამასა, ბოთლი წახარა, მასრის ტუჩი ბოთლისას უსწორა და ქარვისფერმა სითხემ ბოთლში იწყო ჩაღვრა. ცოლიკოურის

მძაფრმა სურნელმა ცხვირში შეუღიტინა და ააღელვა ნუკრი, დიდი ხნით მინელებული გრძნობა აუფორიაქა და უნებური კვნესა რომ მიეჩქმალა, უცბად მომდგარი სიტყვებით მიმართა პავლეს:

– აქეთ რა საქმე გაგჩენია, ძია პავლე?

პავლემ ღვინით სავსე ბოთლები მაგიდაზე დადო და ნუკრის პირდაპირ დაჯდა:

– ვაჟი მსახურობს ჯარში, ივდელს იქით, გაგიგონია?

– ივდელი... კი მაგრამ იქით მხოლოდ გულაგის ბანაკები უნდა იყოს ტყიან ჭაობებში, როგორც ტაიმირზე...

– თუ გგონია, რომ ჩრდილოეთი ურალი სამხედრო ბაზების გარეშე, პატიმართა ბადრაგის იმედად აქვთ მიტოვებული, ძალიან ცდები.

– ალბათ, ალბათ...

– შორაპნელთა სიძე ვარ და ბიჭთან მისი დედულეთის ღვინოც მიმაქვს.

პავლემ სასმისები შეავსო, ჩვენი შეხვედრისა იყოსო და სასმისი გამოცალა.

ნუკრიმ ნელ-ნელა, წრუპვით შესვა, ტუჩები ააცმაცუნა – ან თქმა უნდოდა რამესი, ან გულდაგულ აჭაშნიკებდა ქართული ღვინის თითქმის მივიწყებულ გემოს.

– შენზე არაფერს მეტყვი?

– ჩემზე? – ნუკრიმ თავი ჩაქინდრა, გაირინდა, თვალები სუფრის ერთ წერტილზე გააჩერა. პავლეც გაყუჩდა, არ აჩქარებდა. ოფიციანტმა შეკვეთილი კერძები მოიტანა. კვლავ შეავსო პავლემ სასმისები. ნუკრი ფიქრებს მისცემოდა. დარდის ჩრდილები გასჩენოდა ტუჩებთან, შუბლი და თვალთა კუთხეები ნაადრევ ნაოჭებს დაებზარა.

– ბაღდათის რაიონიდან ვარ. შინ მშობლები და უმცროსი და-ძმა დავტოვე 1939 წელს... ომმა პოლონეთის საზღვართან მომისწრო და..., – თავი ასწია, შეხედა ამბის მომლოდინე პავლეს და ხმაზე ძალდატანებით ამოღერღა: მას შემდეგ... მათზე არაფერი ვიცი... არც მათ იციან ჩემ შესახებ...

პავლეს ღვინით სავსე სასმისი ხელში შეუტოკდა. ღვინო დაიღვარა სუფრაზე. თითქმის ცარიელი სასმისი ძლივს ჩადგა თეფშებს შორის. არ იცოდა, ერწმუნა თუ არა ამ წამს მოსმენილი სიტყვების ჭეშმარიტება, გონებისათვის მიუღებელი ამბავი! გაოგნებული უყურებდა მოსაუბრეს. ნუკრიმ სახეზე აიფარა გამხდარი, დაძარღვული ხელები და სხეულის შეკავებული თრთოლვით გულში ჩახშული ხმით აქვითინდა. პავლე მივარდა მტირალს. მხრებზე ხელები მოხვია, დამშვიდება სცადა. ვინ იცის, გული იჯერა თუ არა ნუკრიმ ტირილით, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ხელები მოიშორა სახიდან, მაგიდისაკენ ღრმად თავდახრილმა ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა და შეწუხებულ პავლეს შეხედა:

– დაუჯერებელია ხომ, ძია პავლე! ჩემს ბედში დაუჯერებელია ყველაფერი, ისიც კი, რომ ცოცხალი და საღ გონებაზე ვარ. მეც არ მჯერა ზოგჯერ, რომ ვარსებობ ... ჩემი ცხოვრება დაუსრულებელი კოშმარია...

– ეცადე, დამშვიდდე, ნუკრი... შვილო... – რამხელა სითბო და თანაგრძნობა ჩააქსოვა ამ სიტყვებში პავლემ. გული შეეკუმშა და ოდნავი ხმის კანკალით უთხრა: – შესვი, – ღვინო მიაწოდა, – ახლა მთავარია, რომ შინ ბრუნდები...

ნუკრიმ რამდენჯერმე მწარედ დააქნია თავი, სასმისი გამოართვა და უხმოდ გამოცალა.

– თუ გულს მოგიოხებს და გინდა მომიყვე, რატომ დაეკარგე ცხოვრებას დღემდე, თქვი, გისმენ! იქნებ, შვებაც მოგგვაროს... ოღონდ არა ჩემთვის – არა!

ისხდნენ კარგა ხანს სევდიანნი, თავჩაქინდრულნი. თითო ჭიქა კვლავ უხმოდ შესვეს.

– 22 ივნისს ჩვენი საარტილერიო პოლკი ნემანთან იდგა, საზღვრიდან ოც კილომეტრზე. მეორე დღის ბოლოს, უკვე საზღვრიდან შორს, პოლკიდან აღარაფერი დარჩა. მხოლოდ ცოტანი გადავრჩით. მცირე ჯგუფებად დავიშალეთ. ვიხევდით უკან მშიერ-მწყურვალნი, თითქმის უტყვიაწამლოდ. რამდენიმე დღის შემდეგ, მინსკის დასავლეთით, დიდ გარემოცვაში მოვხ-

ვდით. იქ დამატყვევეს მებრძოლთა ოკუპაციან ჯგუფთან ერთად. ოთხი მძიმედ დაჭრილი წითელარმიელი იქვე დაცხრილეს გერმანელებმა ავტომატებით. მეც დაჭრილი ვიყავი მკლავში, ყუმბარის ნამსხვრევით. ჭრილობა მძიმე არ იყო, სიარული შემეძლო და ამან გადამარჩინა მაშინ. სჯობდა კი – იქვე მოვეკალი გერმანელებს... მინსკთან ტყვეთა ბანაკში ყოველდღიურად ასობით ადამიანი იხოცებოდა წყურვილით, შიმშილით... ჭრილობა წამლისა და შესახვევების გარეშე შემიხორცდა... ზამთარი პოლონეთის ტყვეთა ბანაკში გავატარე, სადაც ტიფმა, დეზინტერიამ, შიმშილმა, სიცივემ იმსხვერპლა, როგორც ამბობდნენ, ოცი ათასზე მეტი ადამიანი.

პავლემ სასმისები შეავსო:

– სასწაულია ეს შენი ცოლიკოური, უკვდავებას ჰგავს, ჩემთვის მითუმეტეს... მაგრამ თრობა არ მინდა. რომ ავჩვილდე... ვერ გავუძლებ, ალბათ... ეს მავთულხლართებში დახოცილთა მოსაგონარი იყოს, არა, ძია პავლე?! – სასმისი ასწია და ნელ-ნელა, თითქმის წვეთ-წვეთ დაცალა.

– სახეზე როდის დაგჭრეს? – წარბზე მიანიშნა.

– ეს ფრონტისა არ არის – ბავშვობის ჭრილობაა. ძალიან ცელქი ვიყავი, მოუსვენარი. მაშინ ხუთი-ექვსი წლის თუ ვიქნებოდი. მამაჩემი მეზობელს ეხმარებოდა ჭის ამოთხრაში. მეც წავყევი. იმ მეზობლის ბიჭთან ვმეგობრობდი და ჭის ამოთხრაც ხომ გართობა იყო ჩვენთვის. ჭაში მამა მუშაობდა, მაგრამ ჯერ ღრმად არ იყო ჩასული. მე და მეზობლის ბიჭი იქაურობას არ ვცილდებოდით, ჭიდან ამოყრილ მიწაზე ვხტუნაობდით, ყირაზე გადავდიოდით. გვიწყრებიან უფროსები, მაგრამ მოვცილდებით და ისევ მიწაყრილზე ვართ. ერთიც გამოვქანდი, რაც შეიძლება შორი ნახტომი უნდა გამომივიდეს! ამ დროს მამამ ბარით მიწა ამოყარა და ბარის წვერმა ნახტომის ბოლოს მიწია – წარბში მომხვდა, დავგორდი და ავღრიალდი. თავს იკლავდა მამაჩემი – ეს რა დავმართეო შვილსო!.. მას შემდეგ ვატარებ ამ დაღს და მახარებს კიდეც, რომ ეს ნიშანი თან დამყვება. ნუკრიმ ბავშვობის

ნაჭრილობევზე თითი გაატარა, შუბლი ხელის გულით დაისრისა, თითქოს ფიქრებს ებრძვის და მათ მოცილებას ლამობსო.

– ჩემს სადღეგრძელოს აღარავინ სვამს, რა ხანია...

– წინასწარ გული გაგტეხია, ჩემო ნუკრი! – მიუხვდა პავლე, რაც აწუხებდა ყველაზე მეტად თანამოსაუბრეს, – ახლა მაინც... აი, ჩახვალ და შენი დღეგრძელობის ისეთ სუფრას გაგიშლიან თქვენები, რომ!.. – ახლა კი მე შევსვამ შენს სადღეგრძელოს...

– პოლონეთის შემდეგ გერმანიის ბანაკებში ვეწამე. დაბომბვის შედეგად დანგრეული ქალაქების გაწმენდასა და ტანკსაწინააღმდეგო რკინის ღობურების მოწყობაზე გვამუშავებდნენ გარიჟრაჟიდან დაღამებამდე, დარსა თუ ავდარში. საბჭოთა ჯარები რომ მოახლოვდნენ, ყრუდ ჩაგვკეტეს ბანაკში. აღარ გავყავდით სამუშაოდ.

ფრონტის ხაზი სულ უფრო ახლოვდებოდა. კარგად ისმოდა აფეთქებებისა და ლამის ტყვიამფრქვევთა სროლის ხმაც. ვხედავდით ჰორიზონტთან მოტრასირე ტყვიების ნაირფერ კვალსაც. ხსნას ყოველდღე ველოდით, მაგრამ შიშიც დიდი იყო. ერთ საღამოს, არ ვიცი, საიდან, ხმა დაირხა – უკან დახევისას ესესელებმა რომელიღაც ბანაკში ტყვეები ამოხოცესო. გვაშინებდა უკვე ის, რომ სამუშაოდ არ გავყავდით. იმ ღამეს ბანაკიდან გასულმა ერთმა ტყვემ შენიშნა, თუ როგორ გაჰქონდათ მანქანებით ყუთები და ჩემოდნები გერმანელებს კომენდატურის შენობიდან. ესეც გვენიშნა – გერმანელები გაქცევაზე არიან, მაგრამ როგორ წავლენ? „უპატრონოდ“ დაგვყრიან, თუ...

გადაწყდა გერმანელთა განიარაღება და გაქცევა. ბანაკი კარგად ჰქონდათ გერმანელებს დაცული. ვიცოდით, რომ გაქცევის ცდას შეიძლებოდა დიდი მსხვერპლიც მოჰყოლოდა, მაგრამ არჩევანი არ გვქონდა. ბანაკი განათებულია. გუშაგსა და კომენდატურის შენობას შეუმჩნევლად ვერ მიეკარები. ძალზე სახიფათო იყო კომენდატურის თავზე აღმართული კოშკურა, საიდანაც მეტყვიამფრქვევე დარაჯობს ზონას და ყოველ ორ წუთში პროჟექტორის შუქით წრიულად ანათებს მიდამოს. ამიტომ გერმანელებზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო

გათენებისას, ბანაკის შემოსასვლელის მარჯვნივ, მოშორებით მდგარი სამზარეულოს ბარაკიდან.

მე და ერთი რუსი მზარეულად ვმუშაობდით. ამ საქმის ოსტატი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ კარტოფილისა და რაღაც ძირხვენებისაგან „ბალანდის“ ათითხნას რა უნდოდა! ვმუშაობდით გერმანელი შეფმზარეულის მკაცრი მეთვალყურეობით, ქვაბში ზედმეტი კარტოფილი რომ არ ჩაგვეყარა. გერმანელებს, რა საკითხავია, ცალკე სამზარეულო ჰქონდათ, მაგრამ კარტოფილის სათავსი საერთო იყო. გათენებისას მივდიოდით მე და რუსი სამზარეულოში და დამხმარედ, რიგ-რიგობით სამი კაციც მიგვყავდა სხვადასხვა ბარაკიდან.

გერმანელთა განიარაღებისათვის ხელსაყრელად სწორედ ჩვენი მზარეულობა მიიჩნიეს. სახიფათო საქმეც ჩვენ დაგვევალა. დამხმარეებად სამი კაცი შეგვირჩიეს. მთელმა ბანაკმა შიშში გაათენა ღამე, შიშში, თუმცა იოტისოდენა ნაპერწკლის იმედად.

გეგმა ასეთი იყო: თავდაპირველად უნდა მოგვეცილებინა გერმანელი მზარეულები, შევიარაღებულიყავით მათი პისტოლეტებით, გადაგვეცვა გერმანული ფორმა, განგვეიარაღებინა ბანაკის შესასვლელთან მდგარი გუშაგი. დამხმარე სამი ამხანაგიდან ერთმა კარგად იცოდა გერმანული. ბარაკში მას „ხრაბრეცსაც“ ეძახდნენ, თუმცა არ ვიცი რატომ?! ალბათ, მამაცობა გამოიჩინა ბრძოლის ველზე. რთული დავალების შესრულებაც იმ დღეს მას ერგო. ის უნდა ასულიყო კოშკურაზე, მოესპო მეტყვიამფრქვევე და ტყვიამფრქვევი ჩამოეტანა ქვემოთ. შემდეგ, მასთან ერთად, შეიარაღებული გუშაგის ავტომატით უნდა შევვარდნილიყავით ყაზარმაში და მოგვესპო გერმანელები. სწრაფად უნდა დაგვეტოვებინა ბანაკის ტერიტორია და სამხრეთით, ორ კილომეტრზე ტყიან ხევ-ხუვებს შევფარებოდით, საბჭოთა ჯარების გამოჩენამდე. იმ ადგილებს კარგად ვიცნობდით. რამდენიმე კვირის წინ სანგრების თხრაზე გვამუშავებდნენ გერმანელები. ისიც გვქონდა გათვლილი, რომ ვიდრე ყველა ტყვე ბანაკს არ დატოვებდა, კოშკურაზე ვინმე აუცილებლად უნდა მდგარიყო და ეთვალთვალა ავ-

ტოსტრადისათვის – ხომ არ გადმოუხვევდნენ გერმანული მანქანები ბანაკისაკენ მომავალ გზაზე. ასეთ შემთხვევაში გადარჩენის ნაკლები შანსი გვექნებოდა, მაგრამ ძლიერია სიცოცხლის წყურვილი, შეუძლებელსაც გაგაკეთებინებს, შიშით შიშს დაგამარცხებინებს...

ოდნავ შეთენდა და თვითნაკეთი ორი დანით შეიარაღებული ხუთი კაცი სამზარეულოსაკენ გავემართეთ. სამზარეულოს კარს უკვე აღებდნენ გერმანელი მზარეულები. ხუთნი ადვილად გავუსწორდით ორს. მე და „ხრაბრეცამ“ სასწრაფოდ გადავიცვით გერმანული ფორმები. პისტოლეტები გერმანული წესით დავიკიდეთ სარტყელზე – წინ, მარცხენა თეძოსთან. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე შევძლებდი ესოდენ საძულველ, ამაზრზენ და შიშისმომგვრელ სამოსში გამოწყობას, ტანსაც გერმანელი ოფიცერივით დავჭიმავდი და წელგამართული, თავმომწონედ დავიწყებდი სიარულს – „აქაოდა მიფრთხილდით“, „მიფრთხილდითო“... მაგრამ სხვა გზა არ იყო...

დანარჩენი სამიც უკან მოგვყვებოდა, ცარიელი დახურული ყუთებით მხრებზე, ვითომ გერმანელთა სამზარეულოში მიჰქონდათ სურსათ-სანოვაგე. წვიმდა, წვრილად წვიმდა... სიცივე ატანდა ძვლებში, მაგრამ რა ძალა შეგვაჩერებდა... კარგად არც გათენებულიყო და ვიმედოვნებდით, რომ გუშაგი ვერ მიგვიხვდებოდა... გაგვიმართლა.

გუშაგს წვიმისაგან თავი შეეფარებინა საგუშაგო ჯიხურში. ზერელედ შეგვხედა. „ხრაბრეცამ“ ახლოს ჩაუარა ჯიხურს, ერთი ნახტომით მისწვდა გუშაგს და მკერდში დანა აძგერა. კოშკურიდან მეტყვიამფრქვევე ამას ვერ დაინახავდა. ავტომატი ავიღე სამი მჭიდითურთ... კომენდატურის შენობას თვალს არ ვაცილებდი. გერმანულის მცოდნე „ხრაბრეცა“ კოშკურის კიბეზე ასვლას შეუდგა. გერმანელმა რაღაც გადმოსძახა ზემოდან. ჩვენმა „გერმანელმა“ გაუგებრად, ხველებ-ხველებით გასცა პასუხი ისე, რომ მისი ხმა, უთუოდ არაფერს არ ჰგავდა.

მალე ჩამოირბინა ტყვიამფრქვევით ხელში. მის ნაცვლად კი, კოშკურაზე ჩვენი მოთვალთვალე სხარტად ავიდა. ახლა ტყვი-

ამფრქვევითა და ავტომატით უნდა შევუვარდეთ მე და „ხრაბრეცა“ გერმანელებს ყაზარმაში, მაგრამ კოშკურიდან მოთვალთვალე ყვირის:

– ჩვენს გზაზე ორმა ტანკმა და ჯარისკაცებით სავსე მანქანებმა გადმოუხვიეს... – ისევ ბინდბუნდია...

ტყვეებმა ერთბაშად იწყეს ბარაკებიდან გამოსვლა. თავშეუკავებელი ხმაურით, პანიკით მოცულებმა ალაყაფის კარს მიაშურეს. ძლივს ეტეოდნენ კარში გაქცეულები, ეცემოდნენ, დგებოდნენ, ისევ გარბოდნენ... არავინ ფიქრობდა საფრთხეზე კომენდატურის შენობიდან. კარში გამოჩნდა პერანგისამარა ორი გერმანელი ავტომატით ხელში. ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერი... და ისინი ჩაიკეცნენ. მაგრამ შენობაში კიდევ ათზე მეტი გერმანელია. აღებენ ფანჯრებს და იქიდან ცდილობენ ჩვენს დაცხრილვას. მოხერხებული პოზიცია გვაქვს – ალაყაფის კარსა და გერმანელთა შენობას შორის კაცის სიმაღლის ქვის მინაშენი. ამის გამო გერმანელთა ტყვიები უმეტესად მას ხვდება. ხედავენ გერმანელები ბარაკებიდან გამოცვენილ ხალხს, მაგრამ მათ ყურადღებას თითქმის არავინ აქცევს. მთავარი საფრთხე ჩვენ ვართ და ცეცხლიც ჩვენკენ მომართეს.

გერმანელებმა ტყვიამფრქვევიდან დაგვიშინეს... როგორც იქნა, ვაჯობეთ და დავადუმეთ, თუმცა გერმანული ავტომატები მძლავრობენ. მდგომარეობა ძალიან სახიფათო ჩანდა. წამითწამზე ველოდით გერმანელთა ტანკების გამოჩენას. სულ ახლოდან ისმოდა მოტორების გრიალი და მუხლუხების რახრახი და უცებ ვხვდები, რომ ბანაკის ტერიტორია დაცლილია. ტყვეებს გაუსწრიათ, მაგრამ შორს კი წავიდნენ? – გავიფიქრე... გერმანელებმა გააძლიერეს სროლა. ჩვენი ტყვიამფრქვევი კი დადუმდა. „ხრაბრეცა“ ჩემ გვერდით დაეცა. იქვე უსულოდ წევს კიდევ ორი ჩვენი ამხანაგი, მათ შორის კოშკურაზე მოთვალთვალე, რომელიც არ ვიცი, ძირს როდის ჩამოვიდა. ვინ წარმოიდგენს, რა საშინელი განცდით დავცქერი ოთხი ამხანაგის გასისხლიანებულ სხეულებს გერმანულ ფორმაში, თუ ტყვეთა ზოლებიან სამოსში.

სინათლემ იმატა... ტანკები სადღაც სულ ახლოს იყვნენ. ამ დროს ერთადერთი ჩემი გადარჩენილი ამხანაგი, ხუთეულიდან, გამოვარდა საფარიდან და არაადამიანურად ყვირის:

– Нащи! Нащи!..[1]

გერმანელი მეავტომატის გასროლა და ეს ამხანაგიც ეცემა მიწაზე.

სწორედ იმ წამს ალაყაფიდან შემოგრიალდა ორი წითელ-ვარსკვლავიანი ტანკი და ტყვიამფრქვევების ჯერი მიუშვეს კომენდანტურის შენობისაკენ. უკანასკნელ წამს მოვიდა ხსნა. მავიწყდება, რომ ვდგავარ გერმანულ ფორმაში ავტომატ-მომარჯვებული და არავის და არაფერს ყურადღებას არ ვაქცევ – არც ტანკებს, არც მათ შორის ბანაკის დაცარიელებულ ტერი-ტორიაზე შემოვარდნილი მანქანებიდან საბჭოთა მეომრებს. მესმის, რომ გვერდიდან ვიღაც მიახლოვდება ყვირილითა და გაწაფული რუსული გინებით, მაგრამ მგონია, რომ ეს მე კი არა, ვიღაც სხვას ეხება. ვიდრე რამეს მოვისაზრებდი, კისერში დარ-ტყმამ ძირს დამცა. გონს მოსვლა არ მაცალა, ტანკისტმა ავტომატი ამართვა და წაქცეულს წიხლიც მითავაზა:

– Наверное этот фриц застрелил наших пленных!..[2] – ტანკისტი საყელოში მწვდა, წამომაგდო და ჩემგან ართმეული ავტომატი მომიშვირა.

– Не стреляйте! Я – свой![3] – წამოვიყვირე ანგარიშმიუცემლად.

– Что-о-о?! Вот, сукин сын![4] – და ტანკისტმა მუშტი გამარტყა სახეში და წიხლი ჩამცხო მუცელში. დავეცი და წიხლები მირტყა თავში, გვერდებში, – здесь же растрелять предателя! Но только советской пулей![5] – გერმანული ავტომატი გვერდით მოისროლა და ბუდიდან პისტოლეტი ამოიღო.

---

[1] ჩვენები! ჩვენები!.. (რუს.).

[2] უთუოდ ამ ფრიცმა დახვრიტა ჩვენი ტყვეები!.. (რუს.).

[3] არ მესროლოთ! მე თქვენი ვარ! (რუს.).

[4] რა-ა-ა?! აი, ძაღლისშვილო!

[5] აქვე დავხვრიტოთ მოღალატე! მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ტყვიით! (რუს.).

მოახლოებულმა, როგორც შემდეგ გავიგე, მაიორმა დუბოვმა შეაჩერა:

– Погоди, лейтенант! Не лучше ли, чтобы сначала хорошенько помучили этого мерзавца?[1]

შემაგდეს ტანკზე, ხელები გამიკრეს და ორი მეავტომატეც მომიჩინეს, რომლებიც გზადაგზა მუჯლუგუნებითა და წიხლების რტყმევით, გინებით ერთობოდნენ ჩემზე.

ორივე ტანკი რომელიღაც დასახლებულ პუნქტში ერთ შენობასთან გაჩერდა.

მაიორი დუბოვი და მასთან ერთად ლეიტენანტი ტიმოფეევი ტანკიდან გადმოვიდნენ, მეც ჩამომსვეს და კონტრდაზვერვის კაპიტანს ჩააბარეს ჩემი თავი. ორივე ჰყვებოდა ამბავს, რეალურისა და ვარაუდის ნაზავს. კაპიტანმა წინდახედულად მოსთხოვა ორივეს, წერილობით დაედასტურებინათ „ყველაფერი“ ჩემ შესახებ და მათაც შეადგინეს ჩვენება. შედგენილი ჩვენებით გამოდიოდა, რომ მაიორი და ლეიტენანტი ჩემ მიერ საბჭოთა ტყვეების მკვლელობის თვითმხილველნი იყვნენ. ჩემს ტანზე გერმანული ფორმა თავისთავად „ბევრის მთქმელი“ იყო მათთვის. ჩემმა პროტესტმა, ყვირილმა მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ კაპიტანმა და მისმა ერთმა ხელქვეითმა ტანკისტების თანდასწრებით სასტიკად მცემეს და თითქოს ამით აგრძნობინეს ფრონტელებს, ჩვენც კარგად ვიცით ჩვენი საქმე, ასე ვეპყრობით სამშობლოს მოღალატეებსო. მაიორი და ლეიტენანტი ჩასხდნენ ტანკში და გზა განაგრძეს.

ტანკისტების წასვლისთანავე გამჩხრიკეს და გერმანული კიტელის ჯიბეებიდან ამოიღეს შეფმზარეულის საბუთები, ოჯახის მისამართი გერმანიაში, ცოლ-შვილის ფოტოსურათები. კაპიტნის ხელქვეითს, უმცროს ლეიტენანტს კარგად სცოდნია გერმანული და საბუთების შინაარსს კაპიტანს უთარგმნიდა. ცოტა იმედი მომეცა და დავიწყე ჩემი სიმართლის მტკიცება: ხომ ხედავთ, ეს ის შეფმზარეულია, ვისი ფორმაც გადავიცვი-მეთქი

[1] მოიცა, ლეიტენანტო! განა არ აჯობებდა, რომ ჯერ გვარიანად გააწამონ ეს ნაძირალა? (რუს.).

და ვცდილობდი გარკვევით ამეხსნა რა და როგორ მოხდა ყველაფერი.

არ ვიცი, კაპიტანმა ირწმუნა თუ არა ჩემი მონაყოლი, მაგრამ ის, რაც შემდგომ მოხდა, უცნაური და დაუჯერებელია.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაკითხვაზე მიმიყვანეს კაპიტანთან. ისევ იგივე შეკითხვები და ისევ იგივე პასუხები ჩემგან. ის ეჭვითა და უნდობლობით მეკითხებოდა, მე კი ჩემს სიმართლეს ამაოდ ვუმტკიცებდი... უცბად ზურგი შემაქცია კაპიტანმა, მაგიდიდან რაღაც ქაღალდი აიღო და უკანმოუხედავად, ხრინწიანი ხმით მითხრა:

– მაიორი დუბოვი და ლეიტენანტი ტიმოფეევი გმირულად დაიღუპნენ, – კაპიტანი შემობრუნდა და მრავალმნიშვნელოვნად დააკვირდა ჩემ ელდანაცემ სახეს... ხმა არ ამომიღია... ასე დარჩა მაიორისა და ლეიტენანტის მიერ ხელმოწერილი „ჩვენება“, როგორც „უმთავრესი მამხილებელი საბუთი“ ჩემს ღალატსა და თანამემამულეთა მკვლელობაზე... მაგრამ რა ვიცოდი, რომ უარესი წინ მელოდა.

კაპიტანმა უჩვეულო მოძრაობით მაგიდიდან რაღაც ფურცლები აიღო, ორ თითს შორის მოქცეულად... ოდნავ მოჭმუჭნა... შემომხედა, რაღაც სინანულიც ამოვიკითხე მის თვალებში... და მივხვდი, ეს შეფმზარეულის საბუთებია. კაპიტანი კიდევ უფრო უჭერს თითებს ფურცლებს, თითქოს ფურცლების ჭრაჭუნის ხმა მესმის... ბურუსში ვეხვევი... ფურცლებს კი არა, მე მჭმუჭნის, მე მახრჩობს კაპიტანი ყელზე შემოჭდობილი თითებით... მინდოდა მეყვირა „ხელი უშვი!“, „არ გაბედო!“, მაგრამ, ძია პავლე, სიზმარში არ გიგრძვნია უძლურება – ყვირილი, რომ გინდა და ვერ ყვირი. ასე დამემართა..., – თავი ჩაქინდრა ნუკრიმ და განაგრძო, – აი,

ვდგავარ ასე, მხრებჩამოყრილი, რაღაც საშინელი გაურკვევლის მოლოდინში.

უცებ კაპიტანმა კედლის ღუმელის საცეცხლეში შეყარა შეფმზარეულის საბუთები. აალდა ჩემი უკანასკნელი, ხავსივით მოსაჭიდებელი იმედი. ცეცხლში ჩაიფერფლა... თითქოს ერთბაშად გამოვფხილზლდი და ვყვირი, განწირულად ვყვირი. რომ გავეჩერებინე, კონტრმზვერავებმა კვლავ მცემეს და გონდაკარგული სარდაფში ჩამაგდეს.

რატომ მოსპო კაპიტანმა ის საბუთები? რა მიზნით ჩაიდინა ჩემ მიმართ ეს სისაძაგლე? მგონია, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაერთულებინა თავისთვის ცხოვრება – როგორღაც არ გამოსულიყო ტანკისტი ოფიცრების, ფრონტელი გმირების მიერ სამშობლოს მოღალატედ, საბჭოთა ტყვეების მკვლელად მიჩნეული ვიღაც „საეჭვო სუბიექტის“ დამცველი. თქვენ, უთუოდ იცით, ძია პავლე, რომ ყველა განთავისუფლებული საბჭოთა ტყვე, უპირველესად, უნდობლობისა და დაეჭვების ობიექტი იყო. მხოლოდ საფუძვლიანი შემოწმებების შემდეგ შეეძლო ტყვეყოფილს შედარებით თავისუფლად ამოესუნთქა და ისიც არა ყოველთვის... რამდენს ვცდილობდი, დამერწმუნებინა კონტრდაზვერვის მუშაკები, რომ ჩემზე დაწერილი „ჩვენება“ საშინელი შეცდომაა, რომ ჩემს სიმართლეს ადვილად დაადასტურებენ იმ ბანაკში ჩემთან ერთად ტყვეობაგამოვლილები, რომელთა მიგნებაც ძნელი არ იქნებოდა, ჯერ კიდევ გერმანიის ტერიტორიაზე იმყოფებიან. მაგრამ ვის აწუხებდა ვიღაც ერთი საეჭვოს ბედი, როცა ომის უკანასკნელ დღეებს კიდევ ათასობით და ათასობით სიცოცხლე მიჰქონდა?.. – ნუკრიმ თხრობა შეწყვიტა, ფიქრებს მიეცა. პავლეც ხმას არ იღებს, ფიქრობს ძნელად სარწმუნო ამბავზე, ამ ახალგაზრდა კაცის გაწამებულ სიცოცხლეზე.

– ძია პავლე! ფრონტზე თუ ხარ ნამყოფი?

– არ მომიწია...

– მაინც რა არაადამიანური გამოგონებაა ომი!.. კლავ და გკლავენ ტყვიით, ყუმბარით, ცეცხლით და რა ვიცი, კიდევ რამ-

დენი სიკვდილით... თუ ვერ მოგკლეს და ბედისწერამ ტყვეობა გარგუნა, გკლავენ კიდევ შიმშილით, წყურვილით, ავადმყოფობით, ცემით, ისევ ტყვეობით... და თუ მოხდა სასწაულთა სასწაული და ამ სიკვდილებს გადაურჩი, მაინც რჩება იმედის რაღაც ნატამალი, რომ კიდევ ჩაებღაუჭო ცხოვრებას... თუმცა ეს მე არ მეხება. ჩემთვის ეს ნატამალიც არ ჩანს...

– ნუ იტანჯავ, შვილო, თავს ამგვარი ფიქრებით. ეს რას გარგია! მადლობა ღმერთს, შინ ბრუნდები...

– ვბრუნდები... მაგრამ რით? ან რა დამხვდება იქ? მე მხურვალედ მლოცველის მცირე ნუგეშიც არ მეძლევა, იმდენად უღვთო იყო ყველაფერი ჩემს ბედში...

– ჩვენი სუფრა თითქმის ხელუხლებელია, ნუკრი. მე მოშიებული ვარ. შენც, შორი გზიდან მოსული, მოშიებული უნდა იყო. აბა, გავკრათ კბილი! – ოფიციანტს ახალი კერძები შეუკვეთა და ვითომ მადიანად, ჭამას შეუდგა ნუკრის დასანახად. ყელში კი ლუკმა ეჩხირებოდა. ააფორიაქა ნუკრის თავგადასავალმა.

– ერთი ჭიქაც ხომ არ გადაგვეკრა? – კვლავ ნუკრის გასამხნევებლად, ვიდრე ღვინის სურვილით ჰკითხა და სასმისი გამოცალა. ნუკრიმ ისევ ნელ-ნელა და გემოვნებით შესვა.

– თავი მოგაბეზრე ჩემი გაცუდებული ცხოვრების მოყოლით...

– არა, ჩემო ნუკრი! გისმენ ყურადღებით, მაგრამ თუ შენ გიმძიმს...

– როგორც არ უნდა იყოს, საღერღელი აშლილია... მალე გამომიყვანეს გერმანიიდან და უკვე საბჭოთა ტერიტორიაზე გაგრძელდა ჩემი წამება.

რუსებს და სხვებსაც უჭირდათ ჩემთვის „ნუკრის“ დაძახება. ერთმა თქვა ტყვეთა ბანაკში: „Что это за имя! Никифор, что-ли? Нет! лучше-Никанор“.[1] ასე გავხდი ყველასათვის „ნიკანორი“. პირველსავე დაკითხვაზე მეც „ნიკანორი“ ჩავაწერინე. ძრწოლას მგვრიდა იმის გაფიქრება, რომ სამშობლოში შეიძლება მისული-

[1] ეს რა სახელია! ნიკიფორე, თუ რა? არა! უმჯობესია – ნიკანორი (რუს.).

ყო შეტყობინება ჩემზე, როგორც ტყვეთა მკვლელ მოღალატეზე! ეს ასწილ უარესი იქნებოდა, ვიდრე სიკვდილი და როცა სადაურობა მკითხეს, ხარკოვის უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელი ვარ-მეთქი, ვთქვი.

ვიმედოვნებდი, რომ ასეთ დიდ ქალაქში თავის დროზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო უპატრონო ბავშვთა სახლი. როგორც ჩანს, გაჭრა ჩემმა ხერხმა. მართლაც იყო, ალბათ, ხარკოვში ბავშვთა სახლი. ჩემს გვარსა და სახელზე რას გაარკვევდნენ ომის წლებში ხელიდან ხელში რამდენჯერმე გადასულ და ნახევრად განადგურებულ ქალაქში! ყველაფერს ვცდილობდი, რომ არაფერი სცოდნოდათ შინ ჩემ შესახებ, ვიდრე არ აღვიდგენდი პატიოსანი კაცის სახელს.

ვინ მოსთვლის, რამდენი თხოვნა დავწერე პატიმრობაში ყოფნისას სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ ურყევი რჩებოდა ბრალდების ძირითადი საბუთი დაღუპული ოფიცრების, როგორც ბრალდების „ცოცხალი მოწმეების“ წერილობითი ჩვენება!.. საოცარი ის არის, რომ მათ შორის, ვისთანაც ხვდებოდა ჩემი განცხადებები, არ აღმოჩნდა არცერთი გონიერი, უბრალოდ დაკვირვებული ადამიანი, რომ დაეჭვებულიყო მაინც. შეიძლება იყვნენ კიდეც ასეთებიც, მაგრამ ტანკისტთა „ჩვენების“ საპირისპიროდ მოქმედება, სახიფათო თუ იყო მათი კარიერისათვის... იმასაც ვფიქრობ, რომ ჩემი განცხადებები ბანაკიდან არც გადიოდა და ცეცხლში იფერფლებოდა. იცით? ჩემი დაჟინება კიდევ უფრო მირთულებდა ცხოვრებას – მცემდნენ, კარცერში მსვამდნენ... რა გაძლების ყოფილა ადამიანი! ტიუმენის ოლქში ახლა ნავთობია დიდ პატივში. ბევრი პატიმარი გადმოიყვანეს ციმბირის სხვა ბანაკებიდან. ჩვენც მათ შორის – 600 კაცი ენისეის ნაპირებიდან. გზებისა და ნავთობსადენი მილების გაყვანაზე გვამუშავებდნენ. უიმედობამ საბოლოოდ დამრია ხელი. ბოლო დროს შევწყვიტე კიდეც განცხადებების წერა. ვცოცხლობდი მხოლოდ ციმბირში უთვისტომოდ სიკვდილისათვის. არ მქონდა მომავალი... მომეძალა სიკვდილზე ფიქრი და... ერთბაშად ყველაფერი შეიცვალა! ასე-

ულ ათასობით პატიმარს, პოლიტიკურებსა და ომის წლებში მოღალატეებად შერაცხულთ – „ოცდახუთიანებს“, ათავისუფლებდნენ, მიუხედავად ბრალდების ხასიათისა და სიმძიმისა. თავდაპირველად სადმე, შუა რუსეთში გაჩხერა გადავწყვიტე. შინ დაბრუნებაზე ფიქრიც არ მქონდა, მაგრამ... რა ძალა ჰქონია თავისუფლებას!.. ჩემ წინ გაიხსნა ამდენი ხნის წინ დახშული კარი! რომ მოცილდები ამ ჭაობებს, ჩაჯექი მატარებელში და რამდენიმე დღეში შინ ხარ, წადი, ვინ გაკავებს! და ჩემზე მოუთმენელი პატიმარი, ალბათ, სხვა არ იქნებოდა... მაგრამ ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ბედისწერას ამოჩემება სცოდნია! თუ შეგეჩვია, ადვილად არ დაგთმობს... ძალიან გამაწვალეს დაბრუნების საბუთების გაფორმებისას. ჩემს საბუთებში, სადაურობის გრაფაში, ხომ ხარკოვი ეწერა... და როცა მოვითხოვე საბუთების გაფორმება საქართველოში დასაბრუნებლად, უარი მტკიცეს. არ უნდოდათ დაჯერება, რომ საქართველოდან ვარ, დაბადებული და გაზრდილი მშობლიური ბაღდათ-მაიაკოვსკის რაიონში. არც იმას იჯერებდნენ, რომ „ნიკანორი“ იგივე მე ვარ, ნუკრი. უკვე დახურული საქმის „ამოწევა“ და ხელახალი გამოძიება მოინდომეს. ყველა „ოცდახუთიანი“ გაუშვეს ჩვენი ბანაკიდან, მე კი ორი თვე კიდევ დამაყოვნეს. არ ვიცი, მიწერეს ჩემ შესახებ მაღალ ინსტანციებში თუ რა, მაგრამ ასეა თუ ისე, წინ ვეღარ აღუდგნენ „რკინის ლოგიკას“ – მთავრობის გადაწყვეტილების ძალით მე, ისევე როგორც დანარჩენი სხვა, კანონით თავისუფალი ვარ და შემიძლია ვიცხოვრო ციმბირში, უკრაინაში, საქართველოსა და თუნდაც ჯანდაბაში...

და აი, ვბრუნდები, ძია პავლე!

* * *

გადაეხვივნენ და გულთბილად დაემშვიდობნენ სადგურის ბაქანზე. ვაგონში ასულმა ნუკრიმ მოხედა პავლეს, ხელი დაუქნია და სევდიანი ღიმილი დაუტოვა...

პავლეს არ უცდია თვალებზე მომდგარი ცრემლების შეკავება:

„ღმერთო! რისთვის გაგიწამებია ასე ეს კაცი! შინ მაინც დაახვედრე მშვიდობა...“

* * *

ღამე დღეს ეყრებოდა, მატარებლიდან ფეხი რომ ჩამოდგა.

რკინიგზის პატარა სადგურის მოედანთან, ქუჩის დასაწყისში, სატვირთო მანქანის მძღოლი ვედროდან რადიატორში წყალს ასხამდა. მივიდა, ერთმანეთს მიესალმნენ. მძღოლისათვის რა ძნელი მისახვედრი იყო, რომ ეს კაცი ეს-ეს არის მატარებლიდან ჩამოვიდა და გზის გაგრძელებას ლამობს.

– საით გაგიწევია, მეგობარო? – მგზავრის პასუხი რომ მიიღო, უთხრა:

– ერთი გზა გვქონია.

– იცოდე, ტყუილა არ მინდა...

– ბოლომდე ვერ მიგიყვან, მელოდებიან. ორი კილომეტრის დაშორებით რომ გაგიჩერო, გამინაწყენდები?

– მადლობელიც ვიქნები, რა ხანია, აქეთ არ ვყოფილვარ, ფეხით ცოტას გავივლი...

მგზავრის მსუბუქ ყუთჩემოდანს შეხედა: ყურძნისა და ფელამუშისათვის წამოუღიაო, იფიქრა:

– სტუმრად რთველში, ხომ?

– ასე ვთქვათ, – გაურკვევლად უპასუხა.

– მაშ, გავუდგეთ გზას! მაგრამ არ გეგონოს, რამე გამოგართვა. ქირის ასაღებად კი არ გამოვსულვარ ამ დილით. თანაც რთველში სტუმარი – სოფლის სტუმარი! ბაღდათელებს კი არ გვესწავლება სტუმარ-მასპინძლობა!

ჩაუჯდა კაბინაში. ენად გაიკრიფა მძღოლი. თავს იწონებს უცხოს წინაშე:

– ორი დღე იწვიმა, ცოტა გზები გაგვიფუჭა, – თითქოს ბოდიშობსო ამისათვის „სოფლის სტუმართან“, – რთველშიც შეგვაფერხა ოდნავ. წუხელაც წამოწვიმა, მაგრამ მგონი გვიდარებს აწი... მაინც რა დალოცვილია ოქტომბერი ჩვენში!.. ისე დაგვიშაქრა ყურძენი, რომ!.. კარგი რთველი გვაქვს წელს. ძველ-

შავი უკვე ჩავასხი ჭურებში. ციცქა მაქვს კიდევ მოსაკრეფი და ცოლიკაურიც – რა თქმა უნდა! მგზავრი არ აჰყვა საუბარში. „კი“, „ჰო“ და „არა“ – სხვა არაფერი მოუსმენია მძღოლს მისგან და თვითონაც გაყუჩდა. გზაგასაყართან გაუჩერა მანქანა.

– ამ გადასახვევიდან შენი გზაა, ძმობილო! – მგზავრმა მადლობა გადაუხადა და მანქანაც წავიდა.

ჯერ კიდევ თვალს მიფარებული მზის სხივები გაიხლართა გორაკებს ზემოთ გაბნეულ ღრუბელთა ნაფლეთებში.

დგას და ფეხებს ვერ დგამს – წლობით დაგუბებული ტკივილები, მშობლიურ მიწაზე დაბრუნებით გამოღვიძებული იმედი და გაურკვევლობის შიში შეზავებულა ერთ მდუღარებად და გულთან ერთად მკერდიდან ამოხეთქვას ლამობს. სიმხურვალემ გათანგა სხეული, დასცხა. თუმცა შემოდგომის ნაწვიმარი დილის სიგრილე იდგა. ბამბის სათბუნებელი გაიხადა, მკლავზე გადაიკიდა. ხელი რამდენჯერმე მოისვა წინადღით გაპარსულ ლოყებზე, ნიკაპქვეშ. როცა ტუჩ-ნიკაპის ცახცახი ოდნავ დაიოკა, სადად ნაქსოვი ძველი ნაცრისფერი ჯემპრის კალთა ჩამოისწორა, ხელი ჩემოდნის სახელურს ჩასჭიდა და ნელი ნაბიჯით მანქანების თვლებით დაღარულ, აქა-იქ წყალჩამდგარ სოფლის შარას დაადგა.

აქედან შორს აღარ არის. ტყიანი სერის ფერდობიდან გზა მარცხნივ გაუხვევს და სოფელიც გამოჩნდება...

ფეხს აუჩქარა. მოსახვევიდან თვალწინ ნელ-ნელა წამოცურდა სერებს შორის დავაკებებზე და მცირედ დაქანებულ ფერდობებზე შეფენილი სოფელი ვენახებსა და ხეხილში ჩამჯდარი ძველებური ყაიდის კოხტა ფიცრული სახლებით. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, ხელის ერთი გაწვდენა და მშობლიური სახლიც უნდა გამოჩნდეს!..

აქ, ადრე, პატარა კორომი იყო, გაუჩეხიათ და მონაცრისფრო ნათალი ქვისბლოკებიანი ორი სახლი ჩაუდგამთ. „შიფერის სახურავიანი ქვის საცხოვრებელი სახლები ჩვენში?“ ახსოვს მამის ნათქვამი: „ჩვენი სახლი ბაბუაშენმა რიონისპირიდან ამოტანილი თელის ფიცრებით ააშენა და მარსელის კრამიტით

დახურაო. ეს ეამაყებოდათ სოფელში. რამდენიმე მოსახლეს თუ ჰქონდა ასეთი სახლი. ყავრითაც იოლად გადიოდნენ...

„ვინმე მაინც გამოჩნდეს გზაზე, რამეს ვკითხავდი!..“

... და დაინახა!

ცეცხლმა დაუარა ძარღვებში. ნერვულმა სპაზმებმა მწვავე ტკივილად გასერა კეფის ძირთან და შუა ხერხემალთან, როგორც რამდენჯერმე ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული ნერვული დაძაბულობის დროს: „ვინ არის სახლში? რა ხდება ახლა იქ? გამოდით! დამენახეთ შორიდან!.. ვინმე მაინც... ვინმე!..“

სახლი ისევ ისეა, ოღონდ კედლებსა და კრამიტის სახურავს სიძველის სიმუქე შემატებიათ. ჭიშკართან ვაშლის ხე იდგა... გახმა, ალბათ... მარჯვნივ მარანი რომ გვაქვს, არ ჩანს კარგად, ხეები ეფარება, კომშები უნდა იყოს. სახლთან უცხო ხეებია. უკან, გადასასვლელთან ხომ წაბლი უნდა იყოს – რამხელა გაზრდილა!

ნელა მიიწევს წინ, უახლოვდება და: „სად არიან, სად? გათენდა უკვე!.. ვიღაც არის ეზოში, მაგრამ ვინ? რომელი? კიდევ ერთი: რომელი ხარ? სხვები სად არიან? რატომ არ ჩანან? ღმერთო, რა მეშველება?..“

შიში კიდევ უფრო ანელებს ნაბიჯს. ეზოს ყველა კუთხეს აკვირდება, ზვერავს: „სად გაქრით, დამენახეთ! სულერთია ვინ, ოღონდ დამენახეთ! ნუ არის ეზოში სიცარიელე!..“

მეზობლებთანაც არავინ ჩანს. მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმის შორიდან. ძროხის ბღავილიც მოესმა, მაგრამ ადამიანები?!

უცებ აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოდის. მოაჯირს მოადგა, მგზავრს აკვირდება. ოთახში ვიღაცას გაეპასუხა, მხრები აიჩეჩა.

„დაუძახოს? მაგრამ შორს რომ არის?...“ კიდევ უფრო მიუახლოვდა. ახლა ეზოს კუნჭული უნდა დაზვეროს, მაგრამ ხეები უშლის, „სად ხართ, სად, დამენახვეთ!..“

თვალი გვერდზე გაექცა. „აქ, მარჯვნივ, საძოვარი ფართობი იყო. გადაუხნავთ და რა ვენახი გაუშენებიათ! თითის სისხო თუა ვაზი და როგორ მოუსხამს! გასაკრეფია უკვე, რაღას უყურებენ?!...“

რამდენიმე ჰექტარზეა გაშლილი. ეკალმავთულებით შემოუღობავთ. გზიდან კარგად მოჩანს ღელის პირამდე ოდნავ დახრილად მიმავალი ლარში გამოყვანილი ვაზთა მწკრივები.

სერიდან მზემ გადმოიხედა და პირველი სხივები ვენახში შემოაბნია, ვაზთა მწკრივებში გააცურა და ფოთლებსა და მტევნებში ჩააქსოვა... მაგრამ რა დროს ეს არის?!

სულ რაღაც ორასი ნაბიჯი კიდევ და...

გზის მარჯვენა კიდეს მიუყვება და თვალს ვერ სწყვეტს მოახლოებულ წმინდა სახებას – მშობლიურ ეზო-კარს. სხვას ვეღარაფერს ხედავს, არც არაფერი ესმის... ქვეყნად სრული სიჩუმე სუფევდა. ესმოდა მხოლოდ საკუთარი გულისა და მოგონებიდან უცებ აღძრული უძვირფასესი ხმა თავისკენ მიმხმობი და ასე დაუსრულებლივ მომლოდინე...

და მოულოდნელმა შეფრთხიალებამ შეაკრთო. შედგა. ხმისაკენ მიიხედა. მავთულღობურთან მტევნებით დახუნძლულ ვაზზე მამალი შაშვი ცოდვილობდა. ჩაჰკრა ყვითელი ნისკარტი მტევანს ერთხელ, ორჯერ და ყურძნის მარცვალი ნისკარტში მოიგდო. წამით გაირინდა, მგზავრისაკენ მოიხედა, დაფრთხა და ჭახჭახით ვაზთა მწკრივით ღელისაკენ გაფრინდა.

თვალი ჰკრა – ყურძნის მარცვალი ვაზის ფოთოლზე დაცურდა და გამხმარ ბალახებში ჩაიკარგა. შაშვის ჭახჭახი, ღელის პირას რომ ჩაქრა, საყვედურად მოესმა: „რა არის, ადამიანო! ეს ერთი მარცვალიც დაგენანა?!“

ვაზის ფოთლებსა და ქარვისფერ მტევნებზე გაჩენილი ნაწვიმარი წყლის წვეთები ერთ ციცქნა ნაპერწკლებად ციმციმებდნენ წითლად, ცისფრად, მზისფრად. „ეს ხომ კრახუნაა – თაფლყურძენი, ჩემი საყვარელი კრახუნა!“ – უყურებს ვაზზე გამომწვევად მიჯრილ მწიფე მტევნებს და ერთბაშად მოსწყურდა აუტანელი სიმძაფრით, გახელებით – ყურძნის წყურვილმა აიტაცა...

შორს დადგა ყუთჩემოდანი, სათბუნებელი ზედ გადადო და ვენახის კიდეზე კარგა ხნის წინ გაყვანილ, მიწით ამოვსებულ დაბალ თხრილს გადაალაჯა. დაიხარა, მარჯვენა ხელი მავთულღობურებში გააცურა. ძლივს მიწვდა ვაზს. მტევანი თითებით მოიზიდა, მუჭში მოიგდო, მოწყვეტა სცადა. მტევანი არ დანებდა. მოქაჩა, გასწი-გამოსწია ყუნწთან და მაინც ვერ მოსწყვიტა. არ

დავაზიანოო ლერწი და ცერისა და საჩვენებელი თითების ფრჩხილებით, როგორც მარწუხით, ყუნწის ჩაჭრა სცადა. როგორც იქნა მტევანი მოწყვიტა, ხელი ფრთხილად გამოიღო ეკალმავთულებიდან. მტევანი ოდნავ ჩასრესილა მუჭში და წვენმა მაჯასთან ჩამოწვეთა. ბედნიერად გაეღიმა, თითქოს სხვა რამ სადარდებელი არც ჰქონდა...

წელში გაიმართა, გამარჯვებული სახით ამართული ხელი იდაყვთან მოხარა, თავი გადასწია და მტევანი პირთან მიიტანა. ამ წამს თვალი ჰკიდა მშობლიურ ეზოში თავსაფრიანი ქალის სილუეტს! გული შექანდა საგულეში...

ღელის მხრიდან ვაზთა მწკრივს მოუყვება თმაგაბურძგნული, წვერგაუპარსავი კაცი ფართო, ხაკისფერი გრძელი მოსასხამით. მძიმედ მოაბიჯებს ტალახით შემოგლესილ ქირზის ჩექმებში. მოსასხამი აშკარად დიდია ამ ჩია კაცისათვის და მიწამდე დაშვებულ, ტალახით გათითხნილ კალთებს მოაფართხუნებს. მოსასხამის წაწვეტებული კაპიშონი უკან, ბეჭებზე გადაუგდია. გზადაგზა მტევნებს ავლებს ხელს, თითო-ოროლა ყურძნის მარცვალს პირში იყრის და გეგონებათ, ეუგემურებაო, ისე ჭუტავს პატარა თვალებს მზის სხივებზე და სახეს მანჭავს. ეტყობა, წუხელ დარაჯობდა კოლმეურნეობის ვენახს. გათენებისას კიდევ ერთხელ შემოუვლია მინდობილი ფართობი და შინ ბრუნდება ვენახში ღამენათევი. რკინის კუთხოვანებითა და ეკალმავთულებით შეკრული ფართო ჭიშკრისაკენ გაემართა. ხელი მავთულებში გაჰყო, გარედან დაკიდებული ვეება ბოქლომში გასაღები გადაატრიალა და კარს აღებდა, რომ მარცხნივ მოძრაობა შენიშნა. შებრუნდა და დაინახა, რომ მისგან ათ ნაბიჯზე თხრილიდან წინ წამოხრილ კაცს ეკალმავთულებში ხელი შემოეყო. ყურძნის მტევანს ეტანება მოსაწყვეტად. მის ზურგს უკან გზაზე მწვანე ყუთი მოჩანს: „უყურე ერთი! ყუთიც მოუტანია. მანქანაც უდგას, ალბათ, სადმე მიფარებულად!..“ ხელის სწრაფი მოძრაობით საწვიმარი მხრებიდან მოიცილა, ძირს ლულადაშვებული სანადირო თოფი მხრიდან გადმოიღო. ამ დროს თხრილის თავზე წელში გამართულ კაცს ზეაწეულ

ხელში ყურძნის მტევანი ეკავა... თვალის დახამხამებაში თოფი უსწორა და თითი გამოჰკრა სასხლეტს...

...წელში გაიმართა, გამარჯვებულის სახით ამართული ხელი იდაყვთან მოხარა, თავი უკან გადასწია და მტევანი პირთან მიიტანა. ამ წამს თვალი ჰკიდა მშობლიურ ეზოში თავსაფრიანი ქალის სილუეტს! გული შექანდა საგულეში...

ტყვიამ გაკვეთა გულის ფიცარი. ტკივილი არ უგრძვნია. მუხლები ჩაეკეცა, უკან გადაქანდა და უკიდეებო დაბალი თხრილის ფსკერს დაენარცხა. მარცხენა ძუძუსთავთან ტყვიით გაგლეჯილ ნაცრისფერ ჯემპრზე სისხლის დიდი ლაქა გაჩნდა. ტუჩების კუთხეში სისხლმა გამოხეთქა, ნაკადად გამოჟონა. ჩამქრალი სახე და ნახევრად გახელილი უსიცოცხლო თვალები მიმართული დარჩა ეზოსაკენ, სადაც უკანასკნელად თავსაფრიანი ქალის სილუეტი დალანდა...

* * *

სოფლის მხრიდან თეთრ წვერულვაშიანი მოხუცი მოიჩქარის უბედურების ადგილისაკენ. ეს ბარნაბაა – ყველასათვის პატივსაცემი და ღირსეული. ათამდე სოფლელს უკვე მოეყარა თავი. ქალები დაბალი ხმით მოთქვამდნენ, კაცებიც ვიშვიშობდნენ, ვინ უნდა იყოსო ეს უბედური!..

ღამის დარაჯი თოფით ხელში შეშლილივით დარბის ვენახში, ხან ეკალმავთულებს აწყდება, ხან ვაზის ძირებს და გაჰყვირის: „რა დაგიშავეთ, ხალხო, თოფი რომ მომეცით?!.. რად მინდოდა?!.. რად მინდოდა?!.. რატომ მომეცით, რატომ?!..“ – ყვირის და ვაზის ძირებს ლერწებს აგლეჯს, მტევნებს მიწაზე ყრის და ჩექმებით სრესს. ბარნაბამ თოფი გამოსტაცა, ცალი ხელი ლულაში ჩაავლო და რკინის ბოძს მიახეთქა. თოფი კონდახის ყელთან გადასკდა და ღვედით ბოძს ზედ გადაეკიდა შუაგაყოფილი.

– რა უბედურებაა ჩვენს თავს, მეზობლებო?! უხმოდ განერიდნენ ბარნაბას, გზა მისცეს, ქალებმა მოთქმას უმატეს: „ვაი, მის დედას უბედურს!..“ „ვაი ჩვენს მოსწრებას!..“

– ვინმესთან თუ მოდიოდა სტუმრად, რთველში... მოხუცი მიუახლოვდა და, დააცქერდა:

– ეს რა დაგვემართა, ხალხო!.. ვინ დაგვწყევლა ასე!.. რისთვის მოვესწარით ამ დღეს!..

თხრილის კიდესთან ჩაიმუხლა, გასისხლიანებულ ჯემპრზე ნატყვიარს დააკვირდა:

– ჟაკანი[1] აქვს მოხვედრილი... ვისია თოფი?! ვინ დატენა ჟაკანით?! ვის დასჭირდა ეს დღეს ჩვენში?!..

ვაზის ერთი ფოთოლი გამოჰყოლოდა მტევანს ყუნწით თითებში ჩაჭერილი. ბარნაბამ ფოთოლი ამოაცალა და ნატყვიარს დაადო, მაგრამ სისხლის კვალი ამით ვერ დაფარა.

დიდხანს, დაჟინებით აკვირდებოდა იგი დაღუპულის ჩამქრალ სახეს, თითქოს რაღაცის გახსენებას ლამობსო:

– მე უნდა ვიცნობდე ამ კაცს... – ჩაილაპარაკა მწუხარემ, შეშინებულმა.

– უნდა იცნობდე? საიდან, ჩვენებურს არ ჰგავს.

– ნაცნობი სახეა... ძალიან ნაცნობი... ვერ ვიგონებ. უეჭველია, მინახავს... მინახავს... უნდა ვიცნობდე!.. წამოდგა და თვალს არ აშორებს დაღუპულის სახეს – ფიქრობს დაძაბული.

უცებ ჩიბუხი, რომელიც აკანკალებულ ხელში ჯერ კიდევ ანგარიშმიუცემლად შერჩენოდა, მიწაზე დაანარცხა, ხელები გაასავსავა და იყვირა:

– ნუ შემშლი, ღმერთო, ჭკუაზე!..

ორივე მუხლზე დაიჩოქა ცხედართან. დამჭკნარი, მოუხეშავი ხელები ფრთხილად შეახო მის შუბლს, ხელის გული მოფერების მოძრაობით ნელა გადაუსვა წარბის ორად გამყოფ ძველ ჭრილობას:

– ღმერთო, მიშველე! რატომ მომასწარი ამას?! – გარშემო მყოფთ მოუხედა შეძრწუნებულმა, ძლივს აითრია წელი, ხელის გულებით თვალები მოისრისა:

– ეს ხომ ჩვენი ნუკრია, მეზობლებო, ნუკრი!..

---

[1] ჟაკანი – მსხვილი ტყვია სანადიროდ.

– ვინ ნუკრი, კაცო! რას ამბობ?!

– ნუკრია... დაფინეს ვაჟი...

ქალებმა შეიცხადეს.

– რას ამბობ, რას?! დაფინეს ნუკრი, რა ხანია, აღარ არის ამქვეყნად!

– არ ვცდები, არა, მე დასამიწებელი!.. როგორ არ გახსოვს? – მიუბრუნდა ხანში შესულს, – პატარა იყო, მამამისს ჩემი ჭის ამოღებაზე ბარის წვერი რომ მოუხვდა უცაბედად წარბზე. ხომ შენ მოურბენინე იოდი გამწარებულ მამას! კიდევ კარგი, ის მაინც არ მოესწრო ამ შავ დღეს!.. წარბი მაშინ გაეყო შუაში... სამწარბაო ჩემი ბიჭი, აბრაზებდა...

გაიხსენეს, იცნეს და ქალებმაც უმატეს მოთქმას.

ქალებს შეხედა მოხუცმა პატიების მთხოვნელი თვალებით: როგორმე ხომ უნდა შევატყობინოთო უბედურ დაფინეს...

თოფის გასროლის შემდეგ, ვენახთან ხალხის თავშეყრა რომ შენიშნა, გზაზე შეშფოთებით მოლაპარაკე ქალებს გასძახა ეზოდან:

– თუ იცით, რა ხდება კოლმეურნეობის ვენახთან?

– ვიღაც ახალგაზრდა კაცს ესროლესო თოფი...

– კაცს ესროლესო? იქნებ, შველა უნდა საბრალოს!... და რატომ? რატომ?.. ხომ ცოცხალია? ხომ არ გაწყრა მამაზეციერი!...

და მაშინვე ჭიშკრიდან გამოიჭრა. შუა გზაზე შემოხვდა მისი უბედურების მაცნე რამდენიმე ქალი. დაზაფრულ სახეს რომ შეხედეს, გაიკვირვეს: ვინ შეატყობინაო საცოდავს და უხმოს გზა მისცეს, თან გამოჰყვნენ: რაღა საჭიროაო თქმა! დაფინეც გაკვირვებულია: აქეთ რისთვისღა წამოსულანო! იქ უნდა ვიყოთო ყველა საშველად და როცა შეატყო, უკან მოჰყვებიან, მოუხედავად იკითხა:

– ცუდად დაჭრილი ხომ არ არის? ხომ ცოცხალია?.. ვერაფერი მოიფიქრეს პასუხად შეშფოთებულებმა: რა ეშველებაო საბრალო დაფინეს!..

ხვდება, რასაც უნდა ნიშნავდეს შემხვდურთა დუმილი... რაღაც საშინელებას, მაგრამ არ ჩასძიებია, არც უნდა პასუხის

მოსმენა – ასე ერთი ბეწო იმედი მაინც რჩება და ეს ათქმევინებს ლოცვასათვის ამოჩემებულს: „იქნებ არა!..“ „იქნებ არა!..“ „იქნებ არა!..“

და რა არის ეს? მარტო ის ერთი ბეწო იმედი იმისა, რომ იქნებ, მართლაც არც ისე ცუდადაა საქმე და, ღმერთმა ქნას, ცოცხალია უცხო მგზავრი? თუ სხვა რამეც ჩაატია ლოცვა-ბუტბუტში?–გონებისათვის დაუჯერებელი, აზრით მიუწვდომელი, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მუდამ მომლოდინე და ამითღა მფეთქავმა დედის გულმა?!.

მოქვითინე ქალებმა ტირილს უმატეს, შეიცხადეს დაფინეს მიახლოებისას, მაგრამ იგი ვერაფერს ხვდება, გაუკვირდა კი, რატომ შეიცხადესო სწორედ ახლა! ჩაჩოქილნი წამოდგნენ, მისკენ შემობრუნდნენ, თითქოს: მოდი, შე საცოდავო, აქ არისო შენი ადგილი!.. იდაყვთან მოხრილი ხელი, მუჭში ჩასრესილი ყურძნის მტევნით თხრილის თავთან გაშეშებოდა ყველასათვის საჩვენებლად და უთქმელ საყვედურად უცნობს. ნახევრად ღია ჩამქრალი თვალები ეზოსაკენ, თავსაფრიანი ქალისაკენ მიემართა. ეს ქალი ახლა აქვეა და უსიცოცხლო მზერას შეეფეთა შეძრწუნებული. „ვაი დედამისსო!“ თავსაფარი ჩამოიწია ხელის უნებლიე მოძრაობით. თეთრი თმები თავისით ჩამოეშალა: რისთვის გაგიმეტეს, შე საბრალოო!..

ხელიდან გაცურებული თავსაფარი ჯემპრზე დიდ სისხლიან ლაქას წაეფარა... გაქვავდა წინწახრილი, თვალებად იქცა, დამუჭული ხელები საფეთქლებთან ააძაგძაგა და ცის დამამხობელი ხმით: – აა-ააა-ااااა-აა!.. ნუკრია-ااا, შვი-ლო-ოოო!.. ზედ გადაემხო სიკვდილით დაბრუნებული დაკარგული შვილის ცხედარს ამქვეყნად უსაცოდავესი დედა!

აქამდე ჯერ კიდევ მფეთქავ, ფერადოვან სამყაროს სისხლი გაეყინა, ნიადაგი მოეშალა, მზეთვალი ჩაუქრა...

შეიკრა ბედისწერის შავი წრე...

მინაწერი I:

1956 თუ 1957 წელს ობჩაში ნათესავს ვსტუმრობდი რთველში. მაშინ შევიტყვე ბაღდადის რომელიღაც სოფელში რამდენიმე დღის

წინ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. ომის საშინელებებს გადარჩენილი 17 წლით დაკარგული შვილი უბრუნდებოდა ოჯახს, რომლისთვისაც დაღუპულად ითვლებოდა.

მიაღწია ადგილს, საიდანაც უკვე მოჩანდა მშობლიური სახლი. გზის პირას, კოლმეურნეობის ვენახში, ყურძენი შემოსულიყო. თხრილს გადაალაჯა, ღობეში ხელი გაჰყო, მტევანი ყურძენი მოწყვიტა და წელში რომ გაიმართა, ვენახის დარაჯმა თოფი ესროლა...

აქ, ვენახის თხრილში შეახვედრა ერთმანეთს ავმა ბედისწერამ საბრალო დედა და 17 წლის წინათ დაკარგული, მკვდრად დაბრუნებული შვილი...

მინაწერი II:

ისტორიები მეორდება, სამწუხაროდ, ყველაზე შემზარავიცა და დაუჯერებელიც.

1930-იანი წლების შუა პერიოდში ერთ-ერთი სკოლის მეხუთეკლასელებს ახალი ამხანაგი შეემატათ რომელიღაც სოფლიდან – ბიჭი მაღალი, ძალიან გამხდარი, რაღაცნაირი გახუნებული სახით. თანაკლასელებთან თამაშებში არ მონაწილეობდა. იყო უხმოდ, თავისთვის, გულჩათხრობილი, თვითგარიყული.

ერთ დღეს თანაკლასელმა ამ ბიჭზე გასაოცარი რამ თქვა: ღამით კოლმეურნეობის ყანას დარაჯობდა თურმე თოფით ხელში. მოსულა ყანის ქურდი. უსვრია თოფი და ის კაცი მოუკლავს.

რა ადამიანმა ჩააბარა თოფი 11-12 წლის ბავშვს კაცისათვის სასროლად? ღვთის რისხვა და ასეთი? ბავშვის წახდენა და ასეთი?

ობოლი ყოფილა, უმამო და ღამის დარაჯად გაუშვეს კოლმეურნეობის ფართობში მისთვის შრომადღეების დასაწერად, რათა რაღაც შემოსავალი მიეღო ოჯახს წლის ბოლოს.

უთუოდ იმ საშინელი ამბის გამო მოაშორეს ბავშვი სოფელს, მოკლულის ახლობლების თვალისაგან რომ განერიდებინათ...

რით არის ნაკლებ ტრაგიკული ეს ამბავი, ვიდრე ოცი წლის შემდეგ ბაღდათის მიწაზე დატრიალებული ცოდვა-ბრალი? და ვითომ წარსულში იყო ყველაფერი?

2000 წელი

ცხოვრების მიმწუხრზე

(II მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს ლვოვში მოსმენილი ამბავის მიხედვით)

– რიგითო გულორდავა! – დაიქუხა ყაზარმაში შემოსულმა ზემდეგმა.

– ვარ! – უპასუხა ყაზარმის სიღრმიდან გულორდავამ ზემდეგს და იმწამსვე სმენაზე გამოეჭიმა.

– სირბილით შტაბში მაიორ სევერცოვთან!

„რა საქმე შეიძლება ჰქონდეს ჩემთან შტაბის უფროსს?“ – გაიფიქრა რიგითმა და შეყოვნდა. ზემდეგმა მრისხანებით ამოაფრქვია:

– გაიმეორეთ ბრძანება!

– „სირბილით შტაბში მაიორ სევერცოვთან!“

– მერე? აბა, სირბილით!

„რა არის, ასე განურჩევლად სანაშენო ბუღებივით რომ ჰგვანან ერთმანეთს ეს ზემდეგები! სულ ბრდღვინავენ, ირქინებიან!..“ – ფიქრობდა შტაბის შენობისაკენ აჩქარებით მიმავალი გულორდავა.

მეორე სართულზე, საარტილერიო პოლკის შტაბის მისაღებში მორიგე ლეიტენანტს მოახსენა, გამოძახებული ვარო ამხანაგ მაიორთან.

– კაბინეტში, საწერ მაგიდასთან მჯდომმა მაიორმა ყურადღებით შეათვალიერა სმენაზე მდგარი გულორდავა.

– განათლება?

– საშუალო, ათი კლასი, ამხანაგო მაიორო!

– სად და რისთვის მიიღეთ მედალი „მამაცობისათვის?“ – მკერდზე მრგვალი, ვერცხლის მედალი ჰქონდა რიგითს.

– ორმოცდაოთხში კიშინიოვთან, ქვემეხის სხვა გამთვლელებთან ერთად, გერმანული ტანკების მოგერიებისათვის...

მაიორი, უდავოდ, წინასწარ იყო გაცნობილი რიგითი გულორდავას საანკეტო მონაცემებს, მაგრამ, რატომღაც, უშუალოდ მისგან უნდოდა ყველაფრის მოსმენა.

– წლოვანება?

– ოცი წელი, ამხანაგო მაიორო!

– ვინ არიან თქვენი მშობლები?

– დედა კოლმეურნეობის ბუღალტერია, მამა – აგრონომი.

– და-ძმა გყავთ?

ძმა და და. მე უფროსი ვარ.

საუბრისას მაიორი დაკვირვებით ავლებს თვალს გიმნასტურაში გამოკვეთილ, კეთილად ნაქანდაკებ გულორდავას სხეულს, პილოტურით. ნახევრად დაფარულ მოკლედ შეკრეჭილ მუქ წაბლისფერ თმებს, ენერგიულ, მშვიდ სახეს.

– თქვენზე მითხრეს, რომ დისციპლინიანი, შემსრულებელი მეომარიაო... რუსულს, ვხედავ, კარგად ფლობთ. ათი კლასი გაქვთ! ჩვენ გვჭირდება ათკლასიანები... დღეიდან შტაბში ერთ-ერთ მწერლად იმუშავებთ უფროს ლეიტენანტ ლესკოვსკისთან. ამავდროულად იქნებით ჩემი შიკრიკი, როგორც შტაბის სხვა მწერლები, მიმაგრებულები ხელმძღვანელ ოფიცრებთან. ჩემი დავალებით მოგიწევთ მისვლა გარნიზონის ქვედანაყოფებში, შეიძლება მის ფარგლებს გარეთაც, სამსახურებრივი ქაღალდების მიტანა, სხვა დავალებათა შესრულებაც. გასაგებია, რიგითო გულორდავა?

– გასაგებია, ამხანაგო მაიორო!

სევერცოვმა მოიხმო უფროსი ლეიტენანტი ლესკოვსკი და უბრძანა, გამოეყო გულორდავასათვის მაგიდა მწერალთა ოთახში და დაეტვირთა შესაფერისი სამუშაოთი.

აფორიაქდა გულორდავა, მადლიერია ბედის: აღარ მოუწევს მწყობრში დგომა, ქვემეხთან ტრიალი, მისი მომაბეზრებელი წმენდა და მოვლა, სასროლეთზე ყოფნა.

– ო-ო-ოჰ, როგორ მომბეზრდა ყოველივე ეს!

ამ დროიდან საწერ მაგიდას სამუშაო დღის ბოლომდე ვერ სცილდებოდა, მაგრამ ახალი საქმე ახალისებდა კიდეც.

მაიორი ხშირად არ ტვირთავდა შიკრიკს დავალებებით. სამ-ოთხ დღეში ერთხელ თუ მოუწევდა პოლკის რომელიმე ქვედანაყოფში ან გარნიზონშივე ბრიგადის შტაბში მისვლა, სამსახურებრივი პაკეტების მიტანა ან წამოღება.

შტაბის უფროსი არც ისე მკაცრი აღმოჩნდა, როგორც პოლკში ამბობდნენ მასზე. გულორდავას ლმობიერად და ზოგჯერ შინაურულადაც ეპყრობოდა. ასე ეჩვენებოდა ჯარისკაცს.

ერთხელაც გამოუძახა სევერცოვმა თავის შიკრიკს.

– თუ შეძლებთ ერთი ჩემი პირადი თხოვნის შესრულებას?

– ხალისითაც, ამხანაგო მაიორო! მიბრძანეთ!

– არა... ბრძანება აქ... ეს სამსახურებრივი დავალება არ იქნება.

– სულერთია, ამხანაგო მაიორო! თქვენ მხოლოდ მიბრძანეთ!

– არა! გთხოვთ... თუ ძნელი არ იქნება თქვენთვის, მინდა ჩემს მეუღლეს გადასცეთ ეს პატარა შეკვრა, – და მაგიდაზე, თეთრ ქაღალდში გახვეულ, კანაფით ჯვარედინად შეკრულ მომცრო ნივთზე მიანიშნა. – აქედან შორს არ არის – სტრიის პარკს რომ ჩაუვლით, დაბლა, მარჯვნივ შედარებით ვიწრო ქუჩაა. იქ არის ჩემი ბინა. სახლისა და ბინის ტელეფონს, ყოველი შემთხვევისათვის, აგერ გიწერ. ჩემს მეუღლეს ლარისა კარპოვნა ჰქვია.

დაღმართი ჩაათავა და შეუდგა ლარივით სწორ ქუჩას. მალევე სამსართულიან შენობას მიადგა. მეორე სართულზე, კიბის თავში, კარებთან ელექტროზარის ღილაკს დააჭირა თითი.

ქალის წყნარი ხმა კარების მიღმიდან:

– ვინ გნებავთ?

– ამხანაგ მაიორ სევერცოვის დავალებით...

გაიღო კარები და გულორდავა შეცბა, დაიბნა. მონუსხული იდგა და სათქმელი ერთბაშად ვერ თქვა. მის წარმოსახვაში მაიორის მეუღლე ტანადი, ხორცსავსე „დამაქალი“ უნდა ყოფილიყო. ახლა კი წინ შემოეფეთა ელვარე სილამაზე, ფაქიზი, მორცხვი გამოხედვით, თაფლისფერი თვალებითა და ფერნათელი სახით.

შინაურ გრძელ ხალათში იმზირებოდა კოხტა, მოქნილი ტანი... და დაიბნა გულორდავა, დაიმორცხვა, როგორც ეს ემართებათ ყმაწვილებს გამომწვევი სილამაზის ქალთან მარტოდ ყოფნისას. ენის ბორძიკით ამოთქვა:

– ეს თქვენმა მეუღლემ... ამხანაგმა მაიორმა გამომატანა... მისალმების სიტყვებიც დაავიწყდა და სიწითლემ დაუფარა სახე.

– გამარჯობა! გამარჯობა! – ლარისა კარპოვნას ხელი არც გაუწვდენია მოტანილი ნივთის გამოსართმევად, – შემოდით ოთახში, ეს მაგიდაზე დადეთ და გამეცანით.

მღელვარედ შედგა ფეხი ოთახში. სახლიდან წამოსვლის შემდეგ, პირველად მოხვდა მყუდრო და ფაქიზად მოწყობილ ბინაში, სადაც ყველაფერს გემოვნებიანი, მზრუნველი ხელი ეტყობოდა.

ძლივს დასვა ლარისა კარპოვნამ სტუმარი მაგიდასთან. გამოუტანა მურაბები, ნამცხვრები.

– ეს-ეს არის პელმენები გავაკეთე, არაჟანიც გვაქვს – უხდება პელმენებს.

გულორდავა სულ უფრო დაიბნა, პირი ვერაფერს დააკარა. ცდილობდა, არ შეეხედა თვალებში ლარისა კარპოვნასათვის, თანაც გრძნობდა, ეს ცდა ცუდად გამოსდიოდა.

– თქვენს სახელსა და გვარს ვერ მეტყვით?

– რატი გულორდავა.

– რატი... რატი... – გამეორებით წარმოთქვა ყურადღებიანმა და გულთბილმა მასპინძელმა.

– გმადლობ, ლარისა კარპოვნა! მე უნდა წავიდე. დაგვიანება არ შეიძლება, – ამოილუღლუღა გულორდავამ, თუმცა გულით უნდოდა, კიდევ შეყოვნებულიყო.

მასპინძელმა ხელი გაუწოდა ზომაზე მეტად მორცხვ სტუმარს. ქალის სათუთმა, რბილმა ხელმა ცეცხლი დაუნთო ყმაწვილს სხეულში.

შტაბში მისვლამდე მღელვარება თითქოს დაიოკა, მაგრამ მაიორთან შესვლისას კვლავ აფორიაქდა, თუმცა თავი დააჯერა, რომ ამის განსაკუთრებული მიზეზი არ ჰქონდა. რა მოხდა მერე – ლამაზ ქალთან შეხვედრამ ცოტა გული აუტოკა! ეს არის და ეს!

სევერცოვს სხაპასხუპით მოახსენა დავალების შესრულება.

– ვიცი. უკვე დამირეკა მეუღლემ, – მიიღო პასუხად, – გმადლობ, გულორდავა, თავისუფალი ხართ!

კაბინეტიდან გამოსულმა შვება იგრძნო. „მგონი, ყველაფერი რიგზეა“, – გაიფიქრა და სამუშაო ოთახისაკენ გასწია.

ღამით ცუდად ეძინა. დღისით გული ცოტა დაიმშვიდა და ცდილობდა, ნაკლებად ეფიქრა გუშინდელზე – თავი დააჯერა, რომ ის, რამაც ასე ააღელვა გუშინ, იყო მომხიბვლელ ქალთან განმარტოებით ყოფნა, თუმცა ამგვარი განცდით მასზე ფიქრი – დაუშვებელია.

და მაინც – მოუსვენრობა აწამებდა. მთელი არსებით სურდა ერწმუნა, რომ კიდევ ერთხელ მიეცემოდა ლარისა კარპოვნას ხილვის შესაძლებლობა.

ერთი კვირის შემდეგ, ძლივს დაფარული მღელვარებით მიიღო მაიორის თხოვნა-დავალება მეუღლისათვის უფრო მოზრდილი ამანათის გადაცემის თაობაზე.

– ო-ო-ო! ჩემი კეთილი ახალი ნაცნობი! – გულის გამლღობი ფართო ღიმილით შეეგება ლარისა კარპოვნა რატი გულორდავას.

– და იცოდეთ: დღეს უარი აღარ გამოგივათ! რაღაც მაინც უნდა მიირთვათ ჩემს სუფრაზე, თუ არ გინდათ, მაწყენინოთ: აი, ჯერ კიდევ ცხელი ხორციანი ღვეზელი ბრინჯით, შემწვარი ქათამი კარტოფილითა და სოუსით, უკრაინული შაშხი, ტკბილეული... ცოტაც დასალევი...

– ჩემთვის დალევა აკრძალულია, – წაილუღლუღა გულორდავამ.

– თქვენ, ქართველებს, ხომ გიყვართ დალევა? რაც უნდა იყოს, თქვენ თავს მაიორ სევერცოვს არ დავასჯევინებ. – და ხელი ნელა დაადო თავზე სანთელივით გამლღვალ რატის...

რა ხანია, ასეთი საჭმელი არ უგემნია ჯარისკაც გულორდავას, მაგრამ არ ძალუძს პირი დააკაროს, დააგემოვნოს: მორიდება და მღელვარება, სხეულში აფეთქებული ცეცხლოვანი ძალა ბოჭავს გონებასა და სხეულს. ადგილი ვერ უპოვია მაგიდის კიდეზე, ხანაც მუხლებზე დაყრდნობილი უღონო ხელებისათვის.

რატის მღელვარება თითქოს გადაედო ლარისა კარპოვნას, სწრაფად წამოდგა, გვერდიდან მოუარა სტუმარს, მკლავები მჭიდროდ შემოაჭდო კისერზე და მის მხრებზე გადახრით მწველი ტუჩებით დაეწაფა რატის ტუჩებს.

ქალის სხეულის პირველი ვნებიანი შემოხვევა და გონების წამრთმევი ცეცხლოვანი პირველი კოცნა!

ქვეყნიერების შემძვრელი უცნობი ძალით აფეთქებული სხეული ერთბაშად გადნა და დასაკარგავში მიმცურავ უფერო ნისლში გაიშალა.

გული აჯანყდა, გონება აიმღვრა და ქალის სხეულის მხურვალების ძალა ნაბიჯ-ნაბიჯ გაუძღვა რატის საძინებელი ოთახისაკენ... დარეტიანებული, დარცხვენილი რატი თვალს ვერ უსწორებს დღემდე განუცდელი ნეტარების მომნიჭებელს, რომლის უზომოდ საყვარელი ხელები დაფათურობენ მის თმებში, სახეზე, კისერზე.

კვლავ ეხვევა, ტკბილად აწამებს კოცნით, საალერსო სიტყვებით.

– დამხვრეტს მაიორი, დამხვრეტს... ლუღლუღებს ყმაწვილი და უკვე საკმაოდ გათამამებული, ჯერ კიდევ გამოუცდელი კოცნით ეტანება ლარისა კარპოვნას სახეს, ყელ-ყურს, მიბნედილ თვალებს.

– ვერაფერსაც ვერ გიზამთ, ვერაფერს, ჩემო უტკბესო!.. მიძნელდება განშორება, მაგრამ უკვე დროა წახვიდეთ და ფრთხილად!.. ჩვენ კიდევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს...

„რა ჩავიდინე! ეს რა ჩავიდინე!..“ – ბედნიერებააღვსილი მაინც კიცხავდა თავის თავს

ქუჩაში გამოსული რატი, – მაიორი მენდო როგორც კაცს და ქვეშევრდომს... მე კი!.. როგორღა დავფარო სირცხვილი, რომელიც დამემართა? როგორღა ვუსწორო თვალები მაიორ სევერცოვს? – და მაშინვე ფიქრში ნეტარების მიზეზს ელოლიავებოდა.

ათმა დღემ მტანჯველ მოლოდინში განვლო. მაიორ სევერცოვს თითქოს დაავიწყდა რიგითი გულორდავას არსებობა. სასურველი მოლოდინი იმდენად აუტანელი გახდა, რომ ძლივს იკავებდა თავს რატი, სისრულეში მოეყვანა სასოწარკვეთილი სახიფათო განაზრახი, გასულიყო გარნიზონიდან და ენახა, უბრალოდ ენახა ამდენი ხნის უნახავი ლარისა კარპოვნა! რატის მუდმივი საშვი ჰქონდა შიკრიკის მოვალეობათა შესასრულებლად და თავისუფლად შეეძლო გარნიზონის ტერიტორიიდან გასვლა.

რამდენიმე შეხვედრის შემდეგ შეყვარებულებმა უკვე ბევრი რამ იცოდნენ ერთმანეთზე. გულორდავამ გაიგო, რომ მაიორი სევერცოვი ყუბანელ კაზაკთა შთამომავალია და მის წინაპრებს მთელი ცხოვრება ცხენზე ამხედრებულთ და ხმლის ქნევაში გაუტარებიათ, მოითარეშებდნენ ხოლმე შავი ზღვის სანაპიროებს, ებრძოდნენ კავკასიელებს და, პირუტყვებისა და სხვა ქონების მიტაცებასთან ერთად, ქალ-ვაჟებიც მიჰყავდათ თურქებზე მისაყიდად.

დრომ ბევრი რამ შეცვალა კაზაკთა ცხოვრებაში და მაინც კაზაკური სული, ჟინი და წარსული დიდების ლანდები მოსვენებას არ აძლევდა მათ ახალ თაობას, თუმცა უკვე კარგა ხანი იყო, რაც ჩაბმულიყო ახალი ცხოვრების ფერხულში. გლებ სევერცოვის მამა ჰიდრომშენებელი იყო. მისმა ვაჟმა, ლარისა კარპოვნას მომავალმა მეუღლემ, მაინც ცხენი და ხმალი არჩია – კავალერისტთა სამხედრო სასწავლებელში შევიდა, თუმცა მალე სასწავლებლის კონტინგენტის ნაწილი გამოაცალკევეს და საარტილერიო სასწავლებელში ჩარიცხეს. თანამედროვე არმიას კავალერისტებზე მეტად უკვე არტილერისტები, ტანკისტები და მფრინავები სჭირდებოდა. ლარისას მამა სმოლენსკის ოლქის სატყეო ინსპექციაში მუშაობდა, ტყის დაცვის საკითხებს განაგებდა.

1939 წლის ზაფხულში ლარისა და მამამისი კისლოვოდსკში ისვენებდნენ. იქ შემთხვევით გაეცნენ ერთმანეთს ლეიტენანტი გლებ სევერცოვი და 18 წლის ლარისა. მამა ანატოლი ბორინი დათანხმდა ქალიშვილს, ცოლად გაჰყოლოდა ოცდაორი წლის თავაზიან, წარმოსადეგ ლეიტენანტს. ხელი კრასნოდარში მოაწერეს – სევერცოვებთან და სმოლენსკში, ლარისას მშობლების ოჯახში, მოკრძალებულად აღნიშნეს შვილების გაბედნიერება.

ამასობაში გლებ სევერცოვს დაუმთავრდა შვებულება და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ციმბირისკენ გაემგზავრა.

გერმანელებთან ომის დაწყებისას, საარტილერიო პოლკი, რომლის შემადგენლობაშიც სევერცოვი ბატარეის მეთაურად ირიცხებოდა, მანჯურიის საზღვართან იდგა. 1942 წლის ნოემბერში საარტილერიო პოლკი დივიზიის შემადგენლობით მოსკოვის დამცველთა ჯარებს შეუერთეს. მხოლოდ ერთი დივიზიონი, სევერცოვის ბატარეითურთ, დატოვეს ადგილზე ერთ-ერთი დივიზიის შემადგენლობაში.

1943 წლის ზაფხულში ეს დივიზია კურსკის რკალთან ჩაება ბრძოლაში. აქ დაიწყო გლებ სევერცოვის ფრონტული ცხოვრება.

ლარისა კარპოვნა სამი წლის გოგონათი იძულებული გამხდარა დროებით გადასულიყო უფროს დასთან – სარატოვში, სადაც იგი მეუღლის მშობლებთან ცხოვრობდა.

გლებ სევერცოვისა და ლარისა კარპოვნას მშობლები გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში დაღუპულან.

მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ შეხვდნენ მეუღლეები ერთმანეთს. სევერცოვს ლარისა კარპოვნა ლვოვში ჩამოეყვანა, გოგონა კი ლარისას დასთან, სარატოვში დაეტოვებინა. დასავლეთ უკრაინაში – ძველ გალიციაში, ომის შემდეგაც არ იყო სიმშვიდე. ბანდერელები, ანუ როგორც საბჭოთა პროპაგანდა უკრაინელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს უწოდებდა სტეფან ბანდერას მიმდევრებს, იარაღით ხელში ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას „სამოსტიინაია“ – დამოუკიდებელი უკრაინისათვის. მათი ეს ბრძოლა ვერ სცილდებოდა ცალკეული ტერორისტული და დივერსიული აქტების ფარგლებს, თუმცა მათ

ცოტა თანამგრძნობი როდი ჰყავდათ დასავლეთ უკრაინაში. ამ ვითარებიდან შორს ყოფნა ბავშვისათვის უფრო საიმედოდ მიიჩნია ცოლ-ქმარმა.

ლარისა კარპოვნას უმაღლესი განათლების მიღება სწყუროდა, მაგრამ ცხოვრებამ სხვაგვარად განსაჯა... თითქმის მთელი დღე მარტო იყო შინ, მეუღლის სამსახურიდან დაბრუნებამდე. დრო ოჯახის საქმეებში, წიგნების კითხვასა და ჯერ კიდევ ციმბირში ცხოვრებისას დაწყებული დღიურის წერაში გაჰყავდა.

ლარისა კარპოვნასთან ბოლო ყოფნიდან გავიდა ორი კვირა, მაგრამ სევერცოვი გულორდავას იშვიათად, შიკრიკის მოვალეობის შესასრულებლად უხმობდა ხოლმე. ჯოჯოხეთად ექცა ცხოვრება რატის – აუტანელი წამება იყო საყვარელი ქალის უნახაობა.

მაინც წყალობდა ბედი გულორდავას. თვის მანძილზე კიდევ რამდენჯერმე მოუხდა მაიორის ოჯახისათვის სხვადასხვა „დავალების“ შესრულება... რატი კვლავ თავდავიწყებით ეძლეოდა უამეს განცხრომას...

შემდეგ კვლავ დადგა უმძიმესი დღეები შეყვარებული ყმაწვილისათვის. მაიორ სევერცოვს თითქოს დაავიწყდა თავისი შიკრიკის არსებობა.

ბოლოს, მომაკვდინებლად სახიფათო ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგა სასოწარკვეთამ.

საშვიდნოემბრო დღესასწაულამდე ორი კვირა იყო დარჩენილი. მოსკოვიდან ლვოვში ჩამოდის შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის ინსპექცია გენერალ-მაიორის პეტროვის მეთაურობით. სამხედრო შენაერთებსა და ქვედანაყოფებში მოწმდება ომისშემდგომი მასობრივი დემობილიზაციის პირობებში არმიის ნაწილებში საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა და მოახლოებული საარმიო სტრუქტურული ცვლილებებისათვის გაწეული მუშაობა.

შემმოწმებლებმა განიზრახეს, მოაწყონ საბრძოლო მანევრები რამდენიმე საარმიო შენაერთში. სევერცოვის შტაბს თავსატეხი გაუჩნდა და დღედაღამ მოცლა არ ჰქონდათ.

მაიორი სევერცოვი გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ. გულორდავას იმედი მიეცა. ხელსაყრელი, საიმედო დრო შეარჩია...

და აი, ლარისა კარპოვნა დგას კარებში სიყვარულისათვის აფეთქებული მთელი მშვენიერებითა და ნეტარების მაძიებელი თვალებით – ასეთია რატის წარმოსახვაში მისი სიყვარულის ახლად აყვავებული კოკორი. რატი ბედნიერად იღიმება, რაღაც გაუგებარი საალერსო სიტყვა წარმოთქვა, უხმოდ წინ ნაბიჯი გადადგა... მაგრამ ქანდაკებად მდგარმა ლარისა კარპოვნამ წარბშეკვრით, მაგრამ წყნარი, შეუვალი ხმით ორი სიტყვა ჩააგდო მასსა და უბოდიშოდ მასთან მოსულ ყმაწვილკაცს შორის:

– აქედან წადით!

რატიმ ეს სიტყვები გახუმრება-ცელქობად მიიღო. გულმხურვალედ ხმადაბლა სიტყვებით: „სანატრელო!..“ სწრაფად მიეახლა, თითქმის მიებჯინა ქალის ნატიფ ტანს, ის კი უმალვე უკუდგა და უკვე მბრძანებლური ტონით შეწყრა:

– ახლავე დატოვეთ აქაურობა! მეტჯერ აღარ გამოჩნდეთ! მე თქვენ არ გიცნობთ!

– ლარისა, ძვირფასო!

– თუ ახლავე არ წახვალთ, ქალაქის კომენდატურაში დავრეკავ და თქვენ დაგაკავებენ... წადით! წადით ახლავე!

მიხვდა გულორდავა! მოხდა რაღაც საშინელება და უძვირფასესმა ლარისამ ხელი ჰკრა... შეიტყო ქმარმა? მაგრამ მაიორთან ბოლო შეხვედრისას არაფერი საგანგაშო არ ჩანდა. მაშინ რა? რატომ გასწირა რატი ასე უმოწყალოდ მომაკვდინებელი დარტყმით საყვარელმა ქალმა?

– ლარისა კარპოვნა!..

– ახლავე, ამ წამსვე მოწყდით აქაურობას, ვიდრე...

– მე არ შემიძლია უთქვენოდ! მიყვარხართ! მიყვარხართ! და თქვენ მკლავთ...

ქალმა ცხვრიწინ მოუჯახუნა კარი აცახცახებულ, განადგურებულ, ცრემლად დაღვრილ რატი გულორდავას.

დარდმა და უსასოობამ დაიუფლა რატი, უიმედო ფიქრებმა ძილი წაართვა.

სამსახურში შეატყვეს მკვეთრი ცვლილება მის ქცევასა და ხასიათში. მისგან ვერაფერს გებულობენ. შეკითხვებზე პასუხად მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ესმით: „შინ ყველაფერი არ არის რიგზე...“ სამსახური შეღავათს არ იძლევა. საქმეს კეთება უნდა! მაგრამ გულს ვერაფერს ვერ უდებს, თავს ძალას ატანს.

იდგა ომის შემდგომი პირველი ახალი წელი. ძველი გალიცია თოვლის საბურველს დაეფარა. ზამთარი უხვთოვლიანი და ყინვიანი გამოდგა.

ყველგან გაჩაღებულია საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანია. ფეხზე დგას პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ყველას, მათ შორის გამორჩევით შინაგან საქმეთა და კონტრდაზვერვის ორგანოებს, დაურიგდა საგანგებო ინსტრუქციები და ცირკულარები. ყველაფერი კეთდება ლვოვის ოლქშიც, რათა ბანდერელებმა რამე ზიანი არ მიაყენონ და დაბრკოლება არ შეუქმნან ფართოდ რეკლამირებულ საარჩევნო კამპანიას და თვით არჩევნებს.

მაიორმა თავისთან მოიხმო რატი გულორდავა და ვალოდია კოტინი, შტაბის კიდევ ერთი მწერალი, რატისთან დაახლოებული და მეგობრულად შეწყობილი.

რატის გული აუჩქროლდა: „იქნებ?“ ალბათ, რაიმე დავალებით ისევ მგზავნის ლარისა კარპოვნასთან? მაგრამ რა შუაშია აქ კოტინი? და მბჟუტავი მკრთალი შუქიც უმალვე ჩაქრა.

მაიორის წინაშე წარსდგნენ. სევერცოვმა მზერა დააყოვნა გულორდავას ლოყებჩაცვენილ, ფერმკრთალ სევდიან სახეზე. რიგითი გულორდავა ისეთი აღარ იყო...

ორივეს მიმართა:

– ერთი თვის მანძილზე, არჩევნების დამთავრებამდე, პოლკის ყველა ქვედანაყოფი დანაწილდება და განლაგდება ოლქის დასახლებულ პუნქტებში. აქ დარჩება მხოლოდ ხელმძღვანელობა, შტაბი შესაბამისი სამსახურებითა და მეომართა კონტინგენტი გარნიზონის ტერიტორიისა და ტექნიკის დასაცავად. ამ ერთი თვის მანძილზე შეყვანილ იქნებით რომელიმე ქვედანაყოფში და მის შემადგენლობაში განაგრძობთ სამსა-

ხურს. უფროსი ლეიტენანტი ლესკოვსკი მიგიჩენთ თქვენს ქვედანაყოფს.

* * *

ეს მოზრდილი ხუტორი ლვოვის სამხრეთით ოციოდე კილომეტრზე, ფიჭვნარით დაფარულ ბორცვებს შორის გავაკებულ ადგილასაა. ხუტორის შუაში პატარა კათოლიკური ეკლესიის გუმბათსა და ფასადს ჯერ კიდევ ატყვია აქ გადატანილი მძიმე ბრძოლების კვალი.

აქვე, ახლოს, ქვის ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, საარჩევნო უბანია მოწყობილი. შესასვლელთან გამოკრულია წითელი ტილოები სააგიტაციო წარწერებითა და მხატვრული გაფორმებებით.

ოცდაათკაციანი ოცეული აქედან ოთხას ნაბიჯზე სახელდახელოდ გადაკეთებულ თავლაშია განთავსებული. ოცეულის მეთაურს – უფროს ლეიტენანტ ფეოდორ კრუპინს საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე მოადგილედ დაუნიშნეს საგანგებო უფლებებით აღჭურვილი, საარტილერიო ბრიგადის კონტრდაზვერვის – სმერშის[1] სამსახურის ლეიტენანტი ივანე ლოკტევი.

ოცეულის ყველა მეომარი გულორდავას ყოფილი ბატარეიდანაა.

მეომართა გაძლიერებული საგუშაგოებია საარჩევნო უბანთან. დადის პატრული ხუტორში – ყველა გზასა და შუკაში. განსაკუთრებით დარაჯობენ ხუტორის განაპირა ზოლს, რომელიც უშუალოდ დიდ ფიჭვნარ ტყეს ემიჯნება.

შუა ზამთარია. თოვლიანი, მაგრამ შობისწინა გაუსაძლისი ყინვები, ეტყობა, უკან დარჩა.

ხუტორში შემოაღწია ჭორად ნათქვამმა, თითქოს ბანდერელებმა სადღაც დივერსიული თავდასხმა მოაწყვეს საარჩევნო

---

[1] საბჭოთა არმიაში სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახური: – «Смерть шпионам» («Смерш») „სიკვდილი ჯაშუშებს“.

უბანზე, მაგრამ რიგითებისათვის უცნობი იყო დაჭრეს თუ მოკლეს იქ საბჭოთა არმიის პოლკოვნიკი.

ყველაფერი ეს, თითქოს, არც ეხება რატი გულორდავას და არაფრად აგდებს ყაზარმაში გაცხოველებულ მსჯელობას მომხდარზე, თუ მოგონილზე – ჩაკეტილა თავის თავში და ცრემლამდე მისულ მწუხარებას მისცემია. ასე ტლანქად რატომ ჰკრა ხელი ამ წყნარმა, ნაზმა არსებამ? სჯერა, რომ მაიორს ეჭვიც არა აქვს ცოლის ღალატზე, ქვეშევრდომის თავხედურ უსინდისობაზე. რა ქნას? მოინანიოს? თავს გაუტყდეს, რომ იგი მართლაც სირცხვილზე ხელაღებული ახალგაზრდა კაცია? მაგრამ არ შეუძლია რატის, თავი დააღწიოს ლარისასადმი საზედისწეროდ მასში აღძრულ გრძნობას. არ შეუძლია თუნდაც თვით ლარისა კარპოვნას გამოც, რომელმაც ასე უგულოდ გაიმეტა. ეს რატის ძალას აღემატება...

ერთხელ, რატისა და ვალოდია კოტინს ერთად მოუწიათ პატრულირება ყაზარმიდან ტყის პირამდე, სადაც ხუტორი თავდებოდა. მათი საპატრულო უბანი იყო საურმე გზა რამდენიმე ჩიხური შუკით. ახალი გათენებულია. სუსხავს. თოვლი ხრაშუნებს ფეხქვეშ, ასე რომ ახალისებს ჯერ კიდევ უვალ თოვლში სიარულს. მაგრამ გულორდავას გულისყური ლვოვისაკენაა, სადაც ჩაკვდა მისი ხალისი და ბედნიერება...

აღარ თოვს და მზის პირველი სხივები აინთო უხვად დათოვლილი ფიჭვების კენწეროებზე...

გავიდნენ ხუტორის ბოლოს. მეჩხერ ხეთა შორის კარგად იმზირება შორს, უღრანში გარდამავალი ტყის მასივი. აქა-იქ თოვლის სიმძიმით ჩამოლეწილ შემხმარ ტოტებს უმოწყალოდ, ჭრილობებად დაუსერავს პირველშობილი თოვლის საფარი.

ბოლო ხატას წინ ორმოც ნაბიჯზე, საურმე გზისპირას ორი ტანსრული ფიჭვია, ორივეზე წინასაარჩევნო სააგიტაციო ნაბეჭდი ფურცელია მიკრული ტექსტითა და ფოტოსურათით. რატის ცნობისმოყვარეობა მიეძალა და ფიჭვებთან მივიდა. ერთზე ორმოცდაათიოდე წლის ფართოსახიანი მამაკაცის ფოტოა ტექსტით: „ლვოვის საოლქო პარტიული კომიტეტის პირ-

ველი მდივანი გრუშევსკი – კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი...“ მეორე ხეზე – მუქ კოსტიუმში ელეგანტურად გამოწკეპილი 40-45 წლის მამაკაცი „სტეფანიკი, ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინელი მწერლის ვასილ სტეფანიკის ვაჟი...“

ბოლო ხატადან მოშორებით, ტოტებჩამოლეწილ დიდ ფიჭვთან გამხდარი მოხუცი ქალი ნაჯახით ხელში ჩამომტვრეულ ტოტზე ცოდვილობს. გზაზე, თოვლში, კოტინი რაღაცით გახალისებული დააბიჯებს, ბოლთას სცემს.

– ვალოდია! – გასძახა რატიმ, – მოდი, ხელი შევაშველოთ მოხუცს. ცოდოა! ჩვენ სულ მალე მოვრჩებით.

რატი მივიდა მოხუცთან, ნაჯახს ხელიდან ართმევს გახუნებული ბამბის სათბუნებელსა და თავშალში შეფუთულ, ბეჭებში წახრილ მოხუცს:

– Не треба, не треба! Динкую! Я сама зроблю...[1]

ხუტორის მცხოვრებლები თავს არიდებდნენ სამხედროებს, გაურბიან, ცდილობენ იშვიათად, მხოლოდ იშვიათად, მხოლოდ აუცილებლობის გამო გამოვიდნენ ხატადან. მეომრებიც არ ცდილობენ მათთან ურთიერთობას და არის მათ შორის მორიდებული, „მუნჯური“ მეზობლობა.

ეტყობა, მოხუცმა ქალმა იუცხოვა ამ შეიარაღებული ბიჭების ხელშეშველება და ოდნავ ეწინააღმდეგება კიდეც მათ მონდომებას. რატიმ გასხიპა ხის დიდი ტოტი, წვრილები მოაცილა და ეკითხება ბებიას რუსულად:

– რა ზომაზე დაგიჭრა და დაგიჩეხო? – და ხელების ერთმანეთთან დაშორებით აგებინებს შეკითხვის არსს.

ხვდება ბებია და იქვე დაგდებულ პატარა წკირზე მიანიშნებს. ყმაწვილებმა შორიახლოს მდგარი ფიჭვის ძირიდან ჩამოვარდნილი მოზრდილი ტოტიც დაჩეხეს.

ხატას გვერდით ფარდულისებრ მინაშენში დაუწყვეს დაჩეხილი შეშა. იქ კი იმდენად ცოტა იყო დაჩეხილი წვრილი

[1] საჭირო არ არის! საჭირო არ არის! მე თვითონ გავაკეთებ... (უკრ.).

ტოტები, ერთ კვირასაც არ ეყოფოდა მოხუცს: „მეტყევე უშეშოდ, მებადური უთევზოდ“, – გაიფიქრა რატიმ.

ახალგაზრდებმა წასვლა დააპირეს. ბებია წინ გადაუდგა და სთხოვა: ხატაში შემოდით, არაყი გადაკარითო.

დიდი ცდუნების მიუხედავად, უარზე დადგნენ. ბებიამ არ დაიშალა თავისი. თხოვნა იმდენად გულწრფელი იყო, ბოლოს დაჰყვნენ მოხუცის ნებას.

ბებიამ განჯინიდან გამოიღო მრგვალი გლეხური პური, ბოთლში ნახევრამდე დარჩენილი თვითნახადი არაყი და ლორის ნაჭერი. ალუმინის ტოლჩებში არაყი ნახევარ-ნახევარი ჩამოასხა და შესთავაზა კეთილ სტუმრებს, რომლებმაც დალოცეს ბებია და მისი ხატის ჭერი. „კრუშკამ“ და ლორის ნაჭერმა მადა გაუღვიძა ყმაწვილებს, მაგრამ მეტი დაყოვნება აღარ ისურვეს.

რატიმ ხელი გადაჰხვია ბებიას გამხდარ მხრებზე.

– ძირკუე ბარბი, ხლოპცი დობრიე...[1] – მიიღეს სამადლობელი და პატრულებმა თავიანთი საქმე განაგრძეს.

ფიჭვებთან მისვლისას რატიმ მოიხედა ხატასკენ. ღია კარებში ბებია თავშალის ყურით თვალებს იწმენდა.

კოტინი ამბობს:

– რომელიმე ჩვენს უფროსთაგანს ყველაფერი ეს რომ დაენახა, კარგი დღე არ დაგვადგებოდა...

– მე დიდ უსიამოვნებასაც ავიტანდი ამ საბრალო ბებიის გამო, – უპასუხა გულორდავამ. რა არის, ვალოდია, ასე რომ გაგვირბის ხუტორი? გზად რომ შეგვეყრებიან, განზე იყურებიან. მაინც რა არის ეს? შიში ჩვენს წინაშე, თუ თავიანთი ბანდერელებისადმი მორიდება, თუ ორივე ერთად?

– მერე ჩვენ რა? ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი!

– რატომ ამბობ ასე? ხომ ხედავ, ყველაფერი ამის გამო რა ცუდ დღეში არიან?

– თავიანთ თავს დააბრალონ...

რატიმ აღარაფერი უპასუხა და გზა განაგრძო.

---

[1] დიდად გმადლობთ, კეთილო ბიჭებო... (უკრ.).

არჩევნებამდე ორი დღით ადრე, გათენებისას, მორიგე მედღევეს[1] ტელეფონზე ლვოვიდან რეკავს „სმერშის“ სამსახურის მაიორი:

– სასწრაფოდ ტელეფონთან უფროსი ლეიტენანტი კრუპოვი და ლეიტენანტი ლოკტევი! სასწრაფოდ!

ოფიცრები კარგად არ გამოფხიზლებულან, ტელეფონთან ისე მივარდნენ. ყურმილი კრუპოვმა აიღო.

– ახლავე ფეხზე დააყენეთ ოცეული! ადგილზე ორი-სამი კაცი დატოვეთ. ცნობა მოვიდა: ხუტორის სამხრეთ განაპირას, ცალკე მდგომ ხატაში, ბანდერელი მიკოლა კუჩერა ათევს ღამეს. როგორმე ცოცხალი უნდა შევიპყროთ. უკიდურეს შემთხვევაში ადგილზევე მოსპეთ! მეტად სახიფათო ბანდიტი ყოფილა... ზემოდან გაგვაფრთხილეს: ამ ამოცანის შეუსრულებლობა სავალალო იქნება თქვენთვისაც და ლოკტევისთვისაც... ახლა – ტელეფონთან ლოკტევი! მაიორმა მოკლე ინსტრუქტაჟი ჩაუტარა თავის უშუალო ქვეშევრდომს.

ხუთ წუთში ორ ჯგუფად დაყოფილი ოცეული ბრძანების შესასრულებლად გავიდა.

ლოკტევის მეთაურობით ათი კაცი წავიდა ტყის დასავლეთის კიდისაკენ. კუჩერას ხატას ზურგში უნდა მოქცეოდნენ. კრუპოვი კი წინიდან მიადგებოდა ხატას.

გულორდავა და კოტინი უფროსი ლეიტენანტის ჯგუფს მიჰყვებიან.

მთვარიანი, სუსხიანი ღამეა. კრუპოვი სულ უფრო აჩქარებს მეომრებს. უფრო სწრაფობს ლოკტევი. მას მეტი მანძილი აქვს გასავლელი.

ღელავს კრუპინი: „მთავარია, ლოკტევმა არ დააყოვნოს და დროზე ჩასაფრდნენ ტყისპირას“.

გათენება ახლოსაა, მაგრამ ხუტორს ისევ სძინავს.

მთვარეს შვენის თოვლის საფარით შეთეთრებული სითეთრე.

---

[1] მორიგე მედღევე – Дневальный (რუს.) – სადღეღამისო მორიგე ყაზარმის შესასვლელთან.

გამოჩნდა ტყისპირა ბოლო ხატა. მხოლოდ ახლა მიხვდა რატი გულორდავა, რომ მათი სამიზნე კარგად ნაცნობი მარტოხელა ბებიის ხატა ყოფილა და თავზარი დაეცა. სიკვდილი ინატრა. რას არ მისცემდა ბედს, რომ იქაურობას მოაშოროს! ჰგონია, რომ ძალიან ახლობლის კარს მიადგა ქურდულად, მოღალატურად და სწორედ ისაა დამნაშავე მოხუცი ბებიის ხატაზე მომდგარ საშინელებაში.

ოფიცერმა უხმოდ გაშალა მეომრები თოვლში, ხატას წინ, ორი დიდი ფიჭვის ხაზზე. ერთი ფიჭვის ძირთან, ხის მოზრდილ ტანს ნახევრად მოფარებული მეტყვიამფრქვევეა გაწოლილი, მისგან მოშორებით – უფროსი ლეიტენანტი, მეორე მხარეს – გულორდავა. ცრემლმორეული, აცახცახებული: „რა დავაშავე ისეთი, რომ ამდენ უბედურებას თავზე მატეხ!..“

ოდნავ შენათდა და კარგად გამოჩნდა, როგორ იკავებდა პოზიციას ლოკტევის ათეული.

კრუპოვმა გვერდზე დაკიდებული ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატი მოიმარჯვა და მთელი ძალით ჩასძახა:

– მიკოლა კუჩერა! მიკოლა კუჩერა! თქვენ ალყაში ხართ და გზა მოჭრილი გაქვთ. დაყარეთ იარაღი და ხელებაწეული გამოდით ხატადან! გაძლევთ სამ წუთს.

იქვე მყოფ უკრაინელ მეომარს ხმამაღლამოლაპარაკე გადასცა და უბრძანა: მისი სიტყვები უკრაინულად ხმამაღლა გაემეორებინა.

გულორდავას შეცივდა. ყინულის ნემსებმა დაუჩხვლიტეს სხეული. ფრონტზე რამდენი სიკვდილი ნახა, მაგრამ ეს სიკვდილზე უფრო მეტი სიკვდილი იყო. შიშმა აიტაცა. თავი საზიზღარ არსებად მიაჩნდა: „საბრალო ბებია! საბრალო მოხუცი!“ – იმეორებდა გულში და ეზიზღებოდა საკუთარი თავი – შიში რომ ვერ დაძლია და ასე უხმოდ ემორჩილებოდა სამხედრო მეთაურის მითითებებს. მუშტს მაგრად მოუჭირა და თოვლში ღრმად ჩაფლო გამწარებულმა.

გუნებაში მიკოლა კუჩერს ჰკიცხავდა: „რატომ მოაკითხე ბებიას ტყიდან?“ მაშინვე შერცხვა კიდეც თავის საყვედურის:

„ალბათ, შეცივდა ტყეში გასულს და მოშივდა კიდეც!“ მან კარგად იცის, რას ნიშნავს ყველაფერი ეს! „ვინ გაწირა ასე უღვთოდ მშობლიური ხუტორიდან?“

უფროსი ლეიტენანტი კვლავ ახმაურებს ხმამაღლა მოლაპარაკეს:

– გავიდა სამი წუთი. გელოდებით! გამოდით ხელებაწეული და... გადარჩებით.

თარჯიმან უკრაინელ მეომარს უბრძანებს:

– უთხარით: საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანებულება, რომლის ძალითაც ყველა ბანდერელი, რომელიც დაყრის იარაღს და დანებდება, თავისუფლდება საბჭოების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის პასუხისმგებლობისაგან. თქვენზეც გავრცელდება ეს პირობა. ხელიდან ნუ გაუშვებთ ამ შესაძლებლობას. დაყარეთ იარაღი და თავისუფალი იქნებით.

თარჯიმანმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაახმიანა ოფიცრის სიტყვები.

ფიჭვებამდე მოაღწია ხატადან ქალისა და მამაკაცის შეკამათების ხმამ. ქალის ხმაში ისტერიულად ატირებული მუდარა იყო მხოლოდ.

– კიდევ და უკვე ბოლო სამი წუთი! – გასცა ოფიცერმა ბოლო გაფრთხილება.

იღება ხატას კარები და გამოჩნდა მოხუცი ქალის წახრილი, მოფარფატე ფიგურა.

„კუჩერა არ ნებდება!“ – მიხვდა გულორდავა.

ბებია ძლივს ადგამს ფეხებს გაუკვალავ თოვლში, რაღაცას ბუტბუტებს, ალბათ, ლოცვის სიტყვებს. ორივე ხელით სასოებით უკავია ხელისგულის ზომის ღვთისმშობლის ოქროსფრად მბზინავი, ჩარჩოებში ჩასმული ხატი, თან პირჯვარს იწერს სწრაფსწრაფად და ბორძიკით უახლოვდება ფიჭვებს. ახლაღა გაიგეს მოხუცის ბუტბუტიდან მხოლოდ ორი სიტყვა: „იისუს მარია!..“ „იისუს მარია!..“[1]

---

[1] „იისუს მარია!“ („ღვთისმშობელო მარიამ!“) (უკრ., პოლ.).

ხატი ცახცახებს შრომაში გაუხეშებულ დაძარღვულ ხელებში. ხატზე მითითებითა და გამუდმებული პირჯვრისწერით უფროს ლეიტენანტს მიმართავს გონებიდან ძლივს ამოკრეფილი რუსული სიტყვებით:

– Не надо, офицер! Не надо!..[1]

ხატი კრუპოვს სახესთან ახლოს მიუტანა. მან ხელის მკვეთრი მოძრაობით გვერდით გასწია მოხუცის ხელი. ხატი ხელიდან გაუსხლტა და თოვლზე დაეცა. ბებიამ შეჰკივლა და ბარბაცით დაიხარა, წვდა მიწაზე დავარდნილ სიწმინდეს, ხელი გადაუსვა, თოვლი მოწმინდა და შეშლილი სახით იმეორებს:

– იისუს მარია!.. იისუს მარია!.. მიწაზე ხატის დავარდნა ცუდად თუ ენიშნა და წინ მუხლებზე დაეცა ხვეწნა-მუდარით.

– მიკოლა კუჩერა! კიდევ ერთი წუთი და ვიწყებთ სროლას!

– ცეცხლი! – გასცა ბრძანება უფროსმა ლეიტენანტმა.

კივილი აღმოხდა ბებიას, ანგარიშმიუცემლად გაიწია ხატასაკენ, ვიღაც წამოხტა და ხელი წაავლო მკლავში.

ძირს უგონოდ დაეცა.

ავტომატის მოკლე ჯერებით ისვრის კუჩერა ხატას სახურავის ქვემოდან ხან ჭადრების მხარეს, ხან ხატას უკან, ტყისპირზე ჩასაფრებულთა მიმართულებით.

მებრძოლთა შორის უკვე სამი დაჭრილი იყო. კუჩერა კვლავ განაგრძობს სროლას.

ფიჭვთან გაწოლილი რატი გულორდავა კარაბინით ისვრის სადღაც, ხატას სახურავის ზემოთ. ცრემლები მოაწვა, თვალები დაებერა და შეწყვიტა სროლა, შემთხვევით ხატას არ მოვახვედროო. მისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო, შეამჩნევდნენ თუ არა მის ამ „მოღალატურ“ საქციელს.

სროლის ხმაზე ხატადან იატაკზე რაღაც მძიმე სხეულის დავარდნის ხმა გაისმა. დადუმდა კუჩერას ავტომატი. კრუპოვი ბრძანებს, შეწყვიტონ სროლა და ხატასთან მივიდნენ.

მეტყვიამფრქვევემ ტყვიამფრქვევის ლულის კვრით შეაღო ხატას კარი. ღუმელის გვერდით გულაღმა უძრავად იწვა ახა-

---

[1] „არ გინდათ, ოფიცერო, არ გინდათ!“ (რუს.).

ლგაზრდა კაცი. მის გვერდით ავტომატი და გადაბრუნებული ტაბურეტი ეგდო. კუჩერა ღუმელზე ტაბურეტშედგმით თუ ისროდა.

მეტყვიამფრქვევე კარის ღიობში გამოჩნდა და უფროს ლეიტენანტს მიაძახა:

– ნატყვიარები აქვს, მაგრამ ცოცხალი უნდა იყოს, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

– აქ მოათრიეთ!

ხატაში კიდევ რამდენიმე მეომარი შევიდა. ორივე მხრიდან დაჭრილის მკლავებში ხელჩაკიდებულებმა თოვლზე გასრიალებით ფიჭვებამდე მოათრიეს მიკოლა კუჩერა.

შეძრწუნდა უკვე ფეხზე მდგარი გულორდავა: „მძიმედ დაჭრილ ადამიანს, როგორც მოკლულ ნადირს, ისე მოათრევენო“. სწორნაკვთოვან სახეს უსიცოცხლო ფერი ედო. დიდი ხნის უპარსავი ხორბლისფერი წვერ-ულვაში, ოფლით შენამული აწეწილი ხშირი თმა, მოწამეობრივ იერს აძლევდა ლამაზ სახეს.

დაჭრილმა გაახილა თვალები. დააკვირდა მისაკენ დახრილ ფორმიან ადამიანებს და თოვლზე ხელის ფათურით თითქოს რაღაცას ეძებსო... – „ავტომატს?“ – გაიფიქრა რატომ. შემდეგ სახესთან მიტანილი ხელი უღონოდ დაეცა მკერდზე და მძიმედ ამოიკვნესა, რაღაც თქვა გაუგებარი და თვალები მილულა.

ხატას უკნიდან ლოკტევი და მისი ათეული სირბილით მოაწყდა ფიჭვებს. ყველას აინტერესებდა, ენახათ კაცი, რომელიც 21-22 წლის თუ იქნებოდა.

ლოკტევი მივიდა კრუპოვთან და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

– ხატაში რამე თოკი იქნება, მოძებნე სწრაფად და აქ მოიტანე, – უბრძანა ახლო მდგომ ჯარისკაც გლუხოვსკის კრუპოვმა.

– ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! ვხედავთ, რომ მძიმედ დაჭრილია. გამოვიძახოთ ლვოვიდან მანქანა და წავიყვანოთ. უმკურნალებენ და მერე, ალბათ, გაასამართლებენ... ჩვენი დაჭრილებიც ხომ უნდა გავამგზავროთ... – თქვა გულორდავამ.

– რაა? როგორ ბედავთ და იცავთ ქვეყნის მტერს? თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ?

ლოკტევმა აღშფოთებით დაუყვირა:

– თქვენ პასუხს აგებთ ამ სიტყვებისათვის!

ბებიამ თვალები გაახილა, წამოდგომაში ვიღაცამ ხელი შეაშველა და წამოაყენა. გლუხოვსკიმ თოკი კრუპოვს გადასცა, მან კი ლოკტევს მიაწოდა. ამის დანახვაზე ბებიამ საზარელი ხმით დაიწივლა. მიეჭრა გულორდავა, ხელები მოხვია, მუხლებში ჩაუვარდა, მოფერება დაუწყო. ბებიამ შეხედა და... იცნო ცოტა ხნის წინ შეშის დამუშავებაში დამხმარე ყმაწვილი:

– Хлопец добрый! Хлопец добрый![1] რატი ლოკტევს მიუბრუნდა:

– სიკვდილი მაინც ვაცალოთ, ამხანაგო ლეიტენანტო...

– ხმა ჩაიწყვიტე, გულორდავა! მოვიცლი თქვენთვისაც!.., – სარკაზმშერეული ხმით უთხრა ლეიტენანტმა, – თქვენ ტრიბუნალისაკენ მიდიხართ, გულორდავა!

ბებია მუხლებზე ხოხვით ხან კრუპოვისაკენ, ხან ლოკტევისაკენ მიჩოჩდება და ევედრება ორი სიტყვით:

– პან ოფიცერ! პან ოფიცერ!.. პან..

ლოკტევი, ცალ მუხლზე ჩაჩოქილი, თავს უწევს დაჭრილს და სახელდახელოდ გაკეთებულ მარყუჟს კისერზე აცმევს. ქამრიდან გაჩრილი ავტომატის ორი მჭიდი გამოაძრო, სერჟანტს გადასცა და უთხრა:

– ბანდიტის ავტომატთან ერთად, შენ გაბარებ – მარყუჟი დაჭრილს კისერზე ოდნავ წაუჭირა და ბრძანა:

– აბა, ავწიოთ!

– რას სჩადით, ამხანაგო ლეიტენანტო! – შეჰყვირა გულორდავამ, – სიკვდილი მაინც ვაცადოთ... – პასუხად ზიზღით სავსე მზერა მიიღო.

თოკის ბოლო ლოკტევმა გლუხოვსკის მისცა ხელში:

– აი, იმ ქვედა ტოტზე გადააგდე და ბოლო ჩამოსწიე! – გადმოგდებული თოკის ბოლო ხელში ეკავა და იქვე მდგომ მებრძოლებს უბრძანა, მაღლა აეწიათ დაჭრილი, სულთმობრძავი

[1] კეთილო ბიჭო! კეთილო ბიჭო! (უკრ.).

კუჩერა. ბებია შეშლილივით მივარდა შვილიშვილის ზეაწეულ სხეულს და თოვლში დავარდა გულწასული.

მებრძოლთა ზეაწეულ ხელებში მოქცეული მიკოლა კუჩერას ზიზღითა და მრისხანებით სავსე მზერა დააკვდა ლოკტევის სახეს. მიხვდა მომაკვდავი, რასაც უპირებდნენ.

უკვე მთელი ხმით, ყვირილით ცდილობს რიგითი გულორდავა ოფიცერ ლოკტევის შეჩერებას.

– რიგითო გულორდავა! გიბრძანებთ სხვებთან ერთად, თქვენც ასწიოთ მაღლა მოღალატე ბანდიტის სხეული!

– არა, ეს მე არ შემიძლია! არ შემიძლია ჯალათი გავხდე! მე ჯარისკაცი ვარ!

– ხვდებით, რომ სამხედრო ტრიბუნალით გასამართლდებით, თუ ...

– ვიცი, მაგრამ მაინც არა!

– უფროსო სერჟანტო! ჩამოართვით იარაღი გულორდავას, საბრძოლო ვითარებაში მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობისათვის! ვაცხადებ რიგით გულორდავას იარაღაყრილად! – ბრძანებს უფროსი ლეიტენანტი კრუპოვი.

უფროსმა სერჟანტმა ხელი გაიწვდინა გულორდავასათვის კარაბინის გამოსართმევად. რატი არ განძრეულა.

– გადაეცით თქვენი იარაღი, გულორდავა, უფროს სერჟანტს.

გულორდავამ კონდახით მიწაზე დაშვებულ კარაბინს ხელი ჰკრა წინ და თოვლში დააგდო.

– აიღეთ! – უბრძანა კრუპოვმა უფროს სერჟანტს, – ორ დღეში ლვოვში გაგეცემა საკადრისი კანონიერი პასუხი ღალატისათვის.

სამმა მებრძოლმა მაღლა ასწია კუჩერა. ლოკტევმა მოსწია თოკის ბოლო, შემოახვია ხეს, განასკვა და სამივეს უბრძანა, ხელი ეშვათ განწირულისათვის.

გატანჯული სხეული სახელდახელოდ მოწყობილ სახრჩობელაზე ჩამოეკიდა.

ბებია უძრავად წევს გათელილ თოვლზე.

რატი არ ერიდება ცრემლებს და ხმამაღლა, სლუკუნით ტირის. ამასობაში სანიტარულმა ინსტრუქტორმა სათანადო სამედიცინო დახმარება გაუწია დაჭრილებს.

დამსჯელთა რაზმი ათიოდე წუთის შემდეგ გაუდგა გზას ყაზარმისკენ.

ორ-ორ მებრძოლს ჯვარედინად გადადებულ ხელებზე დამ-ჯდარი მიჰყავდათ დაჭრილები. ერთი, უფრო მსუბუქად დაჭ-რილი, ხელშეხვეული, წინა რიგში მიაბიჯებდა.

ნადავლად მიჰქონდათ განადგურებული მტრის ავტომატი და მჭიდები, თვით უფროს ლეიტენანტს კი – მოკლული კუჩერას ჯიბეებიდან ამოკრეფილი საბუთები, თუ სხვა ქაღალდები.

გულორდავა, ლოკტევის ბრძანების მიუხედავად, მწყობრში არ ჩადგა. ასეთი პასუხი გასცა ბრძანებას ჩამხრჩვალი ხმით: „იარაღყრილი კაცი მებრძოლი აღარ არის!“ და რამდენიმე ნაბი-ჯის დაშორებით გაჰყვა ოცეულს.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ, რატიმ ფიჭვე-ბისაკენ მიაბრუნა თავი. კუჩერების მეზობელი ხატათაგან გა-მორბოდნენ, რაღაცის გამწარებული ძახილით. ხნიერ კაცს უკვე კიბე მიუყუდებია ფიჭვზე და სულსწრაფად და ყვირილით არბის საფეხურებზე. რაც ძალა ჰქონდა ზევით ეწევა დახმარების მოლოდინში. ისევ მოიხედა რატიმ უკან, კუჩერას სხეული უკვე ჩამოეღოთ და მდუმარედ დასცქერიან. ცას ხევს მხოლოდ ბებიის კივილი და მოთქმით მოძახილი.

ყაზარმაში მისვლისთანავე ლოკტევმა ბრიგადაში დარეკა და თავისი სამსახურის უფროსს მოახსენა მიკოლა კუჩერას მოსპობის შესახებ. უფროსმა უბრძანა, დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სათანადო მოხსენებითი ბარათის შესადგენად.

– ჩემთან ერთად წამოხვალთ! – უთხრა ლოკტევმა გულორ-დავას. – „დამაპატიმრა“, – მწარედ ჩაიღიმა რატიმ და როცა ლოკ-ტევმა ერთი მებრძოლიც იახლა თან, გაიფიქრა: – „ესეც ბადრა-გი“. ლვოვისაკენ ხუტორის სასოფლო საბჭოს საბარგო მანქანას გაჰყვნენ.

– ყაზარმიდან გასვლა გეკრძალებათ! – უთხრა ლოკტევმა გარნიზონში მისვლისთანავე, თვითონ კი ბრიგადის შტაბისაკენ გაემართა.

უფროსისათვის დაწვრილებით მოხსენების შემდეგ, მოხსე-ნებითი ბარათი დაწერა მომხდარზე. შემდეგ წარსდგა მაიორ

სევერცოვის წინაშე და მოახსენა შტაბის მწერლის, რიგითი გულორდავას დანაშაულებრივი მოქმედებისა და სამხედრო პროკურატურის მეშვეობით პასუხისგებაში მისი მიცემის განზრახვის შესახებ.

იმავე დღეს სევერცოვმა თავისთან დაიბარა რატი გულორდავა და გამოჰკითხა მომხდარი ინციდენტის შესახებ. არ ცდილა რატი მაინცდამაინც თავის მართლებას და უთხრა მხოლოდ, რომ მან, მართალია, ფორმალურად დაარღვია სამხედრო წესდების მოთხოვნა მეთაურის ნებისმიერი ბრძანების შესრულების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ განმარტა, რომ იგი ჯარისკაცია, მოქალაქე და ჯალათობის ჩადენა არ ძალუძს. ამასთან მზად არის პასუხი აგოს, როგორიც არ უნდა იყოს დასჯის ფორმა.

მაიორმა ბოლოს ჰკითხა: მომხდარის გამო ხელმძღვანელობის წინაშე ხომ არ აპირებს პატიების თხოვნას? მაიორმა, რიგითის გადაჭრითი უარი რომ მიიღო, მცირე დუმილის შემდეგ უთხრა: ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მოსალოდნელ სასჯელზე რამე შეღავათი მიიღოს. ვიციო, უპასუხა რატიმ და მადლობაც გადაუხადა მის მიმართ ყურადღებისათვის.

ახლა მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა. გაიგებდა თუ არა ლარისა კარპოვნა რატის გარშემო შექმნილი ვითარების შესახებ და რას იფიქრებდა ამის თაობაზე. მოსალოდნელ სასჯელზე ბევრად უფრო აუტანელი იყო ლარისა კარპოვნასთან ასეთი მტკივნეული განშორება.

სევერცოვიდან გამოსვლისთანავე შეიარა მწერალმა ოთახში, სადაც მის მაგიდასთან უცნობი უმცროსი სერჟანტი მოთავსებულიყო. არ სწყენია. მერე რა! რატის სადარდებელი და საფიქრალი, უფრო მწვავე, სხვა ბევრიც ჰქონდა!

გაესაუბრა იქ მომუშავე ორ ამხანაგს, რომლებმაც კითხვები დააყარეს. რატი ცდილობდა, გაშლილ საუბარში არ შესულიყო ამხანაგებთან.

მეორე ოთახიდან საუბარში გართული უფროსი ლეიტენანტი ლესკოვსკი და კაპიტანი, ერთ-ერთი არტდივიზიონის მეთაური, გამოვიდნენ.

მწერალთა ოთახიდან გასვლამდე კარებთან შეჩერდნენ, კაპიტანი ეუბნება ლესკოვსკის:

– ნახე, რა ბედი ეწიათ სევერცოვებს! მაიორის მეუღლე ლარისა კარპოვნა ფეხმძიმედ ყოფილა! მეექვსე წელია, თურმე უშვილობას მისტიროდნენ და ღვთის წყალობას ელოდა ცოლ-ქმარი და აი!

– მაიორს ერთი კარგი სუფრა მაინც დაუჯდება ეს ბედნიერება, – და ოთახიდან გავიდნენ.

რატი ანგარიშმიუცემლად გაიჭრა დერეფანში. რა თავზარია მის თავს, თუ კიდევ უფრო საშინელი რამ, მომაკვდინებელი! „მეექვსე წელია, რაც ელოდა თურმე ცოლ-ქმარი!“ კი მაგრამ ლარისა კარპოვნამ რომ უთხრა რატის, გოგონა მყავსო ტამბოვში დასთან? რისთვის დასჭირდა ასეთი ტყუილის თქმა? ვისგან მიიღოს ამის პასუხი?

სამი დღის შემდეგ სამხედრო პროკურატურაში გამოიძახეს. განსაკუთრებული მღელვარების გარეშე შეაღო გამომძიებლის კაბინეტის კარი.

არაფერს ცვლის დღიდან დღემდე თავის ჩვენებაში. კვლავ და კვლავ ეწინააღმდეგება დაჭრილი ტყვე მოწინააღმდეგის სიკვდილით დასჯის კანონიერებას.

გაბრაზებას არ გრძნობდა კრუპოვის, ლოკტევისა და ოცეულის რამდენიმე მებრძოლის მიმართ მათ მიერ მიცემული ჩვენების გამო – ისინი ხომ სიმართლეს ამბობდნენ ხუტორში მომხდარ ფაქტზე! სამხედრო პროკურატურის მუშაკებს უკვირდათ, რატომ ასე გულგრილად, როგორც მათ ეჩვენებოდათ, ეკიდებოდა გულორდავა თავის ბედს?

ხუტორიდან დაბრუნებისას შინიდან გამოგზავნილი ორი წერილი დაახვედრეს. საყვედურობდნენ, რატომ გვიგვიანებო წერილებს.

სასჯელს თავს რომ ვერ დააღწევდა, დარწმუნებული იყო, მაგრამ არ იცოდა როგორ დაეფარა ეს მშობლებისათვის ერთხანს მაინც. მოსალოდნელი დაპატიმრების აღიარება კი არ უნდოდა.

სამხედრო ტრიბუნალის სხდომა შედგა მარტის დასაწყისში. შეზღუდეს დამსწრე პირთა კონტინგენტი. რიგითი და სერჟანტთა

შემადგენლობიდან დაასწრეს მხოლოდ მომხდარი ინციდენტის მხილველნი. ესწრებოდნენ ძირითადად დივიზიონის ოფიცრები, გულორდავას ოცეულისა და ბატარეის მეთაურები, პოლკის შტაბიდან რამდენიმე ოფიცერი, მათ შორის ლესკოვსკი.

ტრიბუნალის სხდომა ორ საათს გაგრძელდა. გულორდავას ფიცის გატეხვისათვის, საბრძოლო ვითარებაში საბჭოთა მეომრისათვის შეუფერებელი მოქმედებისათვის, მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობისათვის და მებრძოლ ამხანაგთა წინაშე მეთაურისადმი დაუმორჩილებლობის დემონსტრირებისათვის ჩამოერთვა საბრძოლო მედალი „მამაცობისათვის“ და მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შრომით გამოსასწორებელ ბანაკში სასჯელის მოხდით.

გულორდავამ სრული სიმშვიდით მოისმინა განაჩენი.

ტრიბუნალის სხდომის დამთავრების შემდეგ, დარბაზიდან ბადრაგის მიერ გაყვანისას, გულორდავასთან მივიდა უფროსი ლეიტენანტი ლესკოვსკი და უთხრა:

– ძალიან ვწუხვარ გულორდავა, მაგრამ ვფიქრობ, რომ გაგიმართლათ კიდეც, შეეძლოთ მეტიც მოესაჯათ... შენ იყავი საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული და მამაცურად გეკავა თავი. ვაფასებ ამას...

ლესკოვსკი ცოტა ცივად, მაგრამ სამართლიანი განწყობით ეპყრობოდა სამსახურში, მაგრამ რატი ვერ იფიქრებდა, რომ ამ შემთხვევაში იგი თანაგრძნობას გამოუხატავდა. მადლობის ნიშნად რატიმ ფართოდ გაუღიმა და თავი დაუქნია ოფიცერს.

მაშინვე საგანგებო დახურული ავტომობილით ქალაქის ჰაუპტვახტში წაიყვანეს და ცალკე კამერაში ჩასვეს.

რამდენიმე დღის შემდეგ საეტაპო ვაგონით ციმბირის გზას გაუყენეს.

მოხვდა ირკუტსკის ოლქში, სადაც ქვანახშირის ერთ-ერთ შახტში გვირაბის გამაგრებაზე მომუშავე ბრიგადაში გაანაწილეს. შახტში მომუშავეთა ნახევარი მასავით პატიმარი იყო, მათ შორის ომის შემდგომი პერიოდის ოცდახუთწლიანებიც.

შახტში ზოგჯერ ავარიები ხდებოდა და მეშახტეები იღუპებოდნენ ან სახიჩრდებოდნენ, მაგრამ გულორდავას მაინც მი-

წისქვეშეთი ერჩია ტაიგაში ციმბირის ყინვებში ხე-ტყის ჭრაზე მუშაობას.

პატიმრობის დაფარვა უაზრობა იყო. პირველსავე წერილში ეცადა, ნაწერის შინაარსი შეძლებისდაგვარად დამამშვიდებელი და იმედიანი გამოსვლოდა. წერდა, რომ მისი პატიმრობის გამხელა ოჯახს არ უნდა რცხვენოდეს. საძრახისი არაფერი ჩაუდენია და მისი საქციელით, რისთვისაც დასაჯეს, გულორდავებს შეუძლიათ იამაყონ კიდეც. ამ სიტყვების ჩაწერა თავის ქებად ჩანდა, მაგრამ რატისათვის მთავარი იყო სოფლის წინაშე ავაზაკად არ გამოჩენილიყო და მშობლებს ადრინდელად თავაწეული ევლოთ ქვეყანაზე. მეტად ძნელი გამოდგა პატიმრობის სამი წელი. საჭმლის ულუფა არასოდეს არ კმაროდა, მაგრამ როგორც „სტაჟიანი“ პატიმრები ამბობდნენ, ტაიგასა და ტუნდრაში მყოფ პატიმართათვის კვება უარესი იყო.

* * *

მარტი ილეოდა, რუხისწყლის სათავეებში თოვლი ჯერ კიდევ ბურავდა ტყიან მთებსა და სერებს. სოფელ მუხურიდან ზემოთ, შორს, სადაც კლდენაპობებიდან ქვებსა და ლოდებს შორის ჩქერად მონავარდე ნაკადულებს გაზაფხულით გალაღებული მდინარე იერთებს, ტყიანი სერის ძირთან ოდნავ დაქანებული ვაკობია. აქ ასამდე ეზო-კარია გაშლილი, დაბალ ბოძებზე მდგარი, ძირითადად ყავრით დახურული სახლებითა და პატარა ბაღ-ბოსტნებით. სოფლიდან მოშორებით, გამეჩხრებულ ტყე-ბუჩქნარ და ნაყანებ ადგილებზე გაშლილი პირუტყვი ამაოდ ცდილობს ნაზამთრალი მიწიდან ოდნავ ამოწვერილი ბალახის მოძებნას და უფრო შეკვირტულ ბუჩქებსა და ხეთა დაბალ ტოტებს ეტანება.

* * *

რა ლამაზია სამეგრელო – ეს ადგილები მაინც, სასიყვარულოდ აფეთქებულ მზენათელ ეგრისელ ქალწულს რომ ჰგავს საგაზაფხულო ჭრელპეპლებიან კაბაში გამოწყობილსა და ჩქერ ნაკადულში ცელქად მოხტუნავეს!

* * *

შარაგზის მარცხნივ, სოფლის შუკაში, მეორე ეზოს ჭიშკართან შედგა რატი. მშობლიური სახლ-კარის წინ მდგარი ცრემლს ძლივს იკავებს. ხელი შეჰყო ლურჯად შეღებილი ხის ჭიშკრის ფიცარ-ლარტყებს შორის. სარაზს ხელი გამოჰკრა.

სახლიდან მარჯვნივ, უკან მდგარი სამზარეულოდან, წინსაფრიანმა ქალმა ხელი იჩრდილა თვალებზე და შეჰკივლა:

– შვილო! შვილო, რატი!.. – და ვიდრე ჭიშკარში შეშლილივით შემოჭრილ შვილს მისწვდებოდა, სახლის წინა ოთახიდან გამოვარდნილი მამაც გაქანდა ჭიშკრისაკენ:

– ჩემი ბიჭი! ჩემი რატი!..

და-ძმაც გამოჩნდა უკანა ეზოდან – თავპირისმტვრევით რომ გამორბოდნენ ახლად აბიბინებულ ბალახებში საგულდაგულოდ გაკვალულ ბილიკზე. პატარა ლელა ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ძმას სირბილში.

– როგორი გამხდარი ხარ! მოგიკვდეს, შვილო, დედა! – და უმზეო, გამხდარ სახეზე ხელებს უთათუნებდა.

როგორც იქნა, მოეგნენ გონს და სახლს მიაშურეს. გულორდავების ეზოში ამტყდარმა ჟივილ-ხივილმა სოფელი გამოაცოცხლა. გამორბიან ნათესავები, მეზობლები, ზოგი სიცილითა და მხიარული შეძახილებით, ზოგიც ცრემლითა და დალოცვის ბუტბუტით.

მხოლოდ გვიან ღამით დარჩა ოჯახი მარტო.

– ძვირად დაგიჯდა ომის შემდეგ პატიმრობის სამი წელი, შვილო, მაგრამ კაცური ღირსება შეგინარჩუნებია, – უთხრა შვილს სილოვანმა, – ძალიან მიჭირს ასე თქმა. მაინც უნდა გითხრა, რატი: მადლობელი ვარ ამისათვის შენი...

გულში სიხარულის სანთელი აუნთო ამ სიტყვებმა რატის.

ერთი ჭიქა ოჯალეში შესვა მხოლოდ: „ისედაც მთვრალივით ვარო“, – ფიქრობდა.

– აბა, გუგულა, მიმართა სილოვანმა მეუღლეს, – დღეს კმარა, დაისვენოს ბავშვმა.

„ბავშვი“ – თითქოს ჯინჭარმა დაუსუსხა მთელი სხეული რატის ამ ერთი პატარა სიტყვის გაგონებაზე. დიდი ხანია გაყროდა იგი ბავშვობას არა მხოლოდ წლების გამო, არამედ მის მიერ განვლილი მძიმე ცხოვრების გამო. ენანებოდა ბავშვობასთან გაყრა, მაგრამ უზენაესმა ინება ასე... უცბად აკიაფდნენ მის ცნობიერში მოგონებები, თითქოს მილეული წარსულისაკენ მიექაჩებოდნენ უხილავი ძაფები – შუკა-შუკაში სირბილი, ანცობა, ტოლ-ამხანაგებთან ძიძგილაობა... მეზობლის ეზოში შოლტივით აღმართული ბლის ხეზე ნაყოფის დაგემოვნება, „მაინც რა გემრიელი იყო არსენ ბიძიას ეზოში თაფლივით ტკბილი ბალი!“ გაახსენდა, ერთ დიდ ხუთშაბათს ჭიაკოკონობაზე როგორ დარბოდნენ, ცეკვავდნენ გოგო-ბიჭები აგიზგიზებული ცეცხლის გარშემო... ჰოდა, გაექანა რატი, უნდა რომ გადაახტეს წითლად მოელვარე ალს, „არული კუდიანებსაო“ დასჭექა, მაგრამ მანძილი ვერ მოზომა, წაიფორხილა და პირქვე დაეცა. სწრაფად გამოიყვანა ცეცხლის ალიდან იქვე მდგარმა არსენ ბიძიამ ლავაშივით აჭარხალებული რატი. „ბლის მოპარვის გამო ამიერად განწმენდილი ხარო“, – უთხრა დაყვავებით არსენ ბიძიამ და მხარზე ხელი შემოჰკრა...

მოუსვენრობს რატი. წარსულის ლანდებში იბლანდება მისი ფიქრები. ახლა სხვა მოგონებები მოადგნენ რატის ცნობიერის კარიბჭეს. ტკივა, ტკივა ძალიან გულის კუნჭულში ჩამარხული თავსგადახდილი ამბავი. მშობლიური კერის სითბო ოდნავ თუ უნელებს ქარიშხლად ქცეულ სევდას.

თავის სასიყვარულო თავგადასავალზე ხმა არ ამოუღია და არც იცოდა, მოუყვებოდა კი ოდესმე მშობლებს... მაგრამ როგორი ძნელი ყოფილა დარდისა და სევდის დაფარვა.

ერთ დღეს სადილზე დედამ უთხრა:

– დადარდიანებული ჩანხარ, შვილო, პირი არ გიცინის, არ ჰგავხარ ადრინდელ რატის, გულს ნუ დაფარავ დაკარგულ წლებზე დარდით.

– მეც მინდოდა ამაზე შენთან საუბარი, – ამბობს სილოვანი, – ცოტას დაისვენებ, ჩვენც რაღაცას შევძლებთ და სწავლა გააგ-

რძელე, რაზედაც თავიდანვე ფიქრობდი. თბილისში სწავლისას არაფერს გაგიჭირვებთ. ამდენს კი შევძლებთ, შვილო.

არ ეგონა რატის, მისი დარდი ასე შესამჩნევი თუ იქნებოდა.

– ნუ დარდობთ ჩემზე, – უპასუხა დედ-მამას. ეს, ალბათ, წარსული წლების განცდებით მომდის. ერთს კი ვიტყვი –პატიმრობა მაინც ლაქად დააჩნდება ჩემს საბუთებს მომავალ ცხოვრებაში.

ამის შემდეგ სულ ცდილობდა რატი უფრო ხალისიანი ჩვენებოდა ყველას – მშობლებს, მეზობლებს, ნათესავებს. მეგობარ გოგო-ბიჭებთანაც მოუხშირა ღიმილსა და ხუმრობას.

მაგრამ დიდი ხნის დაფარული დარდი წყალივითაა, ოდესმე მაინც იჩენს თავს. ამას ხვდებოდა რატი გულორდავა. იმასაც აცნობიერებდა, რომ დედ-მამის დაკვირვებულ მზერას არ გამორჩენია მისი თუნდაც წამიერი დანაღვლიანება. გრძნობდა და წუხდა ამის გამო.

ისევ თქმა არჩია...

უნდა გაანდოს მშობლებს წარსულში ჩარჩენილი დიდი დარდი, რომელიც მარწუხებივით უჭერს, არ ასვენებს და ახრჩობს მის მთელ სულსა და გულს.

საღამოვდებოდა. სამზადი სახლის წინ საუბარში იყვნენ გართულნი, როცა რატიმ ერთბაშად საუბრის თემა შეცვალა და თავდახრილად ხმაშეცვლით თქვა:

– უნდა გაგიმხილოთ ერთი ჩემი საიდუმლო, მოსვენებას რომ არ მაძლევს რამდენიმე წელია...

– რაც უნდა იყოს, ჩვენთან რა საძნელო სათქმელი იქნება ისეთი!.. – შეფიქრიანებით თქვა გუგულამ.

მამა გაირინდა: რა აწუხებსო, ნეტავ, ბიჭს!

– დიდი სირცხვილი შემხვდა ლვოვში სამსახურის დროს – დაიწყო თავჩაქინდვრით რატიმ და ფრთხილად, მოზომილი სიტყვებით, რამდენადაც შეეძლო, მოჰყვა მისი და ლარისა კარპოვნას ურთიერთობის შესახებ.

როცა რატი იმ ვითარებას შეეხო, ქალმა თავისი კარებიდან უბოდიშოდ რომ გამოისტუმრა, სილოვანმა ვერ მოითმინა და ხმაგატეხილმა, დაბალი ხმით ჩაიბუტბუტა:

– ასეთ უწესო და უსირცხვილო ქალზე არც ვიდარდებდი სწორედ, შვილო. ეს წიწაკა იყო თაფლის შემდეგ, წიწაკა, ყოველგვარ ტკბილს რომ ერთბაშად სპობს... ამას უნდა წაეშალა შენში იმ ქალისადმი სიყვარული...

– ვაიმე, შვილო! როგორ ცუდად გამოგიყენა იმ ჩემი ცოდვით სავსემ! – იცრემლება გუგულა.

უმცროსი ძმა შემთხვევით შეესწრო ამ საუბარს. კარის ღიობში გაშეშებულიყო და გარინდებული უსმენდა რატის ტკივილიან თავგადასავალს. შეცბა რატი. არ უნოდა ძმას ეს ამბავი გაეგო, ჯერ კიდევ პატარა ბიჭად თვლიდა ბახვას და ვერ იმეტებდა ასეთი დიდი სიმძიმისათვის. მაგრამ რაღას იზამდა. წამოდგა რატი, ბარბაცით გადადგა მისკენ ორიოდ ნაბიჯი და მშვიდი ხმით უთხრა:

– რას იზამ, ბახვა! ასეთია ცხოვრება...

– ეცადე, რატი, თავი აარიდო ამაზე ფიქრს. ამიერიდან ხომ ისევ ერთად ვართ, – მიხვდა ბახვა, რომ სათქმელი მაინცდამაინც დამაჯერებელი არ გამოუვიდა და დაამატა: – ჰო, მართლა! აპრილის შუა კვირას ჩემი თანაკლასელები ზემოთ ვაპირებთ ასვლას, აქედან ოთხ კილომეტრზე მწყემსები რაღაც საინტერესო მღვიმეს წააწყდნენ, შიგნით პატარა ტბითა და ჩანჩქერით. იქნებ, შენც წამოხვიდე? ჰა, რას იტყვი, რატი? – თითქმის მუდარით უთხრა სათაყვანებელ უფროს ძმას ბახვამ.

რატის ჩაეცინა, მიუხვდა ძმას:

– გმადლობთ, ბახვა. ვნახოთ... იქნებ წამოვიდე კიდეც...

რატი აგრძელებს თხრობას:

– საქმეც იმაშია, რომ რასაც არ უნდა ვცდილობდე, ეს მაინც არ შველის ჩემს სადარდებელს. ხუტორიდან მობრუნების შემდეგ შტაბის ოფიცრების საუბარს მოვკარი შემთხვევით ყური: სევერცოვის მეუღლე ფეხმძიმედ ყოფილა, ეს რა დიდი ბედნიერებაა მათი ოჯახისთვისო, – ცოტა ხნით დადუმდა რატი და შემდგ ხმის კანკალით განაგრძო, – წლების მანძილზე შვილი არ გასჩენიათ... ჩემთვის კი იმ ქალს ნათქვამი ჰქონდა, რომ ჰყავდა პატარა გოგონა – რუსეთში, დასთან დავტოვეო. ყურმოკრულმა ამბავმა თავზარი დამცა მაშინ.

მიხვდა გუგულა და სილოვანი, რას გულისხმობდა რატი, მაგრამ დუმდნენ.

– კი მაგრამ, ეს რაღა შენი სადარდებელი იყო? – გაკვირვებით ჩაეკითხა უმცროსი ძმა.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ძლივს გასაგონად ამოცრა რატიმ:

– ფიქრი არ მეშვება იმაზე, რომ... შეიძლება ჩემგან ელოდებოდა ბავშვს...

– ღმერთო, შენ მიშველე!.. – ახლა კი წამოიკივლა გუგულამ.

გაოცებულ ბახვას კი ყელში რაღაც მოაწვა ბურთივით, თითქოს მთელი სხეული რაღაცამ დაუშანთა, მაგრამ ხმას ვერ იღებს.

სილოვანმა თქვა მხოლოდ:

– იქნებ, მცდარია, რატი, შენი ვარაუდი და ტყუილად იწვალებ თავს?

– ის ამბავი ერთ ჩემს მეგობარს გავანდე ასეულში. გადასახლებიდან ერთხანს მიმოწერაც გვქონდა ერთმანეთთან. ერთხელაც მომწერა: იმ ქალს ვაჟი შეეძინა. მალე ქმარი სხვა სამხედრო ოლქში გადაუყვანიათ და მათი კვალიც გამქრალა, ეს იყო და ეს... ან ჩემია ის ბავშვი, ან არა, მაგრამ ჩემს გულს რა შეღავათი? ხომ შესაძლებელია, სადღაც რუსეთში მართლაც იყოს ჩემი სამი წლის ბიჭი სევერცოვის გვარით, მე კი... – და თვალებზე ხელები აიფარა ტკივილიანი თავგადასავლით დამძიმებულმა რატიმ.

ამ დროს კი ოჯახის სულ პატარა წევრმა – ლელამ შემოირბინა ოთახში. ახლად გაღვიძებულმა თვალები მოისრისა, რატისაკენ გაიქცა, ჩაეხუტა, დაუკოცნა ლოყები და მისდაუნებურად, ოდნავ გაახალისა დადარდიანებული გულორდავების ოჯახი.

* * *

გავიდა რამდენიმე წელი...

რატი, სადაცაა, დაამთავრებს ინსტიტუტს – ქირურგი უნდა გახდეს. მთელი არსებით დაუდო გული სწავლას. არც პროფესორ-მასწავლებლებს გამორჩენიათ მისი ნიჭიერება და შრო-

მისმოყვარეობა. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, თუმცა ეს სრულებით არ ანაღვლებს რატის. ნეტავ, სხვა რამ არ ღრღნიდეს ასე ულმობლად.

ერთხელ, ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ჩასულ რატის დედა ფრთხილად ეუბნება:

– შვილო, უკვე ოცდაათს მიღწეული ვაჟკაცი ხარ და როდემდე გინდა უოჯახოდ იყო? თუ აქ არა, იმ დალოცვილ თბილისში ხომ შეიძლება შეგხვდეს მადლიანი გოგო, ოჯახისშვილი? ინსტიტუტის დამთავრებასაც ნუ დაუცდი. ჯერ ქირით იცხოვრებთ, მერე რაღაც საშველი დაგვადგება, ალბათ... ჩვენ აქედან, შეძლებისადაგვარად, შეგეშველებით, მერე სამსახური და ხელფასიც წამოგეწევათ... ჩვენ შვილიშვილები გვინდა უკვე...

– მესმის თქვენი, მაგრამ ჯერ დავამთავრო მაინც ინსტიტუტი. მერე... მერე... არ ვიცი, ვნახოთ...

დარდი გულიდან ვერ გადაიყარა, თუმცა შინ განსაკუთრებულად ცდილობს, ეს არ შეიმჩნიოს.

„მხოლოდ ოჯახი თუ გაუქარვებს რატის გულისწუხილს“, – ასე ფიქრობს მისი ყველა კეთილის მსურველი.

ახალი წლის წინა დღეს თანაჯგუფელი რევაზ ქურციკიშვილი რატის იწვევს მშობლების ოჯახში საახალწლო სუფრაზე.

– იცოდე, უარი აღარ გამოგივა. მინდა ჩემები გაგაცნო. თუ არა და მეც არ წამოვალ შენს ნაქებ სოფელში, რომლის ნახვაც ძალიან მინდა...

დასძლია ჩვეული მორიდება რატიმ და საღამო ჟამს საახალწლო ტკბილი, პატარა ნობათით მეგობარს ესტუმრა.

მხიარული იყო სუფრა, როგორც ყველგან ყველა საახალწლო რიტუალზე. რატის აეხსნა ჩვეული მორიდების ბორკილი, მაგრამ ქურციკიშვილების ოჯახში გაშინაურებული თავისი თანაჯგუფელების მსგავს სითამამეს მაინც ვერ იჩენდა.

სხვა რამეზე ფიქრს შეეპყრო რატის გული და გონება. გრძნობდა, რომ რაღაც ახალი იწყებოდა მის ცხოვრებაში... თამილა – რევაზის უმცროსი და: ლამაზი, ფაქიზი, კოხტა, მორცხვი გამოხედვით, – უნებლიეთ გაახსენდა ლარისა კარპოვნა, თითქოს

რაღაც მსგავსებაც დაინახა მათ შორს, მაგრამ არა... თამილა ანკარა წყალივით სუფთა... როგორ არ ჰგავს იგი ლარისა კარპოვნას, არ ჰგავს მის ვნებიან თვალებს. კვლავ დაიბნა გულორდავა, თითქოს დაიმორცხვა კიდეც, თითქოს ყმაწვილურმა ჟინმაც შეიპყრო და უნდოდა ხარბად, ძალიან ხარბად დასწაფებოდა ამ მათრობელა სასმისს.

თამილას არ გამორჩენია რატის სითბოდ დაღვრილი, დაკვირვებული მზერა, გამუდმებით, რომ თვალს არიდებდა და ისევ უკან ბრუნდებოდა სანატრელთან.

როცა სუფრა აიშალა, რატი თავაზიანად დაემშვიდობა კეთილ მასპინძლებს.

კარში გასვლისას ხელი ჩამოართვა თამილას. ალმურმა გადაჰკრა სახეზე ჯერ კიდევ გაუშლელ კოკორს – შენიშნა ეს გამოცდილმა თვალმა. სიხარული ჩაეღვარა რატის გულში, რამდენი ხანია ასეთი ნეტარება არ განუცდია. გული ლამისაა ამოვარდნას ლამობს საგულედან... ან როგორ შეიძლება სხვანარად იყოს: რატის წინაშე ხომ მისი სულის გადამრჩენი, წარსულის ტკივილების დამაოკებელი არსება დგას – ერთადერთი და განუმეორებელი მთელს ქვეყანაზე. უნდა რატის ახლავე ჩაეჭიდოს მის მხსნელს, მაგრამ იცის, ამას ვერ გააკეთებს – ვერც თამილასადმი და ვერც მისი ოჯახისადმი პატივისცემის გამო...

ფრთაშესხმული დაბრუნდა საერთო საცხოვრებელში რატი გულორდავა. იმედი, იმედი დაბრუნდა...

* * *

– შენ რომ თქვი რატი ცოტა უფროსიაო ჩემზე, რამდენით? – გაუბედავად ეკითხება თამილა რევაზს.

– ხუთი წლით.

– მერე, რატომ დააგვიანა ინსტიტუტში შესვლა?

– ომშია ნამყოფი და წარმოიდგინე – გადასახლებაშიც.

– ცუდ კაცად რომ არ ჩანს? გადასახლებაში? რატომ?

– რას ამბობ, თამილა! რატი გულორდავა და ცუდკაცობა?!

– აბა? აბა!

და როცა ძმამ მოუყვა ხუტორთან თავსგადამხდარი ამბავი, დაუმატა:

– როგორ ფიქრობ, თამილა, ძალიან ბევრს შეუძლია ამგვარი ვაჟკაცობის გამოჩენა, დაუპირისპირდეს სამხედრო ტრიბუნალს და სათუოდ გაიხადოს მომავალი?

თამილამ ცრემლების შეკავება ვერ შესძლო.

– რა მოხდა, თამიკო?

– შემეცოდა რატი, დაუჩაგრავს ცხოვრებას...

– მართლაც!.. მართლაც!.. – და დის სახეს დაკვირვებით დააცქერდა. თამილა უხმოდ წამოდგა და თავის ოთახს მიაშურა.

ის კი, თუ სინამდვილეში რამ გაუმწარა ცხოვრება გულორდავას, მხოლოდ მისმა ოჯახმა იცოდა, რატი არავის უმხელდა უმწვავეს გულისტკივილს.

რატი საოცრად ამაღლდა უკვე შეყვარებული თამილას თვალში.

* * *

დადგა გაზაფხული. ცელქმა ბეღურებმა დაიწყეს ხიდან ხეზე ხტუნაობა. ჭიკჭკიკებენ, ანცობენ, ლაღობენ...

მაგრამ არ ლაღობს თამილა. ეს თვალმშვენიერი გოგონა დადნა თვალსა და ხელს შუა. შეშფოთდნენ ქურციკიშვილები.

არც რატი იყო მშვიდად. ინსტიტუტში რამდენიმე გოგონა „თვალავდა“ რატი გულორდავას, თუმცა იგი ამას თითქოს ვერც ამჩნევდა. რატი ახლა სხვა ფიქრებს შეუპყრია. თამილათი თენდება და ღამდება მისთვის, მაგრამ ვერ გაუბედავს... უთქმელობითა და სიცრუით ვერ ააგებს თავის ცხოვრებას. რატი

არ არის ის კაცი, რომელსაც შეუძლია თავისი ცოდვა სხვის ტკივილად გადააქციოს. უნდა ყველაფერი უთხრას თამილას. ჯერ უნდა უთხრას სიმართლე და შემდეგ გამოუტყდეს თავის გრძნობაში. სხვანაირად, უღირსობა იქნება.

აუტანელი გახდა თამილას უნახაობა და...

* * *

იქ, სადაც ტრამვაი მკვეთრად უხვევს კუთხეში, ერთ პატარა კაფეში მაგიდასთან სხედან თამილა და რატი – ახალგაზრდა, მძიმეჯვარგამოვლილი და ადრეულად ოდნავ თმებშევერცხლილი მამაკაცი და სრულიად უმანკო, ფრთაფარფატა პატარა პეპელა. როგორი სითბო და სიყვარული იღვრება მათ თვალებში. ვერც ამჩნევენ ირგვლივ ვერავის.

დელიკატურად მოუყვა რატიმ სევერცოვებთან მომხდარი თავისი საჩოთირო ამბავი და ისიც, რომ ეჭვობს, იმ ქალს ბავშვი მისგან უნდა ჰყავდეს... მაპატიე, ამგვარი გულახდილობა...

ორივე ჩაიძირა მძიმე წარსულის მიხვეულ-მოხვეულ ლაბირინთებში.

ფიქრებს ჩაუღრმავდა რატი.

– ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ და ნაფიქრალმა გადამაწყვეტინა შენთვის მეთქვა... ის ჩემი ძველი ამბავი ბოლომდე ჩემში იქნება, მოუცილებლად, იმ ქალისადმი სიძულვილი მაქვს მხოლოდ. ბავშვზე ეჭვი კი მოურჩენელი სენივითაა... ცხოვრებამ ახალი კარი გამიღო, თამილა. შენ, შენ... შესძელი ეს. და თუ შენც... ვგრძნობ ამას, ისე ვერ გავბედავდი, ვერ გაქცევდი ჩემი ჭირის თანამოზიარედ... მაგრამ ძნელია ჩემთვის უშენობა.

თვალცრემლიანი უსმენდა თამილა. კიდევ უფრო გაუცხოველდა გრძნობა. რატის ტკივილები და განცდები თავისადაც გაიხადა.

მის გვერდზე ხომ უნდა იყოს ვინმე, ვინც შეუმსუბუქებდა, გადაატანინებდა ყველაფერს? ხომ შეიძლება ის ადამიანი მე ვიყო?! – ფიქრობდა თამილა. უნდოდა ეთქვა თავისი ნაფიქრი, მაგრამ რატიმ არ დაანება. სათუთად შეეხო მის გამხდარ, პატარა

ხელებს, მუშტად შეკრული, უმწეოდ, რომ იდო მაგიდაზე უძრავად.

– შენდამი გაჩენილი გრძნობა ურყევია ჩემში და... მე ვიქნებოდი უღალატო, მოსიყვარულე მეუღლე სიკვდილის კარამდე... და შენგან პასუხი მინდა... შენი ნებისმიერი პასუხი ჩემთვის გასაგები და მისაღები იქნება.

თამილა გარინდებული უსმენს რატის ფიც-აღსარებას.

* * *

ოქტომბერში რატი გულორდავამ და თამილა ქურციკიშვილმა ხელი მოაწერეს. ქორწილი იყო თბილისსა და რატის მშობლიურ სოფელში. თამილა აღტაცებული იყო სოფლის მიდამოების პირველყოფილი მშვენიერებით, კლდეთა ნაპრალებიდან გადმომჩქეფი ანკარა წყაროებით, პატარა ჩანჩქერების სიმრავლით, ნაძვნარ-ფიჭვნარებით შემოსილი მთა-გორაკების სილამაზით, შორს – კავკასიონის თეთრი ელვარებით, მისთვის თითქოსდა ახლად აღმოჩენილ ადამიანთა სამყაროთი, შემკული იშვიათი სიფაქიზითა და თაყვანისცემამდე მისული მასპინძლობით. მთავარი მაინც რატის ოჯახის გულითადი სითბო და სიყვარული იყო. ყველაფერმა ამან კიდევ უფრო აღავსო პატარძლის გული სიყვარულის ახალ-ახალი ფერებით.

მომდევნო წელს ვაჟი შეეძინათ, ორი წლის შემდეგ – მეორე ვაჟი და იყო მათი ცხოვრება უჩრდილო და საამო, სავსე ყოველდღიური საოჯახო ზრუნვითა და მხოლოდ საყოველთაო ცხოვრების შუქ-ჩრდილებით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რატი გულორდავა დედაქალაქის პირველ კლინიკაში მოხვდა განაწილებით...

* * *

რუხის ციხესთან, ენგურზე გადმოიყვანეს ექვსი დაჭრილი, მათ შორის ორი მძიმე მდგომარეობაში. სერჟანტს საფრთხეს უქმნიდა არტერიიდან სისხლდენა. დაჭრილს მოუცილებლად თავს ადგას სამოცდათს მიღწეული ქირურგი – აფხაზეთში და-

ტრიალებული ტრაგედიის პირველი დღეებიდანვე მოხალისედ წასული გულორდავა. იყო სოხუმთან, გუდაუთასთან, სადაც კი იღვრებოდა მებრძოლთა თუ ადგილობრივ მკვიდრთა სისხლი.

სახელდახელოდ გაშლილ ფართო საარმიო კარავში, ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოტანილ გრძელ მაგიდებზე დააწვინეს დაჭრილები. ქირურგმა მალე დაამთავრა სერჟანტის ფეხზე არტერიის გაკერვა და ჭრილობის საბოლოო დამუშავებას შეუდგა.

მეორე მაგიდაზე დაჭრილი უგონო მდგომარეობაშია. გასისხლიანებული კომბინიზონი მოაცილეს. კომბინიზონს რომ ხდიდნენ, შიდა ჯიბიდან ქირურგის ასისტენტმა ქალმა რაღაც ქაღალდები ამოიღო.

ახალგაზრდა ქირურგი ოპერაციას შეუდგა. ასისტენტმა დაჭრილის პასპორტს რომ დახედა, გაკვირვეულმა წამოიძახა:

– ეს ყმაწვილი რუსი ყოფილა! სანიტრებმა თქვეს, ოქუმის სათავეებთან დაუჭრიათ. საიდან გაჩნდნენ, ნეტავ, აქ ეს რუსები?

– ქლუხორზე გადმოდიან, – ყრუდ უპასუხა ახალგაზრდა ქირურგმა.

პასპორტიდან ორი ფოტო ამოვარდა და ვიდრე მიწიდან ასაღებად დაიხრებოდა, პასპორტიდან თავისთვის წყნარად რუსულად ამოიკითხა:

– სე-ვერ-ცოვი დმიტ-რი-ი ბო-რი-სო-ვიჩ...

დაჭრილ სერჟანტთან თავდახრილმა ჭაღარა ქირურგმა უჩვეულოდ ხმამაღლა წამოიყვირა:

– სევერცოვი?! – სწრაფად შემოტრიალდა, მეზობელ მაგიდასთან მივარდა და თვალებით დააკვდა დაჭრილის სახეს: სრულიად ყმაწვილი, თითქმის ბავშვური, ლამაზი, სწორნაკვთოვანი სახე, შუბლზე ცალ მხარეს კაზაკთა წესით ბუჩქად გადმოშლილი მუქი ქერა ქოჩორი, სილურჯეშეპარული მოკუმული ტუჩები... – მუხლებით დაეშვა მიწაზე, ახლოს მიიწია ყმაწვილის ფითრდაკრული სახისაკენ, ხელი ნელა გააცურა მის შუბლზე და შეხუჭუჭებულ ქოჩორს ფრთხილად შეეხო.

კარავში მყოფნი გაკვირვებით უყურებდნენ საქართველოში, იარაღით ხელში, მტრულად შემოსულის საწოლთან მხრებში წახრილი, სახემოქცეული ქირურგის გაუგებარ ქცევას.

– ბატონო რატი, რამე ხომ არ გნებავთ? – ასისტენტმა ნაბიჯი გადადგა მისკენ, – ფერი დაკარგეთ...

– რა მდგომარეობაშია დაჭრილი? – თავაუწევლად, ყრუ ხმით ეკითხება ახალგაზრდა ქირურგს გულორდავა:

– ტყვია მკერდში აქვს მოხვედრილი, მარჯვენა მხარეს, ხერხემლიდან ორ სანტიმეტრზე... ნეკნზეა მიბჯენილი. სისხლი გადავუსხით. რენტგენის გარეშე ტყვიის ამოღება მეტად სარისკოა. დაჭრილის მდგომარეობა უფრო მეტად უიმედოა... – პასუხობს ასისტენტი.

გულორდავა კიდევ უფრო წაიხარა დაჭრილისაკენ.

– მაპატიეთ, ბატონო რატი... – ასისტენტმა ხმას დაუწია, – მაინც რატომ?... საგანგებოდ რატომ დაინტერესდით ამ დაჭრილი რუსით?

რატი წამოდგა, უხმოდ გაიშვირა ხელი ასისტენტი ქალისაკენ, გამოართვა დაჭრილის პასპორტი, სხვა ქაღალდები და ხელის შესამჩნევი კანკალით დაიწყო თვალიერება. ფოტოზე აშკარაა: მშობლები და ქალ-ვაჟი, უთუოდ და-ძმა. ეს ძმა დაჭრილი კაზაკია. მეორე ფოტოზე – მოხდენილი, ლამაზი გოგონა. ფოტოები უწარწერია. საერთო ფოტოზე მხოლოდ ციფრებია, ალბათ, ტელეფონის ნომერი. პასპორტი გადაშალა: „სევერცოვი დიმიტრი ბორისის ძე, დაბადებული 1976 წელს...“ „ღმერთო ჩემო! თვრამეტისაც არ ყოფილა!“ – საცხოვრებელი ადგილი – კრასნოდარი...“

– ზუგდიდისაკენ მიმავალი ნებისმიერი ტრანსპორტით ეს ორი დაჭრილი მაინც უნდა გავიყვანოთ. მძიმე მდგომარეობაა და ხნიერი ქირურგის მკერდიდან თავშეუკავებელმა გულამოსკვნილმა ტირილმა ამოხეთქა.

დამსწრენი ხმას ვერ იღებენ, ვერც აწყნარებენ, მხოლოდ ასისტენტი ქალი მიუახლოვდა, ხელი მხარზე მოუთათუნა რატი გულორდავას და დამშვიდებას შეეცადა.

გულორდავა საწოლთან რაღაც ყუთზე ჩამოჯდა, დაჭრილს პულსი შეუმოწმა და ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

– ასე როგორ უნდა გამწიროს ღმერთმა! ნუთუ არ კმაროდა! რა შევცოდე ასეთი! – იქ მყოფთა მხარეს მიაბრუნა ღრმად დამწუხრებული სახე, – არ ვიცი, არ ვიცი, ეს ყმაწვილი შეიძლება..., შეიძლება ჩემი შვილიშვილი აღმოჩნდეს!.. და მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი ხელები სახეზე აიფარა.

იქ მყოფნი დაუჯერებელი მოულოდნელობისაგან შეკრთნენ, აწრიალდნენ, ასისტენტმა ქალმა წამოიკივლა...

შეკითხვა-განმარტების დრო აღარ დარჩა – ხიდიდან გადმოსული, გამოქცეული ხალხით გაჭედილი ძველი, პატარა ავტობუსი შეაჩერეს. მგზავრები შემჭიდროვდნენ, სალონის უკანა გრძელ სავარძელზე სევერცოვი დააწვინეს, მეორე დაჭრილი კი სავარძლებს შორის გასასვლელში მგზავრთა რაღაც ფუთებზე მოათავსეს.

რამდენიმე დევნილი მამაკაცი კიბის საფეხურებზე ჩადგა და ზომაზე მეტად ხალხით გადატვირთულმა ავტობუსმა ჩახჩახითა და გადაძაბული ძრავის ხრიალით ზუგდიდისაკენ გზა განაგრძო. ორმა რუსულმა ვერტმფრენმა რუხის ციხეს გადაუფრინა, თუმცა ავტობუსი უკვე შორს იყო ენგურიდან. ტყვიამფრქვევის მხოლოდ ორი ჯერი მიუშვეს მისკენ, მაგრამ, მგზავრთა საბედნიეროდ, – უშედეგოდ.

ზუგდიდის რაიონულ პოლიკლინიკაში საგანგებოდ გაათავისუფლეს პატარა ოთახი დაჭრილებისათვის და საავადმყოფოს პალატის შესაბამისად მოაწყვეს.

გულორდავამ კლინიკის მთავარ ექიმს, ქირურგს, მოკლედ განუმარტა დაჭრილი სევერცოვის გარშემო ვითარება და დახმარება სთხოვა, ზომაზე მეტად ვღელავ და დაჭრილთან ერთობლივად ვიმუშავოთო.

სევერცოვი რენტგენზე გააშუქეს და ოპერაციას შეუდგნენ. ნახევარი საათის შემდეგ შესძლეს ჭრილობიდან ავტომატის ტყვიის ამოღება.

ოპერაციისას გულთან დაკავშირებულ ხიფათს ძლივს დააღწიეს თავი და როცა დაჭრილის მდგომარეობა იმ დროისათვის სათუო არ ჩანდა, რატი მისი საბუთების გულდასმით შესწავლას შეუდგა. მანამდე კი ოფიციალურ სამხედრო და სამოქალქო პირებს ტელეფონით დაუკავშირდა ზუგდიდსა და თბილისში და აუწყა, რომ ერთი რუსი – კრასნოდარელი კაზაკი, ზუგდიდის კლინიკაში წევს მძიმე მდგომარეობაში სათანადო სამედიცინო ზედამხედველობით...

სევერცოვის ქაღალდებში ჩაწერილი ციფრები ბინის ტელეფონის ნომრად მიიჩნია გულორდავამ. საღამოვდებოდა, როცა თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის მეშვეობით, დიდი წვალების შემდეგ, მოხერხდა კრასნოდართან დაკავშირება. მტანჯველი იყო სასოწარკვეთილი მოლოდინის თითოეული წამი: „კრასნოდარი – სევერცოვები!.. იქნებ?! ვინ იცის, ღმერთო!..“

ზარი გავიდა აბონენტთან. ყურმილში მამაკაცის ხმა:

– გისმენთ! გისმენთ!

– სევერცოვების ბინაა?

– დიახ. თქვენ საიდან? ზარი საქალაქთაშორისოა...

– თქვენ ბორის სევერცოვი ხართ?

– დიახ, ეს მე ვარ.

– გირეკავთ საქართველოდან...

– ღვთის გულისათვის – თქვით, რაშია საქმე! ძალიან შეშინებული ვარ... მითხარით – რატომ საქართველოდან! თქვენ ვინ ხართ!

კრასნოდარის ბინის ტელეფონის ყურმილთან გაურკვეველი შეძახილები მოისმა. მხოლოდ გარკვევით ისმის ქალის ხმა:

– ვინ?.. ვინ?..

– რაშია საქმე? თქვით, ღვთის გულისათვის!..

დამშვიდდით!.. მე ქართველი ქირურგი ვარ. თქვენი დიმიტრი ჩემთანაა, დაჭრილი...

– დაჭრილი? დიმიტრი?

– ნუ შეშინდებით! დაჭრილია, თუმცა... რაღაც ხმები ყურმილში...

– თუმცა... ჭრილობა საკმაოდ სერიოზულია...

– გადარჩება? გადარჩება?

– ოპერაცია გავუკეთეთ. ტყვია ამოვუღეთ გულმკერდის არედან...

– გადარჩება? გადარჩება? მითხარით! – ისმის სასოწარკვეთილი ხმა ყურმილში.

– იმედი უნდა გვქონდეს.

– თქვენთან რატომ არის? რა ელის? თქვენთან რა უნდა ჩემს შვილს?

– ქართველ დაჭრილებთან ერთად გადმოიყვანეს აფხაზეთიდან და ზუგდიდის კლინიკაშია. ნუ შიშობთ – მკურნალობა და მოვლა ამ პირობებში, მერწმუნეთ, უმაღლეს დონეზეა...

– შეგიძლიათ დამალაპარაკოთ ტელეფონზე?

– არა! ჯერ არა! სძინავს ოპერაციის შემდეგ, – დაფარა გულორდავამ, რომ დიმიტრი სევერცოვი მის ხელში ყოფნის მთელ მანძილზე უგონო მდგომარეობაშია.

უცბად ბორის სევერცოვის ხმა უფრო მშრალი და თითქოს მბრძანებლურიც კი გახდა:

– მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო. დიმას ბაბუას, მამაჩემს – გლებ სევერცოვს, დიდი დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე. მას გენერლობაც მიანიჭეს და დიდი პატივითაც დაკრძალეს. არც მე ვარ პატარა თანამდებობაზე... ჰოდა, მარტო მე კი არა, ჩემი მეუღლითა და ქირურგითაც კი ჩამოვალ საქართველოში და დიმას უვნებლად ჩვენ თვითონ წამოვიყვანთ შინ.

თითქოს ესმოდა და თითქოს არა ეს სიტყვები გულორდავას. მოესმა, თუ ნამდვილად გლებ სევერცოვი ახსენა... უკვირდა, როგორ უნდა მოეხერხებინა ამ გაგანია ომში ეს ბორის სევერცოვს. თან უსაზღვროდ წუხდა იმის გამო, რომ ბორისი, ალბათ, მისი შვილი, თუ საქართველოში გაიზრდებოდა მასთან ერთად, ასე სალდაფონურად არ ილაპარაკებდა.

– მითხარით თქვენ შესახებ – გვარი, სახელი, მამის სახელი, – ტონი შეცვალა ბორისმა.

– რა საჭიროა! ჩაიწერეთ ზუგდიდის რაიონული კლინიკის ტელეფონი... გამომიძახეთ უბრალოდ – სევერცოვის მკურნალი ექიმი!..

– მითხარით, გეთაყვა! ძალიან გთხოვთ!..

ყოყმანის შემდეგ:

– ქირურგი გულორდავა... თქვენც მითხარით: რა ჰქვია მამათქვენს? – გულორდავამ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა ბედის გამოცდა.

– გულორდავა? – გაიმეორა კრასნოდარელმა, – გულორდავა! „სახელი ჰკითხე! სახელი! სახელი!“ – ყვირის ქალი კრასნოდარის ბინის ტელეფონთან.

– სახელიც მითხარით...

ყოყმანის შემდეგ:

– რატი სილოვანოვიჩი...

– რატი, რატი სილოვანოვიჩი, – იმეორებს ყურმილში დაჭრილი სევერცოვის მამა და მაშინვე გულორდავამ მკაფიოდ გაიგონა ტელეფონთან ქალის განწირული ხმა:

– ეს ის არის!.. ეს ის არის!..

– ვინ ის? – ყვირის ბორის სევერცოვი და უფრო ხმამაღლა: „დედა, დედიკო!“ და ყურმილში ხმა გაქრა!..

ხელში გაუქვავდა ტელეფონის ყურმილი რატი გულორდავას...

– ეს ლარისა კარპოვნაა... ლარისა! ლარისა! – არ იცის როგორ აღიქვას ეს აღმოჩენა! და კვლავ, მაგრამ უშედეგოდ შეებრძოლა ცრემლებს. ეს ცრემლები, ლარისა კარპოვნას არ ეკუთვნოდა!.. გულის ფიცრის ქვეშ მწვავე ტკივილი იგრძნო და უჩვეულო სიმხურვალემ დაუარა მკერდში.

ვიღაც თეთრხალათიანმა გაიარა მის წინ. მიაძახა:

– ნიტროგლიცერინი! თუ შეიძლება...

ექთანი რომელიღაც კარში შევარდა, სკამი გამოიტანა და ნიტროგლიცერინის აბი მიაწოდა შეწუხებულ გულორდავას. ნეკის ზომის ცილინდრული პატარა მასრაც გადასცა:

– გქონდეთ ესეც, იქნებ დაგჭირდეთ კიდეც!..

სხვა დახმარებაზე გულორდავამ უარი განაცხადა და პალატაში შევიდა. დიმიტრი სევერცოვის საწოლთან გაჩერდა: „ხომ შეიძლება შენ სევერცოვი კი არა, ჩემი შვილიშვილი იყო? დემეტრე გულორდავა... ხომ შეიძლება! ხომ შეიძლება!..“

დაჭრილმა ქუთუთოები აახამხამა, უაზროდ მოავლო თვალი იქაურობას და ამოიკვნესა. რუსულად იკითხა:

– სად ვარ? აქ რატომ ვარ? სად ვარ?

რატიმ სახე მიუახლოვა და მღელვარე ხმით წყნარად უთხრა:

– აქ სამშვიდობოს ხართ. ჭრილობა გაქვთ და ნუ იღელვებთ, კარგად იქნება ყველაფერი...

სევერცოვი თაფლისფერი, ქალურად ნაზი, გატანჯული თვალებით უყურებს ხნიერ, უცხო თეთრხალათიანს:

– სად ვარ? რა თქვით?

– საავადმყოფოში... დაჭრილი ხართ, მაგრამ ნუ გეშინიათ! საშიში არაფერია...

ეტყობა, გაახსენდა სევერცოვს, სადაც დატრიალდა ტრაგედია, ორი კაზაკი რომ მოცელა ავტომატის ჯერმა. ახლოს კიდევ რამდენიმე ქართველის უძრავი სხეული იყო წყაროსპირას, ფიჭვნარში. ვერ გაიხსენა, თვითონ თუ გაისროლა ავტომატიდან...

– სად ვარ? – მაგრამ ვიდრე მიიღებდა პასუხს თავის შეკითხვაზე, პალატაში შემოსულმა კიდევ ერთმა თეთრხალათიანმა მისთვის გაუგებარ, უცხო ენაზე რაღაც უთხრა საწოლთან მდგომ მაღალ, ჭაღარა კაცს, ალბათ, ექიმს. მანაც უცხოურადვე ხმადაბლა უპასუხა.

– სად არიან ჩვენები? – თითქოს ხვდება დიმიტრი სევერცოვი რომ „მისიანები“ აქ არ უნდა იყვნენ. – სად ვარ? სად ვიმყოფები?

– დამშვიდდით! თქვენ ხართ კეთილ ადამიანებთან, რომლებიც გმკურნალობენ და გივლიან, – ცდილობს რატი გულორდავა, რაც შეიძლება მშვიდი და დამაჯერებელი იყოს მისი სიტყვები.

– მე ქართველებთან ვარ?

– კი... კი... მაგრამ...

დაჭრილს სახე გაუქვავდა, მხოლოდ თვალებში იყო მრისხანება და სიძულვილი:

– მე თქვენ მმულხართ! მმულხართ! – თვალები დახუჭა. ძნელი სათქმელი იყო, მილულა თვალები, თუ ისევ უგონოდ შეიქმნა.

რატიმ პულსი გაუსინჯა, ელექტროზარით ექთანი გამოიძახა და ნემსი გააკეთებინა.

სევერცოვი, გონზე მოსვლისას, კვლავ გამუდმებით ითხოვდა „მისიანებთან“ მიყვანას.

– თქვენ ჩემთვის საძულველი ხართ, რომ იცოდეთ!

გულორდავა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სითბო ჩააქსოვოს სიტყვებში:

– არ შეიძლება გძულდეთ, არც არავინ გემუქრებათ აქ... ვეღარ გაუძლო რატიმ დაჭრილის სიტყვებს, რომლებიც, ალბათ, ჭრილობის ტკივილებს უმძაფრებდა და პალატიდან გავიდა. დაჭრილთან ექთანი დატოვა, რომელმაც იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ახლა ექიმ გულორდავას გულში...

როგორც მოგვიანებით გაირკვა, რამდენიმე ქართველი ტყვე – მაღალი სამხედრო წოდების პირები ჰყოლიათ აყვანილი მომხდურებს იქით დარჩენილ საქართველოს მიწაზე. მათი გამოხსნა უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩათვალა საქართველოს ხელისუფლებამ და უმალ ტყვეთა გაცვლაზე დაიწყო საუბარი. იქიდან კი უსამართლო ულტიმატუმს სთავაზობდნენ – ორ რუს ტყვეში ერთი ქართველი ტყვის გაცვლას. სხვა გზა არ იყო, უნდა დათანხმებოდნენ. დიმიტრი სევერცოვი და კიდევ რამდენიმე რუსი ტყვე, რომელიც მანამდე ჰყოლიათ აყვანილი, უნდა გაეცვალათ.

ეს ამბავი ახარებდა გულორდავას. ამით ხომ მისი შვილიშვილი, კი ნამდვილად მისი შვილიშვილი, გადაურჩებოდა ტყვეობას.

ისევ ტელეფონის ზარი კრასნოდარიდან. ხაზზე კვლავ ბორის სევერცოვია, შვილის მდგომარეობას კითხულობს.

– თქვენი ვაჟი ალაპარაკდა. გულს მიკლავს მისი განწყობა. დაუძინებელ მტრებად მივაჩნივართ... იცოდეთ, ჩვენ ცოტას არ ვაკეთებთ. ამ მხრივ, მშვიდად უნდა იყოთ...

სევერცოვმა გულორდავას უთხრა, რომ ხვალ, ნაშუადღევს, მოფრინავენ სანიტარული ვერტმფრენით:

– ქირურგიც მოგვყვება, მეუღლე და დედაც, – გულორდავა დადუმდა. არ იცის, რა უპასუხოს. არ სურს ლარისას ნახვა, არ სურს, მორჩა და გათავდა!

– რატომ არ მპასუხობთ? მიპასუხეთ, გთხოვთ!..

* * *

კრასნოდარი. სევერცოვების ბინა:

– რატი... რატი სილოვანოვიჩი, – ისმის ყურმილში დაჭრილი სევერცოვის მამის ხმა და მაშინვე გულორდავამ მკაფიოდ გაიგონა ტელეფონთან ქალის განწირული ხმა:

– ეს ის არის!.. ეს ის არის!..

– ვინ ის? – ყვირის ბორის სევერცოვი და უფრო ხმამაღლა: „დედა, დედიკო!“ და ყურმილში ხმა გაქრა!..

ბორის სევერცოვს დედამისის მოსულიერება დასჭირდა.

– ეს ის არის! – იმეორებს თვალცრემლიანი, სამოცდაათს გადაცილებული ქალი.

– ვინ ის! ვინ ის! – თქვი, დედა, რაშია საქმე! ვინ არის ეს ქართველი ექიმი გულორდავა? მას იცნობთ? თქვი, ღვთის მადლით!

კარგა ხნის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ბორის სევერცოვს დედა უყვება:

– ომის შემდეგ, მამაშენი პოლკის შტაბის უფროსად რომ იყო ლვოვში, მისი შიკრიკი იყო. ეს გულორდავა... რამდენჯერმე მყავს ნანახი, სულ რამდენჯერმე...

– იქნებ, ეს ჩვენი ბედია, დედა! მიხვდა, ალბათ, და იმიტომაც არის, გულორდავა ასეთი ყურადღებიანი ჩვენი დიმას მიმართ....

– ჰო, ჰო... ამიტომაც. ეს ღვთის ნებაა და ამან უნდა გვიშველოს... – ცრემლების ნიაღვარში დედა შვილს ევედრება: უნდა წამოვიდე საქართველოში. მიაღწიე ჩემს ვიზასაც... უნდა ხვდებოდე, ამას ექნება მნიშვნელობა დიმასათვის, ჩემი დიმასათვის... თუ არა და... თავს მოვიკლავ, ბორის, იცოდე! იქნებ, ჩემმა ჩასვლამ იხსნას ჩვენი ბიჭი!..

* * *

პალატაში თავდაპირველად მხოლოდ კრასნოდარელი პროფესორი და სევერცოვის მამა შეუშვეს. იქ დახვდათ გულორდავა და მისი ასისტენტი. ბორისი მიხვდა, რომ ეს ექიმი გულორდავა უნდა ყოფილიყო. გამოეცნაურა და ერთი სიტყვით მადლობა გადაუხადა.

პროფესორი დაწვრილებით ეცნობა ავადმყოფის ისტორიას, დანიშნულ მკურნალობას ოპერაციის მსვლელობის შესახებ. დაჭრილს კვლავ გაუსინჯა მაჯა: სევერცოვი კვლავ უგონოდ იყო.

– ჭრილობის დამუშავება, მკურნალობა და მოვლა, ეჭვს გარეშეა, – ამბობს პროფესორი, – აბსოლუტურად ადეკვატურია. თქვენ მაქსიმალური შესძელით. გმადლობთ, კოლეგებო! ახლა ყველაფერი ყმაწვილის გულზეა დამოკიდებული... და მაფიქრებს ფილტვების მოსალოდნელი შეშუპება.

– მამა! მამიკო!

ბორისი შვილს მივარდა, სახე დაუკოცნა:

– ჩემო ბიჭო! ჩემო დიმა! შვილო!.. ნუ გეშინია, მალე მოკეთდები და შინ წავალთ...

– ესენი გამომიშვებენ? მე ხომ ტყვე ვარ!..

– შენი დაძვრა ჯერ არ შეიძლება. გზაში შეიძლება სისხლდენა დაგეწყოს. ეს სახიფათოა – ჩაება ლაპარაკში კრასნოდარელი პროფესორი, – თორემ დღესვე შეგვიძლია შენი წაყვანა. ჩვენ ვერტმფრენით ჩამოვფრინდით და იმითვე უნდა დავბრუნდეთ.

– მართლა? ნუთუ ეს სიმართლეა?

– დედა როგორ არის? ვალია?

ბორისი დაიხარა შვილისკენ:

– დედაშენი აქ არის, ბებია ლარისაც. მალე პალატაში შემოვლენ. ვალენტინა კი კრასნოდარში გელოდება.

ექიმები გადიან პალატიდან. ასისტენტი რჩება მხოლოდ. ბორისმა ქალებს უხმო.

რატი კარებში შეეფეთა ლარისა კარპოვნას. შეცბა და ადგილზე გაშეშდა: ამ ხნისაა და როგორ შეუნარჩუნებია სილამაზე!.. თითქმის უცვლელია მისი სახე, ოღონდ ნაოჭები მოსძალებია

თვალებთან, ტუჩების კუთხეებთან, შუბლზე... იგივე შოლტი-ვით მოქნილი ტანი, ნაზი გამოხედვა, მღელვარებითა და შიშით დაჩრდილული... ლარისა მჭიდროდ მიეახლა რატის გაფარ-თოებული თვალებით და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გუ-ლორდავამ შეაქცია ზურგი და სწრაფად მოსცილდა იქაურობას. რძალს არ გამოჰპარვია ორივეს უცნაური ქცევა, მაგრამ მის გუ-ლსა და გონებას აღარ ეცალა ამისათვის...

გულორდავა რუს პროფესორს მთავარი ექიმის კაბინეტისაკენ გაუძღვა, თუმცა ფიქრით ლვოვში სტრიის პარკიდან დაბლა ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის ბინაში აღმოჩნდა. პალატაში ახლახან შესული ლამაზი ასაკოვანი ქალი კი დიდი ხანია საძულველ მოლანდებად დარჩა...

ვიდრე პროფესორი მთავარ ექიმს ესაუბრებოდა, გულორდა-ვა დაბრუნდა პალატაში. კარებთან ბორისი და მისი ცრემლმო-რეული მეუღლე საუბრობდნენ. კარებისაკენ ზურგით მდგომი სევერცოვის მეუღლის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები გაიგონა:

– ... ეს წყეული საქართველო!..

– ქართველები იარაღით არ ჩამოსულან თქვენს ყუბანზე, – ცივად, გაყინული ხმით ეუბნება გულორდავა, – არ დაუნგრე-ვიათ კრასნოდარი და ტიხორეცკი, ქვემეხები და ავტომატები არ დაუშენიათ ხალხისათვის. თქვენ რომ წყევლით, იმ საქარ-თველოს ექიმები და სხვებიც ყველაფერს აკეთებენ, სიკვდილი-საგან იხსნან ჩვენთან იარაღით მტრულად შემოსული თქვენი შვილი, როცა თქვენიანები ახლა ქართველთა სისხლს ღვრიან თქვენთვის უცხო მიწაზე...

ბორის სევერცოვი მიუახლოვდა რატი გულორდავას:

– გთხოვთ, გაგვიგოთ. ასეთ დღეშია ჩვენი შვილი... აპატიეთ ჩემს მეუღლეს, თუ შეგიძლიათ!..

– ნუთუ, ნათელი არ არის ყველასათვის, ჩვენ არ ვართ შუ-რისმაძიებელნი, არავის არაფერს ვართმევთ...

დიმას საწოლზე ჩამომჯდარი ლარისა კარპოვნა შვილიშ-ვილს ეფერება, ენას უჩლექს, როგორც პატარა ბავშვს და ცრემ-ლებს ვერ ერევა.

რატი მიუახლოვდა საწოლს. დახედა სევერცოვის მისუსტებულ, მაღალი ტემპერატურისაგან გათანგულ სახეს და ასისტენტს ჰკითხა: რამდენი აქვსო ტემპერატურა?

– 38 და 8. წყალს ითხოვს გამუდმებით, მგონი უგონობაშიც კი.

– თავადაც იცით – მხოლოდ ცოტ-ცოტა, უფრო სველი მარლით... და ფანჯარასთან მივიდა.

ლარისა კარპოვნა მიუახლოვდა გულორდავას:

– რატი, არ ვიცი როგორ გამოვხატო მადლიერება შენს მიმართ. – დედამისის ამ შინაურულმა, „შენობით“ მიმართვამ გააოცა ბორის სევერცოვი, კიდევ უფრო იმან, რომ ექიმი ზედაც არ უყურებს ლარისა კარპოვნას, არავითარ რეაქციას არ ახდენს მის სიტყვებზე: ძველი ნაცნობები მაინც ხომ არიან! რაშია საქმე?!

რატი ფანჯრიდან სადღაც შორს იხედება. ლარისა კარპოვნა უფრო მიუახლოვდა და მთრთოლვარე ხმით ჩუმად უთხრა:

– მე მიძნელდება შენთან საუბარი, კიდევ უფრო გულს მტკენს შენი გულგრილობა...

– გამერიდეთ! არ მსურს თქვენთან საუბარი! მომცილდით! თავადაც არ იცის ლარისა კარპოვნამ, უნდა თუ არა უთხრას ყელში გაჩხერილი სიტყვები, მაგრამ უფრო შეუცნობლად, უნებურად წამოისროლა:

– რატი!.. ეს ხომ... ეს შენი შვილიშვილიცაა!.. ჩემი დიმა...

– რაა-ა-ა? რა�ა-ა-ა? რა თქვით? გაიმეორეთ! ახლავე! – ეს სიტყვები იმდენად ხმამაღლა ითქვა, რომ ბორის სევერცოვი წამოხტა საწოლთან მდგარი სკამიდან და ფანჯარასთან მივარდა:

– მიუხედავად ყველაფრისა, არ მოგცემთ უფლებას, ასე უდიერად მოექცეთ დედაჩემს!..

რატი გულორდავა კი მძვინვარებს... ავიწყდება რა სიტუაციაშია:

– ახლავე გაიმეორეთ შვილთან, რაც თქვით! გაიმეორეთ!

– გულორდავა... რატი გულორდავა... შვილო, მაპატიე და დამზოგე ცოტა! გულორდავა... არც მან იცოდა აქამდე... ახლა გავანდე ამდენი ხნის საიდუმლო..., ალბათ, ეჭვობდა მხოლოდ, – ლარისა კარპოვნა ცრემლებს ვერ იკავებს: იგი მამაშენია, შვილო, ბორკა... – და გული შეუღონდა.

ბორისმა წელზე მოჰხვია ხელი და ასისტენტს მიაძახა: სკამი, ჩქარა! გთხოვთ...

ასისტენტს უკვე მოჰქონდა სკამი... მან სველი ხელი მოუსვა ლარისა კარპოვნას ლოყებზე, შუბლზე და ვალერიანის წვეთები დაალევინა... ბორისი იდგა უხმოდ, გაბრუებული, უაზროდ დასცქეროდა დედამისს, როგორც ვიღაც შეუცნობელს, იდუმალს. ცოტა მაინც რომ მოეგო გონს, დაიხარა დედისაკენ და ჩუმად, სხვებს რომ არ გაეგოთ, ყურთან პირის თითქმის შეხებით, ჩასძახა:

– კი მაგრამ მამა! ჩემი კეთილი მამა? ჩემი სიამაყე?..

– ახლა არა! არა! ბორკა, ძვირფასო!..

დერეფანში, სკამზე ზის რატი გულორდავა მუხლებზე იდაყვდაყრდნობითა და სახეზე ხელებაფარებით. ცრემლი, ასე უცხო, მრავალჭირგამოვლილი კაცისათვის, დენას არ წყვეტს.

პალატაშიც უნდა შესვლა, მაგრამ როგორ არ უნდა ცრემლიანი დაენახოს ქალს, რომელმაც გაუკუღმართებული ცხოვრება დააწყევლინა, და კიდევ ბორის და დიმა სევერცოვებს, თურმე გულორდავებს, თურმე მის სისხლსა და ხორცთ, მისთვის უკვე ასე თავდავიწყებით საყვარელ ადამიანებს.

ღამემ თეთრად ჩაიარა, მტანჯველ და ამასთან ერთად უსაზღვროდ ბედნიერ ფიქრებში, ზღაპრულ ახდენილ ოცნებებს რომ ჰგავს.

ქირურგი გულორდავა სხვა დაჭრილებსაც ემსახურებოდა გვერდით პალატებში. კლინიკაში ყველამ იცოდა, რომ დაჭრილი ყმაწვილი კაზაკი სინამდვილეში მისი შვილიშვილი აღმოჩნდა და კოლეგა ექიმებმა, რატის წინააღმდეგობის მიუხედავად, თითქმის მთლიანად განტვირთეს სხვა ავადმყოფების მეურვეობისაგან, თუ განსაკუთრებული ვითარება არ შეიქმნებოდა.

ლარისა კარპოვნასთან გუშინდელი ინციდენტის შემდეგ რატის უძნელდებოდა პალატაში ყოფნა, მიუხედავად დიდი სურვილისა, რომელიც დაუოკებელ წყურვილს უფრო ჰგავდა. ბორისიც თვალს არიდებდა მას, მძიმე განცდებში იყო და თავს ებრძოდა. მამა-შვილი გაურბოდა ერთმანეთს.

რატის დრო დერეფანში ბოლთისცემაში გაჰყავდა. დროდადრო პალატის წინ, სკამზე ჩამოჯდებოდა და ისევ თავის ფიქრებს აგრძელებდა.

მხოლოდ ახლა გაახსენდა რატის, რომ რამდენიმე დღეა, არ დაურეკავს შინ, თბილისში...

უფროსი ვაჟი კოკი იყო ხაზზე. ურთიერთგამოკითხვის შემდეგ შვილს ეუბნება:

– ძალიან მჭირდებით ორივე ძმა. ყველა საქმე უნდა გადადოთ და ხვალ ზუგდიდში ჩამოხვიდეთ. დაჭრილებს ვმკურნალობ რაიონულ კლინიკაში. ხვალ ორივე ძმა აუცილებლად აქ უნდა იყოთ! არაფერმა შეგაფიქრიანოთ. დედათქვენმა არ იღელვოს. დააჯერეთ, რომ კარგად ვარ და ყველაფერი რიგზეა. მანქანით ფრთხილად იარეთ! იცოდე, გელოდებით ორივეს! შეგიძლიათ დამირეკოთ ზუგდიდის რაიონულ კლინიკაში – ქირურგიული განყოფილება.

* * *

შუადღე არც იყო, დერეფანში კოკი და ირაკლი შემოვიდნენ. სკამზე თავჩაქინდრული მამა რომ დაინახეს, აჩქარებით მიუახლოვდნენ. რატიმ ამღვრეული თვალები ააპყრო მათკენ. ვაჟებს ეუცხოვათ მამის ნამტირალევი, ფითრგადაკრული სახე. უნდოდათ მიზეზი ეკითხათ, მაგრამ რატიმ დაასწრო:

– ენგურის გაღმიდან სხვა დაჭრილებთან ერთად მოხვდა აქ, მძიმედ დაჭრილი, თითქოს კაზაკი, ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლი კრასნოდარელი ყმაწვილი, გვარად სევერცოვი. თქვენ რამდენიმე სიტყვით იცით ჩემი ერთი ადრინდელი თავგადასავლის შესახებ და შეიძლება გახსოვთ კიდეც გვარი... აქ, ზუგდიდში გადმოვიყვანეთ. მოვახერხე კრასნოდართან ტელეფონით დაკავშირება. ეს ყმაწვილი იმ ქალის შვილიშვილი აღმოჩნდა...

რატი შეჩერდა, წელში გაიმართა:

– კოკი შენ ეწევი სიგარეტს... მომეცი ერთი...

– მამა, რა ხანია აღარ ეწევი...

– მომეცი, თუ კაცი ხარ! – გავიდეთ ჰაერზე. აი, იქ, აივანზე, – სიგარეტს მოუკიდეს.

– თვრამეტი წლისაც არ არის... ისეთი კარგი ბიჭია, ისეთი, რომ... მე გავუკეთე ოპერაცია, ტყვიაც ამოვუღე, მაგრამ მდგომარეობა მძიმეა... გუშინ ჩამოფრინდნენ დედ-მამა და ბებია – ჩემი ლვოველი ნაცნობი...

რატის ცრემლების დაფარვა არ უცდია.

იმ წყეულმა ქალმა გამიმხილა, რომ დაჭრილი დიმიტრი – დიმა სევერცოვი, ჩემი შვილიშვილია... და ეს მშვენიერი ყმაწვილი, ჩემი შვილიშვილი, ჩემ თვალწინ დღეს სიკვდილს ებრძვის... გესმით, შვილებო?.. გესმით?.. მამამისიც – თქვენი ძმა აქ არის და ბებიამისიც, ის... ის... ახლა შევალთ პალატაში და თვითონ მიხვდებით, ვინ ვინ არის. ჩემთვის ყველაფერი ეს აუტანლად მძიმეა. არ ვიცი, რა მოვიმოქმედო. კიდევ კარგი, თქვენ ხართ ახლა აქ...

შევიდნენ პალატაში. დიმას საწოლზე ორივე მხრიდან ჩამომსხდარი დედა და ბებია იცრემლებოდნენ. დაჭრილი კვლავ უგონოდ იყო, სიცხის ალმური ენთო სახეზე. ბორის სევერცოვმა, ღრმად დარდიანი რატის გვერდით რომ ორი ახალგაზრდა მამაკაცი დაინახა, მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ. თავისდაუნებურად სკამიდან წამოდგა და საწოლის ფერხთით დადგა. ხედავს, როგორ მოტყდა ამ ბოლო დღეებში რატი გულორდავა: მხრებში წახრილა ეს ამაყი გამომეტყველებისა და უნაკლო აღნაგობის მქონე კაცი, ლოყები ჩავარდნოდა, თვალები ჩასიებოდა, სახეზე გამოჩენია ადრე შეუმჩნეველი ნაოჭები. ძმები მიუახლოვდნენ საწოლს: ჯერ ერთმა, შემდეგ მეორემ ფრთხილად გადაუსვა ხელი დიმა სევერცოვს შუბლზე.

რატიმ თავი მიაბრუნა ბორის სევერცოვისაკენ და ყრუდ უთხრა: „ჩემი ვაჟები – კოკი და ირაკლი“.

ეს ქართული სახელები არაფერს ეუბნებოდა ბორის სევერცოვს, მაგრამ მისთვის ყველაფერი ცხადი იყო. ამას მიხვდა ლარისა კარპოვნაც, რომელმაც უფრო ღრმად დახარა თავი დიმასაკენ და ხმაურიანი ტირილისაგან თავი ვერ შეიკავა. ბორისის მეუღლე არ დაინტერესებულა, რაც ხდებოდა პალატაში. მისი

თვალები მხოლოდ შვილის გავარვარებულ სახეს დასცქეროდა და ლოცვასავით რაღაცას ბუტბუტებდა.

გვიან ღამით ბორისმა დედა და მეუღლე აიძულა სასტუმროში წასულიყვნენ. რატიმ მიიყვანა ისინი ადგილზე. კოკიც და ირაკლიც სასტუმროში დაბინავდნენ. კრასნოდარელმა პროფესორმა არ მიატოვა დაჭრილი. მას მორიგე ექიმის კაბინეტში გამოუნახეს საწოლი. ბორისი და რატი კი თავზე ადგნენ დიმას.

რატიმ ვერ აიძულა თავი, საუბარი წამოეწყო სასწაულებრივად გამოჩენილ ვაჟთან.

ღამე მტანჯველ ფიქრებში ჩაიძირა.

თენდებოდა, როცა რატი შევიდა პალატაში. ბორისმა უთხრა რატის:

– მინდა თქვენთან საუბარი, თუ თქვენც ისურვებთ...

რატიმ მაჯა გაუსინჯა დიმას, შუბლზე ხელი დაადო და ექთანს უთხრა:

– საორდინატოროში ვიქნები, – ექთანმა უხმოდ დაუკრა თავი.

პატარა მაგიდას მიუსხდნენ.

– აქ სიგარეტის მოწევა შეიძლება?

რატიმ თეფშისებრი პატარა ჭურჭელი წინ დაუდო ბორისს.

– გამოდის, რომ მამა-შვილი ვართ... – მშვიდი ხმით თქვა ბორისმა. ახლა სრულიად გამქრალიყო ბორის სევერცოვის სალდაფონური ხმა. „აი, რა იცის საქართველოს კლიმატმა!“ – გაიფიქრა რატიმ. სევდიანი გაღიმება სცადა, თბილად შეხედა და თავი ჩაქინდრა, თითქოს თავისთვის თქვა:

– ასეა, – დაყოვნებით უპასუხა, – ბედნიერი და ამასთან ძალიან მძიმე დღეა ჩემთვის... მე მანადგურებს დიმას მდგომარეობა!.. ახლა მაინც დამინდოს ბედმა!..

– რა თქმა უნდა, ის ხომ...

– მე კარგი ოჯახი მყავს, დიდად მოსიყვარულე მეუღლე, ორი ვაჟი და შვილიშვილები... ისინი მთელი სიცოცხლეა ჩემთვის. ახლა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, სასწაულებრივი ბედით გამოჩნდით თქვენ, ჩემი ცხოვრების მიმწუხრზე... აქამდე იყო მხოლოდ მტანჯველი ეჭვები... – რატის არ ერიდება

ცრემლებისა – დიმა სე-ვერ-ცოვი... ეს მშვენიერი ბიჭი, ბედმა შემინარჩუნოს იქნებ... დღეს თუ ხვალ წახვალთ და დაუბრუნდებით... – მეტი ვერაფერი თქვა.

ბორისმა თავს სძლია და ჰკითხა:

– კრასნოდარში რომ დარეკეთ, დედაჩემს ვთხოვე, ეთქვა თქვენს შესახებ. მითხრა მხოლოდ ის, რომ თქვენ იყავით ლვოვში მამაჩემის... შიკრიკი და მაშინ გაიცანით ერთმანეთი – სხვა არაფერი. თქვენ კი ყოფილხართ ჩვეულებრივ ნაცნობზე მეტი... მერწმუნეთ, მე ძალიან მიჭირს ამაზე ფიქრი და თქვენთან საუბარი, მაგრამ გთხოვთ... მე მინდა ვიცოდე... იქნებ, მითხრათ გარკვევით ამის შესახებ?..

– არა! მიუხედავად ყველაფრისა... არა! თუ შეიტყობთ ჩვენს ამბავს, ისევ დედათქვენისაგან... თუ იტყვის ყველაფერს!.. ბოლო სიტყვები დაუზოგავი იყო, მაგრამ სხვაგვარად რატიმ ვეღარ შესძლო, – და იმედი მაქვს, მეტისმეტად არ გამკიცხავთ...

დუმილის შემდეგ ეკითხება:

– ერთი თხოვნა შემისრულეთ.

– რა თქმა უნდა!



– უბრალოდ, შემატყობინეთ, რომ დაბრუნდებით... როგორ ჩახვალთ ადგილზე... სხვა – არაფერი.

„თავის ოჯახზე ფიქრს ჩემს ოჯახზე ფიქრი და დარდი დაემატა...“ – გაიფიქრა ბორისმა.

– აუცილებლად!.. ოღონდ დიმამ გადაიტანოს ეს... – და ატირდა. რატიმ ფრთხილად გადადო მკლავი მხრებზე, ოდნავ მიიზიდა თავისაკენ და მეორე ხელის თითები გრუზა თმებში ნაზად გაუტარა. ისხდნენ ასე კარგა ხანს აცრემლებულნი, უხმოდ, დიდი წუხილით გაქვავებულნი.

– აიღეთ ჩემი სავიზიტო ბარათი. აქ ტელეფონის ნომერიცაა და ბინის მისამართიც. ბორის! – პირველად მიმართა რატიმ სახელით, – შემდეგაც, იქნებ, შემეხმიანოთ ხოლმე... მე ვერ დავრეკავ თქვენთნ...

მიუხვდა – არ უნდოდა რატი გულორდავას ტელეფონზეც კი შეხმიანებოდა ლარისა კარპოვნას...

– მეც მაქვს სათხოვარი...

– მითხარით!

– თუ თქვენც ისურვებთ, რაც არ უნდა იყოს... – გაუძნელდა ბორისს თქმა, – იქნებ, შევძლოთ და „შენობით“ მივმართოთ ერთმანეთს.

– შენგან მინდოდა ამის მოსმენა!

* * *

დილამ შეღავათი მოიტანა, დიმამ დაძალების გარეშე მიირთვა საჭმელი, ათასი კითხვით საშველს არ აძლევდა თავისიანებს:

– აქ რომ პირველად დაგინახეთ, სიზმარი მეგონა. ყველაფერს ბურანში ვხედავდი.

რატი გულორდავას და მის ვაჟებს ალმაცერად უყურებდა. არც კლინიკის ექიმებს წყალობდა მაინცდამაინც. რატი, თავშეკავებით, მხოლოდ მკურნალ ექიმად აჩვენებდა თავს.

– აი, ამ ექიმს უნდა ვუმადლოდეთ შენს გადარჩენას. ტყვია მან ამოგიღო ჭრილობიდან, დღედაღამ არ გცილდება, ჩვენც ყურადღებას არ გვაკლებს, – ბორის სევერცოვმა სევდანარევი ღიმილით გაიხედა მოშორებით მდგარი რატი გულორდავასაკენ.

ესენი ვინღა არიანო? – ჰკითხა მამამისს კოკისა და ირაკლის შესახებ. – ამ ექიმის ვაჟებიო. მერე თავს რას დამდგომიან სიკვდილის ანგელოზებივით, – უხეში, ზიზღნარევი ხმით, ძმებისათვის გასაგონად წარმოთქვა. რატიმ თვალებით ანიშნა ვაჟებს და მათაც დატოვეს პალატა.

შუადღე არც იყო, თამილამ რომ შემოაღო პალატის კარი. ხელში თეთრად მოქათქათე ტიტების თაიგული ეკავა, თვალი

მოავლო პალატას. ცოლ-ქმარმა გადაკოცნეს ერთმანეთი. რატიმ მოფერებით გადაუსვა ხელი თმებზე მეუღლეს და წყნარად უთხრა:

– რა კარგია, რომ აქ ხარ!..

– მერე? არ გრცხვენია, რატი? – და გაუღიმა.

საწოლთან, ტუმბოს თავზე, წამლების გვერდით თაიგული დადო, დიმა სევერცოვი მდუმარედ და კოპშეკრული უყურებს მშვენიერ, ოდნავ შავგვრემან მანდილოსანს, რომელიც მისკენ დაიხარა, შუბლზე გადმოშლილი ქერა ქოჩორი ხელის ნაზი გადასმით გადაუწია, მისკენ დაიხარა და შუბლზე აკოცა. თითქოს გული გაუთბა დიმა სევერცოვს...

თამილამ შემოუარა საწოლს და ლარისა კარპოვნას რომ შეხედა, გაიფიქრა: „ღმერთო ჩემო! რა ლამაზი ყოფილა... და რა იქნებოდა ახალგაზრდობაში!!!“ მივიდა საწოლის ფერხთით მჯდომ დიმას დედასთან, დაიხარა და გადაკოცნა:

– ეტყობა, რომ კრიზისმა განვლო, გილოცავთ შვილის გადარჩენას, გამხნევდით!..

მივიდა რატისთან, მკლავში ხელი მოჰკიდა და კარებისაკენ წაიყვანა. დერეფანში ვაჟები ელოდებოდნენ.

მთავარი ექიმის კაბინეტიდან გამოსულ თვალცრემლიანი ექთანი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ცოლ-შვილთან მოსაუბრე რატი გულორდავას და ხმაჩაწყვეტით უთხრა:

– ბატონო რატი! უბედურებაა... სოხუმი დავკარგეთ! ახლა გადმოსცეს ტელევიზიით...

– წავიდეთ! – მიმართა აღელვებულმა რატიმ ცოლ-შვილს, – ჩემს საძინებელში ტელევიზორია.., – იმ დღეს დაატოვებინეს სოხუმი ქართველებს. აფხაზეთში სრული განუკითხაობაა. სულ მცირე ხნის წინ ჯინის ბოთლიდან ერთბაშად ამოხეთქილმა ფრთაახსნილმა ეროვნულმა ენერგიამ, ჯერ კიდევ უმწიფარმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაუყოვნებლივ ჩაავლეს ხელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს და აი, შედეგიც....

ოცი წუთის შემდეგ კრასნოდარელი პროფესორი და რატი გულორდავა პალატაში შევიდნენ. პროფესორმა თქვა:

– თუ ხვალ დილით ყმაწვილს სიცხე არ ექნება, შეგვიძლია დავბრუნდეთ კრასნოდარში... იქ გავაგრძელოთ მკურნალობა.

რატიმ არაფერი თქვა. ყველამ ჩათვალა, რომ მას უძნელდებოდა დიმასთან და ბორისთან განშორება და ამიტომაც არისო უგუნებოდ.

დიმას თვალები გაუბრწყინდა:

– ესე იგი ხვალ ჩვენს ქალაქში ვიქნები. რაღაც ეუხერხულა თავისივე ნათქვამის და უთხრა გულორდავას:

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ. თქვენი მადლობელი ვარ... ძალიან... რატიმ თავდახრილმა დაუქნია თავი.

პროფესორი გავიდა პალატიდან.

– გილოცავთ... გილოცავთ! მშვიდად იმგზავრეთ და ხანდახან აქაურობაც გაიხსენეთ... – თქვა რატიმ.

ატყობს ბორისი, რომ რაღაც კიდევ აწუხებს გულორდავას:

– რაღაც... მოხდა რამე?

პასუხი მაშინვე ვერ გასცა. შემდეგ კიდევ უფრო დახარა ჭაღარა თავი და გვერდზე გახედვით ყრუდ თქვა:

– სოხუმი დაეცა. დიდია ჩვენს მხარეს მსხვერპლი... მოსახლეობაშიც...

რატი გაირინდა პალატაში.

რატიმ შენიშნა – დიმა სევერცოვის ტუჩები ღიმილისმაგვარმა გრიმასამ შეატოკა.

– ახლა რა იქნება? – ეკითხება ბორისი.

– დიდხანს იქნება გაუცხოება აფხაზებსა და ქართველებს შორის... და ნეტავ, მხოლოდ ეს იყოს!..

ბორისს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ გულორდავას ბოლო სიტყვებმა შეაჩერეს.

დილით გამგზავრების თადარიგს შეუდგნენ. ვერტმფრენის ავზებში კოპიტნარის აეროპორტიდან გამოხმობილი ავტოცისტერნიდან საწვავი ჩაასხეს. სალონში ყველა აუცილებელი სამედიცინო საშუალება შეიტანეს. დიმა სევერცოვი საკაცით რომ აჰყავდათ ვერტმფრენში, ლარისა კარპოვნამ დრო იხელთა, მიუახლოვდა გულორდავას და ხმადაბლა უთხრა:

– რომ იცოდე, რა მადლიერი ვარ შენი... რატი, ნუთუ არაფერი დაგრჩა წარსულიდან?

– მხოლოდ სიძულვილი, – ცივად მიუგო რატიმ. ახლო-მდგომმა ბორის სევერცოვმა გაიგო გულორდავას გამოთქმული ეს სასტიკი სიტყვები და გული შეეკუმშა: „მაინც რა მოხდა მათ შორის ასეთი უპატიებელი? მათ შეიყვარეს ერთმანეთი. ეს კია გასაგები, მაგრამ როგორ გაუქრა ამ კაცს ის პირველი გრძნობა, სიძულვილში დაუნდობლად გადასული?“ ბორისმა არ იცო-და ზუსტად, რა მოხდა დედამისსა და მის ნამდვილ მამას შო-რის: „შინ მისვლისას უნდა გავარკვიო ყველაფერი“. გაჩნდა გულორდავასადმი პატივისცემა და მადლიერება, მაგრამ მშო-ბლიურ სითბოსა და მიზიდულობას ოდნავადაც არ გრძნობდა, გონებით ხვდებოდა, გულით ვერ შეიგრძნო...

ვერტმფრენში დიმას შეყვანისას რატიმ ახლოს მიუტანა სახე გაუცხოებულ შვილიშვილს და უთხრა:

– შენ მომცემ, შვილო, უფლებას, გადაგეხვიო, ბაბუ?

დიმამ უარის ნიშნად თავი გადახარა. მან ამ ჭაღარა ექიმის შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ დიდი ხნის წინ იგი ბაბუამისის, გლებ სევერცოვის შიკრიკი იყო პოლკის შტაბში და ამავე დროის ნაცნობი ბებია ლარისასი.

– იყავი მადლიერი, დიმა! – საყვედურობს მამა.

– მადლობა უკვე ვუთხარი, – და თავი უფრო გადახარა ბალიშზე: „მაინც რა უნდა ამ მოხუცს, ასე მომაბეზრებლად რომ ტრიალებს მის გარშემო!“

ბორისი მიუახლოვდა რატის, იქნებ აპატიოთ ჩემს შვილს... – ხელები შემოაჭდო მხრებზე და რამდენჯერმე აკოცა ლოყაზე.

– რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ, შვილო!

გულს მოწოლილი მღელვარება ცოტათი რომ დაიოკა, უთხრა:

– ალბათ, სოხუმზე გავლით გაფრინდებით. როგორც კი მიხვალთ შინ, გთხოვთ, დამირეკოთ. მე ზუგდიდში კიდევ სა-ჭირო ვიქნები – ახალ-ახალი დაჭრილები მოჰყავთ... თბილისის ტელეფონი და მისამართიც გაქვთ. ბედნიერად იყავით...

საღამოს დარეკა ტელეფონმა კრასნოდარიდან:

– დიმამ კარგად გადაიტანა ფრენა. გართულებები არ ჰქონია. ქალაქის ცენტრალურ კლინიკაში დავაწვინეთ უკვე თქვენი ნაცნობი პროფესორის ზედამხედველობით. ჩემი ქალიშვილი მოკითხვას გითვლით მადლობასთან ერთად. თქვენთან კავშირს არ გავწყვეტ...

ცოტა ხანში რატი გულორდავამ ძალზე შემაშფოთებელი ამბავი გაიგო. ორ რუსში კი გაცვალეს ერთი ქართველი, მაგრამ მიცვალებული...

„სულ ასე იყო ისტორიულად“ – გაიფიქრა რატიმ.

* * *

იყო კავშირი კრასნოდარსა და თბილისს შორის, არცთუ ხშირი, მაგრამ რატი ბედის კმაყოფილი ჩანდა, ბორისმა ერთი-ორჯერ დაურეკა კოკისა და ირაკლის.

ეს აშკარად კარგი ნიშანი იყო.

მაგრამ ყველაზე მეტად რატი გულორდავა დიმასაგან, არა დემეტრე გულორდავასაგან ელოდა ზარს...

გაზაფხული იწყებოდა, ერთხელაც რომ დარეკა ტელეფონმა კრასნოდარიდან.

ბოლოს რატი ეუბნება კოკის და ირაკლის:

– ზაფხული მოდის. ძალიან სასარგებლო იქნებოდა დიმასათვის, თუ ზაფხულს სადმე მთაში გაატარებდა. თუმცა აქ, ჩვენთან, ახლა რთული ვითარებაა! ხშირად არ არის ელექტროობა, გათბობა და ისედაც ყოველთვის უხიფათო არ არის მოქალაქეთა ცხოვრება ათასი ჯურის ავაზაკებისაგან. მაგრამ არც ისეა საქმე, მყუდრო ადგილი ჩვენს მთიანეთში არ მოიძებნოს დასვენებისათვის... ეჰ, ჩამოვა კი...

* * *

ზუსტად ოთხი თვის შემდეგ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა გულორდავების ბინაში, თბილისში. მეზობლის პატარა გოგომ ყველას დაასწრო და მიირბინა ტელეფონთან „ალო“, „ალო“-ს ძახილით.

ერთხანს დუმდა ტელეფონი და ბოლოს გაისმა:

– ალო, – ახალგაზრდა მამაკაცის გაუბედავი ხმა იყო.

– ალო.. ალო... გარეთ არ მიშვებენ ჩვენთან წვიმს და ქარია, – ანცობით უპასუხა პატარამ.

– რატი სილოვანოვიჩი სახლშია? – დამტვრეული ქართულით თქვა ახალგაზრდა მამაკაცმა.

– სახლში არ არის, წავიდა – მხიარულად პასუხობს ანცი გოგო. შეწუხდნენ უფროსები. უმალ გამოჰგლიჯეს ხელიდან ყურმილი.

ზუმერის განუწყვეტელი ხმაურის ფონზე ძლივს გაიგონეს:

– გადაეცით რატი სილოვანოვიჩს მე დიმა ვარ – კვლავ დამტვრეული ქართულითა და ხრინწით ძლივს წამოილუღლუღა ახალგაზრდამ და გაწყდა კავშირი. ზუმერის ხმამ შთანთქა ყოველი.

* * *

კუკიის აღმართზე მიდიოდა პროცესია. მძიმედ და ნელა მიაბიჯებდნენ. საშინელი დელგმა და ქარიშხალი იყო. თავის უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ ბედისაგან განწირულ, თუმცა მაინც იღბლიან რატი გულორდავას.

2013-2014 წლები